

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

თბილისი
2020

სერიით „ბიბლიოგრაფიული იშვიათობა“ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი იწყებს იშვიათობად ქცეული ქართული ფილოლოგიური, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი, არქეოგრაფიული ძეგლების და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემას. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო და სასარგებლო იქნება, გაეცნოს XIX-XX საუკუნეების ცნობილ ქართველ მეცნიერთა შრომებს, რომელთა დიდ ნაწილს ახლა მხოლოდ ბიბლიოთეკებში თუ მიაგნებ, ისიც – ერთეულ ეგზემპლარებს.

სერიას „ბიბლიოგრაფიული იშვიათობა“ ვიწყებთ „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ ფოტოტიპური გამოცემით. აღნიშნული ნაშრომის პირველი და მეორე ტომი 1963-1967 წლებში დაიბეჭდა და მას შემდეგ აღარ გამოცემულა.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ გამოცემის თავისებურებიდან გამომდინარე, ტექსტის ზოგიერთი ნაწილი, შესაძლოა, ხარვეზიანი იყოს, ვინაიდან ყველაფრის სრულყოფილად აღდგენა ვერ მოხერხდა. თუმცა, თავდაპირველი გამოცემის ბოლოს წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე გამოცემაში სრულადაა გათვალისწინებული.

სერიის რედკოლეგია

ზაზა აბაშიძე (სერიის რედაქტორი)
შალვა გლოველი (სერიის რედაქტორის მოადგილე)
ირმა ბერიძე
ეკა გოგიჩაიშვილი
ლანა გრძელიშვილი
ვლადიმერ კეკელია
თამარ ოთხმეზური
მზია სურგულაძე
ეთერ ქავთარაძე
ლელა შათირიშვილი

მეორე ტომის რედაქტორები
ნარგიზა გოგუაძე
ლანა გრძელიშვილი

ISSN 2667-9884
ISBN 978-9941-9730-5-5 (მეორე ტომის)
© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2020

ძველი ქართული
აგიოგრაფიული
ლიტერატურის ძეგლები

II

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები

წიგნი II

(XI—XV სს.)

დასაბეჭდად მოამზადეს
ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ,
ც. ქურციკიძემ, ც. ჯანკიევმა და ც. ჯღამაიამ

ილია აბულაძის
ხელმძღვანელობითა და რედაქციით

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1967

8Г1
8 99.962.1.09
ძ 493

კრებული „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“ გათვალისწინებულია გამოვიდეს 4 ტომად. I ტომში, რომელიც ახლახან გამოიცა, შეიდა უძველესი პერიოდის (V — X სს.) ორიგინალური ქართული ძეგლები, ხოლო წინამდებარე II ტომი შეიცავს მომდევნო (XI—XV) საუკუნეთა ძეგლებს, ტექსტები მეცნიერულ-კრიტიკულად არის დადგენილი ყველა ხელმისაწვდომი ნუსხის მიხედვით.

ძველი ქართული მწერლობის ამ მეტად მნიშვნელოვან ძეგლთა გამოქვეყნება დიდად შეუწყობს ხელს ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარების ისტორიის შესწავლას. ამასთანავე ეს ძეგლები წარმოადგენს საქართველოს ისტორიის უძვირფასეს პირველწყაროს, რამდენადაც მათში გადმოცემული ისტორიული ამბები აღწერილია უმეტესად თვითმხილველთა მიერ.

7—2—2
89—67 ადგ.

წინასიტყვაობა

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების მორიგი, მეორე ტომი პირველის გაგრძელებას წარმოადგენს. აქ შესულია ყველა ის ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოები, რომლებიც მე-10 საუკუნის გასულსა და მომდევნო საუკუნეებში შექმნილა (უმთავრესად XI—XV სს-ში). ისინი ძირითადად „ცხოვრების“ წიგნებს წარმოადგენენ.

XI—XV სს-ის მანძილზე აღმოცენებული ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, რომლებიც წინამდებარე წიგნში აისახნენ, შემდეგია:

1. ცხორებაჲ ილარიონ ქართველისაჲ,
2. ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი გიორგი მთაწმიდლისა,
3. ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდლისაჲ გიორგი მცირისა,
4. წამებაჲ არჩილ მეფისაჲ ლეონტი მროველისა და
5. ცხორებაჲ პეტრე ქართველისაჲ.

უკანასკნელის შედგენა დაკავშირებულია XIII თუ XIV ს-ის ქართველი ავტორის სახელთან, ვინმე მაკარისთან. მისივე განცხადებით, მას ეს ტექსტი სირიულიდან გადმოუღია. ძეგლი, მართალია, მთლად ორიგინალური არ გამოდის, მაგრამ სანამ მისი სრული ბადალი ჯერჯერობით არც სირიულზე და არც სხვა რომელიმე საქართველოს მეზობელ ქრისტიან ხალხთა ენაზე არსად ჩანს, ამდენად პირობით იგი შეიძლება მაკარი ქართველის ქმნილებად იქნეს მიჩნეული.

აქ აღნიშნული ძეგლებიდან მხოლოდ თითო ნუსხითაა მოღწეული ილარიონ ქართველის ცხოვრების წიგნი (A—558) და პეტრე ქართველის ცხოვრების ვრცელი რედაქცია (H—1760). სხვები ერთზე მეტი ხელნაწერებით შემონახულან. ყველა ისინი შეძლებისამებრ გამოვიყენეთ გამოცემისას.

ტექსტების გამართვისას ამ წიგნშიც ხელნაწერებთან ერთად გამოყენებულია არსებული გამოცემებიც, მით უმეტეს, თუ ისინი საგანგებო შესწავლის საგანი ყოფილან.

წინამდებარე ტომში შემავალ აგიოგრაფიულ ძეგლთა გამოსაცემად ჯომზადებაზე მუშაობდნენ: ილ. აბულაძე, ლ. ათანელიშვი-

ლი, ნ. გოგუაძე, მ. დოლაქიძე, ც. ჭურციკიძე, ც. ჭანკიევი და ც. ჯღამაია.

ილარიონ ქართველის ცხოვრების ტექსტი გადმოწერა დედნიდან მ. დოლაქიძემ, იოანესა და ეფთჯმეს ცხოვრების ტექსტის პირველი ნახევარი — ლ. ათანელიშვილმა, მეორე ნახევარი კი — ც. ჭანკიევმა. გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების ტექსტი გადმოწერეს ნ. გოგუაძემ (პირველი ნახევარი) და ც. ჭურციკიძემ (მეორე ნახევარი). არჩილის წამების ტექსტი გადმოწერა იღ. აბულაძემ, პეტრე ქართველის ცხოვრების რედაქციები—ც. ჯღამაიამ.

ვარიანტების ამოწერაში დასახელებული პირები ერთმანეთს შველოდნენ, ხოლო ტექსტს ისინი თითოეულმა წევრმა ცალკე შეურჩია და გაუწყო.

იღ. აბულაძე

ტექსტები

66] ცხოვრებად და მოქალაქობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისად

გუაკურთხენ, უფალო!

I. ბრწყინვალე არიან და ყოლად შუენიერ სიტყუანი წმიდათა წერილთანი, რომელნი-იგი აღიწერნეს მადლითა სულისა წმიდისაჲთა სამოძღურებელად ყოველთა მორწმუნეთა და სამკაულად წმიდისა ეკლესიისა, რომელთა მიერ განშუენდების ვითარცა სძალი, შემოსილი დიდებითა, და განაშუენებს შვილთა თჳსთა ელვარებითა სიკეთისა მისისაჲთა. და ვითარცა ყუავილთა მიერ არისათა სულნელ ჰყოფს სწავლის-მოყუარეთა კრებულსა და აღსძრავს ყნოსად კუალსა ნელსაცხებელთა მისთასა და მიდევნებად სულნელებასა საკუმეველთა მისთასა. რამეთუ ვინაჲთგან შეეყო იგი სიძესა მას სულთა განწმედილთასა, მიერითგან მიართუნა მან შემდგომად მისა კრებულხი მორწმუნეთანი, რომელნი-იგი მოყუას მისა იწოდნა სიკეთისათჳს სულიერისა სამკაულისა და პირად-პირადად შუენიერებისა მრავალსახეთა მათ სათნოებათა მიერ, ვითარცა ფესუედითა ოქროვანად განრჩუნვილითა შემკობილნი, და ვინაჲ-იგი დადგეს დედოფალი მარჯუენით მეფისა ტაძართა მათ შინა სამეუფოთა და რაჲთა ესენიცა მის თანა დადგომად ღირს იქმნენ შესაკრებელსა მას შინა დიდსა პირმშოთასა, ვითარცა იტყჳს დავით, ვითარმედ: „ეკლესიასა შინა დიდსა აღგიარო შენ“*, სადა-იგი ღმერთი ღმერთთა შორის იცნობებოდის მათ მიერ, [v] რომელნი-იგი წინაჲსწარ იცნნა და წინაჲსწარცა განაჩინნა პატივსა მას ღმერთყოფისასა მიღებად, რომელთა თანა შეირაცხა დიდი ესე და ბრწყინვალე, ყოლად საწადელი და სასურველი მამაჲ ჩუენი ილარიონ, მაღალი სათნოებათა მოღუაწებითა და უმაღლესი სულიერთა ხედვათა ძალითი-ძალად აღსლვითა.

რომლისათჳს-ესე არს სიტყუაჲ ჩუენი და წინამდებარე არს აღწერად და მითხრობად შემდგომთა ნათესაჲთა ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ მისი, ვითარცა ძეგლი ოქროჲსაჲ, შემკობილი თუალითა პატიოსნითა და მარგალიტითა მრავალსასყიდლისაჲთა, აღმართებული და მდგომარე შორის ეკლესიისა, რაჲთა შემავალნი მოღუაწებისა სტადიონსა ხედვიდენ და ბაძვად და მსგავსებად ბრწყინვა-

* ფსალმ. 34, 18.

ლებისა მისისა უმჯურვალესად აღიძრვოდინ, რომელი-იგი დაღაცათუ ახალი იყო ჟამითა, არამედ ძუელთა მათ და უპირატეს გამოჩინებულთა მოღუაწეთა, რომელთამე შეესწორა[1] სათნოებითა და სასწაულთა მოქმედებითა და რომელთამე აღემატა და ზოგს-რე თანა-ცა-წარჰჴდა სიკუდილადმდე უცხოებისა შეყუარებითა და თავისა თჳსისა სრულიად უჩინოქმნითა.

ხოლო არა განვაგრძოთ სიტყუაჲ ჩუენი, რომელთა-ესე არა თუ შესხმისა გზაჲ გჳპყრიეს, არამედ აღწერად ცხორებისა მოსწრაფე ვართ და სმენის-მოყუარეთა სასმენელთა აღვსებად სულიერითა სიტკბოებითა და მითხრობად, თუ ვინაჲ აღმოსცენდა წმიდაჲ ესე ანუ რომელთა კერძოთაგან აღმოჰჴდა ახალი ესე და ყოლად ბრწყინვალე მნათობი, რომელი-იგი აღმო[67]სავალით აღმოჰჴდა და სათნოებათა ელვითა დასავალისა მყოფნი განანათლნა.

II. იყო ნეტარი ესე და წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ილარიონ ნათესავით ქართველი, ვინაჲ-იგი მრავალნი წმიდანი გამოჩნდეს და სასწაულთა მოქმედნი კაცნი; ხოლო დაღაცათუ აღუწერელობითა ცხორებისა მათისაჲთა ჟამთა სიმრავლითა დაივიწყნეს, არამედ იგინი წინაშე ღმრთისა ბრწყინვალედ მდგომარე არიან. გარნა რაოდენთამე ახლად გამოჩინებულთა წმიდათაჲ საჴსენებელიცა დაშთა და ცხორებაჲცა აღიწერა ღმრთის-მოყუარეთა მიერ კაცთა და მოსწრაფეთა, ვითარცა-ესე წმიდისაჲ ამის, რომლისათჳსცა არს სიტყუაჲ ჩუენი.

არამედ ჩუენ პირველსავე სარბიელსა სიტყჳს[ა]სა მოვიდეთ და მიგითხრათ ყოველივე სახე ცხორებისა მისისაჲ, ვითარცა პირველ ვთქუთ. აღმოსცენდა უკუე ნეტარი ესე ჭ̈ქუეყანით ქართლით, საზღვართაგან და კერძოთა კახეთისათა, შვილი აზნაურთა მდიდართა და წარჩინებულთაჲ. ხოლო ამისსა მამასა ესხნეს სხუანიცა შვილნი, გარნა წმიდაჲ ესე აღთქუმულ იყო ღმრთისადა მშობელთა თჳსთაგან, ვითარცა პირველ სამოელ ანნაჲსგან.

და იქმნა რაჲ ესე ექუსის წლის, მიეცა სწავლად კაცსა ღირსსა და ღმრთის-მოყუარესა, რომელიცა იყო დაბასა მისსა, სადა იყოფებოდა მამაჲ ნეტარისაჲ მის, და ასწავლიდა იგი მას წიგნთა სულიერთა დღე და ღამე. და ირწყვებოდა იგი, ვითარცა ხე დანერგული ღმრთისამიერ თანა-წარსადინელსა [v] წყალთა მათ სულისა წმიდისათა, რომელ არიან წიგნნი ღმრთივ-სულიერნი.

და ვითარცა იხილა მამამან მისმან მოსწრაფებით სწავლაჲ ყრმისაჲ მის ბერისა მისგან წმიდისა, იწყო ყოვლისავე საჴმრისა მიცემად უხუებით და ჴელ-ყო ადგილისა მის აღშენებაჲ მონასტრად.

ნუსხაშია: [1] შეესწურა. [2] ესე.

და შეკრბეს მუნ ძმანი რიცხჳთ ვითარ ათექუსმეტნი ოდენ. და მარადის მივალნ მამაჲ მისი შენებისათჳს მის ადგილისა და ხილვად სასურველისა მის ძისა თჳსისა.

და ვითარცა იხილა ნეტარმან მან და ჰეშმარიტმან შვილმან ზეცათა მამისამან ზედაჲს-ზედა მოსლვაჲ იგი მამისა თჳსისაჲ, მწუხარე იქმნა ამას ზედა და მოეწყინა სიტყუაჲ იგი წმიდისა სახარებისაჲ, ვითარმედ: „რომელმან არა დაუტეოს მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“*, და განიზრახა წარსლვაჲ უშინაგანესსა უდაბნოსა. და აღდგა და წარვიდა უდაბნოსა გარეშჯისასა, და პოვნა მუნ მრავალნი კაცნი მოღუაწენი და მახლობელად მათსა ქუაბი ერთი მცირჱ. განიხარა სიხარულითა დიდითა და შევიდა და დაემკჳდრა მას შინა. და იყო ჰასაკითა, ვითარ ათხუთმეტისა წლისაჲ. და მიერითგან იწყო შესლვად სარბიელსა მოღუაწებისასა. მარხვითა და მღჳძარებითა ჰასაკსა მას სიჭაბუკის[ა]სა დააჭნობდა, ლოცვითა და მარადის ღმრთისა ხედვითა უჴორცოთა მიემსგავსებოდა, ვიდრეღა წარემატებოდა [68] მოღუაწებითა ყოველთაჳე მყოფთა მის ადგილისათა უდაბნოსა მას შინა, რამეთუ ყოველთაჳე უკჳრდა ეგოდენი იგი შრომაჲ მისი და მოთმინებაჲ.

და აღეშენებოდეს ყოველნი იგი ძმანი სწავლითა მისითა და შეუვრდებოდეს მას, რაჲთა იყოფოდინ მის თანა.

და შეიწყნარნა მან მის თანა ვითარ ათერთმეტნი ძმანი, მოღუაწენი მშჳდნი და მდაბალნი. და იყვნეს იგინი ვითარცა ანგელოზნი მარხვითა და დაუცხრომელად ლოცვითა და გალობითა ღმრთისა მიმართ, ვიდრემდის განითქუა ჰამბავი ღირსებისა მისისაჲ ყოველსა მას ქუეყანასა ქართლისასა, რამეთუ ვითარ შესაძლებელ იყო სანთელი დაფარვად ჴჳმირსა ქუეშე გინა ცხედარსა** და არა საცნაურ-ყოფად ყოველთა მიერ, ვიდრემდის ეუწყაცა ეპისკოპოსსა რუისთველსა სიმრავლჱ იგი სათნოებათა მისთაჲ, აღივსო იგი სულიერითა სურვილითა, აღდგა და წარვიდა მოკითხვად მისდა. და ვითარ მიიწია წმიდისა მის, მოიკითხნეს ურთიერთას ამბორის-ყოფითა წმიდითა. და იხილა რაჲ ეპისკოპოსმან პირი მისი ყჳთელი, სიტყუაჲ მდაბალი და სამოსელი შეურაცხი, განკჳრდა იგი გონიერითა განკჳრებითა და ჰრქუა მას:

„მრავლით ჟამითგან მინდა ხილვაჲ შენი, შვილო ილარიონ, და ღირს ვიქმენ მე ცოდვილი ესე მოღებად წმიდისა ლოცვისა შენისა. და ამისთჳს უმეტესად ჴჱმადლობ ღმერთსა, რომელმან არა ჰუებულ მყო სულიერისაგან სიყუარულისა შენისა. და აწ გევედ-

* შდრ. მ ა თ ე 10,38. ** შდრ. მ ა რ კ. 4,21

რები, [ვ], შვილო, რაჲთა სრულ-ჰყო საწადელი ჩემი და მიიღო მღდელობაჲ ჩემ მიერ გლახაკისა ამის და უღირსისა“.

ხოლო ნეტარი იგი ვითარცა იყო ყოვლითურთ მდაბალი და უცხოჲ კაცობრივისა დიდებისაგან, არა ენება პატივსა მას მღდელობის[ა]სა აღსლვაჲ და წინააღუდგებოდა ღირსსა მას ეპისკოპოსსა და ევედრებოდა მჴურვალედ და იჴმნიდა, რაჲთა განათავისუფლოს იგი უღლისა მისგან მღდელობისა. ხოლო იგი აღძრვითა ღმრთისამიერითა კუალადცა აიძულებდა და ევედრებოდა მას, არამედ ვითარცა იხილა თავი თჳსი იძულებულად წმიდამან მან, და ბრალად შეჰრაცხა ურჩებაჲ იგი მღდელთ-მოძღურისაჲ და ზეგარდამოჲსა ძალისაგან გულსავსე ქმნულმან ღმრთისა მიერ ჰრქუა მას: „ჵ, პატიოსანო მამაო, ჴელთა შენთა შინა ვარ მე გლახაკი ესე[1], რაჲცა ჰნებავს ღირსებასა შენსა, ყავნ ჩემ ზედა“.

მაშინ აღდგა წმიდაჲ იგი ეპისკოპოსი და აკურთხა იგი მღდელად. და აღასრულეს წმიდაჲ იგი საიდუმლოჲ და ეზიარნეს ურთიერთას. და წარვიდა ეპისკოპოსი იგი და მიუთხრობდა ყოველსა ერსა სათნოებათა მისთა, და რომელთა ესმოდა ჰმადლობდეს ღმერთსა. ხოლო მრავალნი შორით ჴუეყანით მოვიდოდეს ხილვად მისა და მოღებად ლოცვისა მისისა წმიდისა.

და ამისა შემდგომად იხილა რაჲ ნეტარმან ილარიონ სიმრავლჱ იგი მისა მომავალთა მათ ერთაჲ, შეუძნდა საქმჱ ესე, და იწყო ურვად. და ჰასაკსავე სიჭაბუკისასა მოხუცებულებრი სული მოიპო[69]ვა, ვითარცა დიდმან მოსე[2], და მსაჯულ იქმნა შორის სულისა და ჴორცთა. უსაჯა დაწუნებულსა მას და მოუძლურებულსა, მოაკუდინა სიმაღლჱ იგი ჴორცთაჲ და დაფარა ქჳშასა შინა სიმდაბლისასა, ვინაჲ-იგი ვერ შეუძლებს აღმოცენებად საძოვარი ვნებათაჲ. და მერმე იხილა რაჲ, ვითარმედ არა დასცხრებიან ძალნი იგი ბნელისანი შფოთის-ყოფად ეგჳპტესა მას შინა ვნებათასა, დაუტევა ყოველი ფარაოჲსი ფარაოჲსვე. თანა მძლავრისა, განეშორა იგი და ამაღლდა მთასა მას სათნოებათასა, ვინაჲ-იგი მწყსიდა გულის-სიტყუათა კეთილთა, ვითარცა რაჲ საცხოვართა მწუანეილოვანსა მას ზედა მოღუაწების[ა]სა, და ხილულთა ამათ განცდითა უხილავისა მის გულისჴმის-ყოფად აღიწეოდა, ვინაჲცა ცოცხალი იგი სულისაჲ ეკლო ვნებასა მას შინა ჴორცთა თჳსთასა, იხილა მგზებარედ, რომლისაგანცა შეუწველად დაიწვებოდა.

III. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. მოუჴდა წმიდასა მას სურვილი უცხოებისაჲ და სიძულილი ცუდად-დიდებისაჲ, და უფროჲს და უპირატეს ამისსა სურვიელ იყო თაყუანის-ცემად წმიდათა მათ და ცხოველს-მყოფელთა ადგილთა, ვინაჲ-იგი თავს-

ნუსხაშია: [1] ესჳ. [2] მოსჳ.

სხნა ჩუენთჳს ვნებანი ჴორცითა ამით კაცობრივითა, რომელნი უენგან მიიხუნა სიტყუამან ღმრთისამან უვნებელმან. და ვითარ გულებოდა, [7] გამოირჩია ძმათა მათგან ძმაჲ ერთი, რომელი იყო ევაღრეს ყოველთაჲსა სათნოებითა და შემძლებელი წინამძღრობად და მწყსად სულთა. ესე დაადგინა წინამძღურად ადგილსა თჳსსა, და არიყვანა ძმაჲ ერთი, და წარემართა წმიდად ქალაქად იერუსალჱმდ. და ვიდოდეს კეთილად წინამძღურობითა ღმრთისაჲთა. და ვიარცა ვლეს დღჱ მრავალი, მიიწინეს იგინი ჭუეყანასა მას შამისაა, ვინაჲ-იგი მკჳდრ იყუნეს ნათესავნი ბარბაროზნი. და სლვასა მას ათსა შინა მიხუდეს ავაზაკნი ბოროტნი გზასა ზედა და მეყსეულად ვითარცა მჴეცნი მოუჴდეს მათ ზედა ჩუეულებისაებრ გონებაა მათთაჲსა, და იჴადეს მახჳლები მათი, რაჲთა სცენ მათ. და აღიყრეს პირველად ცემად წმიდისა ილარიონისა, და მეყსეულად განჴლეს ჴელნი მათნი და ვერ შეუძლეს ჭუე ჩამოხუმად.

მაშინ იწყეს ტირილით ვედრებად მისა და მიუდგეს უკუანა ათსა, ვითარ ხუთ უტევან. იხილა რაჲ წყალობის-მოყუარემან მან ულთან მისმან, და მოეჴსენა მცნებაჲ იგი მაცხოვრისაჲ, რომელსა ტყჳს სახარებასა შინა, ვითარმედ: „ნუ მიაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ“*. მაშინ მოექცა წმიდაჲ იგი, დასწერა ჯუარი და განჴურნნა იგინი და წარგზავნნა ცოცხლებით. ხოლო მათ, ვითარ იხილეს მსწრაფლი იგი განკურნებაჲ მათი, მოართუეს მას პური და ერატი, და ითხოვდეს შენდობასა და ეტყოდეს მას ენითა მათითა, რომელ საცნაურ იყო, რაჲთა არღარა ყონ ესრეთ მონაზონთა ზედა. და ერთი [70] მათგანი წარჰყვა ვიდრე მიწევნადმდე მთასა მას წმიდასა თაბორსა, ვინაჲ-იგი ფერი იცვალა დიდებით ქრისტემან, ღმერთმან ჩუენმან წინაშე წმიდათა მოწაფეთა თჳსთა. ილოცეს მუნ და თაყუანის-სცეს მთასა მას წმიდასა. და მიერ წარვიდეს ქალაქად წმიდად იერუსალჱმად და მოილოცნეს წმიდანი იგი და თაყუანის-აცემელნი ადგილნი. და იხილა მას შინა წმიდამან მან ყოველივე ახჱ განგებულებისა სიტყჳსა ღმრთისაჲ და თაყუანის-სცა წმიდასა და დიდებულსა გოლგოთასა და ცხოველს-მყოფელსა საფლავსა. და მიერ წარვიდა ბეთლემად და იხილა ჭუაბი იგი ცათა მობაძავი, ვინაჲცა იშვა უფალი ჩუენი იესუ ქრისტჱ ქალწულისაგან წმიდისა, მოწლედ ამბორს-უყო და სურვილით თაყუანის-სცა. და მიერ მიიწია ჰდინარედ წმიდად იორდანედ და განიბანა წყლითა მით წმიდითა და მოილოცნა ყოველნი იგი მონასტერნი, რომელნი შენ იყუნეს უდაბნოჲ მათ შინა წმიდათა. და მიიწია ვიდრე ლავრადმდე დიდისა საბაჲსა. და დაყო ყოველთა მათ უდაბნოთა შინა შჳდი წელი ჴუაწლითა და შრომითა, რომელთა გამოთქუმაჲ შეუძლებელ არს.

* I პეტრე 3,9; შდრ. მათე 5,39.

რამეთუ ვინაჲთგან მოიცალა ყოველთაგანვე ნივთთა და ზრუნვათა სოფლისათა და განემზადა გულის[ს]ჴმი[ს]-ყოფად უვაღრესისა მის, ვითარცა დავით იტყჳს, ვითარმედ: „მოიცალეთ და გული[ს]ჴმაყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი“*. და დაემკჳდრა თავისა თჳსისა თანა და მხოლოჲ მხოლოჲსა მის თანა სასურველისა. მიერითგან რაჲღა ვინ თქუას, რავდენნი ღუაწლნი და შრომანი თავს-ისხნა, რამეთუ უც[ν]ხოებითა და უპოვარებითა და სიგლახაკისა შეყუარებითა სრულთა მათ და მოღუაწებასა შინა განთქუმულთა შეესწორა, ხოლო სიმჴნითა და სიბრძნით-მოღუაწებითა და მტერთა მათ უხილავთა ახოვნად წყობითა და ჯორცთა თჳსთა უწყალოდ განკაფითა ყოველთაჳე ღმრთისათჳს დამდაბლებულთა და უცხო-ქმნულთა მიემსგავსა, და ორთავე ამათ საზომთა თავსა შორის თჳსსა შემოკრებითა ორკერძოჳე სრულთაჲსა სწორ იპოვა, რომლისათჳსცა სამარადისოდ ხედვასა ღმრთის[ა]სა შეესაკუთრა, რამეთუ ვინაჲთგან საქმჲ დასაბამი არს ხედვისაჲ და შიში ღმრთივ-გონიერი მომატყუებელი უშიშოებისაჲ, ვინაჲთგან არღარა მონებრ იშიშვოდის მოშიში იგი. და არცა ვითარცა მიზდური სასყიდლისათჳს შურებოდის, არამედ ვითარცა შვილი სასურველი და საყუარელი მამისაჲ მესამესა მას სისრულისა ხარისხსა აღსრულ იყოს და სასურველსა მას უმაღლეს პირველისა ხედვიდეს, მიერითგან განუშორებელად ზრახვად მისდა ოდენ მოსწრაფე იყოს, ვითარცა წმიდაჲ ესე მამაჲ ჩუენი ილარიონ.

რამეთუ ესრეთ რაჲ იყოფებოდა უდაბნოთა მათ შინა იორდანისათა, ვითარცა პირველ ვთქუთ, და უმეტესად დიდსა მას ლავრასა მამისა საბაჲსსა, განკჳრდეს ყოველნი იგი მამანი ბუნებისა უვაღრესთა მათ მოღუაწებათა და შრომათა მისთა ზედა და ყოველთა მიერ ვითარცა საკჳრველი რაჲმე მისათხრობელ და თითის-საჩუე[71]ნებელ იქმნა, ვითარცა იტყჳს მოციქული, ვითარმედ: „თითის-საჩუენებელ ვიქმნენით სოფლისა და ანგელოზთა და კაცთა“**, და ეევედრებიან ღმერთსა მარადის, რაჲთა გამოუცხადოს უმჯობესი სულისა მისისაჲ, რომელი სათნო-უჩნს მოწყალებასა მისსა. და იტყჳნ სიტყუათა მათ ფსალმუნისათა: „მაუწყე მე, უფალო, გზაჲ, რომელსაცა ვიდოდი, და კუალად მასწავე მე, რაჲთა ვყო ნებაჲ შენი“*** და შემდგომი ამისი.

IV. და ესევითარსა რაჲ მოღუაწებასა შინა დაყო შჯდი წელი და ღმრთისა მიმართ ვედრებასა, ღამესა ერთსა, ვითარცა აღასრულა კანონი ლოცვისა თჳსისაჲ და სიმძიმისათჳს ჯორცთა ბუნებისა მცირედ მიერულა, და იხილა ჩუენებაჲ ესევითარი, რეცა მიიტაცა იგი მთასა მას წმიდასა ზეთის-ხილთასა, ვინაჲთ-იგი უფალი ჩუენი

* ფსალმ. 45,11. ** კ ო რ ი ნ. 4,9. *** ფ ს ა ლ მ. 142,8 და 10.

იესუ ქრისტჱ ამაღლდა დიდებით ზეცად მამისა, ვინაჲცა გარდამოჴდა. და იხილა წმიდაჲ დედოფალი ღმრთის-მშობელი და მარადის ქალწული მარიამ და ათორმეტნი კაცნი ბრწყინვალენი მდგომარენი მის წინაშე. და ვითარ განიცდიდა საკჳრველსა ამას ჩუენებასა, მაშინ ჰრქუა მას წმიდამან დედოფალმან: „ჲ, ილარიონ, წარვედ და მიისწრაფე სახედ შენდა, დაუმზადე სერი უფალსა და ძესა ჩემსა“. და ვითარცა განიღჳძა ჩუენებისა მისგან, მეყსეულად გულისჴმა-ყო ძალი სახილაჲსა მის და ბრძანებისა საღმრთოჲსაჲ, აღდგა და შეწირა მადლობაჲ ღმრთისა სახიერისა და ყოლად წმიდისა მის დედისა მისისა გამოცხადებისათჳს უმჯობესისა.

და წარემართა ქუეყანად თჳსად და ნათესავთა მიმართ თჳსთა ზეგარდამო გულსავსე-ქმნული, ვითარცა პირველად მოსე[1], დიდი იგი შჯულის-მდებელი, კუალად მეორედ უკუანქცეული [v] ეგჳპტედვე გამოყუანებად ნათესავთა დაკირთებულთა. ეგრეთვე ამანცა მოიღო ბრძანებაჲ კუალად მუნვე მიქცევად, ვინაჲ-იგი იშუა და აღიზარდა, რაჲთა შეეწიოს თჳსთა მათ ბუნებისათა უხილავისა მის ფარაოჲს დამონებულთა.

ესრეთ უკუე[2] კეთილ იყო და ყოლად ღმრთივ-შუენიერ პირველი იგი გამოსლვაჲ მისი უსრულებისათჳს სულიერისა ჰასაკისა და კუალად უკეთეს და უშუენიერეს იყო კუალადცა მიქცევაჲ მისი მუნვე, ვინა[ჲ]-იგი ბრძანებაჲ მიიღო ძალშემოსილმან ზეგარდამოჲთა სასოებითა შეწევნად მიმძლავრებულთა მტერისაგან მსგავსად სიტყჳსაებრ ბრძნისა მის, ვითარმედ: „ჟამი არს ყოვლისაჲვე“,* და კუალად იერემია[3] იტყჳს: „რომელმან გამოიყვანოს პატიოსანი უპატიოთაგან, ვითარცა პირი ჩემი იყოს“**.

რომლისაცა მიზეზისათჳს წარმოვიდა წმიდაჲ იგი ქუეყანად თჳსად. და ვითარცა მოიწია, პოვნა, რამეთუ აღსრულებულ იყვნეს მამაჲ და ძმანი მისნი. და იგლოვნა იგინი ბუნებითითა ტკივილითა, აღდგა და შეწირა მადლობაჲ ღმრთისა მიმართ და ყო ლოცვაჲ ლხინებისა და ნეტარებისა მათისათჳს.

ხოლო დედამან მისმან მოართუა ყოველი მონაგები მამისა მისისაჲ და ჰრქუა მას: „წარაგე ესე, შვილო, ვითარცა სათნო გიჩნს“. ხოლო ნეტარმან ილარიონ პირველ ყოვლისა იზრუნა ცხორებაჲ დედისა თჳსისაჲ, ვითარცა ჯერცა-იყო, რამეთუ პატივის-ცემაჲ მშობელთაჲ განწესებულ არს შჯულსა შინა ძუელსა და ახალსა. და აღაშენა მონასტერი დედათათჳს მოწესეთა ადგილსა კეთილსა და შუენიერსა და შეიყვანა მას შინა ღირსი [72] იგი დედაჲ თჳსი და იღუწიდა შვილებრითა მოღუაწებითა. და შეწირნა სოფელნი რავდენნი-

* შდრ. ეკლ. 3,1. ** იერემ. 15,19. ნუსხაშია: [1] მოსჱ. [2] უკუჱ. [3] ესაია.

მე, ვითარ შემძლებელ იყო. და განუწესა წესი და კანონი, ვითარცა ჯერ-არს მონასტერსა შინა ყოფისაჲ ლოცვისა და მარხვისა და ყოვლისავე წესიერად ქცევისაჲ. და მამა და მოძღუარ სულიერ ექმნა დედასა მას თჳსსა ჶორციელსა.

და კუალად აღაშენა სხუაჲ მონასტერი მამათათჳს და შეკრიბნა მას შინა ძმანი ვითარ სამეოცდაათექუსმეტნი, ღირსნი და მოღუაწენი, რომელთაცა სიწმიდესა და ღირსებასა ხედვიდა თუალითა სულიერითა. და განუწესა მათცა წესი და კანონი სიმჴნისა მათისა შემსგავსებული. და აღუშენა ეკლესიაჲ და შეამკო ყოვლითავე სამკაულითა, და მოიგნა წმიდანი წიგნნი და დასხნა მას შინა და შეწირნა სოფელნი, რომელნი დაშთომილ იყუნეს მამულისაგან თჳსისა. და ვითარ განასრულა ყოვლითავე საჴმრითა, სხუაჲ ყოველი ნამეტავი მონაგებთა მამულთაჲ განუყო გლახაკთა და უღონოთა. და ესრეთ რაჲ კეთილად მოიცალა მამულისაგან სიმდიდრისა თჳსისა, მადლობაჲ შეწირა ღმრთისა სრულმყოფელისა ყოველთა კეთილთაჲსა.

ხოლო ვითარცა იხილა კეთილის-მოძულემან მან და დასაბამან შურისა და სიბოროტისამან[1], უკეთურმან ეშმაკმან, აღშენებაჲ იგი მონასტერთაჲ მათ და ცხორებაჲ სულთა მრავალთაჲ, ნუ უკუე დუმნაა სიბოროტისაგან თჳსისა? ნუ იყოფინ! არამედ აღაშფოთა ნათესავი ამის წმიდისაჲ და იწყო შეჩუენებად და ფიცად, რაჲთა დაწუას მონასტერი იგი და წმიდაჲ იგი მოკლას. და [v] დასამტკიცებელად ბოროტისა ამის განზრახვისა კარსა მონასტრისასა დაასხა ნაჴშირი და დაწერა მცირესა ზედა ფიცარსა, ვითარმედ: „ესრეთ იხილონ ყოველთა ესე მონასტერი სამ დღედმდე“. და დააგდო იგი წინაშე ბჭეთა მონასტრისათა. ხოლო ვითარცა განთენა, იხილა ესე ყოველი წმიდამან ილარიონ, შეწუხნა ფრიად და იურვოდა[2] წარწყმედისათჳს სულისა მისისა, და არათუ ჶორციელთა თქუმათა და ქადაგებათათჳს რაჲმე ჰგლოდა, ნუ იყოფინ, არამედ რამეთუ მოწყალე იყო და სულთა მოყუარე, ამისთჳსცა დაადგრა ღამე ყოველ ლოცვასა ღმრთისა მიმართ. და ვითარცა მიერულა, იხილა კაცი ბრწყინვალე, რომელი ეტყოდა: „ნუ გეშინინ, ჱ, ილარიონ, რამეთუ დღესვე განისწაელოს მტერი იგი შენი და შეგივრდეს ფერჴთა შენთა“.

და ვითარცა განთენა, მუნთქუესვე დააკუეთა იგი ეშმაკმან ქუეყანასა ზედა და გორვიდა და პეროდა[3] და მეყსეულად აღიღეს მსახურთა მათ მისთა და მოიღეს წინაშე წმიდისა მის და დააგდეს ქუეყანასა ზედა. ხოლო ძჳრუჴსენებელმან მან და ყოლად მოწყალე-

ნუსხაშია: [1] სიბორიტისამან. [2] იურვუდა. [3] პეროდა.

მან მამამან საცხორებელად მისა შეჰრაცხა მცირჱ იგი სწავლაჲ მისი, აღდგა მსწრაფლ და ლმობიერად ეევდრა უფალსა განკურნებისა მისისათჳს. და დასწერა სასწაული პატიოსნისა ჯუარისაჲ და აღადგინა ფერჴთა თჳსთა ზედა ცოცხალი და განთავისუფლებული სულისა მისგან არაწმიდისა.

მაშინ იწყო ტირილით აღსაარებად პირველთა მათ [73] უგუნურებათა თჳსთა, და წარვიდა სახედ თჳსად. და მოართუა წმიდასა ყოველი მონაგები თჳსი საშენებელად მონასტრისა, და აღიკუეცა ჴელთაგან წმიდისათა. და იქმნა კეთილ მონაზონ და დაემკჳდრა მონასტერსაჳე მას შინა კეთილითა მოქალაქობითა, სიმდაბლითა და მორჩილებითა და ყოველთა უდარეს თავისა თჳსისა შერაცხვითა და უწყინოდ მსახურებითა ძმათაჲთა. და ესრეთ აცხოვნა წმიდამან ილარიონ ნათესავი იგი თჳსი ორითაჳე ცხორებითა.

V. მაშინ განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა მას ჭუეყანასა ქართლის[ა]სა. და ენება მრავალთა, და წადიერ იყუნეს ხილვად მებრ ხატისა მისისა და სმენად სიტყუათა მისთა, რომელნი სავსე იყუნეს სიტკბოებითა და სულიერითა სიხარულითა. და რომელნი იხილვიდეს, დიდად სარგებელ ეყოფეოდა შემთხუეულაჲ მებრ ოდენ მისი. და ჰმადლობდეს ღმერთსა და მოართუმიდეს საჴმარსა მრავალსა ნუგეშინის-საცემელად ძმათა და სამსახურებელად გლახაკთა და უცხოთა.

და ვითარცა იხილა მყუდროების-მოყუარემან მან და შფოთის-მოძულემან სულმან მისმან ზედაჲს-ზედა მოსლვაჲ ერისაჲ და წყინებაჲ, და ვერ ეძლო ამით მიზეზითა საწადელისა მის თჳსისა დაყუდებისა მოგებად. და ენება ყოველსა ერსა და მთავარსაცა მის ქუეყანის[ა]სა, რაჲთაცა ყვეს იგი ეპისკოპოს. და ვითარცა გულის-ჴმა-ყო ესე ნეტარმან ილარიონ, განიზრახა თავსა შორის თჳსსა, ვითარმედ: „დიდებაჲ ესე ამის სოფლისაჲ მომატყუებელ[1] არს საეკუნოჲსა მის |v| შეურაცხებისა“. და ამითცა მიემსგავსა დიდსა მას შჯულის-მდებელსა მოსეს კუალად მეორედ გამოსლვითა ეგჳპტით, ვინაჲთგან სულნი მრავალნი იჴსნნა მონებისაგან უხილავისა მის ფარაოჲსა და განიყვანნა დაუნთქმელად ზღუასა შინა ამის სოფლის[ა]სა, ვინაჲცა მძლავრი იგი მდევარი მჴედრებითურთ თჳსით დანთქმული იხილა და ძლევისა გალობასა ძლევის-მომცემელისა ღმრთისა სულიერითა სახიობითა შესწირვიდა. და ვითარცა დაამტკიცა გონებასა შინა თჳსსა სიცილოლაჲ ცუდად[2]-დიდებისაგან და წარსლვაჲ უშორესსა ჭუეყანასა, ვინაჲცა არა საცნაურ იყო, გამოირჩია ძმათა მათგან მონასტრისათა ძმაჲ ერთი, სავსჱ ყოველთა სიბრძ-

ნუსხაშია: [1] მომატყუებელი. [2] ცოდად-

თა და შემძლებელი მწყსად პირმეტყუელთა ცხოვართა. მოიყვანა იგი და დაადგინა წინაშე ყოველთაჲსა და დაასხნა მის ზედა წმიდანი ჴელნი თჳსნი, აღიხილნა თუალნი ზეცად და თქუა: „გმადლობ შენ, მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო, რომელსა შეგჳეედრე საშოჲთგან დედისა ჩემისაჲთ და ვიდრე დღესამომდე, და განმარინე მე მახეთაგან მომნადირებელთა ჩემთაჲსა და ყოველთა გზათა ჩემთა თანამავალ და მოღუაწე მექმენ მე, ვიდრე კუალადცა ინებე მოსლვაჲ ჩემი ქუეყანასა ამას, რომელსაცა შინა ვიყავ და აღვიზარდე. და სათნო-იჩინა ესრეთ მიუწდომელმან მან განგებულებამან• შენმან, რაჲთა ჩემ მიერ გლახაკისა აღეშენოს ადგილი ესე შესაკრებელად ძმათა ამათ. [74] აწ უფალო, სახიერო, ჴელთა შენთა წმიდათა შევჰჳედრებ მონათა ამათ შენთა, დაიცჳენ ესენი, მეუფეო, მრავალსახეთა მათგან და მრავალღონეთა მანქანებათა მტერისათა. და ნუმცა ჰპოვებს ბოროტი ეშმაკი ადგილსა განსუენებისასა ამათ შორის, არამედ განისუენენ ამათ ზედა სულმან შენმან წმიდამან და ცხოველს-მყოფელმან. და ძმაჲ ესე, რომელ გამოირჩია ყოლად წმიდამან ნებამან შენმან წინამძღურად ამათ ზედა, აკურთხე ესე ყოველითა კურთხევითა, რომლითაცა აკურთხენ წმიდანი მამანი ჩუენნი, და დასხმითა ჴელთა ჩემ უღირსისა[ჲ]თა ამას ზედა მო[ვ]ედინ მადლი შენი წმიდაჲ, რაჲთა კეთილად უძღოდის ძმათა ამათ და შესძინოს ტალანტსა რწმუნებულსა მისდა, და იდიდოს შენ მიერ მონისა მის და სახიერისა, რამეთუ შენი არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

და ჰრქუა ძმასა მას ესრეთ: „იხილე კეთილად და იღუაწე, ძმაო, სულისათჳს ამათ ძმათაჲსა ვითარცა სულისა შენისათჳს, რაჲთა არა მოგეჴადოს პატიჟი მონისა მის უსახურისაჲ, რომელმან დაჰფლა* მიწასა შინა ტალანტი უფლისა თჳსისაჲ, არამედ შესძინე მრავალ წილად, რაჲთა მცირედსა ზედა სარწმუნო-ქმნილი მრავალსა ზედა დაიდგინო და შეხჳდე სიხარულსა უფლისა შენისასა“. და ესე რაჲ თქუა, მოექცა ძმათა მათ ყოველთა, და ასწავა განგრძობილად ცხორებისათჳს სულთა მათთაჲსა და ამცნო მორჩილებაჲ წინამძღურისაჲ მის, რომელი-იგი განეჩინა მათ ზედა. აღიპყრნა ჴელნი და შეჰჳედრნა უფალსა და თქუა: „ჴელთა შენთა წმიდათა, უფალო, შევჰჳედრებ ძმათა ამათ“. და დაუტევა უკუანაჲსკნელი მშჳდობაჲ და იჴმნა მათგან და წარვიდა.

[ვ] ხოლო ვინმე მიუთხრნეს ტირილნი იგი და გოდებანი და ჴმანი იგი საწყალობელნი, რომელნი ქვათაცა ლმობიერ ყოფად შემ-

* შდრ. მ ა თ ე 25,18.

ძლებელ იყვნეს, რომელსა ჰყოფდეს ძმანი იგი, რამეთუ რომელნიმე უკუანა შეუდგეს და რომელნიმე წინა-წარსწრობად მოსწრაფე იყვნეს, რაჲთამცა მის თანა სლვითა გზაჲ იგი განაზოგეს. ხოლო წმიდაჲ იგი ჰლოცვიდა და ევედრებოდა უკუან-ქცევად, ვიდრეცა ფიცითა იძულებულნი შეუვრდეს წმიდათა ფერჴთა მისთა და ამბორს-უყოფდეს და ესრეთღა შეიქცეს ობოლქმნულნი[1] ტკბილისა მისგან მამისა.

ხოლო წმიდამან ილარიონ წარიყვანნა თავისა თჳსისა თანა ორნი ძმანი და წარვიდა მოხილვად პირველთა მათ მონასტერთა, რომელნი-იგი აღეშენნეს უწინარეს იერუსალჱმდ წარსლვისა; იხილნა იგი და მოიკითხნა ლოცვით და კურთხევით ყოველნი იგი ძმანი. და ეგრეთვე ამცნო მათცა თითოეულსა ცხორებისათჳს სულთა მათთაჲსა. და გამოვიდა მიერ და წარვიდა მოხილვად მონასტრისა მის, რომელი აღეშენა დედისა თჳსისათჳს. ხოლო ღირსი იგი დედაჲ მისი მიცვალებულ იყო ამიერ და დანი იგი ყოველნი შეჰვედრნა ღმერთსა და აკურთხნა. და წარმოვიდა მიერ და დაუტეა ქუეყანაჲ თჳსი.

VI. და ნებითა ღმრთისაჲთა წარემართა სამეუფოდ ქალაქად კოსტანტინოპოლედ ჟამთა მიხაელ მორწმუნისა მეფისათა, რომელმან დაიპყრა მეფობაჲ შემდგომად მამისა თჳსისა თეოფილესა და დაამტკიცა თაყუანის-ცემაჲ პატიოსანთა ხატთაჲ დედისა თჳსისა თანა თეოდორაჲსა.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. და მიიწია წმიდაჲ ილარიონ წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა მთასა ულონბოჲსასა და პოვა [ṽბ] მცირჱ ეკლესიაჲ ადგილსა უდაბნოსა, შევიდა და იყოფებოდა მას შინა. და ვითარცა მოიწია დღჱ შაბათი, შემოსლვაჲ წმიდისა კჳრიაკისაჲ, მოვიდა მონაზონი ერთი მახლობელისაგან მონასტრისა აღნთებად კანდელისა, პოვა მას შინა წმიდაჲ ილარიონ და მოწაფენი მისნი მის თანა, წარვიდა მონასტრად და მოართუა მცირედ პაქსიმადი და ცერცჳ დამბალი. მაშინ ევედრა წმიდაჲ იგი ძმასა მას, რაჲთა მოჰგუაროს წმიდაჲ სეფჱ და ზედაშჱ შესაწირავად მსხუერპლისა მის უსისხლოჲსა. ხოლო იგი წარვიდა და ხვალისა დღჱ წმიდასა კჳრიაკესა მოართუა სიტყჳსაებრ ბერისა. და აღასრულეს წმიდაჲ ჟამის-წირვაჲ. და ვითარცა წარვიდა ძმაჲ იგი მონასტრად, მიუთხრა ესე ყოველი მამასახლისსა. და ვითარცა ესმა მას, მეყსეულად აღშფოთნა გულის-წყრომითა და თქუა ესრეთ: „ვინ უწყის, ვითარმედ კეთილად ზრახვენ ანუ მართალი სარწმუნოებაჲ უპყრიეს!“. და მსწრაფლ ბრძანა შეურაცხებით განძებაჲ მათი. მაშინ წარვიდა იკონომოსი და სხუანიცა ძმანი და მიუთხრეს ბრძანებაჲ მამასახლისისაჲ[2]. ხოლო წმიდამან აღუთქუა, რაჲთა ხვალისა დღე წარვიდენ.

ნუსხაშია: [1] ობოლქმნოლნი. [2] მამასახლისაჲ.

ხოლო ვითარცა ესე ესრეთ იყო და უმშჯავროჲ ბრძანებაჲ გამოსრულ იყო და წმიდაჲ იგი მსგავსად განჩინებულისა მის ხვალისა დღე წარსლვად ისწრაფდა, ნუუკუე და სათნო-იჩინაა მოწყალებამან ღმრთისამან? ნუ იყოფინ! რამეთუ მას ღამესა, ვითარცა ეძინა მამასახლისსა, მეყსეულად იხილა ჩუენებაჲ საშინელი, რამეთუ ყოლად წმიდაჲ და ყოლად უხრწნელი და უფროჲსად კურთხეული დედოფალი ჩუენი ღმრთის-მშობელი მარადის ქალწული მარიამ, შემწუ და ჴელის-ამპყრო[v]ბელი ყოველთა უცხოქმნულთა და სახელისათჳს ძისა მისისა დაგლახაკებულთაჲ, დაადგრა ჩუენებით და ფრიადითა რისხვითა ეტყოდა მას და ჰრქუა: „ჵ, უბადრუკო, რაჲსა ინებე განძებაჲ უცხოთაჲ მათ, რომელნი მოსრულ არიან სიყუარულისათჳს ძისა და ღმრთისა ჩემისა და დაუტეობია ქუეყანაჲ მათი, და არა დაიმარხე მცნებაჲ იგი უცხოთა და გლახაკთა შეწყნარებისათჳს, ვითარ-იგი ეტყჳს მდიდარსა მას უფალი ჩემი და ძუ ჩემი. ანუ არა უწყია, ვითარმედ მრავალნი დამკჳდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყუელნი და ცხოვნებად არიან ღმრთისა მიერ? და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან, რამეთუ ჩემდა მონიჭებულ არს ძისა მიერ ჩემისა ნათესავი იგი შეურყეველად მართლმადიდებლობისათჳს მათისა, ვინაჲთგან ჰრწმენა სახელი ძისა ჩემისაჲ და ნათელ-იღეს“.

და ვითარცა მოიქცა მამასახლისი იგი ჩუენებისა მისგან და აღდგა შეძრწუნებული და იწყო ტირილად სიღრმითა გულისაჲთა და ვიდრე განთენებადმდე არა დასცხრა გოდებისაგან, და ვითარ განთენებაჲ მოახლებულ იყო, წარვიდა იგი მწარითა ტირილითა ეკლესიასა მას, ვინაჲცა მყოფ იყო წმიდაჲ იგი მოწაფეთა თანა თჳსთა. და ვითარცა იხილა, შეუვრდა ფერჴთა მისთა და ითხოვდა შენდობასა პირველისა მისთჳს კადნიერებისა და აფუცებდა, რაჲთა არა წარვიდეს მიერ და რაჲთა არა შურ-იგოს მის ზედა წმიდამან დედოფალმან. და წარმოუთხრა ჩუენებაჲ იგი, რომელიცა ეხილა ღამესა მას და ევედრებოდა, რაჲთა ექმნეს მთხოვანე წინაშე წმიდისა ღმრთის-მშობელისა. [76] ხოლო წმიდამან ილარიონ აღადგინა იგი და ჰრქუა მას: „იქმნეს ეგე[1] ნებისაებრ შენისა, წმიდაო მამაო“. მაშინ მამასახლისი იგი ევედრა, რაჲთა მოართუმიდენ ეულოგიასა ყოველთა შაბათთა. და მიუშუა ამისა ყოფად ნეტარმან მან. და წარვიდა მამასახლისი მონასტრად თჳსად.

ხოლო იყო ნათესავი მისი ჳნებული ფერჴითა მარჯუენითა სიყრმითგან მისით და ევედრა ესე მამასახლისსა, რაჲთა მას უბრძანოს მსახურებაჲ წმიდისაჲ მის და მორთუმად მისა განწესებულსა მას ევლოგიასა. და ვითარ ჰყოფდა ესრეთ ძმაჲ იგი და ჰმსახურებდა წმიდასა მას, და დღესა ერთსა მოაქუნდა რაჲ ეულოგიაჲ ჩუეულე-

ნუსხაშეი: [1] ეგუ.

ბისაებრ, იხილა რაჲ ესევითარი გულს-მოდგინებაჲ მისი კეთილის-მოძულემან ეშმაკმან, უბრკუმა ფერჴი იგი მისი ვნებული და ატკივნა ფიცხლად. ხოლო ძმაჲ იგი ტკივილისა მისგან ცრემლოოდა[1] მწარედ. იხილა რაჲ წმიდამან ილარიონ[2] მისი იგი ტირილი, შეუძნდა წყალობის-მოყუარესა სულსა მისსა, მოიღო წმიდაჲ ზეთი კანდლისაგან საუფლოჲსა და სცხო ტკივნეულსა მას ფერჴსა მისსა და განკურნა ტკივილიცა იგი და ვნებაჲცა იგი, რომლითა ვნებულ იყო, განუტევა იგი და ამცნო, რაჲთა არაჲის უთხრას. ხოლო მან ესე ყოველი მიუთხრა მამასახლისსა და ძმათა ყოველთა, რომელთა ეხილვა პირველ, და ჰმადლობდეს ღმერთსა, მოქმედსა საკჳრველებათასა.

მიერითგან აქუნდა იგი ყოველთა, ვითარცა მოციქული და მწ[ყემსი][3] საკჳრველებისა მისთჳს. და მოვიდოდეს გარემოჲსათა მონასტერთაგან ხილვად მისა და მოღებად წმიდისა ლოცვისა მისისა· და განითქუა ჰამბავი მისი [v] ყოველსა მას მთასა ულონბოჲს[ა]სა· და მოვიდოდეს და აღიესებოდეს სწავლითა მისითა და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცა ესევითარი მნათობი.

მაშინ მოვიდეს მისა სხუანი სამნი ძმანი ქართველნი, და შეიწყნარნა იგინი ნეტარმან ილარიონ. ხოლო ერთი მათგანი იყო კეთილად მეტყუელ ბერძულითა ენითა. და იყოფოდეს იგინი მყუდროებით და უშფოთველად ადგილსა მას, განშორებულნი ყოვლისაგან კაცობრივისა ზრუნვისაგან. და ესმა მკჳდრთაცა სამეუფოჲსა ქალაქისათა სათნოებათათჳს წმიდისა ილარიონისთა და ანგელოზებრისა მოქალაქობისა მისისათჳს, მოვიდოდეს[4] და ეეედრებოდეს მას, რაჲთა მიიღებდეს მათგან საჴმარსა. ხოლო მან არა ინება ესე ყოფად, არამედ ესრეთ პრქუა მათ, ვითარმედ: „მზრდის ჩუენ მოღუაწე ჩუენი, წმიდაჲ ღმრთის-მშობელი, და არა დამაკლებს ჴორციელსა საზრდელსა“.

და ვითარ იხილეს ესოდენი ესე უპოვარებაჲ[5] მისი, ბაძვად აღადგეს მრავალნი უბიწოჲსა მის ცხორებისა მისისა, რამეთუ შურებოდა იგი ჴელითა თჳსითა და მისგან მოირეწდა ჴორციელსა საჴმარსა მისთჳს და მის თანა მათთჳს და არარას ვის დააჭირვებდა, რამეთუ ეჴსენა სიტყუაჲ იგი დიდისა მის მოციქულისაჲ, ვითარმედ: „ჴელნი ჩუენი მსახურებდეს მე“*, და კუალად იტყჳს, ვითარმედ: „დღე და ღამე ვიქმ ჴელითა ჩემითა, რაჲთა არარაჲ ვის დაუმძიმო“**. და კუალად განაჩინებს ჴელისათჳს უქმისა არა ჰამად, რომლისაცა პობაძავად წმიდაჲ ესე იქმოდა.

ნუსხაშია: [1] ცრემლოდა. [2] ილარიონ + და. [3] მწ (დანარჩენი არ იკითხება). [4] მოვედოდეს. [5] უპუვარებაჲ.

* საქმე 20, 34. ** I თესალ. 2.9; II თესალ. 3.8.

მაშინ ვითარცა იხილა განმრავლებაჲ მომავალთაჲ და რამეთუ აწყინებდესცა ფრიად და ამით მიზეზითა ვერ ჰპ[77]ოებდა საწადელსა მას თჳსსა დაყუდებით ცხორებასა და ენებაცა სიჩლტოლაჲ[1] ცუდად-დიდებისაგან და რამეთუ არა უნდა, რაჲთამცა იყო ვინმე მაქებელ მისდა, ვინაჲთგან სიყრმითგანვე მოეკუეთნეს ძარღუნი ეშმაკისა მის და ცუდად-მზუაობრობისა და რომლისათჳსცა იყო სლვაჲ მისი ქუეყანითი-ქუეყანად, რაჲთა არა ვიდრემე პოვოს მის თანა ადგილი ამპარტავანებამან და გინათუ ვეშაპმან მან ვეცხლის-მოყუარებისამან ბუდჱ თჳსისა უკეთურებისაჲ, რამეთუ ვითარცა იტყჳან. მამანი, ვითარმედ სამთა ამათ მიერ იშჳებიან სპარაზენნი ვნებათანი— დიდების-მოყუარებისა, გემოთ-მოყუარებისა და ვეცხლის-მოყუარებისაგან. ამისთჳსცა წმიდამან ამან სამნივე ესე თავნი გუელისანი სამებისა წმიდისა ძალითა ახოვნად და ძლიერად დათრგუნნა.

VII. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. და ვითარცა იხილა წმიდამან ილარიონ სიმრავლჱ იგი მომავალთაჲ მათ, ჰრქუა ესრეთ მოწაფეთა თჳსთა: „შვილნო ჩემნო, აჰა ესერა, მაქუს ხუთი წელიწადი აქა, ვინაჲთგან მოვედით და ვერ შევედ ქალაქად, რაჲთამცა თაყუანის-ვეც ძელსა ცხორების-მომცემელსა. და აწ, ვიდრე მოსლვადმდე ჩემდა, თქუენ აღაშენეთ მცირჱ სენაკი ყორისაჲ ქვათაგან“. და ასწავა, ვითარ ჯერ-იყო აღშენებაჲ მისი.

და თანა წარიყვანა მოწაფჱ ერთი, სახელით ისაკ, და წარვიდა კოსტანტინეპოლედ თაყუანის-ცემად პატიოსანსა ჯუარსა და ყოველთ[ა] წმიდათა ეკლესიათა. ხოლო ოთხნი იგი მოწაფენი თჳსნი დაუტევნა ულომბოს.

[v] და ვითარცა შევიდა ქალაქად სამეუფოდ, თაყუანის-სცა სასურველსა თჳსსა ძელსა პატიოსანსა და ამბორს-ჴყო სურვილით ნაწილთა წმიდათასა, რომელთა ოდენ მიემთხჳა და განიზრახა, რაჲთა მიერ წარვიდეს ჰრომედ თაყუანის-ცემად სამარხჳოსა წმიდათა და ყოლად ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესსა და პავლესსა, და წარემართა ნებითა ღმრთისაჲთა. და ვითარ ვლო ათოთხმეტი დღჱ და მიიწია ქალაქსა რომელსამე, და პოვა სამოთხჱ გარეშე ქალაქისა მის და კარსა მის სამოთხის[ა]სა მკელობელი ერთი მჴდომარჱ, დაჴდა წმიდაჲცა იგი მოწაფითურთ თჳსით მკელობელისა მის მახლობელად და ჰრქუა მას: „კაცო, აღდეგ და მომართუ მე ტევანი ერთი ყურძენი!“ ჰრქუა მას კაცმან მან: „აჰა, მამაო, სამოთხჱ ესე წინაშე შენსა, და რაჲცა, გნებავს, მიიღე, რამეთუ ვერ შემძლებელ ვარ აღდგომად ცოდვათა ჩემთაგან, და მაქუს აქა ათცამეტი

[1] სიჩლტულაჲ.

წელი, ვინაჲთგან დავკოჭლდი და მზრდის მე უფალი ამის ადგილისაჲ“. მაშინ შეეწყალა წმიდასა კაცი იგი და სულთ-ითქუნა სიღრმითა გულისაჲთა და აღიხილნა თუალნი გონებისანი ღმრთისა მიმართ, რომელსა-იგი დუმილით-მვედრებელთაჲ უმაღლეს ყოვლისა საყჳრისა ესმის, და ჰრქუა კაცსა მას: „აღდეგ, ძმაო, უფალსა ეგბრძანებიეს, და ჴელითა შენითა მომართუ ნაყოფისაგან სამოთხისა მაგის“. და მუნთჳესვე განეგართნეს ფერჴნი მისნი, და აღდგა და შევიდა ვენაჴსა მას, რაჲთამცა მოართჳა [78] ყურძენი. ხოლო წმიდაჲ ილარიონ აღდგა და წარვიდა სხჳთ გზით. და ვითარცა გამოვიდა კაცი იგი, ვერღარა პოვა მკჳრნალი იგი კეთილი. და მეყსეულად შევიდა ქალაქად, და აქჳნდა ტევანი იგი ჴელთა და ჰმადლობდა ღმერთსა და ჴმობდა, ვითარმედ: „მკჳდრნო ამის ქალაქისანო, მიხილეთ მე, მიხილეთ, რამეთუ მე ვარ, რომელი-იგი პირველ კოპლი ვიყავ და ძრაჲალგზის გეხილვე. ხოლო აწ მხედავთ, ვითარ-ესე ვარ ლოცვითა კაცისა ღმრთისაჲთა“.

მაშინ, ვითარცა იხილა ერმან მან ქალაქისამან საკჳრველებაჲ იგი დიდებული, განკჳრვებულნი ჰკითხვიდეს, რომელნი იცნობდეს პირველად კაცსა მას, თუ: „ვითარ განიკურნე? ხოლო მან უთხრა ყოველივე საქმე განკურნებისა თჳსისაჲ, და აუწყა სახე და ნიშანი წმიდისაჲ მის და მოწაფისაჲცა მისისაჲ. მაშინ ყოველმან მან ერმან ქალაქისამან იწყო ძოსწრაფედ ძიებად მათდა მებოძირთა ზედა გზათასა და ყოველსავე ადგილსა, ვინაჲვე საეჭუელ იყო წარსლვაჲ მათი. ხოლო წმიდაჲ იგი ნებითა ღმრთისაჲთა დაეფარა თუალთაგან მათთა და წარვიდა გზასა თჳსსა, ვინაჲცა ენება, და მრავალნი სასწაულნი აღასრულნა ღმერთმან ჩის მიერ ყოველსა მას გზასა მისსა, ვიდრეცა ვიდოდა.

VIII. და წინამძღუარებითა ღმრთისაჲთა და შეწევნითა წმიდათა მოციქულთაჲთა მიიწია[1] ქალაქად ჰრომელ. და ვითარცა ორემმან, სურვიელმან წყაროდ მიმართ წყალთაჲსა, ეგრეთ აღგზებულმან[2] სურვილითა საღმრთოჲთა მეყსეულად მიისწრაფა ტაძრად წმიდათა [v] და თავთა მოციქულთა პეტრესსა და პავლესსა, თაყუანის-სცა და ამბრს-ყო[3] ბოწლედ მჴურვალებითა სულისაჲთა წმიდათა სამარხოთა მათთა და ყოველთავე ნაწილთა წმიდათა მღდელთ-მოძღუართა და მოწამეთასა, რომელთა ოდენ მიემთხჳა.

ხოლო დაყო ორი წელი ჰრომეს შინა ანგელოზებრ ცხორებითა და მოღუაწებითა. რამეთუ მარადის ხედვასა ღმრთისასა შეჰმსჭუალა გონებაჲ თჳსი. და მუნცა მრავალნი სასწაულნი და კურნებანი აღასრულნა უფალმან მის მიერ, ვითარცა უკუანაჲსკნელ მო-

ნუსხაშია: [1] მიწოა. [2] აღგზაბულმან. [3] ამბროს-უყო.

წაფემან მისმან ნეტარმან ისაკ ყოველივე მოგჳთხრა, მოიქცა რაჲ მიერ შემდგომად მიცვალებისა მისისა.

მაშინ საცნაურ იქმნა ყოველთა მიერ მკჳდრთა ჰრომისათა საღმრთოჲ იგი მოქალაქობაჲ მისი და ყოველნივე განკჳრვებულ იყვნეს და მოვიდოდეს შემთხუევად და თაყუანის-ცემად წმიდათა ფერჴთა მისთა და მოღებად წმიდასა ლოცვასა მისსა. და ყოველთა აკურთხევდა და ლოცვით განუტევებდა. და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელმან მოავლინა წმიდაჲ ესე ქალაქსა მათსა.

და ვითარცა დაყო ჰრომეს შინა ორი წელი მაღლითა და საკჳრველითა მოქალაქობითა, ამისა შემდგომად აღძრვითა ზეგარდამოჲთა მოუჴდა გულსა, რაჲთა კუალად წარვიდეს სამეუფოდ ქალაქად კოსტანტინოპოლედ, რამეთუ ენება ღმერთსა, რაჲთა არა ჴუებულ ყოს დიდებული ესე ქალაქი, რომელსა შეუკრებიან სიმრავლენი ყოველთა წმიდათანი თავსა შორის თჳსსა და გარემოჲს [79] ყოველთაევე სანახებთა თჳსთა, და რაჲთა ამისთაცა ნაწილთა ღირს იქმნას შეწყნარებად ვრცელთა მათ და დიდებულთა წიაღთა შინა თჳსთა. რომლისაცა მიზეზისათჳს წარმოვიდა მიერ წმიდაჲ ილარიონ. და შეწევნითა ღმრთისაჲთა ყოვლითურთ შეწყნებული მოიწია ქალაქად თესალონიკედ. და ვითარცა შევიდა ქალაქად, უპირატეს ყოვლისა თაყუანის-სცა სამარტჳლოსა ძლევაშემოსილისა დიდებულისა მოწამისა დიმიტრისსა. და მიერ წარვიდა პრეტორად მთავრისა მის ქალაქისა და დაჯდა კართა წინაშე მისთა.

და აჰა ესერა განგებითა საღმრთოჲთა მჴევალმან მის მთავრისამან გამოიღო ძუ თჳსი ოთხისა წლისაჲ ნახევარ-მიღებული და დადვა იგი მზის-პირსა მახლობელად წმიდისა ილარიონისა[1]. ჰრქუა წმიდამან ილარიონ დედაკაცსა მას: „დედაკაცო, წარვედ და მომართუ მე წყალი“. და მეყსეულად აღდგა იგი მოღებად წყლისა. მაშინ, ვითარცა წარვიდა დედაკაცი იგი, აღდგა წმიდაჲ ილარიონ, სულთ-ითქუნა სიღრმითა გულისაჲთა, ჯუარი დასწერა ყრმასა მას და ჰრქუა „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა შენ გეტყჳ, ყრმაო, აღდეგ ცოცხლებით!“ და მეყსეულად განიკურნა და აღდგა ყოვლითურთ უვნებელი ფერჴთა თჳსთა ზედა. და ჰრქუა კუალად ყრმასა მას: „წარვედ, შვილო, გიწესს შენ დედაჲ შენი“. და აღდგა ყრმაჲ იგი ცოცხალი და მივიდა დედისა თჳსისა თანა. ხოლო წმიდაჲ ილარიონ აღდგა და წარვიდა სხუასა ადგილსა, რაჲთა არა საცნაურ იქმნას სასწაულისა ამის მიერ მეძიებელთა მისთაგან.

[1] ილარიონსა.

[v] იხილეთ-ღა, ჶ, საყუარელნო, თუ ვითარსა მადლსა ღირს ჰქმნა წმიდაჲ ესე მამაჲ ჩუენი! რამეთუ მიემსგავსა დიდთა მათ მოციქულთა პეტრეს და იოანეს, რომელთა განჰკურნეს მკელობელი იგი, რომელი ზინ თხოვად ქველის-საქმისა კართა წინაშე შეენიერისა მის ბჱისათა, რომელთა-იგი მათ სიტყჳთ კერძებაჲ მიჰმადლეს, და კუალად პეტრე ენება განრღუეული აღადგინა*.

ხოლო ესე არა უმცირეს არს სასწაულთა მათ მათთა, რომელნი ნეტარმან ამან აღასრულნა, რამეთე პირველისა მის მკელობელისა განკურნებაჲ რაჲ ენება, რომელი-იგი წინაშე სამოთხისა პოვა, უპირატეს[1] ითხოვა მისგან ტკბილი ნაყოფი, რომლისაჲ-იგი თჳთ მიცემაჲ ეგულებოდა. და კუალად ყრმასა რაჲ ამას განჰკურნებდა, რომელი-ესე აწ ვაჴსენეთ, ითხოვა პირველად წყალი სასუმელად დედისაგან მისისა, რამეთუ ეგულებოდა, რაჲთა შეილსა მისსა ასუას წყალი კურნებისაჲ. და ეგრეთვე, იყოფებოდა რაჲ მთასა მას ულომბოჲსასა, ამითვე სახითა განკურნა მკელობელი იგი, რომელი მოართემიდა ევლოგიასა, რომელსა-იგი მისცა ევლოგიაჲ კურნებისაჲ.

და ვითარცა შევიდა ყრმაჲ იგი დედისა თჳსისა, ვითარცა პირველ ვთქუთ, და წმიდაჲ იგი წარვიდა სხუასა ადგილსა. ხოლო მჴეცალმან მან აღიტაცა ყრმაჲ იგი და მოჰჳუარა დედოფალსა თჳსსა და იგი ჰკითხვიდა, თუ ვითარ განიკურნა ყრმაჲ იგი. ხოლო მან წარმოუთხრა ყოველივე სახე განკურნებისა მისისაჲ და ნიშანი წმიდისაჲ მის და მოწაფისა მისისაჲ და ენისაცა მათისაჲ. და მუნთქუესვე შევიდა დედოფალი იგი და უთხ[80]რა ესე ყოველი ქმარსა თჳსსა და ეჩუენა ყრმაჲცა იგი განკურნებული.

ხოლო ვითარცა ესმა ესე მთავარსა, მეყსეულად ბრძანა სწრაფით დაცვაჲ კართა ქალაქისათა და მოძიებაჲ წმიდისაჲ მის. და ვითარცა ეძიებდეს, პოვეს იგი კარსა აღმოსავალით კერძოსა გარე განმავალად. რამეთუ ვერ შესაძლებელ იყო დაფარვად ქალაქსა მთასა ზედა დაშენებულისა და არცა სანთლისა მთჳბარისა ჴინო-ყოფად ცხედარსა ქუეშე**, რამეთუ რაოდენ წმიდასა მას ენება დაფარვაჲ საქმეთა თჳსთაჲ, ეკუოდეს ღმერთი განაცხადებდა მსახურსა თჳსსა, რომელმან-იგი ადიდნის მადიდებელნი თჳსნი.

რამეთუ ვითარცა პოვეს წმიდაჲ იგი კაცთა მათ მეძიებელთა მისთა, მეყსეულად დაცჳეს და თაყუანის-სცეს მას წინაშე ფერჴთა მისთა წმიდათა და ითხოვდეს მისგან კურთხევასა. ხოლო ნეტარმან მან აკურთხნა იგინი და აღადგინნა და წარჰყვა მათ თანა. მაშინ

ნუსხაშია: [1] უპირაეტეს.

* შდრ. საქმე 9,34. ** შდრ. მარკ. 4.21.

მთავარსა მას ვითარცა ეწყა მისლვაჲ წმიდისაჲ, გამოვიდა შემთხუევად მისდა და აჰბორს-ჴყოფდა წმიდათა ფერჴთა მისთა. არამედ წმიდამან ცლოცა მას და აღადგინა იგი და ჰრქუა მას: „ქრისტჱმან, ყოველთა მოყუარეთა მისთა მცველმან, დაიცევინ ღმრთის-მოყუარებაჲ შენი!“ ხოლო მთავარმან წარიყვანა წმიდაჲ იგი სახედ თჳსად და ეუბრა მას, რაჲთა გამოირჩიოს ადგილი, რომელიცა ინებოს და იყოფოდის მას შინა. მაშინ წმიდამან, ვითარცა იხილა საღმრთოჲ იგი და ღმრთის-მოყუარჱ გონებაჲ მთავრისაჲ მის, მიუშჳა ამისა ყოფად და გამოირჩია ადგილი მარჯჳ[1] და მყუდროჲ, ვითარი შეაშენნა სიწჳიდესა მისსა. [v] და აღუშენეს ეკლესიაჲ შუენიერი ადგილსა მას. და ამცნო წმიდამან, რაჲთა არა აწყინებდენ ზედაჲსზედა. და კუალად ამცნო, რაჲთა არარას წარმოსცემდეს მისა, თჳნიერ პაწსიმადისა ჴმელისა და ცერცჳსა დამბლისა. ხოლო მთავარმან მან აღასრულა ყოველივე ბრძანებული მისი.

მაშინ განითქუა პამპავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა ილურიკისასა და მოვიდოდეს ურიცხუნი სულნი და აღეშენებოდეს სწავლითა მისითა, და მიიქცებდეს წმიდათა ლოცვათა მისთა და ეგრეთ წარვიდოდეს სახედ თჳსად. ხოლო მყოფთა ქალაქისათა მრავალთა შეეწურდა საღმრთოჲ იგი მოქალაქობაჲ და უბიწოჲ ცხორებაჲ მისი და ჴელითა მისითა იქმნნეს მონაზონ და წარემატნეს ანგელოზებრსა ქცევასა და მოღუაწებასა შინა.

მას ჟამსა დიაკონი ერთი თესალონიკელი განვიდა მოხილვად ჴენაჴსა თჳსსა. და შეიპყრეს იგი წარმართთა და წარიყვანეს ქუეყანად თჳსად. და ვითარ იგი მიჰყვანდა, მგზავრ მოეჴსენა წმიდაჲ ილარიონ ყოვლითურთ სასოწარკუეთილსა კაცობრივისა ცხორებისაგან, და იწყო ვედრებად მისა ცრემლითა მჭურვალითა და თანაშემწედ ხადოდა წმიდათა ლოცვათა მისთა. და მას ოდენ ღამესა, ვითარცა ეძინა მრჩობლ შეკრულსა ჯაჭუთა მიერ რკინისათა, ეჩუენა წმიდაჲ იგი და ჰრქუა მას: „აღდეგ, ჱ, დიაკონ, და ნუ გეშინინ, რამეთუ მე ვარ, რომელსა იგი მეუედრებოდე“. და ვითარცა განიღჳძა, იპოვა, რამეთუ განჴსნილ იყო საკრველთაგან. აღდგა მეყსეულად და განვლო ყოველი იგი ლაშქარი ჳშიშად. და არავინ ცნა საქმჱ ესე, ვიდრემდის მოვიდა ქალაქად თესალონიკედ. და მიუთხრობდა [81] ყოველთა საკჳრველებასა ამას დიდებულსა. და მოვიდა წმიდისა მის და ამბორს-ჴყოფდა წმიდათა ჴელთა მისთა, რომელთა მიერ განიჴსნა საკრველთაგან, და მადლობით მიუთხრობდა საკჳრველებასა მას მის მიერ მის ზედა აღსრულებულსა. ჰრქუა მას: „შვილო! ენება ღმერთსა ჴსნაჲ შენი. ამისთჳსცა ანგელოზი თჳსი

ნუსხაშია: [1] მარჯჳ.

მოავლინა ხატითა ჩემითა, ვინაჲთგან შენ სარწმუნოებით ჩემ ცოდვილისა სახელსა ხადოდე, და გამოგიჴსნა მწარისა ტყუეობისაგან. ამისთჳსცა ჰმადლობდი ღმერთსა მოქმედსა საკჳრველებათასა". ხოლო იგი წარვიდა სახედ თჳსად განთავისუფლებული და ადიდებდა ღმერთსა.

და დაყო წმიდამან ილარიონ ქალაქსა შინა თესალონიკესა ბუნებათა უაღრესითა მოღუაწებითა ჟამი რაჲოდენიმე, რამეთუ ყოველთა მათ ზემოჴსენებულთა სიჭაბუკისა ღუაწლთა დაივიწყებდა და ვითარცა ახლად შემავალი სტადიონსა მას მოღუაწებისასა უმჯერვალეს პირველისა სურვიელ იყო, რამეთუ სიტყჳსაებრ მოციქულისა პირველ გარდასრულთა მათ შრომათა ყოლაღვე არა იჴსენებდა და შემდგომთა მიწოთომად ჰოსწრაფე იყო. ამისთჳსცა ღმერთმან სასწაულთა მიერ და კურნებათა ცხორებასავე ამას შინა ადიდა, რაჲეთუ რომელთამე ჯორციელთა სნეულებათაგან განჰკურნებდა და კჳალად რომელთამე სულიერთა ვნებათა და სალმობათაგან იჳსნიდა და ესრეთ ჴრიცხვენი სულნი შეაწყნარნა ღმერთსა.

IX. ხოლო ვითარცა მოიწია ჟამი აღსრულებისა მისისაჲ, ამიერ წარსლვისა და ღმრთისა მხოლოჲსა მისლვისაჲ, რომლისაცა სურვიელ იყო და სახელისა მისისათჳს იძულებაჲ სიყრმითგან ჰასაკისა მისისაჲთ, უწყებულ იქმნა უკუე ღმრთისა მიერ. და იცვალა სახჱ პირისა თჳსისაჲ [v] და მხიარულ იქმნა სულითა, ვითარცა შეშაკეთილი, მიმავალი ნაყოფსა მას ზედა სათნოებათა თჳსთასა, ვითარცა იტყჳს დავით, ვითარმედ: „მოსლვით მოვიდოდეს და უხაროდა, რომელთა მოაქუნდა მჴელეულები მათი"*.

გინა თუ ვითარცა მჴედარი ძლევაშემოსილი მომწყუედელი წინააღმდგომთაჲ და მიმავალი მეუფისა თჳსისა, ანუ თუ ვითარცა მკნავეთ-მოძღუარი ჴელოვანი წიაღ-მყვანებელი მრავალთა სულთაჲ დაულტობელად ღელვათა შინა სოფლისა ამის ზღჳსათა და ღმრთისა შემწირველი.

მაშინ მოუწოდა მთავარსა მას და ჰრქუა: „ჴ, მთავარო, კეთილად ჰყავ, რამეთუ შემიწყნარე[1] გლახაკი ესე და უცხოჲ. მოგეცინ შენ უფალმან სასყიდელი სიყუარულისაჲ, რომელმან-იგი უცხო ქმნული ესე უცხოებითა თჳსითა დამაგნა ღმერთსა და მამასა.

„ამიერითგან ისწრაფე შეწყნარებად გლახაკთა და მონაზონთა და უმეტესად უცხოთა. ეკრძალე მოხუეჭისაგან გლახაკთაჲსა და ყოვლისავე უმშჯავროჲსა და უსამართლოჲსა საქმისა, რაჲთა მოწყალებამან ღმრთისამან დაგიფაროს ცხორებასა ამას შინა და საუკუ-

[1] შეიწყნარე.

* ფსალმ. 125,6.

ნედ ზიარ-გყოს სუფევასა წმიდათა თანა, რამეთუ მე აჰა ესერა წარვალ გზასა მამათა ჩემთასა და მოიწია ჟამი აღსრულებისა ჩემისაჲ". მაშინ მთავარმან იწყო ტირილად და ამბორს-უყოფდა წმიდათა ჴელთა და პირსა მისსა. ხოლო წმიდამან აღიპყრნა ჴელნი ღმრთისა მიმართ, ულოცა მას, აკურთხა და წარგზავნა სახედ თჳსად.

და ვითარცა მოიწია შაბათი დღჱ, მოუწოდა წმიდამან მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: „შვილნო ჩემნო, უწყოდეთ, რამეთუ მოიწია ჟამი ჩემი და აჰა ესერა დატევებად მიც [82] საყოფელი მიწისა* ჴორცთა ჩემთაჲ, ვითარცა იტყჳს მოციქული პეტრე. ამისთჳსგან იხილეთ თავისა თქუენისათჳს და იზრუნეთ კეთილად ცხორებისათჳს სულთა თქუენთაჲსა, ვიდრეცა უკუანაჲსკნელად აღმოფშჳნვამდე უწყოდეთ გონიერად, რამეთუ მტერი ჩუენი, ვითარცა ლომი მყჳრალი მიმოვალს და ეძიებს, რაჲთამცა შთანთქა ვინმე ჩუენგანი**, არამედ განგუარინენ პირისაგან მისისა მარჯუენემან ღმრთისამან ძლეველმან. აწ, შვილნო ჩემნო, ეკრძალენით თავთა თქუენთა და იყუარებოდეთ ურთიერთას და მშჳდობამან ღმრთისამან, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა, დაგიცჳენინ საფარველსა ქუეშე დიდებისა თჳსისა[ჲ]სა, და მადლი და წყალობაჲ მისი იყავნ სულისა თქუენისა თანა, ამენ". და ულოცა და ასწავა ფრიად ცხორებისათჳს სულთა მათთაჲსა.

ამისა შემდგომად ეზიარა წმიდათა საიდუმლოთა ქრისტეს ღმრთისათა, აღიპყრნა ჴელნი და შეწირა მადლობაჲ და მისცა სული თჳსი წმიდათა ანგელოზთა თჳნიერ ლმობისა და ტკივილისა.

მაშინ აუწყეს მთავარსა, და მოვიდა მთავარეპისკოპოსისა თანა ყოვლითა ერითა, სიმრავლითა მღდელთა და დიაკონთაჲთა პატივად წმიდისა მის გუამისა. და ვითარცა ეუწყა მკჳდრთაცა ქალაქისათა, მოვიდეს მეყსეულად ყოველივე ჰასაკი ჰაბუკთა და მოხუცებულთაჲ ყრმათა თანა და დედებისა სიმრავლითა სანთელთა და საკუმეველთაჲთა და ფსალმუნითა და გალობითა. მოსწრაფე იყუნეს ყოველნი თითოეულად, რაჲთამცა შე-ვინმე-ასლა წმიდასა მას გუამსა მისსა, ანუმცა მი-რაჲმე -[ν] იპოვინ ნაწილი ევლოგიად სამოსლისაგან მისისა. და უბრძანა მთავარმან მოჭრებად ლუსკუმაჲ მარმარილოჲსაჲ, რაჲთა მას შინა შთაუსუენონ წმიდაჲ იგი გუამი.

და ვითარცა ეგულებოდა დამარხვაჲ მისი, მეყსეულად მოვიდეს ორნი ეშმაკეულნი და იტყოდეს: „ილარიონ ქართველო, რაჲსათჳს განგუასხაშ ჩუენ საყოფელთაგან ჩუენთა?". და ვითარცა მიეახლნეს წმიდასა მას გუამსა მისსა, მუნთჳსვე განიკურნნეს იგინი; და იხილა რაჲ ყოველმან ერმან საკჳრველი ესე დიდებული, ყოველნი ჰმად-

* შდრ. II პეტრე 1,14. ** I პეტრე 5,8.

ლობდეს ღმერთსა. მაშინ შემურეს წმიდაჲ იგი გუამი მისი და ძლივ დადვეს ლუსკუმასა მას შინა ტენებისაგან ერისა მის, რამეთუ მოსრულ იყო სიმრავლ(ე) მღდელთა და დიაკონთა, მონაზონთა და ერისკაცთაჲ, ვითარცა პირველ ვთქუთ[1], პატივად წმიდისა მის გუამისა მისისა. და მას დღესა შინა მრავალნი სასწაულნი და კურნებანი აღასრულნა ღმერთმან მის მიერ ქალაქსა მას შინა თესალონიკესა, რამეთუ იყო რაჲ წმიდაჲ ესე ჴორცთა შინა, არა ინება კაცთაგან დიდებისა მიღებაჲ, არამედ ღმერთი რომელი ადიდებს მადიდებელთა თჳსთა, შემდგომად სიკუდილისა ადიდა იგი.

ხოლო აღესრულა მამაჲ ჩუენი წმიდაჲ ილარიონ თუესა ნოემბერსა ი´თ-სა, დღესა შაბათსა, ჟამსა მეხუთესა დღისასა, მეფობასა ბასილი მაკიდონელისასა, რომელმან-იგი შემდგომად მიქაელისსა მიიღო მეფობაჲ. ხოლო ესე მიქაელ იგი იყო, რომელმან დაამტკიცა თაყუანის-ცემაჲ წმიდათა ხატთაჲ, ვითარცა ზემო ვთქუთ, და შეორედ ეწოდა მომთრვალ(ე). ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. მიიცვალა წმიდაჲ ესე წლისა ორმეოცდაათცამეტისაჲ ქალაქსა შინა თესალონიკესა. და აღასრულებდეს წლითი-წლად ჴსენებასა მისსა მკჳდრნი ქალაქისანი ჟამსა [83] მას ზემოწერილსა, რომელსაცა შინა მიიცვალა.

ხოლო იქმნებოდეს სამარხჳსა მისსა ზედა სასწაულნი და კურნებანი მრავალნი. რამეთუ შემდგომად მიცვალებისა მისისა დაჯნეულდა ძ(ე) მთავრისაჲ მის და განუსჳდეს სარცხჳნელნი მისნი და მუცელიცა მისი, და განწირეს იგი მკურნალთა, ვიდრემდის მიიწია სიკუდილად. მაშინ აღიღეს იგი მშობელთა მისთა და დააგდეს იგი წინაშე ლარნაკსა წმიდისასა. და მას ღამესა გამოუჩნდა წმიდაჲ ილარიონ და ჰრქუა ესრეთ განწირულსა მას: „ჵ, პროკოპი — რამეთუ ესრეთ ეწოდებოდა ყრმასა მას — გრწმენინ ჩემი, უკუეთუ არა აღმითქუა მე, რაჲთა არა ხჳდოდი უწესოდ, ვერ განიკურნო სენისა მაგისგან. ხოლო მან ფიცით აღუთქუა ესე ყოფად. მაშინ წმიდამან დასდვა ჴელი მისი მუცელსა მისსა ზედა და ჰრქუა მას: „სახელითა იესუ ქრისტესითა ცოცხალ იქმენ“, და ჯუარი დასწერა. ხოლო იგი მუნთქუესვე განიკურნა. და ვითარცა განიღჳძა, ადიდებდა ღმერთსა და წმიდასა მას, რამეთუ ყოლადვე არა იყო ვნებაჲ მის თანა, და ამბორს-უყოფდა ლარნაკსა მისსა წმიდასა და მიუთხრობდა ყოველსა ერსა საკჳრველსა ამას დიდებულსა; და რომელთა ესმოდა, ადიდებდეს ღმერთსა.

მოწაფეთა ამის წმიდისათა მისცეს ფლასი ერთი წმიდისაჲ მის ქურივსა ერთსა გლახაკსა. ხოლო მან უმეტეს ყოველთა საფა-

ნუსხაშია: [1] ვთქოთ.

ჲთა და თუალთა პატიოსანთაჲსა ბიიღო იგი მათგან სასოებითა და სარწმჳნოებითა დიდითა და ვისცა სჳეულსა დაჰბურის, პოვის ცან ლხინებაჲ. და მიჳთხრობდა ქაცად-კაცადი საკჳრველებათა ამათ ჳრთიერთას და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

[v] მოყვანებისათჳს ნაწილთა წმიდისა ილარიონისთა თესალონიკით კოსტანტინეპოლედ

X. მას ჟამსა შინა, ვითარცა განითქუნეს ნიშნი და საკჳრველებანი ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონისნი, ყოვლით კერძოვე ესმნეს უკუე ღმრთის-მსახურსაცა მეფესა ბასილის, რომელნი-იგი დღითი-დღე აღესრულებოდეს ქალაქსა შინა თესალონიკესა და რამეთუ წიგნიცა მიუწერა მთავარმან ქალაქისამან და მთავარეპისკოპოსმან, რომელი აუწყებდა გარდაცვალებასა წმიდისასა და კურნებათა და სასწაულთა მისთა, რომელნი აღესრულებოდეს წინაშე სამარხჳოსა მისსა წმიდასა. ხოლო ვითარცა აღმოიკითხა მეფემან წიგნი იგი, მოუწოდა ყოველთა მთავართა პალატისათა და აუწყა მიზეზი წიგნისა მის მიწერილისაჲ თესალონიკით, ხოლო მათ ვითარცა ესმა, ჰმადლობდეს ღმერთსა.

და მათვე დღეთა შინა ინება ღმრთის-მსახურმან მეფემან შეკრებაჲ ყოველთაჲ მამასახლისთა მთისა ულომბოჲსათაჲ საქმისა რომლისათჳსმე სათანადოჲსა ქალაქად სამეუფოდ. და იყო დღესა ერთსა მოვიდეს ყოველნი პალატად. და ვითარცა შევიდეს წინაშე მისსა, ყო მეფემან სულიერი სიხარული მათ[1] თანა ხილვისათჳს მათისა. ხოლო მათ იწყეს სიტყუად სიტყუათა სულიერებათა წინაშე მეფისა. მაშინ მეფემან იწყო თხრობად მათდა საქმეთა და სასწაულთა ამის წმიდისათა და ვითარ-იგი მიეწერა მისდა თესალონიკით მთავარსა ქალაქისასა და მთავარეპისკოპოსსა. ხოლო ვითარცა ესმა ესე მამასახლისსა მას ულომბელსა, რომელმან-იგი პირველად შეიწყნარა წმიდაჲ ილარიონ და რომლისა [84] იგი დისწული მკელობელი განეკურნა, მეყსეულად იწყო თხრობად მეფისა საქმეთა წმიდისა ილარიონისთა[2] და საკჳრველებათა მისთა, რომელნი ექმნნეს მონასტერსა მისსა. და მიუთხრა ჩუენებაჲცა იგი ყოლად წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲ. ხოლო მეფემ ჰკითხვიდა, თუ: „არიანლა ვინ მოწაფეთა მისთაგანნი მთასა მას?“. და მან მიუგო: „ჰე, წმიდაო მეფეო, არიან სამნი მოხუცებულნი მოწაფეთა მისთაგანნი, ღირსნი

ნუსხაშია: [1] მა. [2] ილარიონისათა.

და სათნონი ღმრთისანი". მაშინ ღმრთის-მსახურმან მეფემან ბრძანა სწრაფითა დიდითა მოყვანებაჲ მოწაფეთა მისთაჲ დრომონითა სამეუფოჲთა პალატად პატივითა დიდითა შემსგავსებულად ღირსებისა მათისა.

ხოლო ვითარცა მოიწინეს წმიდანი იგი მამანი სამეუფოდ და ეუწყა ესე მეფესა, მეყსეულად ბრძანა შეყვანებაჲ მათი წინაშე მისა. და ვითარცა შევიდეს იგინი, განიხარა მეფემან სიხარულითა დიდითა, იხილა რაჲ ანგელოზებრივი სახჱ მათი, რამეთუ იყვნეს წმიდანი იგი მოხუცებულნი ღრმითა და მჭცოვანნი პასაკითა. და შეუვნიერებაჲ იგი გარეშისა სახისა მათისაჲ შინაგანსა სულისა ბრწყინვალებასა ცხადად აჩინებდა და შემუსრვილი იგი და მდაბალი სიტყუაჲ მათი სიმშჳდესა და მყუდროებასა გონებისა მათისასა გამოაჩინებდა. და ეგედრებოდა მეფჱ ლოცვისა ყოფად მისთჳს და ყოვლისა სამეუფოჲსა მისისა, ხოლო ნეტართა მათ ჴელითა აპყრობილითა ულოცეს მეფესა ყოვლისა თანაჲ სამეუფოჲსა მისისა.

მაშინ თქუა მეფემან: „ჭეშმარიტად, აჰა მონანი ღმრთისანი [v] და სულისა ჩემისა მეოხნი წინაშე ღმრთისა, დიდებაჲ შენდა. ქრისტე მეუფეო, რომელმან ღირს მყავ უღირსი ესე მეფჱ ხილვად ღირსთა და სათნოთა მეუფებისა შენისათა". მაშინ, ვითარცა რაჲ ნიჭნი სამეუფონი, მიუვლინნა იგინი წმიდასა პატრიარქსა ეგნატის, რომელი-იგი სიწმიდისა და ღირსებისა მისისათჳს იყო იგი მას ჟამსა პატრიაქად სამეუფოჲსა ამას ქალაქსა ზედა.

და მიუმცნო ესრეთ, ვითარმედ: „იხილენ კაცნი ანგელოზთა სწორნი და მიიღე ლოცვაჲ მათი,რამეთუ მე ვიხილენ და დიდად განვიხარენ ხილვისაგან მებრ მათისა, რამეთუ მიხედვაჲ სახისა მათისა პატიოსნისაჲ უაღრეს უბნობისა სხუათაჲსა იყო. და კუალად სიტყუანი მათნი საწადელნი და სულიერნი გონებისა მათისა უმანკოებასა და სიწრფოებასა აჩუენებდეს".

ხოლო პატრიაქმან, ვითარცა იხილნა წმიდანი იგი მამანი, მოიკითხნა იგი მოწლედ სიყუარულითა ძმებრივითა და განიხარა ფრიად და აკურთხნა იგინი, და მიიღო ლოცვაჲ მათი. და ეზრახა პატრიაქი ნეტართა მათ ეპისკოპოსთა თჳსთა თანა სულიერითა სიტყჳთა და ცნა ღირსებაჲ მათი და სარწმუნოებაჲ მართალი. და ჰრქუა ეპისკოპოსთა მათ ესრეთ, ვითარმედ: „ჭეშმარიტად ესენი არიან სულიერნი საუნჯენი, რომელთა მპარავი არა მიეხების[1]; ამათმან ხილვამან დღეს დიდი მადლი მომანიჭა მე". და მიუმცნო მეფესა ესრეთ, ვითარმედ: „ჲ, ღმრთის-მოყუარეო მეფეო! დიდი კეთილი მეყო მე დღეს შენ მიერ ხილვითა წმიდათა ამათ მამათაჲთა

ნუსხაშია: [1] მეხების.

და ჰეშმარიტად ესენი არიან მსახურნი უფლისანი და მეოხნი სულთა ჩუენთანი. ამითითა ლოცვითა იყავნ მტკიცე და შეუშფოთებელ ღმრთივ-გჳრგჳნოსანი მეფობაჲ თქუენი უკუნისამდე, ამინ"[1].

[86] უწყებაჲ შენებისათჳს ჰრომანისა

XI. ხოლო ღმრთის-მსახურმან და ღმრთის-მოყუარემან მეფემან მოუწოდა წმიდათა მათ და ჰრქუა: „ჲ, პატიოსანნო მამანო, გამოირჩიენ ღირსებამან თქუენმან მონასტერი, სადაცა გენებოს თქუენთჳს და ნათესავისა თქუენისათჳს". ხოლო მათ მიუგეს: „ჲ, მეფე, არა შესაძლებელ არს ესე ჩუენ მიერ, რაჲთამცა სხუათა აღშენებული ჩუენ დავიპყრათ უცხოთა კაცთა და იგიმცა განვასხენით, რომელთა აღუშენებიეს. და ესრეთმცა ნაცვალად ლოცვისა წყევაჲ მოვატყუ[ა]თ მეფობასა თქუენსა. არა ვყოთ ესრეთ, ჲ, მეფე, არა ვყოთ, არამედ უკუეთუ გნებავს, განვიდეთ ადგილსა უდაბნოსა და ვიძიოთ ადგილი მყუდროჲ, სადა ჯერ-იყოს აღშენებაჲ მონასტრისაჲ. და თუ ენებოს ღმერთსა, მუნ აღგჳშენე ეკლესიაჲ სალოცველად ღმრთის-მსახურებისა შენისა".

ხოლო ვითარცა ესმა ესე ღმრთის-მსახურსა მეფესა, აღივსო იგი სიხარულითა და ჰრქუა მათ: „კეთილ, კეთილ, პატიოსანნო მამანო, წარვედით უკუ© და იძიეთ ყოველგანვე, და რომელი ადგილი შეაშუნდეს სიწმიდესა თქუენსა, იგი მაუწყეთ და მე ვყო ყოველი ბრძანებისაებრ თქუენისა". და წარმგზავნა იგინი სამეუფოჲსა კაცითა მოხილვად, ვინაჲცა ენებოს. და გამოვიდეს იგინი პალატით და მივიდეს ადგილსა ტყეანსა და უდაბნოსა. და პოვეს ღელესა შინა წყაროები, ადგილი ვაკ© და შუენიერი, განიხარეს ფრიად და აუწყეს ღმრთის-მსახურსა მეფესა. ხოლო მას ვითარცა ესმა, მოვიდა ერითურთ თჳსით ადგილსა მას [v]. და მოაქცნდა ქვაჲ თჳთ მეფესა და ყოველსა ერსა მის თანა. და იწყეს შენებად ეკლესიისა და მონასტრისა, და აღასრულეს შჳდ თთუე ყოველი საქმე მონასტრისაჲ.

და მოვიდა გჳ© პატრიაქისა თანა და ყო სატფურებაჲ და დასხნა ნაწილნი წმიდათა მოციქულთანი თუესა ოკდომბერსა თ´ და შეწირა მეფემან ჰურჩელი ოქროჲსა და ვეცხლისაჲ, და სოფელნი და ქულბაგნი და მეტოქი ქალაქსა შინა. და მისცნა ტყენი, რომელნი იყვნეს გარემოჲს ადგილსა მას. და მისცა ყოველივე საჭმარი, ვითარცა წეჰგაჳს მონასტრისათჳს უხუებით. და შექმნა მეფემან მცირ© სენაკი თავისა თჳსისათჳს და დადგა მას შინა ლოგინი თავისა საგებლითურთ, და დადგნა საწიგნენი და დასხნა წიგნნი, სახარებაჲ და პავლ©, და თქუა ესრეთ, ვითარმედ; „ესე იყოს საყოფელი

ნუსხაშია: [1] ა´ნ.

ჩემი მახლობელად ღირსთა ამათ მამათა, რაჲთა ლოცვითა მათითა ინებოს ღმერთმან ჴსნაჲ ჩემი მოსაგებელისაგან ცოდვათა ჩემთაჲსა“. და უწოდა ადგილსა მას ქართველთა მონასტერი, რომელსა პირველითგან სახელი ეწოდა ჰრომანაჲ.

მაშინ ჰრქუა მეფემან ღირსთა მათ მამათა: „წმიდანო მამანო! ითხოეთ, რაჲცა საჴმარ არს თქუენდა მეფობისაგან ჩემისა“. ხოლო მათ ჰრქუეს, ვითარმედ: „ვითხოვთ შენგან, ჯ, ღმრთის-მოყუარეო მეფეო, რაჲთა აღიღო ყოველი უმშჯავროებაჲ სამეუფოჲსაგან შენისა, რაჲთა არა განარისხო შენ ზედა უფალი და ცუდ იქმნას კეთილის-ყოფაჲ შენი ჩუენდა მომართ“.

და ვითარცა ესმა ესე მეფესა, განიხარა სიტყუათა ამათ ზედა და შესძინა უმეტესი სარწმუნოებაჲ მათდა მიმართ [86]. და უყუარდეს იგინი უმეტეს ყოველთა მის ჟამისა კაცთაჲსა. და მოჰგუარნა ორნი ძენი თჳსნი, ლეონ და ალექსანდრე, და ჰრქუა მათ: „ლოცვა ყავთ ამათთჳს, წმიდანო მამანო, და ასწავეთ წიგნი და ენაჲ თქუენი, რაჲთა იყვნენ ეგე შვილნი ლოცვისა თქუენისანი“. და ამისა შემდგომად წარვიდეს მეფე და პატრიაქი ქალაქად.

ხოლო ვითარცა აღასრულა ესე ყოველი კეთილად ღმრთის-მოყუარემან მეფემან, მაშინ სათნო-იყო ღმერთმან კეთილი საქმე მისი და გამოუცხადა ჩუენებით შეყენებულსა დიდსა ეფთჳმის მოღუაწესა, რომელი იყო მას ჟამსა კაცი წმიდაჲ და ღმერთშემოსილი და უწყოდა მან ყოველივე გულის-სიტყუაჲ მეფისაჲ. და მიუწერა ესრეთ მეფესა, ვითარმედ: „ვიხილე მე ჩუენებით ცეცხლისა კუამალი საშინელი და მესმა ჴმაჲ, რომელი იტყოდა, ვითარმედ: „ესე არიან ცოდვანი ბასილი მეფისანი“, და მე ვთქუ, ვითარმედ: „ვინ შემძლებელ არს დაშრეტად ამისა?“ და კუალად მესმა ჴმაჲ, ვითარმედ: „ცრემლნი და კეთილისა საქმენი“. და მყის მოიხუნეს კეთილისა საქმენი შენნი კაცთა ბრწყინვალეთა და შთაყარნეს ცეცხლსა მას შინა და იწყეს დაშრეტად დიდითა შრომითა. მაშინ ესმა ჴმაჲ, რომელნი იყვნეს საჴმილსა მას ზედა, ვითარმედ: „მოიღეთ უცხოთა შეწყნარებაჲცა!“ და მოიღეს მცირე, ვითარცა მარცუალი იფქლისაჲ და სპეტაკი, ვითარცა თოვლი. და შთააგდეს იგი მას შინა. მაშინღა იწყო კუამლმან მან და ცეცხლმან სრულიად განქარვებად. აწ უკუე, ჯ მეფე, ისწრაფე უცხოთა და გლახაკთა და უმეტესადღა მონაზონთა შეწყნარებად“.

და ვითარცა წარიკითხა მეფემან წიგნი იგი დიდისა მის შეყე[v]ნებულისაჲ, პირველად მისცა მადლი მოწყალესა ღმერთსა და მერმე მოუწოდა ეპარხოსსა მას თესალონიკელსა, რომელი გარდაედგინა ხარკისათჳს სამეუფოჲსა, რომელსა-იგი მოეწერა პირველად მიცვალებაჲ წმიდისა ილარიონისი და სასწაულთა საქმე, და მისცა

მას უზეშთაესი პატივი და წარავლინა თესალონიკედ, რაჲთა დიდითა პატივითა მოჰგუარნეს ნაწილნი ნეტარისა მამისა ილარიონისნი.

რამეთუ ჯერვე-ესრეთ-იყო წმიდისა ამისთჳს, რომელმან-იგი სიჩჩოჲთგანვე თჳსით სულნი და ჴორცნი თჳსნი უბიწოდ განწმედილნი დამბადებელისა თჳსისა უნაკლულოდ შეწირნა და რაჲთა ეგრეთვე სულით და ჴორცით მრჩობლ პატივ-ცემულ იყოს. რამეთუ გან-რაჲ-ვიდა საყოფლისა მისგან წმიდათა მათ ჴორცთა თჳსთაჲსა უხილავი იგი სული წმიდისაჲ მის, მეყსეულად უხილავსა მას ქალაქსა პირმშოთასა ზეცისა იერუსალჱმსა უხილავმან მეუფემან ყოველთამან აღიყვანა და დიდებით დაამკჳდრა, და კუალად შემდგომად მცირედისა, ვითარცა განეფინნეს დიდებულებანი ნიშთა და საკჳრველებათა მისთანი, მეფემან ქუეყანისამან და ხილულმან ახალსა ამას იერუსალჱმსა და ხილულსა ქალაქსა სამეუფოსა ხილულნი იგი ნაწილნი მისნი სახიდველად ქალაქისა და ერისა დიდებით აღყვანებად ჯერ-იჩინნა სასოდ და მეოხად სიმტკიცისა თჳსისა და მფარველად ქალაქისა და ერისა. და ესრეთ მრჩობლ განყოფილი მრჩობლ პატივ-ცემულ იქმნა მოსაგებელად სათნოებათა და ღუაწლთა მისთა.

XI. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა აღვიდეთ. [87] და მიწერა წიგნი სახჱ ესევითარი თესალონიკედ ღმრთის-მსახურმან მეფემან ბასილი, ვითარცა პირველ ვთქუთ: „ბრძანებს მეფობაჲ ჩუენი თესალონიკელთა მიმართ, რაჲთა სწრაფითა დიდითა და დიდებითა სამეუფოჲთა წარმოჰგზავნნეთ ნაწილნი წმიდისა ილარიონ ქართველისანი, თჳნიერ ყოვლისა მიზეზისა და წინააღდგომისა და ცოცხლებით იყვენით!“ და მიწერა წმიდისა მიმართცა ესრეთ თჳსითა ჴელითა:

„ბასილი მეფჱ, ცოდვილი მონაჲ ცათა მეუფისაჲ, გევედრები, წმიდაო მამაო ილარიონ, აღმოვედ ქალაქად სამეუფოდ, დაღაცათუ არა ღირს ვიქმენ პირისპირ ხილვად შენდა, გარნა აწ ღირს მყავ ამბორის-ყოფად წმიდათა ნაწილთა შენთა და იხაროს ქალაქმან ამან სამეუფომან შემთხუევითა მათითა და მადლი შენი იყავნ ჩუენ თანა, ამინ.“

და ვითარცა მიიწინეს მივლინებულნი იგი, და წარიკითხეს ბრძანებაჲ იგი სამეუფოჲ წინაშე ყოვლისა ერისა, მაშინ, ვითარცა გულისჴმა-ყვეს ძალი წიგნისაჲ მის, მეყსეულად იქმნა ამბოხი და შფოთი ქალაქსა მას შინა. და შეიზრახნეს ყოველნივე ერთბამად, რაჲთა ქვაჲ დაჰკრიბონ სამეუფოთა მათ კაცთა. ხოლო მთავარმან ქალაქისამან ძლივ დააცხრო აღტეხაჲ იგი ერისაჲ მის. და აღუთქუეს მივლინებულთა მათ, რაჲთა არა ყონ ესე ესრეთ. ხოლო ანთიპატრიკი იგი აღდგა და განვიდა გარემოჲას სოფლებსა და მოვლინე-

ბულთა მათ უბრძანა, რაჲთა ღამით აღიხუნენ ნაწილნი წმიდისანი უცნაურად ერისა. და მათ ყვეს ეგრეთ, და შთასხნეს ლუსკუმასა მცირესა. ხოლო ლარნაკი იგი [v], რომელსა შინა ისხნეს წმიდანი იგი ნაწილნი, დაჰკრძალეს ეგრეთვე და წარვიდეს უცნაურად ყოველთა.

ხოლო ვითარცა განთენა, ცნეს ესე ყოველი მკჳდრთა ქალაქისათა და იწყეს მწუხარებად და ურვად განშორებისათჳს წმიდისა მის, რომელნიმე ლარნაკსა მას ცალიერსა მოეხუეოდეს, რომელნიმე ზღუად მიმართ ხედვიდეს და რეცა ჰგონებდეს წუთ არა წარსლვად მიერ, სხუანი ვითარცა ცხოველსა აბრალებდეს და ეშჯოდეს დატევებისათჳს ქალაქისაჲ მის, ვინაჲთ-იგი გარდაცვალებაჲ მისი იქმნა და მისლვაჲ წინაშე ღმრთისა. და ესრეთ უნუგეშინისცემთა მწუხარებათაგან აღვსებულნი ლარნაკად წმიდათა მათ ნაწილთა მისთა მიივლტოდეს[1] და ყოველსა ცხორებასა მათსა შეჰვედრებდეს და მიერ ნუგეშინის-ცემასა მოიღებდეს.

ხოლო ვითარცა მიიწინეს ღმრთივ-დაცულსა მას სამეუფოსა ქალაქსა ნაწილნი იგი წმიდისანი, ეუწყა ესე ღმრთის-მსახურსა და მორწმუნესა მეფესა. მაშინ უბრძანა პატრიაქსა ეპისკოპოსთა თანა და მღდელთა და დიაკონთა და ყოველთავე მთავართა და ერსა ქალაქისასა, რაჲთა ყოველნიკე ერთბამად გამოვიდენ მივებებად წმიდისა მის. და განვიდა მეფჱ პატრიაქისა თანა და ყოვლისა ერისა, ვიდრე ზღჳს-პირამდე გალობითა და ლიტანიითა, სიმრავლითა სანთელთაჲთა და საკუმეველთა სულნელებითა, და წარიყვანეს იგი პალატად სამეუფოდ. და დაუსუენა იგი [88] მეფემან ეკუტერსა შინა პალატისა თჳსისასა, და განიზრახვიდა გონებასა თჳსსა, თუ რომელსა ადგილსა აღუშენოს სანაწილჱ წმიდასა მას.

და ვითარცა მოიწია მესამჱ ღამჱ, ვინაჲთგან მოიყვანეს წმიდაჲ იგი, ეძინა მეფესა სარეცელსა ზედა თჳსსა. და აჰა ესერა სული სულნელებისაჲ საკჳრველი განეფინა ყოველსა მას პალატსა შინა. და მეყსეულად განელჳძა მეფესა ძილისაგან, და ეყნოსა სულნელებაჲ მიუთხრობელი და იგონებდა თჳსაგან, თუ რაჲმე არს ესე, ანუ რომელთა საკუმეველთაგანი არს. და ვითარ ვერ შეუძლო ცნობად, ჰკითხა საჭურისთა, რომელნი წვეს გარემოჲს მისსა, ვითარმედ: „რაჲ არს სულნელებაჲ ესე?“ ხოლო მათ ჰრქუეს, ვითარმედ: „ვფუცავთ მეფობასა თჳენსა, არასადა გჳხილავს ესევითარი სულნელებაჲ“. და ცნა ყოველმან პალატმან. და ჰკითხვიდა მოყუასი მოყუასსა თჳსსა, ვითარმედ: „რომელთა სულნელებათაგანი არს?“ და ვერ შეუძლეს ცნობად.

ნუსხაშია: [1] მიელტოდეს. [2] ესჱ.

ხოლო განგებითა ღმრთისაჲთა კუალადცა მიერულა მეფესა და მეყსეულად გამოუჩნდა წმიდაჲ ილარიონ, შემოსილი ზეწრითა სამღდელოჲთა და ჰრქუა მას: „კეთილად ჰყავ შეწყნარებაჲ ჩემი, ჳ მეფე, უცხოჲსა ამის და გლახაკისაჲ. გარნა სულნელებაჲ ესე, რომელ იყნოსე, არა მომიგიეს მე იგი ქალაქთა შინა, არამედ უდაბნოთა. აწ უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულებით მადლი გაქუნდეს, წარმიყვანე მე უდაბნოსავე ადგილსა“.

[v] და ვითარცა განიღჳძა მეფემან, აღდგა მეყსეულად და შეწირა მადლი წმიდისა მის, რომელმან გამოუცხადა ნებაჲ თჳსი. და მიუთხრა ესე ყოველი, რომელნი მყოფ იყვნეს პალატსა შინა. და აღდგეს ყოველნივე, ვიდრეცა განთენებადმდე გალობად წინაშე ლარნაკსა წმიდისასა.

ხოლო ვითარცა განთენა[1], მოუწოდა მეფემან პატრიაქსა და ყოველთა მთავართა პალატისათა და აუწყა მათ სულნელებისა მისთჳს და ჩუენებისათჳს წმიდისა მის და ჰრქუა ესრეთ: „უწყოდეთ, ვითარმედ უდაბნოსა ჰნებავს ყოფაჲ წმიდასა“. და განიზრახა წარყვანებაჲ მისი მონასტერსა მას, რომელი აღეშენა მოწაფეთა მისთათჳს. და მეყსეულად ყო ლიტანიაჲ. და უბრძანა ახუმად ნაწილთა წმიდისათა. და შეჯდა იგი აღრართა სამეუფოთა და წარემართა ზემოჴსენებულსა მას მონასტერსა. და შევიდა პირველად ეკლესიასა მთავარანგელოზისა მიქაელისსა სუსთენს, და შეიყვანა ნაწილნიცა წმიდისანი. და ვითარცა იღოცა წინაშე დიდებულისა მის ძალთა მთავრისა, გამოვიდა მიერ და აღმჴედრდა სამეფოთა ეტლთა და მივიდა ჰრომანად, რომელი-იგი თჳთ აღეშენა მოწაფეთათჳს ამის წმიდისათა, ვითარცა პირველ ვთქუთ. და ვითარცა შევიდა ეკლესიად, თაყუანის-სცა პირველად ნაწილთა წმიდათა მოციქულთასა. და მერმე ყო ლიტანიაჲ და ლოცვაჲ და დაუსუენნა მითვე მცირითა ლარნაკითა ნაწილნი წმიდისა ილარიონისნი თუესა დეკემბერსა ჳ-სა. ხოლო მოწაფეთა წმიდისათა, ვითარცა იხილნეს ნაწილნი მოძღურისა თჳსისანი, ვითარცა შვილთა მამის-მოყუარეთა და მრავლით ჟამითგან სურვიელთა, იწყეს [89] ცრემლით ამბორის-ყოფად მათდა, და ჴელითა აღპყრობილითა ჰმადლობდეს ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოველთა კეთილთასა, და მერმე ულოცეს ღმრთის-მოყუარესა მეფესა.

ხოლო მეფემან შეწირა რაჲ თუე იბ დრაჰკანი ეკლესიასა მას, რაჲთა მარადის ენთებოდის ექუსი კანდელი ნაწილთა ზედა წმიდათა მოციქულთასა და კანდელი სამი წმიდისა ილარიონის ნაწილთა ზედა და რაჲთა პალატით სეფის-კუერი[2] ორი მოეცემოდის ყოველ-

ნუსხაშია: [1] განთენდა. [2] სეფეს-კუერი.

თა დღეთა, და მონაზონთა სასამოსლედ მიეცემოდის პალატით ორი ლიტრაჲ ოქროჲ თუესა დეკენბერსა ზ-სა. და უწოდა სახელად თჳსი მონასტერი. მაშინ ღმრთის-მსახურმან მეფემან და პატრიაქმან თაყუანის-სცეს და ამბორს-უყვეს ნაწილთა წმიდისათა და მოიქცეს ჭალაქადვე და ჰმადლობდეს ღმერთსა.

ხოლო ბასილი პროტოასიკრიტმან და ფილოსოფოსმან და ღირსმან მონაზონმან აღწერა ცხორებაჲ წმიდისაჲ ამის, ვითარცა ისწავა მოწაფეთაგან წმიდისათა კაცთა უტყუველთა და ჰეშმარიტთა. არამედ ჩუენ ამის ყოვლისათჳს ვჰმადლობდეთ ღმერთსა, მოქმედსა საკჳრველებათასა, რომლისაჲ არს დიდებაჲ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და ყოველთა საუკუნეთა უკუნითი უკუნისამდე, ამინ*.

* ნუსხის ანდერძი: „ლოცვა ყავთ, ქრისტეს-მოყუარენო, მაჱისა გრიგოლისთჳს, რამეთუ ამის წმიდისა ცხორებისა დასაწერელი ეტრატი მან მიბოძა. ქრისტჱმან შეაწიენ წმიდაჲ ესე მამაჲ.

„და ლოცვა ყავთ ჩემ უღირსისათჳსცა, რომელმან დაჴსრიკე“.

[3] ცხორებად[1] ნეტარისა[2] მამისა ჩუენისა იოვანესი[3] და ეფთჳმესი[4] და უწყებად ღირსისა მის მოჭალაჭობისა მათისად, აღწერილი გლახაკისა[5] გეორგის[6] მიერ ხუცესმონაზონისა*

5 მამაო გუაკურთხენ[7]

I. კურთხეულ არს ღმერთი, რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებავს ცხორებაჲ[8] და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ, რომელი-იგი გამოუთქუმელითა[9] მით განგებულებითა თჳსითა უმჯობესსა ყოველთასა განაწესებს, და მიუწთომელითა[10] სახიერებითა თჳსითა
10 თჳთოეულთა[11] ჟამთა შინა ღირსთა და სათნოთა თჳსთა გამოაჩინებს სარგებელად კაცთა ნათესავისა და სადიდებელად ღმრთეებისა[12] თჳსისა; რომელმან ჩუენთაცა ამათ ჟამთა შინა გამოაჩინა[13] ნეტარნი მამანი ჩუენნი: იოვანე[14] და ეფთჳმე[15] და იოვანე და არსენი ეპისკოპოსი[16] ნინოწმიდელი[17] და იოვანე გრძელის ძე და შემდგომითი-
15 შემდგომად სხუანი იგი მოწაფენი მათნი[18] და მობაძავნი სათნოებისა მათისანი, რომელთა[19] სახელები[20] აღწერილ არს წიგნსა მას ცხორებისასა[21]. რომელთა [v] მეოხებითა ჩუენცა გლახაკნი ესე ღირს გუყვენინ[22] უფალმან მობაძავ ყოფად სათნოებათა მათთა[23] და ნაწილსა მას მარჯუენეთასა[24] მიმთხუევად.

---

* ხელნაწერების ნუსხა: A: A—553; B: A—130; C: A—170; D: A—176; E: H—1672; F: H—2077; G: S—3637; H: H—1413: L: ლენინგრ. 3/M 21.

[1] ცხოვრება GL, + წმიდისა და CFGL. [2] ნეტარისა] წ~ისა H. [3] იოანესი GL. [4] ევთიმისი GH, ეფთჳმისი CD. [5] გლახაკისი D. [6] გიორგის G. [7] ~ გუაკურთხენ მამაო BCDFGL. [8] ცხოვრება G. [9] გამოუთქმელითა CGHL. [10] მიუწდომელითა CEFHL. [11] თითუეულთა B, თჳთეულთა C, თითვეულთა D, თითოეულთა EFHL. [12] ღუთაებისა G, ღ~თაებისა FHL. [13] გამოაჩინა E. [14] იოანე GL. [15] ევთიმი GH. [16] ებისკოპოზი FL, ეპისკოპოზი DE. [17] ნინოწმინდელი CD. [18] მათნი] მისნი FGL. [19] რომელთაცა G. [20] სახელნი G. [21] ცხოვრებისასა GL. [22] გუყუნინ BG, გყ~უნინ C, გუყუნენინ D, გყვნინ EF, გყვენის L. [23] მათთა—D. [24] მარჯუენითსა D, მარჯუნენეთსა G.

ხოლო ვინაჲთგან[1] სიგრძე ჟამთაჲ ყოველსავე დავიწყებად მოიღებს[2], დაღაცათუ წინაწე ღმრთისა[3] ყოველივე ცხად არს და საჩინო, და უწყის ყოველთა დასაბამი და აღსასრული, და რომელთა-იგი სათნოდ მისა[4] აღასრულეს[5] ცხორებაჲ[6] თჳსი, წინაშე მისსა[7] ბრწყინვენ მარადის, და არცა ერთი[8] რაჲ უჴმს[9] ჩუენმიერი ჴსენებაჲ, არამედ ესრეთ განაწესა ყოვლად ბრძენმან მან განგებულებამან[10] მისმან, რაჲთა წიგნთაცა შინა[11] აღიწერნენ[12] საღმრთონი[13] იგი და ყოლად შეუნიერნი საქმენი სოფლის-შესაქმისანი და საუფლონი იგი მცნებანი და ბრძანებანი მისნი და ღირსთა მათ და ნეტართა მონათა მისთა ყოლად ქებულნი ცხორებანი[14] და მოქალაქობანი, რომელნი თჳთოეულთა[15] ჟამთა შინა ჯერ-იჩინნა[16] გამოჩინებად[17] სახიერებამან მისმან სარგებელად კაცთა ნათესავისა, [4] რაჲთა საღმრთოთა[18] მათ და მაღალთა საქმეთა მიერ დიდების-მეტყუელებად[19] და სურვილად მისა[20] აღვიძრვოდით[21] და საუფლოთა მათ ბრძანებათა მიერ განვნათლდებოდით[22] და აღსრულებაჲ მათდა მოსწრაფე ვიქმნებოდით. ხოლო დიდთა მათ და საკუთართა მონათა მისთა ჴსენებითა-ჲ[23] შურად[24] და ბაძვად[25] მოვიდოდით საღმრთოთა[26] მათ მოქალაქობათა მათთა[27], რომელნი-იგი, ვითარცა[28] ხატნი მეტყუელნი, წინა სჴენან[29] სახედ სათნოებისა და სწავლად სიბრძნისა და სიმჴნედ აბოვნებისა ყოველთათჳს, რომელთაცა ჰნებავს[30] შესლვაჲ ცხორებასა[31] საუკუნესა. და ესე ცხად არს დასაბამითგან სოფლისაჲთ[32] და ვიდრე აქამომდე აღწერილთა წიგნთაგან და გამობრწყინვებულთა[33] წმიდათა[34] და[35] რომელთა-იგი იღუაწეს და აღწერნეს[36] ცხორებანი[37] მათნი და ღუაწლნი და შრომანი, კეთილად ჴსენებულ არიან წმიდათა ეკლესიათა შინა და ღირს ლოცვისა და კურთხევისა.

---

[1] ვინადგან G. [2] ~ დავიწყებად მოიღებს ყოველსავე G. [3] ღუთისა G. [4] მისსა GH. [5] აღასრულეს] იღწეს და აღასრულეს H. [6] ცხოვრება GL. [7] მისა D. [8] ~ ერთი არცა D. [9] უხმს G. [10] განმგებელმან EH. [11] წიგნთა შინაცა H; შინა—D. [12] აღიწერენნ B. [13] საღთონი. L. [14] ცხოვრებანი DGL. [15] თითოეულთა BDEH. თჳთეულთა C. [16] -იჩინა EGH. [17] გამოჩინებაჲ EH. [18] საღთოთა L, სრღდთა BCDEF. [19] მეტყუელად H. [20] მისსა DGH. [21] აღვიძროდით CDH. [22] განვნათლებოდით E. [23] ჴსენებად H. [24] შურად] შუენიერად BD, სურვილად CEFGL. სურვილითა H. [25] და ბაძვად] აღბაძვებად H. [26] საღთოთა FL. [27] მათთათა D. [28] ვითარცა — A. [29] სხენად FGL. [30] ნებავს E. [31] ცხოვრებასა GL. [32] სოფლისად D. [33] განბრწყინებულთა H. [34] წმინდათა D. [35] და—H. [36] აღწერეს BD. [37] ცხოვრებანი GL.

ვინაჲთგან[1] უკუე ზემოჴსენებულნი ესე [v] ნეტარნი მამანი ჩუენნი არარაჲთ უნაკლულო იყვნეს[2] პირველ გამოჩინებულთა წმიდათასა, არამედ ყოვლითავე[3] სათნოებითა შემკულ და აღმასრულებელ[4] მცნებათა ღმრთისათა, არა ჯერ-ვიჩინეთ[6] მოუჴსენებელად დატეობაჲ[6] ცხორებისა[7] მათისაჲ და მამათაცა ჩემთა სულიერთა მიბრძანეს ამისი ჴელ-ყოფაჲ. ვინაჲცა ვეეჵედრები ღირსებასა თქუენსა[5], ღმერთშემოსილნო მაჰანო, რაჲთა არა ბრალეულ ვიქმნე ამის პირისათჳს.

ხოლო დაღაცათუ ჩუენ შემდგომად მრავლისა[9] ჟამისა ღმრთისა მიმართ მისლვისა მათისა[10] ჴელ-ვყავთ[11] მცირედთა ამათ სიტყუათა აღწერად, გარნა ურწმუნომცა ნუვინ[12] არს[13], რამეთუ ჩუენ თავით თჳსით არარაჲ[14] აღგჳწერია[15], არამედ რაჲ-იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა-იგი ეხილვნეს და ემსახურა მათდა, რომელნი-იგი უცხო იყვნეს[16] ყოვლითურთ ტყუვილისაგან[17] და სავსე მადლითა ზეგარდამოჲთა. და თჳთ მებრ მათ საქმეთაგან, რომელნი-იგი დუმილით წამებენ[18] და ჴმამაღლად[19] ქადაგებენ[20] ღუაწლთა და შრომათა მათთა: [ნ] ლავრაჲ ესე დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შემკული და ყოვლითა სამკაულითა განშუენებული, რომელი-ესე[21] მრავლითა შრომითა და ოფლითა აღაშენეს მათ ნეტართა განსასუენებელად სულთა მრავალთა[22], რომელსა[23] შინა აღჰმართნეს[24] ეკლესიანი[25] ცათა მობაძავნი და აღავსნეს იგინი წიგნთა მიერ ღმრთივ-სულიერთა და განაბრწყინვნეს იგინი ხატთა მიერ პატიოსანთა. და მოუგნეს დაბანი და სოფელნი და მონასტერნი და[26] დასაყუდებულონი[27] და განუწესნეს[28] წესნი და კანონნი[29] დიდებულნი და ყოლად შუენიერნი და დაუსხნეს[30] სიმტკიცენი და ჴელით-წერილნი და ოქრო-ბეჭედნი ღმრთის-მსახურთა მეფეთანი. და შეკრიბნეს[31] მას შინა მონაზონნი და მოწესენი[32] ანგელოზთა მობაძავნი და შეამკვეს[33] და აღაყუავეს[34] ენაჲ ჩუენი და ქუეყანაჲ თარგმანებითა წმი-

---

[1] ვინადგან G. [2] იყუნეს CGH. [3] ყოვლითვე FL. [4] აღმსრულებელ D. [5] ჯერ-ვიჩინე EH. [6] დატევება GH. [7] ცხოვრებისა GL. [8] ~ თქუენსა ღირსებასა EH; თქუენსაო C. [9] მრავლის G. [10] მისლვისა მათისა—D. [11] -ვყ˘ვით , -ვყავ FL, -ვჰყავ G. [12] ურწმუნო ნუმცა BCDEFGHL. [13] ნუვინ არს] ვინ არს DEF GL, ვინა არს H. [14] ~ არა თავით თჳსით H; არარაჲ] არა L. [15] აღგვიწერიეს BCD FHL. [16] იყუნეს CGH. [17] ტყუილისაგან BCDEGH. [18] ჰსწამებენ G. [19] ჴმამაღლა H. [20] ჰქადაგებენ G. [21] რომელი-ესე] რომლითა ესე EH. [22] მრავლითა BD. [23] რომელთა, EH. [24] აღმართეს BD, აღმართნეს CEFGHL. [25] ეკლესიანიცა H. [26] და—FGHL. [27] სადაყუდებულონი BD,საყუდებულონი CF, დასაყუდებლონი G. [28] განუწესეს B. [29] კანონი H. [30] დაუსჴნეს H. [31] შეკრი˘ბეს BD, შეკრიბნეს FL. [32] მოწესენი] მოღუაწენი CEFHGL. [33] შეამკუნეს EH. [34] აღყვავეს D.

დათა წერილთაჲთა, სადაჲთ-ესე ჰეშმარიტად, ვითარცა სიონით, გამოვიდა შჯული[1] და სიტყუაჲ [v] უფლისაჲ[2], ვითარცა იერუსალემით[3], — სიტყჳსაებრ ჴმა-მაღლისა ესაჲაჲსა[4].

რამეთუ ჰეშმარიტად ღირსი იყო და საყუარელი[5] ღმრთისაჲ ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე[6], რომელმან-იგი, მსგავსად აბრაჰამისა[7], უცხოებაჲ აღირჩია და მწირობით და სიგლახაკით ცხორებაჲ[8], და მისცა თავი თჳსი მორჩილებასა სულიერთა მამათასა, ვინაჲცა, მსგავსად მისსა[9], ესეცა ადიდა ღმერთმან და სახელოვან[10] ყო[11] ყოველითა სათნოებითა და უფროჲს ყოველისა სანატრელისა მის შვილისა მინიჭებითა, რომელ[12] არს ნეტარი ეფთჳმე,[13] რომლისა-იგი სახელი ოდენ კმა არს სათნოებათა მისთა სიმაღლისა გამოჩინებად, რომელი-იგი გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და მობაძავად[14] წმიდათა მოციქულთა, განანათლა ქართველთა ენაჲ და ქუეყანაჲ. რამეთუ, ვითარცა წამებენ[15] მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი, ამის ღირსისა მოღუაწებითა [6] განსწავლულ იქმნა ყოველითა სიბრძნითა განმანათლებელად და შემამკობელად ეკლესიათა ჩუენთა, რომლისა-იგი ნამუშაკევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბოებაჲ, ვითარცა ნესტჳ ოქროჲსაჲ ჴმა-მაღალი, ოხრის ყოველსა ქუეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა, რამეთუ ბალაპვარი[16] და აბუკურაჲ[17] და სხუანიცა[18] რაოდენნიმე[19] წერილნი ქართულისაგან[20] თარგმნა[21] ბერძულად.

გარნა რომლისა[22] - იგი[23] ზემორე მეგულებოდა[24] თქუმაჲ[25], იგი[26] ხოლო[27] ვთქუა პირველად, და მერმე, რაჲ-იგი უფალმან მოგუმადლოს, მოკლითა სიტყჳთა მიგითხრა[28]. რამეთუ ვინაჲთგან დღეთა[29] ამათ უკუანაჲსკნელთა[30] მოვიწიენით და, ვითარცა ხედავთ, ფრიადი სიგრილე იხილვების ჩუენ შორის, ნუუკუე ვინმე ჰგონებდეს და აცთუნებდეს თავსა[31] თჳსსა[32], თუ პირველითგან ესრეთ იყვნეს[33] ძმანი ჩუენნი; [v] ნუ იყოფინ! არამედ ყოვლითა წესიერებითა და საღმრთოჲთა[35] მოქალაქობითა ცხოვნდებოდეს[36], ვიდრემ-

---

[1] სჯული EFL. [2] უფლისა] ღმრთისაჲ E. [3] იერ-ლემით A, იერ-ლმით BCEF იერლიმით D, იერუსალ-ნით GL. [4] სადაჲთ ესე ჰეშმარიტად ... ესაჲაჲსა—H. ესაიასა BCDFL, ესაიასი E. ესაიასსა G. [5] საყუარელ G. [6] იოანე G. [7] აბრაამისა L [8] ცხოვრებაჲ BG. [9] ძისა EH. [10] სახელოან H. [11] ჰყო G. [12] რომელ]ღირს G. [13] ეფთჳმი CEFGL. ეფთიმი H. [14] მობაძავად]მსგავსად H. [15] წამებს H. წამებეს E [16] ბალავარი GH, ბალჰვარი FL. [17] ბუკურა FGL, აბუკური H. [18] სხუანნი C, სხუანი EFGHL. [19] რაოდენიმე L. [20] ქართულისა H. [21] თარგმნა EFGL, გადათარგმნა H. [22] რომელისა G. [23] -ეგე FGL. [24] მეგულვებოდა EGH. [25] თქმა BD თქმად CEFGHL. [26] იგივე G. [27] ხოლო — CEFGHL. [28] მოგითხრა H. [29] დღეთა — EH. [30] უკანასკნელთა GL] + ჟამთა H. [31] თავს E. [32] თჳსა D. [33] ესრეთ— EH. [34] იყვნენ FL. იყუნეს CDGH. [35] საღთოთა L. [36] ცხონდებოდეს CDEGH.

დის სამგზის სანატრელნი[1] იგი[2] მამანი ჩუენნი იოვანე[3] და ეფთჳმე[4] განაგებდეს და იპყრობდეს წესსა წინამძღურობისასა[5], რომელნი-იგი ყოვლითურთ, მსგავსად პირველთა მათ ღმერთშემოსილთა მამათა, უძღოდეს მათდა რწმუნებულსა მას[6] სამწყსოსა. ვინაჲთგან[7] კულა[8] ნეტარმან იოვანე[9] შეისუენა და ღმერთშემოსილმან მამამან ჩუენმან ეფთჳმე[10] იჴმნა წინამძღურობისაგან[11], მიერითგან განმრავლდა ჩუენ შორის ყოველი სულმოკლებაჲ[12] და სიგრძილე. არამედ ვეედრნეთ[13] ღმერთსა, რაჲთა მეოხებითა მათითა კეთილად განაგოს ჩუენიცა ესე ცხორებაჲ[14] და არა ჴუებულ[15] გჳყვნეს[16], არცა განგუაშორნეს სანატრელთა მათ მამათა და ძმათა ჩუენთა სიხარულსა და ვანსუენებასა საუკუნესა მას შინა ცხორებასა[17].

II. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ[18]. ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე[19] იყო ნათესავით ქართველი, [7] მშობელთა და პაპთაჲთგან[20] დიდებული და[21] წარჩინებული და საჩინოჲ[22] მთავართა შორის დავით კურაპალატისათა[23], მჴნე და[24] ახოვანი და განთქმული[25] წყობათა[26] შინა, მაღალი და შუენიერი ჰასაკითა[27] და აგებულებითა[28] გუამისაჲთა და ბრძენი და გონიერი გონებითა და გულისჴმის-ყოფითა[29], და სავსე შიშითა ღმრთისაჲთა[30] და ყოველითაე[31] კეთილისა[32] საქმითა, და ფრიად საყუარელი და საკუთარი კეთილად ჴსენებულისა დავით კურაპალატისაჲ[33].

ხოლო ვინაჲთგან[34] ცეცხლი[35] იგი ქრისტჱს[36]-სიყუარულისაჲ გულსა მისსა[37] მძაფრიად[38] აღეტყინა[39], ყოველივე დიდებაჲ ამის სოფლისაჲ შეურაცხ-ყო[40] და ნაგებად შეჰრაცხა[41] და მონაგებნი[42] და სიმდიდრე და განსუენებაჲ, მეუღლე და შვილნი თჳსნი და ნათესავნი და, რაოდენიცა რაჲ არს ამის სოფლისაჲ, სრულიად მოიძულა[43] და უგულებელს-ყო[44] და მერმე კუალად თავიცა თჳსი, სიტყჳსაებრ უფლისა, [v] და აღიღო ჯუარი[45] მჴართა თჳსთა ზედა და

---

[1] სანატრელი G. [2] იგი—EH. [3] იოანე G. [4] ეფთჳმი EG, ევთიმი H. [5] წინამძღრობისასა BCDF. [6] მას—BCDEFGHL. [7] ვინადგან G. [8] კულა]უკუე EH. [9] იოანე G. [10] ეფთჳმი E, ევთიმი GH. [11] წინამძღრობისაგან CD. [12] სულმოკლა E, სულმოკლეობა G, სულმოკლება HL. [13] ვეედროთ G [14] ცხოვრება GL. [15] ხუებულ FL. [16] გყვნეს EFL, გვყუნეს B, გუყნეს C, გვყნეს D. [17] ცხოვრებასა GL. [18] მივიდეთ L. [19] იოანე G. [20] პაპათაგან BCDEGHL, პაპთაგან F. [21] და — EH. [22] საჩინოთა EH. [23] კურატპალატისათა G. [24] და — FGL. [25] განთქმული CEFG HL. [26] წყობასა EH. [27] პასაკითა] სიკეთისა FGL. [28] აღგებულებითა H. [29] გულისხმის-ყოფითა G. [30] ღთისათა G. [31] ყოვლითვე FH. [32] კეთილის C. [33] კურაპარატისა C, კურატპალატისა G. [34] ვინადგან G. [35] ცეცხლი] ცოცხალი L. [36] ქრისტეს-G. [37] მისა D. [38] მძაფრად EFL. [39] ეტყინებოდა G, ეღეტყინა FL. [40] -ჰყო G. [41] შერაცხა DGH. [42] მონაგები BCDEFGHL. [43] მოიძულა] მოიძაგა CEFHL. მოიძაგნა G. [44] -ჰყო G. [45] ჯუარი + მისი H.

ფარულად ყოველთაგან სივლტოლაჲ[1] იჴუმია[2] და იჴმნა[3] ყოველთაგან და მხოლოჲ ლავრასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა შევიდა. და რომელნი-იგი[4] მას შინა ბრწყინვიდეს[5] სათნოებითა მათ ჟამთა, — მამაჲ მოსე და მამაჲ გელასი, — ამათ გამოუცხადა თავი თჳსი და მათგან ფარულად კურთხევაჲ მონაზონებისაჲ მიიღო და ჟამ რაოდენმე ღუაწლითა ძლიერითა მორჩილებასა მისცა თავი თჳსი[6] და ყოველნი იგი მუნ მყოფნი მოღუაწენი განაკჳრვნა[7].

ხოლო ვინაჲთგან[8] იწყო განცხადებად[9] საქმემან მისმან, ნეტართა მათ მამათა ლოცვაჲ მიიღო და საბერძნეთისა ქუეყანაღ მიჰმართა[10], რამეთუ ევლტოდა დიდებასა კაცთასა. და ესრეთ[11] მთასა ულუმბოჲსასა[12] მიიწია და მონასტერსა ერთსა შინა ჟამთა არა-მცირედთა[13] [8] ჯორთა მსახურებისა ღუაწლი ახოვნად თაეს-იდვა და სხუანი უნდონი მსახურებანი და შეურაცხნი[14] სიმდაბლით აღასრულნა.

ხოლო ვინაჲთგან[15] მათ ჟამთა შინა ბერძენთა მეფემან ზემონი ქუეყანანი[16] დავით კლრაჲალატსა[17] მისცნა და აზნაურთა შჳილნი მძევლად[18] ითხოვნა მისგან[19], ცოლის-ძმათა მაჳისა იოვანესთა[20] ძე მისი ეფთჳმე[21] სხუათა თანა უფლის-წულთა მძევლად[22] მოჰგუარეს[23] მეფესა. ესე რაჲ ცნა[24] იოვანე[25], უნდა თუ არა, უნებლიეთ[26] თავი თჳსი გამოაცხადა და სამეუფოდ ქალაქად აღვიდა[27]. და ვინაჲთგან[28] მეფენი მეცნიერ იყუნეს[29] აბუჰარბისა, რომელი[30] იყო სიმამრი მამისა იოვანესი[31], და იოვანესდაცა[32] ფრიადი სიყუარული[33] აჩუენეს[34] მის ზედა[35] და კეთილად მოიკითხეს.

და ამისა შემდგომად განგრძობილად[35a] სიტყჳს-გებაჲ იქმნა შორის იოვანესსა[36] და [v] სიმამრისა მისისა ეფთჳმესთჳს[37], რამეთუ არა ენება მოცემაჲ მისი. და ფრიად აბრალა მას იოვანე[38], ვითარმედ: „რაჲ არს ესე? ნუუკუე შჳილ არა გესხნეს[39] თქუენ? გარნა ესე ცხად არს[40], რომელ მათ სწყალობდით[41], ვითარცა თჳსთა

---

[1] სილტოლა C. [2] იჴმია CH. იჴუმა E, იხმია G. [3] იჴნა A. [4] რომელნი - იგი] რომელნი H. [5] ბრწყინჳდეს B. [6] ~ თავი თჳისი მისცა FGL. [7] განაკჳრნა CD. [8] ვინადგან G. [9] განცხადებულად DEFGL. [10] ჴიმართა G. [11] ესრეთ]ერთსა EH. [12] ულუნბოსსა D, ულომბოსოსა FL. [13] არა-მცირედთა] ამა მცირედთა L. [14] შეურაცხებანი CEFGH, შეურაცხებელნი L. [15] ვინადგან G. [16] ქუეყანისანი G. ჭ'უნისანი FL. [17] კურატპალატსა BG, კურატპარატსა C. [18] მზევლად C. [19] ~ მისგან მძევლად ითხოვნა EH. [20] იოანესთა G. [21] ეფთჳმი E, ევთიმი H. [22] მზეჳ'ლდ C. [23] მოგუარეს H. [24] ~ ცნა რაჲ FGL. [25] იოანე G. [26] უნებლიათ E. [27] აღჳდა H. [28] ვინადგან G. [29] იყუნეს BCH. [30] რომელი + იგი C. [31] იოანესი G. [32] იოანესდაცა G. [33] სიყარული H. [34] ეჩუენეს E. [35] ზედა] ძლით H. [35a] გ'ნბრძობილად A. [36] ი'ნესა H, იოანესა G. [37] ევთიმისთ'ს H. [38] იოანე G. [39] გესხნეს FGL. [40] ესე ცხად არს] არა ჯერ არს CEFGL. არა ჯერ არს ესრეთ H. [41] ჰსწყალობდით G.

შვილთა[1], და ძე ჩემი, ვითარცა ობოლი, მძევლად გასწირეთ![2] გარნა უფალმან შეგინდვენ[3] თქუენ!“ და ესრეთ განგებითა საღმრთოჲთა[4] და ბჭობითა მეფეთაჲთა თჳსი შვილი მიიყვანა[5] და კუალად ულუმბადვე[6] უკუნ-იქცა[7].

ხოლო შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, ვინაჲთგან[8] განითქუა სახელი მისი, და პატივსა უყოფდეს ბერძენნი და ქართველნი, შეუძნდა საქმე ესე, და ამის პირისათჳს კუალად უცხოებასავე[9] მიჰმართა[10]. რამეთუ აღიღო ძე თჳსი და რავდენნიმე[11] მოწაფენი და მთაწმიდას[12] მოვიდა[13], ლავრასა დიდისა[14] ათანასესსა[15], და მუნ შეეწყნარა[16]. და აქუნდა თაჳ თჳსი ფარულად, და ყოველთავე საქმეთა მორჩილებისათა სიმდაბლით [9] და უდრტჳნველად[17] იქმოდა, და დაყო[18] მზარეულობასა[19] შინა ორი წელი გინა[20] უმეტეს[21].

III. და მათ[22] ჟამთა შინა თჳსი მისი დიდი თორნიკ თჳსსა ქუეყანასა მონაზონ იქმნა და[23], რამეთუ[24] ასმიოდა იოვანესთჳს, ვითარმედ ულუმბათა არს და ვინაჲთგან[25] ფრიადი სიყუარული აქუნდა მისსა[26] მიმართ,[27] მას მოჰმართა[28] და ულუმბათა[29] შთამოვიდა[30] და, ვინაჲთგან[31] მუნ ვერ[32] პოვა[33], ფარულად გამოიწულილა და ცნა, ვითარმედ მთაწმიდას[34] არს[35], და, თჳნიერ ცნობისა მეფეთაჲსა, იდუმალ მთაწმიდას[36] მოვიდა და კურთხეულ მონაზონებისაჲ ჴელთაგან იოვანესთა[37] მიიღო.

რამეთუ, ვითარცა ვთქუთ, მთაწმიდას[38] შთამოვიდა და ლავრასა დიდისა ათანასესსა[39] მიიწია[40] და, ვინაჲთგან[41] დაფარვაჲ არღარაჲ ეგებოდა[42], ურთიერთარს[43] გამოეცხადნეს და სიყუარულითა სულიერითა შეიტკბნეს და ფრიადი სიხარული იქმნა მონასტერსა შინა მას დღესა[44], რამეთუ არცა დიდი ათანასი[45] უმეცარ იყო თორნიკის საქმესა და წარჩინებულობასა[46] და აზოვნებასა. ამისთჳსცა მიერითგან[47] დიდი[ν]თა პატივითა ეპყრნეს იგინი, რამეთუ დაღაცა-

---

[1] ~ შვილთა თჳისთა FGL. [2] განწირეთ C, განსწირეთ DEFHL, განჰსწირეთ G. [3] შეგინდვნენ C. [4] საღთოთა L. [5] მიიყუანა BDH. [6] ულუმბოდვე E. [7] უკენ-იქცა] მიიქცა BCDEFGHL. [8] ვინადგან G. [9] უცხოობასავე BD. [10] მიმართა DG. [11] რაოდენნიმე BCEFGHL, რაოდენიმე D. [12] მთაწმინდას D. [13] მივიდა BCDEFGHL. [14] დიღსა BD. [15] ათანასესა CDEFL, ათანასისსა H. [16] შეეწყნარნა D. [17] უდრტჳნელად G. [18] დაჰყო G. [19] მზარაულობასა CFHL. [20] გინა + გინა D. [21] უმეტესი BCDEFGHL. [22] მათ]ამათ BCDEFGHL. [23] და — E. [24] თჳსსა ქუეყანასა... რამეთუ] ჭსნის ერისთავი მონაზონებისა ხატისა მიმღებელ იქნა თჳსსა ქუეყანასა შინა H. რამეთუ] ვინაგან H. [25] ვინადგან G]—H. [26] მისა CDEFGHL. [27] მიმართ + ბღუმალ H. [28] მიჰმართა CEFGHL. [29] ულუმბოთა EH, ულუმბაჲთ G. [30] შთავიდა EH. [31] ვინადგან G. [32] ვერა EH. [33] ჰპოვა G. [34] მთაწმინდას D. [35] არიან EH. [36] მთაწმინდას D. [37] ოანესთა G. [38] მთაწმინდას D. [39] ათანასეა DEFL, ათანასისსა H. [40] სიიწია G. [41] ვინადგან G. [42] ეგებოდა FGL. [43] ურთიერას B, ურთერთას CD, ურთიერთას EFHL. [44] ~ მას დღესა შინა H. [45] ათანასე FGL. [46] წარჩინებულებასა GHL. [47] მიერიდგან G.

თუ მათ არა უნდა ესე, გარნა ღირსთა თჳსთა ღმერთი გამოაცხადებს და ადიდებს.

და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა განითქუა ჰამბაჲ[1] მათი და იცნობა, ვითარმედ მთაწმიდას[2] არიან. და იწყეს მიერითგან ქართველთა მოსლვად და განმრავლებად. და ესე რაჲ იხილეს ნეტართა მამათა ჩუენთა, ვითარცა იყუნეს[3] სავსენი ყოვლითაჳე სიბრძნითა, განიზრახეს[4], ვითარმედ: „არა ჯერ-არს ჩუენი მონასტერსა[5] შინა ყოფაჲ, რამეთუ სხუანიცა მოგუმართებენ, და გარე-შექცევაჲ შეუძლებელ არს“. და ესრეთ განზრახვითა[6] მამისა ათანასესითა ლავრისაგან[7] განშორებულად[8], ვითარ მილიონ ერთ, უდაბნოსა[9] შუენიერსა წმიდისა იოვანე[10] მახარებელისა[11] ეკლესიაჲ აღაშენეს და სენაკები, და მუნ იყოფებოდეს[12] მრავალ ჟამ ვითარცა ანგელოზნი[13] ღმრთისანი.

IV. და მას[14] ჟამსა იქმნა განდგომილებაჲ[15] სკლიაროსისაჲ[16], და ჴმე[10]ლით[17] კერძი[18] ყოველი დაიპყრა და მეფენი[19] და დედოფალი[20] შეწყუდეულად იყუნეს[21] ქალაქსა შინა დიდითა ჭირითა და იწროებითა. და ამას რაჲ შინა[22] იყუნეს[23], განიზრახეს, ვითარმედ: „ჩუენი შემწე დავით კურაპალატისაგან[24] კიდე არავინ არს“. და ვინაჲთგან[25] გზანი ყოველნი სკლიაროსსა[26] დაეპყრნეს[27], კაცისა წავლენაჲ[28] არა[29] ეგებოდა, და დიდსა ზრუნვასა შინა იყუნეს, [30] რამეთუ არცა ვინ იყო ეგევითარი კაცი, რომელმანმცა[31] სრულ-ყო[32] ნებაჲ გულისა მათისაჲ. და ესრეთ რაჲ იურვოდეს[33] ამის პირისათჳს, ესმა იოვანესთჳს[34] და თორნიკისთჳს[35] და ცნეს, რამეთუ ლავრასა დიდისა[35a] ათანასესსა[36] არიან. და მეყსეულად[37] სევასტოფორი[38], კაცი წარჩინებული მათ ჟამთა[39] შინა მთავართა შორის დედოფლისათა, წიგნებითა[40] სამეუფოჲთა[41] ლავრას[42] წარმოავლინეს[43]. და,

---

[1] ამბაჲი E, ანბაჲი DH. [2] მთაწმინდას D. [3] იყუნეს BCH. [4] განიძრახეს C. [5] მონასტერს A. [6] განძრახჳთა C, განზრახჳსა FL. [7] ლავრისა D. [8] განშორებად D. [9] უდაბნოს C. [10] იოანე G. [11] მახარებელისასა CEFGH. მახარებლისასა L. [12] იყოფოდეს CDEGH. [13] ანგელოსნი G. [14] მას] ამას CDEFGHL. [15] განდგომილებაჲ იქმნა FGL. [16] სკილეაროსა BCDEFGHL. [17] ხმელით G. [18] კერძო EHL. [19] მეფე CEFGHL. [20] დეოფალი H. [21] იყუნეს ACG, იყუნენ H. [22] ~ შინა რაჲ CEFGHL. [23] იყუნეს GCH. [24] კურატპალატისა G. [25] ვინადგან G. [26] სკილეაროსსა BCDE, სკილეაროსს G, სკილაროსსა FHL. [27] დაებყრნეს B, დაეპყრა EH. [28] წარვლენა BCDEFGH, წარივლენა L. [29] არაჲ A. [30] იყუნეს BCGH. [31] რომელმანცა BCDEFGHL. [32] -ჰყო G. [33] ეურვოდეს AB, ეურვიოდეს D. [34] იოანესთჳს G. [35] თორნიკისათჳს G, თორკინისთ᷑ს F. [35a] დიდსა D. [36] ათანასესა DEF, ათანასისსა H. [37] მეყსეულად G. [38] სევისტოფორი BCDEFGHL. [39] ჟამთა] ჯ᷑თა CEFGHL. [40] წიგნითა EH. [41] ს᷑მფოთა CEH, სამეფოთა GL, სამ᷑ფოთა F. [42] ლავრასა H. [43] წარმოავლინეს] წარმოადგინეს FGL.

ვითარცა მოვიდა[1], მისცა წიგნები თჳთოეულად[2], ვითარცა აქუნდა ბრძანებაჲ, ერთი ათანასის და ერთი თორნიკს[3] და ერთი იოვანეს. [4] [v] და ესე პირი მოეწერა, ვითა[5]: „უღმრთოჲ[6] სკლიაროსი[7] გაგუადგა[8] და ჴმელით[9] კერძი[10] ყოველი დაიპყრა. აწ ვევედრებით[11] სიწმიდესა[12] თქუენსა, რაჲთა თჳნიერ ყოვლისა მიზეზისა იოვანე[13]-თორნიკ[14] მოვიდეს მეფობისა ჩუენისა“. და სხუანი მრავალნი ვედრებანი და ქენებანი[15] ეწერნეს სამეუფოთა მათ წიგნთა შინა.

ესე რაჲ ესრეთ იქმნა, ფრიადსა[16] უღონოებასა შთავარდეს ათანასე[17] და იოვანე[18], და, უნდა თუ[19] არა, შეუვრდეს თორნიკს და იწყეს ვედრებად მისსა[20], რაჲთა აღვიდეს[21] მეფეთა[22] წინაშე. ხოლო მას რაჲ ესმა ვედრებაჲ მათი[23], ფრიად შეწუხნა[24] და ეტყოდა, ვითარმედ: „წმიდანო მამანო, მე ცოდვათა ჩემთათჳს მოსრულ ვარ ამას წმიდასა ადგილსა და შეუძლებელ არს ჩემი მეფეთა წინაშე წარსლვაჲ[25], რამეთუ მე ვიცი, თუ რომლისა პირისათჳს მიჴმობენ[26], და, ვინაჲთგან[27] ღმერთმან [11] ღირს-მყო და სახე მონაზონებისაჲ შევიმოსე, მე ამიერითგან[28] არცაღა მეფეთა თანა მიც[29] შესაპოვარი, არცაღა სხუასა[30] ვის ქუეყანასა ზედა. აწ ვევედრები სიწმიდესა[31] თქუენსა, ღმრთისა[32]“ სიყუარულისათჳს შემინდვეთ[33] და ნუ მაიძულებთ ამის პირისათჳს, რამეთუ, უკუეთუ[34] წავიდე[35], ამის სოფლისაგე[36] შფოთთა შთამაგდებენ“. და იგინი ევედრებოდეს, ვითარმედ[37]: „უკუეთუ[38] ამას[39] ჟამსა[40] ურჩ ვექმნეთ მეფეთა, დიდსა რისხვასა მოვაწევეთ ჩუენ ზედა და მონასტერსა ამას ზედა“. და ამას ცილობასა ზედა გარდაჴდა[41] შჯდეული ერთი. ხოლო უკუანაჲსკნელ,[42] უნდა თუ არა, ყოველი ბრალი მამამან ათანასი[43] და მამამან იოვანე[44] მიიდვეს[45] და ძლით დაარწმუნეს წარსლვაჲ.

V. ხოლო ბასილი და კოსტანტი[46] მას ჟამსა წუთლა ყრმა იყუნეს[47] [v] და ყოველი გასაგებელი[48] დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენონსა. და ვითარცა აღვიდა თორნიკ სამეუფოდ[49], მეყსეულად[50]

---

[1] მივიდა L. [2] თითოეულად EH, თჯთეულად BCF, თითვეულად D. [3] თორნიკის BCDFL. [4] იოანეს G. [5] ვითა] ვ̃დ H. [6] უღთო BD. [7] სიკილაროსი BCEF GH, სიკილარიოსი L. [8] გაგჳდგა D, განგჳდგა H. [9] ხმელით G. [10] კერძო FHL]—G. [11] ვევედრები G. [12] სიწმინდესა D. [13] იოანე G. [14] და თორნიკ CEFHL, და თორნიკი G. [15] ქებანი BCDEFGHL. [16] ფრიად EH. [17] ათანასი H. [18] იოანე G. [19] თუ] და თუ H. [20] მისა FGL. [21] აღჳდეს H. [22] მეფე L. [23] მათი] მეფისა CFGL. [24] შეწუხდა BCDFGHL. [25] წარსლა C. [26] მიხმობენ G. [27] ვინადგან G. [28] ამიერიდგან G. [29] მიცს G. [30] სხჳსა H]—G. [31] სიწმინდესა CD. [32] ღმრთის G. [33] შემინდევით BCDEFGHL. [34] უკეთუ EG. [35] წარვიდე RCDEFGHL. [36] სოფლისათჳს FGL. [37] ვითარმედ — H. [38] უკეთუ EGL. [39] ამათ G. [40] ჟამთ G. [41] გარდახდა G. [42] უკანასკნელ CDGHL. [43] ათანასე FGL. [44] იოანე G. [45] მიიდვეს] მივიდეს BD, დაიდვეს მივიდეს CFGL, დაიდვეს EH. [46] კოსტანტინე BCEFGHL, კოტანტინე D. [47] იყუნესBCGH. [48] განსაგებელი BCDEFGHL. [49] სამეუფოსა EH, სამეფოდ G. [50] მეყუსეულად L, მეყუსელად G.

შეიყვანა[1] იგი პარაკიმანოსმან[2] მეფეთა წინაშე[3]. და მეფენი და დედოფალი ზე აღუდგეს[4], და პატივით[5] მოიკითხეს და გუერდით დაისუეს. და უბრძანა დედოფალმან ბასილის და კოსტანტის[6], და ფერჳთა შეუვრდეს. და დედოფალმან მიუგო, ვითარმედ: „წმიდაო მამაო, რაჲცა ამათ ობოლთა თანა ჰქმნა, ღმერთმან[7] მოაგოს[8] სულსა შენსა!“

და ესევითარი რაჲ ჟამი დახუდა იოვანეს[9], შინა-გამოღებით მრავალფერთა[10] საქმეთათჳს[11] ამხილა დედოფალსა. და მან ყოველი სიმდაბლით შეიწყნარა და აღუთქუა, ვითა[12]: „წმიდაო მამაო, რაჲცა მიბრძანოს[13] მამობამან თქუენმან, თქუენსა ბრძანებასა[14] არა გარდავჰჴდე[15], ოდენ[16], ღმერთმან დაგარწმუნოს, შრომაჲ თავს-იდევ[17] და, [12] რომლითაცა სახითა გნებავს, წარვედ კურაპალატისა[18] წინაშე და ყოველი ჰირი ჩუენი აუწყე, და ვესავ ღმერთსა, რომელ[19] იოტოთ იგი უღმრთოჲ[20] სკლიაროსი[21] და ჩუენ ჰირისაგან[22] განგუარინნეთ.“ [23] ფრიად[24] ევედრა დედოფალსა, რაჲთამცა განათავისუფლა. და ვითარ იხილა მოუდრეკელობაჲ[25] მისი, მიუგო ესრეთ, ვითარმედ: [26] „მე ჩემთა ცოდვათათჳს შევიმოსე[27] საბე ესე, და უწყის უფალმან[28], რომელ სწორად სიკუდილისა მძიმე არს ესე საქმე[29] ჩემ ზედა. გარნა რაჲ ვყო[30], არა ვიცი,[31] წმიდასა[32] მეფობასა თქუენსა ურჩ ვერ[33] ვექმნები“[34]. და კუალად დედოფალმან და პარაკიმანოსმან ჰრქუეს, ვითარმედ: „შენ ოდენ ამათ ობოლთა ჴელი აღუპყარ და, რაჲცა ბრალი იყოს, ღმერთმან ჩუენგან[35] იძიენ“. და ესრეთ წიგნები ვედრებისაჲ დაწერეს კურაპალატსა[36] თანა.

VI. და ესრეთ[37] იჯმნა მეფეთაგან [v] და რომლითაცა სახითა კურაპალატსა[38] წინაშე მიიწია თორნიკ[39]. ხოლო იხილა რაჲ იგი[40] კურაპალატმან[41], ფრიად განიხარა და წიგნები მეფეთაჲ მიითუალა, და ყოველივე საქმე თორნიკ[42] გააცადა[43], რომლისათჳსცა განზრახ-

---

[1] შეიყუანა BDGH. [2] პარაკიმენოსმან FGL. [3] ~ წინაშე მეფეთა CEFGHL. [4] აღდგეს G. [5] პატივით] პატივ სცეს და D. [6] კოსტანტინეს H. [7] ღმერთმან] ო˘ნ CEFGHL. [8] მოაგო FL. [9] იოანეს G. [10] მრავალთა ფერთა D. [11] საქმეთაგან FGL. [12] ვითა] ვ˘დ H. [13] მიბძანოს C. [14] ~ ბრძანებასა თქუენსა CEFGHL. [15] გარდავჴდე BCDEFGHL, გარდავჴდე G. [16] ოდეს EH. [17] იდუა G. [18] კურატპალატისა G. [19] რომელი A. [20] უღთო BDGL. [21] სკილიაროსი BCDEFGHL. [22] ჰირთაგან H. [23] განგუარინეთ DL. [24] ფრიად]ხოლო იგი ფ˘დ H. [25] მიუდრეკელობაჲ BEHL. [26] ვითარმედ — EH. [27] შევიმოს B. [28] უფალმან] ღმერთმან EH. [29] ~ საქმე ესე BCDEFGHL. [30] ეჰყო G. [31] ვიცი] უწყი CEFGHL. [32] წმიდასა] აწ G, ანუ ღმრთის-მსახურსა H. [33] ~ ვერ ურჩ EH. [34] ვექმნე H. [35] ~ ჩუენგან ღმერთმან FGL. [36] კურაპალატისა C, კურაპალატისა EH, კურაპარატის FL, კურატპალატის G. [37] ესრეთ — H. [38] კურაპალატისა BDEFL. კურატპარატისა C, კურატპალატისა G. [39] კურაპალატსა... თორნიკ] ღ˘ნ წარუმართა თორნიკს წინაშე კურაპალატისა მიიწია H. [40] იგი — EH. [41] კურატპალატმან CG. [42] თორნიკს EH. [43] გაახადა EH.

ვაჲ[1] ქმნეს[2], რაჲთა[3] ლაშქარნი წარმგზავნენ[4] საბერძნეთს, და სპა-
სალარად თორნიკ განაჩინეს. ხოლო თორნიკ კურაპალატისა[5] და
თავისა[6] წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველი ნებაჲ კურა-
პალატისაჲ[7] აუწყა. და მაშინ მისცნეს[8] მეფეთა ზემონი ქუეყანანი[9]
საბერძნეთისანი კურაპალატსა[10], რაჲთა თავისა[11] სიცოცხლესა
ჰქონდინ.

ხოლო თორნიკს მოუწერეს: „ვიცით[12], რომელ ღმერთი შეგე-
წევის და ნურარას ორგულობ[13], და ოდეს[14] ღმერთმან წარგიმარ-
თოს, ყოველნი წინააღმდგომნი ჩუენნი დატყუენენ და ყოველივე
ნატყუენავი მათი შენი იყოს“. რომლისათჳსცა მისცა კურაპალატ-
მან[15] [13] თორმეტი ათასი მჴედარი რჩეული თორნიკს. და შეწევ-
ნითა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი[16] და ვიდრე სპარსეთამდე[17]
მეოტად წარიქცია. და მერმე შეიქცა[18] და სიტყჳსაებრ მეფეთაჲსა
დატყუენნა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი[19] და მონაგები
მათი იავარ-ყო[20] და რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე
თჳთ დაიმჭირა[21] ნატყუენავი დიდძალი[22] ფრიად[23]: ოქროჲ და ვეცხ-
ლი და სტავრაჲ და სხუაჲ ესევითარი. და უკუნიქცა, და მოიკითხა
კურაპალატი[24] და დიდად მოიმადლა და იჴმნა, და მეფეთავე[25] წი-
ნაშე მოვიდა.

ხოლო იგინი[26] დიდითა პატივითა მიეგებნეს და[27] მოწლედ[28]
მოიკითხეს[29]. იჴმნა უკუე მათგანცა და გამოეთხოვა. და კუალად
მთაწმიდასავე[30] მოიქცა, ლავრად დიდისა ათანასესსა.[31] ხოლო მა[ν]-
მანი სიხარულით მიეგებნეს და ამბორს[32]-უყვეს და ჰმადლობდეს[33]
ღმერთსა, რომელმან კუალად მოაქცია მშჳდობით.

VII. და ამისა შემდგომად განიზრახეს[34] მამათა ჩუენთა და
თქუეს[35], ვითარმედ: „აქა ყოფაჲ ჩუენი შეუძლებელ არს[36], კაცნი
ვართ სახელოვანნი[37] და ქართველნი მოგუმართებენ“. და ესე გა-
მოარჩიეს[38], რაჲთა კიდე თავისუფლად თჳსი მონასტერი აღაშენონ-

---

[1] განძრახვა C. [2] ქმნეს] ყვეს CEFHL, ჰყუეს G. [3] რა L. [4] წარგზავნეს BCDH, წარგზავნეს EFG, წარიგზავნეს L. [5] კურატპალატისა G, კურაპალატის H. [6] და თავისა] დ᾽თის H. [7] კურატპალატისა G. [8] მისცეს G. [9] ქუეყანა H. [10] კურატპალატსა CG. [11] თჳსსა H. [12] ვიცი EH. [13] ორგულებ CFGHL. [14] ოდენ CDEFL. [15] კურატპალატმან CG. [16] სკილიაროსი BCDEFGHL. [17] სპარსეთადმდე CEFGHL. [18] შეიქცია G. [19] საბერძნეთისანი] სპარსეთისანი G. [20] -ჰყო G. [21] დაიმჭირა + და CEFGHL. [22] დიდი ძალი E. [23] ფრიადი CEFGHL. [24] კურატპალატი CG. [25] მეფეთა CEFGHL. [26] იგი CEFGHL. [27] მიეგებნეს და — BCDEFGHL. [28] მოწილედ L. [29] მოიკითხნა BCDEFGHL. [30] მთაწმიდასავე CF, მთაწმიდადვე G. [31] ათანასესა BDE. [32] ამბორ-C. [33] მადლობდეს DEH. [34] განიძრახეს C. [35] თქუეს] ჰრქუეს L. [36] არს + რამეთუ CEFGHL. [37] სხეულოვანნი L. [38] გამოარჩინეს BD] განიძრახეს C, განიზრახეს EFGHL.

დაღათუ უძნდა[1] საქმე ესე იოვანეს[2], გარნა[3] ქართველთა განსუენებისათჳს[4] და უფროჲს[5] ხოლო თორნიკის აშენებისათჳს[6] თავსიდვა[7] ამისი ჴელ-ყოფაჲ. და ღმრთისა მომადლებითა[8] პოვეს[9] ადგილი შუენიერი შუა მთაწმიდისა[10] და აღაშენეს მონასტერი და ეკლესიანი წმიდისა ღმრთის-მშობელისა სახელსა ზედა[11] და წმიდისა იოვანე[12] ნათლის-მცემელისასა ფრიადითა ოფლითა და ღუაწლითა. და ადგილნი მრავალნი[13], მონასტერნი და[14] სადაყუდებულონი[15] [14] გარემოჲს დიდისა მონასტრისა ვიდრე იმერად[16] ზღუამდე თჳსითა საფასითა იყიდნეს, რომელნი-იგი შუენიერ არიან და საწადელ და მომზავებელ სულიერთა მონაზონთა საყოფლად[17].

და ეგრეთვე ღმრთის-მსახურთა მეფეთა, ვინაჲთგან ესევითარნი მსახურებანი ჰმსახურნეს[18] და დიდნი საქმენი უქმნეს[19], რომელნიცა ადგილნი და სოფელნი სთხოვნეს[19a], ყოველნი ოქრობეჭდითა[20] დაუმტკიცნეს, რომელნი-იგი მრავალცა არიან და რჩეულ[21] ფრიად, ვითარცა ამას ქუეყანასა შეჰგავს.

ხოლო იყო რაჲ თორნიკ აღმოსავალეთს[22], მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი[23] მონაზონნი ჩამოიტანნა[24], სიმრავლე არამცირედი[25], და ენება, რაჲთა ქართველნი ოდენ იყვნენ[26] მონასტრისა[27] ამის მკჳდრნი ყოველნი. გარნა, ვინაჲთგან ამისი[28] ქმნაჲ შეუძლებელ იყო, იიძულნეს[29] [v] ბერძენთაცა შემოყუანებაჲ[30], რამეთუ ჩუენ, ვითარცა ხედავთ, ზღჳსა რაჲთურთით გამოცდილებაჲ არაჲ გუაქუს[31], და ჩუენი ყოველი გასარომელი[32] ზღჳთ შემოვალს, და მერმე თჳნიერ მჭედელთა და ხუროთა და გალატოზთა და მევენაჴეთა[33] და ნავის-მოქმედთა და სხუათა ესეეითართა ამის ესევითარისა ვრცელისა ლავრისა დამჭირვაჲ უღონო არს. და ესე ყოველი გამონახეს წმიდათა მამათა ჩუენთა და, თუ უნდა და თუ არა, ვითარცა ვთქუთ[34], შეიწყნარნეს[35] იგინიცა. და ესრეთ ღმრთისა შეწევნითა სრულ იქმნა შენებაჲ მონასტრისაჲ.

---

[1] უზნდა C. [2] იოანეს G. [3] გარნა] რაჲთა CEFHL, რათა G. [4] გასუენებისათჳს G. [5] უფროჲს] დაეფაროს D, დაეფაროს B· [6] აღშენებისათ〈ჳ〉ს BCDEF GHL· [7] თავს-იდუ〈ა〉 BG, თავს-იდვეს CDEFHL. [8] მომადლებითა] თანაშეწევნითა H. [9] პოეს BDG. [10] მთაწმიდას H. [11] ~ სახელსა ზედა წ〈მ〉დისა ღ〈მრთის〉-მშობელისასა H. [12] იოანე G. [13] მრავალნი + და CEFGHL. [14] და — L. [15] სადაყუდებელონი CG, დასაყუდებელნი L. [16] იმიერად CEH. [17] საყოფელად BDGH. [18] მსახურნეს EFG HL. [19] უქმნეს EGH, უქმნიეს FL. [19a] სთხოვნეს D. [20] ოქრო-ბეჭდითა + დაუბეჭდეს და D. [21] რჩეულცა H. [22] აღმოსაველეთს BCDEFGHL. [23] და სახელოვანნი —FGL. [24] წარმოიტანნა CEFHL, წარმოატანნა G. [25]-მცირედ BD. [26] იყუნენ BCGH. [27] მონასტერისა FL. [28] ამის G. [29] იიძულეს BCDEFGL. [30] შემოყუანებად BGH. [31] გუაქს B, გვაქუს D, გუაქვს L. [32] განსარომელი BD] გაბოსაზრდელი CEFGHL. [33] მევენახეთა D. [34] ვთქუ FHL. [35]შეიწყნარეს BCDEFGHL·

ხოლო თორნიკ, ვინაჲთგან[1] იოტა სკლიაროსი[2] და კუალად აქავე[3] მოიქცა ურიცხჳთა საფასითა და განძითა, — რამეთუ უფროჲს ათორმეტისა კენდინარისა[4] მოიღო განძი[5] ოდენ, სხუათა ტურფათაგან კიდე, — რომელი[6]-იგი ყოველივე მამისა თჳსისა სულიერისა [15] იოვანეს[7] ჴელთა[8] მისცა[9] და თავი თჳსი სრულიად უარ-ყო[10] და არცა თუ მცირედი რაჲმე დაუტეւა ჴელმწიფებასა[11] ქუეშე თჳსსა[12], არამედ ეგევითარმან[13] მან[14] განთქუმულმან[15] და საჩინომან კაცმან ყოველივე ნებაჲ თჳსი მოიკუეთა და სრულებით[16] შეუდგა მორჩილებასა მისსა. და ესეზომი[17] მჴურვალებაჲ[18] აჩუენა[19], რომელ, უკუეთუმცა[20] შესაძლებელ[21] იყო, თჳნიერ მისისა ბრძანებისა არცამცა წყლისა გემოჲ იხილა და არცამცა[22] სიტყუაჲ ერთი აღმოთქუა და არცა თუ ფოლსა[23] ერთსა[24] ზედა[25] უფალ იყო, არამედ ყოველსავე მამაჲ იოვანე[26] განაგებნ და მისცემნ, ვითარცა ენების[27] და სადაცა ჴერ-იყვის[28].

ხოლო ვინაჲთგან სათნოებათა ყოველთა თავი მორჩილებაჲ არს სულიერთა მამათაჲ და ნებისა თჳსისა განკუეთაჲ[29], და ესე ესრეთ აქუნდა, [v] ვითარცა ვაუწყეთ ღმრთის-მოყუარებასა[30] თქუენსა, და ფრიად უმაღლესად, რამეთუ უნდოთაცა გულის-სიტყუათა ტირილით[31] გამოუცხადებნ ნეტარსა იოვანეს[32] და კანონსა და შენდობასა ითხოვნ. სხუათა[33] მათ სათნოებათა მისთა გამოწულილვით[34] აღწერასა ნეფსით[35] თანა-წარვჰჴედით[36], რამეთუ ჴეშმარიტად ყოვლითავე სათნოებითა სავსე იყო ნეტარი ესე: სიმდაბლითა, სიწრფოებითა და უმანკოებითა. და მარადის ეტყჳნ დიდსა იოვანეს[37], ვითარმედ: „მამაო, თჳთ იცი, რომელ დიდად ცოდვილ ვარ და სიკუდილი ჩემი მოახლებულ არს და უნებელი[38] სიწმიდისა[39] თქუენისაჲ არა[40] ვარ, არამედ ნებაჲ ჩემი და თავი ჩემი შემდგომად ღმრთისა შენდა მომიცემია[41]; ვითარცა გნებავს, აცხოვნე სული ჩემი“.

ამას რაჲ ესევითარსა მჴურვალებასა[42] მისსა[43] ხედვიდა[44] [16] ნეტარი მამაჲ ჩუენი[45] იოვანე[46], ფრიად მოსწრაფე იყო, რაჲთა

---

[1] ვინაჲთგან] ვითარცა G. [2] სკილიაროსი BCDEFGHL. [3] აქვე H. [4] კენდარისა H. [5] განძი — CEFGHL. [6] რომელმან CEFHL, რომელნი G. [7] სულიერისა იოვანეს — EH. იოვანეს — BCDFGL. [8] ჴელითა E, ჴელნიცა BD. [9] მისცა] მიიღო CEFGHL, — BD. [10] უვარ-ყო C, უარჰყო G. [11] ჴელმწიფობასა L. [12] ~ თ᷑სსა ქშ᷑ო EH. [13] ესევითარმან H, ესევითარმნ᷑ E· [14] მან — H. [15] განთქმულმან CFGHL. [16] სრულობით EH. [17] ესზომი H. [18] მხურვალება G. [19] აჩუენნა L. [20] უკუეთუმცა CEGL. [21] შემძლებელ CFGL. [22] არცა H. [23] ფოლისა BCDEFGHL. [24] ერთისა BCDEFGHL [25] ზედა — H. [26] იოანე G. [27] ინებას C. [28] ჴერ-იყვნეს BCDFL, ჴერი იყვნეს E, ჴერ-იყუნეს G, ჴერ-იყუნის H. [29] მოკუეთა CEFGHL. [30] მოყუარებასა] მსახურებასა EFGHL. [31] ტირით L. [32] იოანეს GL. [33] სხუათა] ხოლო სხუათა CEFGHL. [34] გამოწულილით D. [35] ნებსით BEFGHL] + + თჳსით D. [36] თანა-წარვჴედით BCDEFH, თანა-წარვხედით G. [37] იოანეს GL. [38] უნებური CEFGHL. [39] სიწმინდისა C. [40] არა — CEFGL. [41] მომიცემია + და G. [42] მხურვალებასა G. [43] მისსა—G. [44] ჰხედვიდა H. [45] ჩუენი—EH. [46] იოანე G.

არარაჲ იპოვოს[1] რაჲთურთით მის თანა ნაკლულევანებაჲ რაჲმე და ჯეროვნად პატივ-სცემნ მას და ერიდებიან[2] და განუსუენებენ და სწყალობენ სიბერესა მისსა.

ხოლო ვინაჲთგან[3] დიდი თორნიკ წყობათა[3a] შინა აღზრდილ იყო და სალაშქროთა საქმეთა, ამათ ესევითართა პირთათჳს უბნობაჲ და ჰამბავი[4] უყუარდა, და, ვითარცა ვთქუთ[5], მამაჲ იოვანე[6] ერიდებიან და არა უნდა, რაჲთამცა ამხილა მას, რაჲთა არა მოწყალას[7] გონებაჲ მისი. და ვითარცა იყვნეს[8] მას ჟამსა კაცნი წარჩინებულნი[9] და[10] პატიოსანნი, შევიდიან და ეუბნებოდიან მას ზემოთქუმულთა[11] ამათ[12] პირთათჳს. მაშინ, ვითარცა იხილა იოვანე[13], რამეთუ სიწრფოებით[14] იქმს ამას, შეეშინა, ნუუკუე ამის საბისათჳს ზღევაჲ[15] რაჲმე სულიერი შეამთხჳოს ღირსსა[15a] მას და თჳსსაცა[16] სულსა. [v] ამისთჳსცა ჰრქუა მას მამამან იოვანე[17], ვითარმედ: „საყუარელო ძმაო, ვხედავ, რომელ მადლითა ღმრთისაჲთა კეთილად წარმართებულ ხარ მცნებათა შინა ღმრთისათა და არა მნებაჲს, რაჲთა კრძალვისა გზითა ზღევაჲ[18] რაჲმე მოვატყუა[19] სულსა შენსა. აწ დააცადე სოფლიოთა[20] მაგათ საქმეთა[21] უბნობაჲ და ამიერითგან[22] სხუასა ნუ ვის ეუბნები, გარნა გაბრიელს ხოლო ხუცესსა[23]. ხოლო ხუცესი იგი ესევითარი კაცი იყო, რომელ[24] პირსა მისსა[25] მსოფლიოჲ სიტყუაჲ არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთოჲ[26] და სულიერი. ესე რაჲ ესმა ღირსსა[27] მას, მეყსეულად[28] დავარდა ფერჴთა[29] თანა მისთა და ცრემლით ეტყოდა, ვითარმედ: „და რად დაიდუმე აქამომდე და არა მამხილე, წმიდაო და ღმერთშემოსილო მამაო?“ ხოლო მამამან იოვანე[30] აღადგინა იგი[31] და ჰრქუა: „უფალმან შეგინდვენ, გარნა აწ ხოლო ეკრძალე!“ და მიერი[17]თგან მონასტრისა ძმათა არღარა ვის ეუბნებინ, გარნა თუ უცხოჲ ვინ[32] მოვიდის და მცირედი რაჲმე სიტყუაჲ მიუგის მას. და ესრეთ ესევითარსა ამას სულიერსა ცხორებასა[33] შინა აღასრულნა დღენი თჳსნი[34] და ღმრთისა მივიდა, და ჰეშმარიტად წამეს მამათა ჩუენთა მისთჳს, ვითარმედ: „ღმერთმან შეუნდენა ცოდვანი მისნი და საუკუნესა[35] ცხორებასა[36] ღირს-ყო[37]“.

---

[1] იპოს BCDEFGHL. [2] ერიდებენ FL. [3] ვინადგან G. [3a] წყოობათა A. [4] ამბავი H, ანბაჲ D. [5] ვთქუ EH. [6] იოანე G. [7] მოიწყალას BCFGL, მოსწყალას D. [8] იყუნეს CGHL. [9] ჩინებულნი G. [10] და—D. [11] ზემო თქმულთა EFGL. [12] მათ CEFGL] — H. [13] იოანე G. [14] სიწრფობით B. [15] ზღევაჲ] ზრუნვა E. [15a] შეამხჳოს ღირსა A. [16] თჳსსა H. [17] იოანე G. [18] ზღუშვა BEFGL, ზღუშვაჲ C, ზღუევაჲ H. [19] მოატყუა EH. [20] მსოფლიოთა D. [21] ~ საქმეთა მაგათ G. [22] მიერითგან BCDEFHL, მიერიდგან G. [23] ხუცესა D. [24] რომელ—EH. [25] მისა D. [26] სამღთო D. [27] ღირსა D. [28] მეყუსეულად GL. [29] ფერხთა G. [30] იოანე G. [31] იგი — H. [32] ვინა D, ვინმე CEFGHL. [33] ცხოვრებასა DG. [34] თჳსნი] მისნი BCDEFGHL. [35] საუკუნოს L. [36] ცხოვრებასა G. [37] ღირს-ჰყო G.

VIII. ამათ ღირსთა და სანატრელთა მამათა ჩუენთა[1] დიდნი საფასენი და მრავალნი ტურფანი[2] შეწირნეს დიდსა ლავრასა და ყოველთა მონასტერთა მთაწმიდისათა[3], რომელნი -იგი მას ჟამსა[4] წუთღა[5] გლახაკ იყვნეს[6] და არა განმრავლებულ ესოდენ. და საშოვალსა[7], რომელ არს ყოვლისა მთისა[8] შესაკრებელი, ფრიადნი საჭმარნი[9] და[10] მონაგებნი მისცნეს[11]. და ყოველთავე ზოგად და თჳთოეულად[12] [v] კაცად-კაცადსა ფრიადი საფასე განუყვეს, რომელთაგანი რაოდენიმე მოვიჴსენოთ[13] და სხუაჲ იგი დავაცადოთ[14], რაჲთა არა ფრიადი სიმრავლე წერილისაჲ იქმნას და საწყინო ვიქმნეთ[15] მკითხველთა და მსმენელთა.

დიდსა უკუე ლავრასა მისცეს, ვითარცა ვთქუთ[16], ოქრობეჭედი[17] განძისა ორას[18] ორმეოცდა ოთხისა დრაჰკნისაჲ, ჩიმიშკისა[19] ბოძებული იოვანესდა[20], და ესე ყოველთა წელთა აქუს პალატით ლავრასა[21], და კუნძული, რომელსა ნეოს ეწოდების, ბასილი მეფისა ბოძებული იოვანესდავე[22], რომლისაგან გამოვალს გამოსავალი ყოველთა წელთა ი᷾დ[23] ლიტრაჲ, გინა ათხუთმეტი[24] და ოდესმე ოცია. და კუალად მისცეს ოქროჲ განძად ათუალული[25] ქ᷾ლ ლიტრაჲ, და ძელისა[25a] ცხორებისა[26] ნაწილი [18] ვეცხლისა[27] ბუდითა და ორნი ბარძიმნი დიდნი ვეცხლისანი და ფეშხუმი[28] კოზითურთ და ბრწკლით[29] და ნაწილის შთასასუენებელით[30] ვეცხლისაჲთ[31]. და ესე ყოველნი[32] ოქროცურვებულნი[33]. საკურთხეველის[34] შესამოსელი ოქრონემსული და მეორე ოქსინოჲ. ორნი წიგნნი[35] ოქროპირისანი[36] — მარგალიტნი[37], სხუაჲ[38] წიგნი წმიდისა[39] ეფრემისი[40], სხუაჲ წიგნი სწავლანი წმიდისა კჳრილესნი[41], სხუაჲ წიგნი, რომელსა სწერიან ყოველნივე[42] ძუელნი წიგნნი[43] და საწინაჲსწარმეტყუელოჲ და მაკაბელთაჲ, სხუაჲ წიგნი სადღესასწაულოჲ საჩინოთა წმიდათაჲ,

---

[1] ჩუენთა] ჩემთა BD. [2] ტურფანი] საჭმარნი CEFHL, სახმარნი G. [3] მთაწმინდისათა C. [4] მათ ჟამთა EH. [5] წუთღა — EH. [6] იყუნეს BCGHL. [7] საშუალსა BCF, საშუალსა EGHL. [8] მ᷾თისა H. [9] სახმარნი G. [10] და—BD. [11] მისცნის E. [12] თითოეულად BCEFGHL, თჳთოეულად D. [13] მოვიხსენოთ G. [14]დავიცადოთ L. [15] ვიქმნეთ CEL, ვექმნეთ H. [16] ვთქუ BCDEFGHL. [17] ოქრობეჭედი] დიდძალი ბეჭედი BCDEFGHL. [18] ორას — H. [19] ჩიმიშკისა] წამისშკისა BCDEFGHL. [20] იოვანესადა L. [21] ~ ლავრასა პალატით CFGL, ლავრასა პალატი EH. [22] იოანესდავე G. [23] ი᷾დ] ათოთხმეტი BDEFGHL, ათორმეტი C. [24] ათუთხმეტი C, ათხუთმეტი G. [25] აღთუალული H. [25a] ძეისა A. [26] ცხოვრებისა G. [27] ვეცხლის EH. [28] ფეშხუმი CD EH. [29] ბრწკილით EFL. [30] შთასასუმნებელი EGH, შთასასვენებელი CL. [31] ვეცხლისა CEFGHL. [32] ყოველი FG. [33] ოქროხურვებულნი FL. [34] საკუთხეველის A, საკურთხეელის EFL. [35] წიგნი EGL. [36] ოქროპირისნი C. [37] მარგალიტიანი BEFL, მარგალიტიანნი C, მარგალიტისნი D, მარგარიტიანი H. [38] და სხუაჲ CEFH, და სხუა GL. [39] წმინდისა D. [40] ეფრემისნი D, ეფრემისა FG. [41] კირილესნი H. [42] ყოველნი BCDEFGHL. [43] წიგნი FGL.

ოთხთავი სტავრაჲთა[1] შემოსილი და ვეცხლისა[2] ღილოკილოჲთა[3] და ჯუარითა. ჯუარი სალიტანიე ვეცხლისაჲ ოქროცურ[v]ებული[4] მელაზმაგისა[5] ხატებითა, ჯუარს-ცუმისა[6] ხატი ცჳლოანი[7] დიდი, ას დრაჰკნად[8] ფასებული[9]; სხუაჲ დიდი ხატი ვედრებისაჲ, სხუაჲ ხატი გარდამოჴსნაჲ[10], ნიკიფორ[11] მეფისა ნიჭებული[12], სხუაჲ ხატი, კანკელი[13] ათორმეტთა მოციქულთაჲ, სხუაჲ ხატი წმიდათა დიდთა მოწამეთაჲ, სხუაჲ ხატი ცჳლოანი[14] ნათლის-მცემელისაჲ[15], სხუაჲ ხატი ცჳლოანი[16] წმიდისა ევსტრატისი[17]. და ალვაჲ ასი ლიტრაჲ და ოთხნი ჯორნი და სამნი ცხენნი, და ნავი ხუთასისა მოდისაჲ. და კელინნი, რომელთა ზედა წააგეს[18] საშენებელად: ზემოთა[19] ზედა[20] ხუთასი დრაჰკანი და ქუემოთა—ასი დრაჰკანი და სხუაჲ ესევითარი. და ესე ყოველი თჳთ წმიდისა მამისა ეფთჳმეს[21] ჴელთა ნუსხისაგან[22] დაგჳწერია, ვინაჲცა ჰეშმარიტ არს და უტყუველ[23].

ეგრეთვე საშოალსა[24] მისცეს[25] განძი ინდიკტიონსა 8 ლიტრაჲ [19] ათოთხმეტი[26] გასაყოფელად ყოველთა. და კუალად იაჲ ინდიკტიონსა გაუყვეს სხუაჲ იდ ლიტრაჲ. და მისცეს კარიისა[27] ეკლესიასა, რომელ არს შესაკრებელი ყოველთაჲ, ბარძიმ-ფეშხუემი[28] ვეცხლისაჲ, ოქროცურვებული ხატებითა, და კანკელი საუფლოთა დღესასწაულთაჲ, და თარგმანებაჲ სახარებისაჲ და სამნი ხატნი დიდნი ვედრებისანი და ორნი სკარამანგნი[29] და ორნი ჯორნი. და მისცეს იკონომოსსა[30] საშოალისასა[31] ლიტრაჲ ერთი განძი საშოალისათჳს[32] წასაგებელად[33] სასყიდლად[34] ქორაკანდელთა[35], ვეშაპაკთა[36] და ჯაჭუთა და კელაპტართა. და კუალად შემდგომად თორნიკის სიკუდილისა ი᷾გ [37] ინდიკტიონსა მისცეს მთასა გასაყოფლად[38] ლიტრაჲ ოცდარვა. და ერისონს მისცნეს სახლნი, შჳდ ლიტრად სყიდულნი[39], ზღუ[v]დითურთ, სადგურად მიმავალთა ძმათა. და კუალად

---

[1] სტავრათა BCDFGL, სტავრითა EH. [2] ვეცხლის H. [3] ღილკილოთა CEFGHL. [4] ოქრო-ხურვებული GL, ოქრო-ჴურვებული F. [5] ველაჲზმაგისა BCDF, ველიზმაგისა EH, ველიაზმაგისა G, ველაზმაგისა L. [6] ჯუარ-ცმისა BCDEFGL, ჯუარ-ცმის H. [7] ცჳლოვანი CGL. [8] დრაჰკანად L. [9] დაფასებული G. [10] გარდამოჴსნისა BCEFHL, გარდამოხსნისა DG. [11] ნიკიფორე BCDEFGHL. [12] მინაჭებული BCDEFGHL. [13] კანკელა FGL. [14] ცჳლოვანი GH]+ იოანე FGL. [15] ნათლის-მცემლისა G. [16] ცჳლოვანი BCGH. [17] ევსტრატისა CDEFGHL. [18] წარაგეს EGH. [19] ზომოთა FGL. [20] ზე BD. [21] ეფთჳმის CE, ეფთჳმისა G, ეფთიმის H, ეფთჳმისი FL. [22] ნუსხისგან FGL. [23] უტყუველ BDEGH. [24] საშუალსა BCDEF GHL, [25] მიპსცეს G. [26] ათოთხმეტი] ი᷾ბ BCDEFGHL. [27] კარისა BCDEFGHL. [28] ბარძიმ-ფეშხუმი CDEH. [29] საკარმანგნი H. [30] იკონომოზსა G. [31] საშუალისასა BCDEFGHL. [32] საშუალისათჳს BCDEFGHL. [33] წარსაგებელად BCDEFGHL. [34] სასყიდელად D. [35] ქორკანდელთა BCDEFGHL. [36] ვეშაპკთა CFGL, ვაშაპკთა H, ვაშპკთა E. [37] ი᷾გ]ე CEFGL, ი᷾ე BD. [38] გასაყოფელ:ად BCDEHL. [39] სასყიდელნი L.

მისცეს მუნვე[1] ვენაჯი[2] რჩეული, ხუთ ლიტრად ფასებული[3]. და ესეცა[4] ყოველი[5] მამათავე[6] ჩუენთა დაწერილისაგან დაგჳწერია.

კაცად-კაცადისა კულა მიცემული ვინ აღრაცხოს[7], რომელსა- -იგი თჳთოეული[8] მათი ჴმამაღლად[9] ქადაგებს[10] და ღმერთსა ცათა შინა აღუწერიეს![11] და მამამანცა ეფთჳმე,[12] ამის ზემო წერილისაგან[13] კიდე, მისცა თჳსისა მონასტრისათჳს ეფთჳმე[14]-წმიდისა საშოალსა[15] ორასი დრაჰკანი, რომელი-იგი შემდგომად წინამძღურობისაგან[16] ჴმნისა აღაშენა მთასა გარე.

აქა უკუე დავაცადოთ ესევითარისა ამის[17] პირისათჳს სიტყუაჲ, რამეთუ, ვითარცა ვთქუთ[18], არცა თუ შესაძლებელ არს ყოველთა მათ[19] ქველის-საქ[20]მეთა მათთა თითოეულად[20] წარმოთქუმაჲ[21], რომელთა-იგი უმეტეს ყოველთა სათნოებათა მოწყალებაჲ შეეტკბო და ვითარცა სამოსელი შეემოსა.

IX. შემდგომად თორნიკის მიცვალებისა განიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოვანე, [22] რაჲთა აღიღოს ძე თჳსი და რავდენნიმე[23] მოწაფენი და იერტოდის[24] სპანიად, — რამეთუ[25] პირველითგანვე უძნდა შუღლიანობაჲ[26] და შფოთი, გარნა[27] თავს-ედვა[28] მუნ ჟამამდე[29] თორნიკის აშენებისათჳს[30] და რაჲთა შეიძინოს სული მისი,— რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ჭართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკჳდრ არიან მუნ. და ამის პირისათჳს წარვიდა ვიდრე ავიდოსამდე[31], რაჲთა[32] მიერ პოვოს[33] ნავი, კერძოთა სპანიისათა მიმავალი, და წარვიდეს მუნ. [v] და რომელი-იგი მას ჟამსა მთავრობდა[34] ავიდოსს[35], ფრიად საყუარელი[36] იყო მამისა იოვანესი[37] და მეგობრობისა მისისათჳს[38] გამოუცხადა მას გულის-სიტყუაჲ თჳსი[39]. ხოლო იგი წინააღუდგა და, რაოდენ შესაძლებელ იყო მისგან, აბრკოლებდა. და ვითარ იხილა მამაჲ იოვანე[40] დამტკიცებული თჳსსავე გულის-სიტყუასა ზედა, გამოუცხადა და ჰრქუა[41], ვითარმედ: „წმიდაო მამაო, არა უმეცარ ხარ შენ, თუ რაბამი სიყუარული

---

[1] მუნვე — CEFGHL. [2] ვენახი G. [3] დაფასებული G. [4] ესე BCDEFGHL. [5] ყრივე D. [6] მამათა D. [7] აღრიცხოს GL. [8] თითოეული BH, თჳთეული C, თითეული D. [9] ხმამაღლად G, ჴმამაღლა H. [10] ჰქადაგებს G. [11] აღუწერია EH. [12] ეფთჳმი BCDEFGL, ევთიმი H. [13] წერილნისაგან D. [14] ეფთჳმი- CEFGL, ევთიმი- H. [15] საშუალსა BCEFGHL, საშულსა D. [16] წინამძღრობისაგან CD. [17] მის G. [18] ვჰსთქუთ G, ვსთქუთ H. [19] მათ + წარმოთქმა BCDEGH, წარმოთქუმა FL. [20] თჳთოეულად G, თჳთეულად C. [21] წარმოთქუმაჲ — BCDEFGHL. [22] იოანე G. [23] რაოდენნიმე BCDFGHL, რაოდენიმე E. [24] იერტოდეს EH. [25] რამეთუ—C. [26] შუღლიანობაჲ] შჳლიანობა GHL. [27] გარნა + ვერ EH. [28] -იდვა EH. [29] ჟამადმდე DEGH. [30] აღშენებისათჳს BCDEFGHL. [31] აღვიდოსამდე CEFGHL. [32] რაჲთა + მის BCDEFGHL. [33] პოოს CDEFL, იპოოს G. [34] ჰმთავრობდა G. [35] აღვიდოს CEFGHL. [36] საყუარელ CDEGH. [37] იოვანესა CEFL, იოანესა G. [38] მისთჳს G. [39] თჳსი] მისი G. [40] იოანე G. [41] ჰრქუა] თქუა EFHL.

აქუს[1] მეფეთა ღირსებისა შენისაჲ და, უკუეთუ[2] გაგიტევნე[3], დიდი ბოროტი მოწევნად არს ჩემ ზედა. მიუწერო მეფეთა და, ვითარცა ბრძანონ[4], ეგრეცა[5] ქმენ"[6].

და, ვითარცა მიუწერა, უბრძანეს მეფეთა, რაჲთა სამეფოს წარავლინნეს[7]. და ვითარცა აღვიდეს, დიდითა პატივითა მოიკითხნეს იგინი მეფეთა [21] და დიდად აბრალეს და ჰრქუეს, ვითარმედ: „წმიდანო მამანო, ჩუენ დიდი სიყუარული გუაქუს[8] სიწმიდისა[9] თქუენისაჲ, და რაჲ არს ესე, რომელ ესრეთ ივლტით[10] ჩუენგან და[11] უცხოსა ქუეყანასა წარხუალთ?" მიუგო ნეტარმან იოვანე[12] და ჰრქუა: „ღმრთის-მსახურნო და თჳთმპყრობელნო მეფენო! გლახაკი ესე ერის-კაცი ვიყავ სოფელსა შინა მყოფი და თანამდები ყოვლისა ბრალისაჲ და მენება, რაჲთა უცხოებასა[13] სამე წარვიდე და სული ჩემი ვიცხოვნო[14] და გლახჳკებით[15] ვიყოფებოდი[16]. და თუ ვითა მოჰქუდა[17], არა უწყი; მოვიდა თჳსი ჩემი თორნიკ და მისითა გზითა[18] დიდთა შუღლთა[19] შთავვარდი[20] და ერის-კრებასა[21] და მნებავს, რაჲთა ამის ყოვლისაგან თავისუფალ ვიქმნა[22] და სულისა ჩემისა ზრუნვასა შეუდგე".

მრავალთა ჟამ[v]თა[23] დიდითა[24] პატივითა დაიმჭირეს[25] და მერმე დიდითა ქენებითა ძლით დაარწმუნეს მონასტრადვე[26] შექცევაჲ[27] და დიდითა ბოძითა განუტევეს. და ესრეთ კუალად შეიქცა[28] თჳსსავე[29] მონასტერსა[30].

X. და, შემდგომად მცირედისა ჟამისა, ნიკრისისა სენსა შთავარდა და მრავალთა წელთა ცხედარსა ზედა დავრდომილი[31] მდებარე იყო და ფრიადთა ტკივილთა მოითმენდა. და[32] მარადის ჰმადლობდა[33] ღმერთსა და ესრეთ მხიარულ იყო სენსა მას ზედა[34] სატიკსა, ვითარცა საფასესა ზედა დიდძალსა და ვითარცა პატივსა და ნიჭსა სამეუფოსა[35].

და ვითარ იხილა ესევითარი უძლურებაჲ თჳსი, ევედრებოდა მამასა ეფთჳმის[36], რაჲთა მიითუალოს ზრუნვაჲ მონასტრისაჲ. ხო-

---

[1] აქუსთ G. [2] უკეთუ GL. [3] განგიტევნე BCDEFHL, განგიტევე G. [4] ბრძანონ + მეფეთა G. [5] ეგრეთცა EH. [6] ჰქმენ EH. [7] წარიელინნენ BFL, წარიელინენ CDEH. [8] გაქუს L. [9] სიწმინდისა C. [10] იღტჳთ C, ივლტჳთ E. [11] და — C. [12] იოანე G. [13] უცხოებსა D. [14] ვაცხონო CL, ვაცხოვნო FH. [15] გლახაკობით CEHL. [16] ვიყოფებოდე D, ვიყოფოდი G, ეყოფოდე H. [17] მოჰქდა H, მოხდა G. [18] მისითა გზითა] მის გამო H. [19] შუღლთა] შფოთთა CEFGHL. [20] შთავარდი BCDEFGL. [21] ერის-კრებასა] ერის-კაცობასა EH. [22] ვიქნე H [23] ჟამთა]დღეთა EH. [24] დიდთა D. [25] დაიმჭირეს E. [26] მონასტრადვე DF, მონასტერსა L. [27] მიქცევა EH. [28] შეექცა L. [29] თჳსავე D. [30] ~ მონასტერსა თჳსსავე EH. [31] დავრდომით CDEFGHL. [32] და — BD. [33] მადლობდა DEH. [34] ზედა — CEFGHL. [35] სამეფოსა GL. [36] ეფთიმის H.

ლო იგი მოწიწებით აიძულებდა[1] მას, რაჲთა შეუნდოს, რამეთუ ჴძნდა შფოთი ამის სოფლისაჲ[2] და არა თავს-იდებდა შფოთთა [22] შთავრდომად. გარნა ვინაჲთგან[3] შეუძლებელ იყო მამისა მოხუცებულისა და სენთაგან განკაფულისა ურჩებაჲ, უნდა თუ არა, მორჩილ ეჴმნა მას[4], და ვიდრე[5] ჴორცთა-ღა[6] შინა იყო, მორჩილებითა და ბრძანებითა მისითა[7] განაგებდა საქმეთა მონასტრისათა ვითარცა იკონომოსი და თჳნიერ მისისა ბრძანებისა არარას[8] იქმოდა.

XI. მას ჟამსა შინა სანატრელი და წმიდაჲ ბერი იოვანე[9] გრძელის ძე ცხოვნდებოდა[10] ვითარცა უჴორცოჲ[11] დაყუდებით ოთხთა ეკლესიათა ლავრასა შინა. და ეგრეთვე არსენი ნინოწმიდელი[12], კაცი მაღალი სათნოებითა და მუშაკი ქრისტეს მცნებათაჲ, რომელმან-იგი[13] ღმრთისათჳს დაუტევა ეპისკოპოსობაჲ[14] და დავით კურაპალატისა[15] წინაშე მოვიდა[16], ხოლო[17] მან კეთილად მოჳსენებუ[ვ]ლმან[18] ღირსად სიწმიდისა[19] მისისა მოიკითხა და ოთხთა ეკლესიათა წარმგზავნა[20]. და ესრეთ იგიცა დაყუდებით ცხოვნდებოდა[21] თჳსისა მოძღურისა თანა. ამათ უკუე ნეტართა მამათა ჩუენთა — იოვანეს[22] და არსენის — ფრიადი სიყუარული აქუნდა ერთმანერთისაჲ[23] და მრავალ ჟამ იღუწიდეს მუნ[24] კეთილსა მას[25] ღუაწლსა მონაზონებისასა[26]. ხოლო ხედვიდეს[27], რამეთუ, ვითარ-იგი უნდა მყუდროებით ცხორებაჲ[28], ვერ იყოფებოდეს[29], ამისთჳს რამეთუ აწყინებდიან მამასახლისნი და ძმანი მონასტრისანი, და კურაპალატიცა[30] ზედაჲსზედა[31] მიუწერენ და ევლოგიასა წარსცემნ[32], ეგრეთვე ეპისკოპოსნი[33] და აზნაურნი. ამის უკუე მიზეზისათჳს განიზრახეს, [34] რაჲთა წარვიდენ[35] უცხოსა ქუეყანასა. რომლი[ვ][23]სათჳსცა წარვიდეს[36] კერძოთა პონტოჲსათა უდაბნოთა ადგილთა და მიემთხჳნეს[37] მამასახლისსა ვისმე სულიერსა, რომელმან-იგი სიხარულით შეიწყნარნა[38] და მისცა მონასტერი შუენიერი ადგილსა უდაბნოსა, და ყოველსავე საჴმარსა[39] მათსა უხუებით[40] ჴისცემდა.

---

[1] აჲძულებდა A] აღასრულებდა CEFGHL. [2] სოფელის D. [3] ვინადგან G. [4] მას —EH. [5] ვიდრეცა CEFGHL. [6] ჴორცთა CEFGHL. [7] მისითა—L. [8] არა რასა G. [9] იოანე G. [10] ცხონდებოდა CDEH. [11] უხორცო G. [12] ნინოწმინდელი CD. [13] რომელნი-იგი FG. [14] ეფისკოპოზობა FL, ეპისკოპოზობაჲ E. [15] კურატპალატისა CG. [16] მივიდა EH. [17] ხოლო—BCDEFGHL. [18] მოხსენებულმან G. [19] სიწმინდისა C. [20] წარმოგზავნა BCEFGHL, წარმორგზავნა D. [21] ცხონდებოდა DEH. [22] იოანეს G. [23] ერთმანეთისა BCDE. [24] იღუწიდეს მუნ]აღჳდეს მუნ და იღუწიდეს H. [25] მას] მაგას L. [26] მონაზონებისასა D. [27] ხედჳდეს H. [28] ცხოვრება GL. [29] იყოფოდეს CEFGHL. [30] კურატპალატიცა G. [31] ზედასზედან G, ზ'ას ზ'ა CDEFHL. [32] წარსცემენ BDFL. [33] ეპისკოპოზნი E, ებისკოპოზნი DF. [34] განიძრახეს C. [35] წარვიდეს FGL. [36] წარვიდენ H. [37] მიემთხჳნეს BCDG. [38] შეიწყნარა CFGL. [39] საჰმარსა G. [40] უხუებით D, უხუებდით E, უჴუებით L.

და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა ეუწყა მამათა[1] ჩუენთა მათთჳს, ვითარმედ მუნ იყოფებიან[2]. და წარავლინეს ძმაჲ ერთი და მიუწერეს წიგნები[3], ვითარმედ: „წმიდანო მამანო, გუეუწყა სიწმიდისა[4] თქუენისათჳს და ვცანთ[5] მანდა ყოფაჲ თქუენი და ფრიად[6] გულკლებულ[7] ვართ, რომელ არა ინებეთ ამას წმიდასა და სახელოვანსა მთასა მოსლვაჲ[8], რაჲთამცა თქუენი წმიდაჲ ლოცვაჲ მოგუეღო. აწ ვეუედრებით სიწმიდესა[9] თქუენსა, რაჲთა მოხჳდეთ და ერთგან[10] ვიყოფებოდით[11], [v] ვინაჲთგან უწყით, რომელ ჩუენცა უცხოებასა ვართ".

ესე რაჲ აღმოიკითხეს, მათცა გაესუენა[12], და მეორესა ხოლო წელსა[13] ჩამოვიდეს. და[14] ვითარცა[15] ცნეს მამათა ჩუენთა, სიხარულითა აღივსნეს და მადლი შეწირეს ღმრთისა და მოწლედ მოიკითხნეს[16] და სულიერად და ჴორციელად ნებისაებრ მათისა[17] აღაშენნეს[18] და უდაბნოსა ადგილსა სენაკები უშენეს და ღმრთისა სათნოჲთა მოქალაქობითა ცხოვნდებოდეს[19].

XII. ამისა შემდგომად სანატრელმან მამამან ჩუენმან იოვანე[20], პირველთქუმულსა[21] მას სალმობასა შინა განკაფულმან, შეისუენა და ღმრთისა მივიდა, განმდიდრებული ტკჳრთითა სათნოებათაჲთა და ნების-მყოფელი ღმრთისაჲ.

და ეგულებოდა რაჲ აღსრულებაჲ, ყოველი ჴელმწიფებაჲ და უფლებაჲ მამასა [24] ეფთჳმეს[22] მისცა, რაჲთა, რომელიცა განგებაჲ და წესი ენებოს, იგიცა[23] დაუდვას[24] მონასტერსა და მას ზედაცა განკანონოს[25] და შინა და გარე, ვითარცა ენებოს, ეგრეთ განაგოს. და მერმე შემდგომად თჳსა[26] უბრძანა, რაჲთა გიორგის დაუტეოს მამობაჲ, რომელი-იგი თჳსივე იყო მათი, კაცი სახელოვანი[27] და ფრთხილი ჴორციელთა საქმეთა ზედა. და კუალად უბრძანა, რაჲთა გიორგი[28] შემდგომად მისა[29] სხუაჲ დაუტეოს[30] წინამძღუარი, რომელი იპოოს[31] სიტყჳთ და საქმით სხუათა უმჯობესი ძმათა შორის. და ესრეთ განაწესა, რაჲთა თჳთოეული[32] მამასახლისი, შემდგომად

---

[1] მამათა] წმიდათა მამათა EH. [2] იმყოფებიან G. [3] წიგნი G. [4] სიწმინდისა C. [5] ვცანით BCDEFL, ვჰსცანთ G. [6] ფრიად] + და H. [7] გულკლებულ] გლ'ხკებულ EFHL. [8] მოსულა B. [9] სიწმინდესა C. [10] ერთგან L. [11] ეიყოფოდით BCDEFGHL. [12] განესუნა CEH. [13] ~ წელსა ხოლო BCDEH. [14] და — C. [15] ვითარ BCDE. [16] მოიკითხნე B, მოიკითხეს D. [17] ნებისაებრ მათისა — CEH. [18] აღეშენნეს CEH. [19] ცხონდებოდეს DEH. ესე რაჲ აღმოიკითხეს... მოქალაქობითა ცხოვნდებოდეს — FGL. [20] იოანე G. [21] -თქმულსა CFGL. [22] ეფთჳმის CEFGL, ევთიმის H. [23] იგი D. [24] დაუდევს D. [25] განჰკანონოს FGL. [26] თს'სა DG] მისსა EH. [27] სახელოვანი BCDEFGHL. [28] გიორგიმ H] იგი FGL. [29] მისსა DEGH. [30] დაუტეოს BCDEFGH. [31] წინამძღუარი რომელი იპოოს—EH; იპოვოს B. [32] თითოეული BCDEH.

თჳსისა აღსრულებისა[1], სხუასა დაუტეებდეს[2] წინამძღუარსა, ღირსსა და სათნოსა. ხოლო უკუეთუ[3] ვინმე იპოვოს[4] მშლელი[5] განგებასა მამისა ეფთჳმისსა[6] და მაშფოთებელი და წინააღმდგომი ძმა-[v]თაჲ, კრულობითა[7] და შეჩუენებითა საშინელითა განკანონა[8] ეგე-ვითარი იგი და ღმრთისაგან განაგდო და ბრძანა, რაჲთა[9] ეგევითარი იგი[10] მეყსეულად კრებულისაგან განიდევნოს, რაჲთა არა ყოველსა გუამსა კრებულისასა განეზაოს[11] მაკუდინებელი იგი სენი მისი და განმრყუნელი.

და განმგებელად და ეპიტროპად[12] თჳთმპყრობელნი მეფენი განაწესნა და თქუა, ვითარმედ: „ვინაჲთგან მწყალობელი ვინმე და ჴელის-ამპყრობელი და განმგებელი[13] საჭმარ არს, რაჲ ვყო[14] გლახაკმან ამან და უნდომან, რამეთუ, დაღაცათუ კადნიერ არს სიტყუაჲ ესე, არამედ მინდობითა ტკბილსა მას მოწყალებასა[15] და სახიერებასა, რომელი-ესე მათითა წყალობითა და შეწევნითა აღვაშენე ლავრაჲ, მათთაჳე ჴელთა შევჰ[25]ვედრებ[16] და ჩემ თანა[17] მოწაფეთა და მლოცველთა მათთა ეფთჳმეს[18] და გიორგის. რამეთუ დაღაცათუ ყოველსა ქუეყანასა სწყალობენ და ყოველთა გლახაკთა ეურვიან, არამედ[19] ჩუენ უღირსთა ზედა უმეტეს ყოველთასა აჩუენეს წყალობაჲ, ვინაჲცა[20] საძირკუელითგან[21] დიდთა მათ ქუელისმოქმედებათა მათთა მიერ აღვაშენე ლავრაჲ ესე".

ხოლო ძმათა ჰრქუა, ვითარმედ: „თქუენ, სასურველნო და საყუარელნო შვილნო ჩემნო, უკუეთუ მცნებათა ღმრთისათა დამარხვაჲ იღუაწოთ და წესისაებრ და კანონისა საღმრთოჲსა[22] იყოფებოდით[23] და წინამძღუართა მიმართ გაჭუნდეს[24] უზაკუველი[25] მორჩილებაჲ და ურთიერთარს[26] მშჳდობაჲ[27] და ერთობაჲ, მრწამს ღმრთისაჲ,[28] რომელ არარაჲ კეთილი [v] არა მოგაკლოს ღმერთმან, არამედ მეფენი და მთავარნი და ყოველნი კაცნი[29] წყალობად თქუენდა აღძრნეს[30] და უმეტეს[31] და უმეტეს წარემატნეთ. ამიერითგან ნუმცა

---

[1] აღსრულებას B. [2] დაუტეობდეს BCDEFL, დაუტევობდეს G. [3] უკეთუ EGL. [4] იპოოს BCDEFGL. [5] მშლელი — H. [6] ეფთჳმესსა DEFGHL. [7] კრულებთა GHL. [8] განკანონოს BD, განიკანონოს CEFGHL. [9] ეგევითარი იგი... და ბრძანა, რაჲთა — BCDEFGHL. [10] იგი + და BCDEFGHL. [11] განეზაოს BCDEFL, განაზაოს H. [12] ეპიტრობად FL. [13] გამგებელი G. [14] ეჰყო G. [15] მოწყალებასა — G. [16] შეჰვედრებ BDFL, შეჰვედრებ C, შეჰვედრებ EGH. [17] ჩემ თანა] ჩემთაჳე H. თანა+ და D. [18] ეფთჳმის CEFL, ევთიმის GH. [19] არამედ] ვითარმედ CEFGL. [20] ვინაჲცა] ვინათგან BCDEFGHL. [21] საძირკულითგან G. [22] საღთოსა L. [23] იყოფოდით C, იყოფოდეთ G, იყოფებოდეთ L. [24] გაჭუნდის E, გაჭუნდესთ G. [25] უზაკუველი BDG, უზაკველი CFHL. [26] ურთიერთას (+ და C) CEFHL. [27] და მშჳდობაჲ C. [28] ღმრთისაჲ] ღ᷑ი მ᷑რ D. [29] კაცნი—L. [30] აღიძრნეს BCEFGHL. [31] და უმეტეს— CDEFGHL.

ვინ განგაშორებს[1] თქუენ საქმისა ამისგან კეთილისა და ღმრთისა საყუარელისა[2], რომელ არს უზაკუველი[3] მორჩილებაჲ და განუკუეთელი[4] ერთობაჲ და მშჳდობაჲ, რაჲთა ამასცა საწუთროსა[5] უშფოთველი ცხორებაჲ[6] აღასრულოთ და საუკუნესა მას[7] მომავალსა ცხორებაჲ[8] საუკუნოჲ დაიმკჳდროთ კაცთ-მოყუარებითა ქრისტეს მეუფისაჲთა[9]. და იგი სახიერი და მრავალ მოწყალე ღმერთი იყავნ მწყალობელ თქუენდა და წარგიძღჳნ წმიდასა ნებასა მისსა და საღმრთოთა[10] მისთა მცნებათა[11], [26] მეოხებითა ყოლად[12] წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა[13], ა~ნ.

სტუმრის-მოყუარებასა ნუ დაივიწყებთ და, რაჲ ღმერთსა ებოძოს[14], გლახაკთა[15] მიუპყრობდით[16], მსგავსად ძალისა თქუენისა, და მილოცევდით და მაჴსენებდით[17], საყუარელნო შვილნო და ძმანო ჩემნო[18], მარადის, რაჲთა ყოს[19] ღმერთმან[20] წყალობაჲ საწყალობელისა და ცოდვათა შინა განფრდილისა სულისა ჩემისა თანა და შემინდვნეს ყოველნი ცოდვანი ჩემნი. და ეგრეთვე სულიერსა ძმასა ჩუენსა იოვანე[21] სჴნგელოზსა[22], რამეთუ ფრიადითა სარწმუნოებითა მოვიდა ჩუენდა წმიდასა ამას მთასა, და სულიერისა[23] მამისა ჩუენისა ათანასეს[24] საჴსენებელსა[25] წლითი-წლად აღასრულებდით[26] და მოიჴსენებდით წმიდათა ჟამის-წირვათა შინა"[27].

და ვითარცა ესე ყოველი წარმოთქუა და აღწერით დაუტევა, მერმე აკურთხა ნეტარი ეფთჳმე[28] ზეგარდამოჲთა კურთხევითა და ჴელთა შინა[29] მისთა წმიდაჲ სული თჳსი ღმერთსა[30] შეჰვედრა[31] და მშჳდობით მას ზედა დაწვა[32] და დაიძინა, თთუესა[33] ივნისსა ი҃დ, და მეოხ არს ცხო[ν]რებისათჳს[34] სულთა ჩუენთაჲსა.

ხოლო პატიოსანი იგი გუამი მისი ღმერთ-შემოსილმან[35] მამამან ჩუენმან[36] ეფთჳმე[37] ჯეროვნად შემოსა[38] და თჳსაგან დაჰმარხა[39] და ზედა ეკლესიაჲ წმიდათა მთავარანგელოსთაჲ[40] აღაშენა. და რომელნიცა სარწმუნოებით მოუჴდებიან[41], მადლსა და ლხინებასა ღირს

---

[1] განგაშორებს + კაცნი L. [2] სიყუარულისა CEFGHL. [3] უზაკუველი BCD FGHL. [4] განკუთხილი FGL. [5] საწუთოსა BDEFGHL. [6] ცხოვრება GL. [7] მას— H. [8] ცხორებასა BD, ცხოვრება GL. [9] ჴ҃ო~ფისათა CF. [10] საღთოთა DL. [11] ~ მცნებათა მისთა BCDEFGHL. [12] ყოლად — H. [13] წმიდათა FL. [14] ებოძოს] ებრძანოს BCDEFGHL. [15] გლახაკთა — EH. [16] მიპყრობით BCDEFHL. [17] მახსენებდით GH. [18] ჩ~ნო H. [19] ჰყოს G. [20] ღმერთმან—FL. [21] იოანე GL. [22] სჴნგელოზსა] ანგელოზსა BCDEFGHL. [23] სულიერისა] სულისა E, სულსა H [24] ათანასესსა CEF GHL, ათანასესა D] + მოჴსენებასა თანა H. [25] ჴსენებასა D] + მისსა H. [26] აღასრულებდეთ D. [27] და მოიჴსენებდით წმიდათა ჟამის-წირვათა შინა — H. [28] ეფთჳმი E, ევთიმი H, ნეფთჳმე G. [29] შინა — CEFHL. [30] ღმერთსა — D. [31] შეჵედრა D. [32] ~ დაწუა მას ზედა EH. [33] თჳესა BCDEFG. [34] ცხოვრებისათჳს L. [35] ღმერთ-შემოსილმან — H. [36] ჩუენმან — EH. [37] ეფთიმე B, ეფთჳმი E, ევთიმი H. [38] შეჰმოსა FL. [39] დამარხა EHG. [40] მთავარანგელოზთა BCDEFHL. [41] მოუჴდებიან G.

იქმნებიან. რამეთუ ეშმაკეული ვინმე მოუჴდა მას ოდესმე და სუა კანდლისა მისგან, რომელი ეკიდა საფლავსა ზედა მისსა, და მეყსეულად[1] განიკურნა და ადიდებდა ღმერთსა.

XIII. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. რამეთუ, ვითარცა-იგი ზემორე ვთქუთ[2], წარიყვანა სამეუფოჲთ[3] შვილი თჳსი ეფთჳმე[4] მამამან იოვანე[5]. და პირველად ქართული სწავლაჲ ასწავა[6] და მერმე ბერძულად გაასწავლა[7] ყოვლითავე სწავლულებითა[8] სრულებით. და სიყრმითგანვე მადლი ღმრთისაჲ იყო მის[9] ზედა და ღმრთისაგან მიეცა გულისხმის[10]-ყოფაჲ წერილთაჲ და სულისა წმიდისა მადლითა აღივსო. ვითარცა ეუწყა ნეტარსა იოვანეს[11], მამასა მისსა,[12] გამოცხადებითა წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲთა, რამეთუ ჟამსა სიჭაბუკისა მისისასა[13], ვიდრე ყრმაღა იყო, [27] სენითა მძაფრითა შეპყრობილ იქმნა და სიკუდილსა მიეახლა[14], და იტყოდა ნეტარი იოვანე[15], ვითარმედ[16]: „სასოებაჲ წარვიწირე ცხორებისა[17] მისისაჲ, რამეთუ, ვჰგონებდი[18] მეყსა[19] შინა სულთა[20] აღმოსლვასა[21], ვინაჲთგან არცაღა[22] სიტყუაჲ დაშთომილ იყო მის თანა, არცა ჴმაჲ. და ვითარ-იგი შეშფოთებულ ვიყავ, წარვედ ტაძარსა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა[23] და დავვარდი[24] წინაშე ხატსა[25] წმიდისა დედოფლისასა[26] და ცრემლითა მჴურვალითა[27] ვევედრებოდე[28] უხრწნელსა მარადის ქალწულსა ღმრთის-მშობელსა, რაჲთა შემწე ეყოს[29] და ყოს[30] ლხინებაჲ. და ვამცენ მღდელსა[31], რაჲთა მსწრაფლ აღმოვიდეს და აზიაროს ჯორცსა და სისხლსა უფლისასა[32]. და ვითარ-იგი შეშფოთებულ ვიყავ[33] და აღვისწრაფდი[34] ხილვად, თუ რაჲ-ძი[35] იქმნა, განვაღე კარი სენაკისაჲ[36], სადა-იგი დამეტევა მწოლარე, და მეყსეულად[37] ვიყნოსე სული[38] სულნელებისაჲ[39] საკჳრველი, რამეთუ იქმნა მოხედვაჲ წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲ და ვიხილე ეფთჳმე[40], რამეთუ მადლითა მისითა აღდგომილ იყო და ჯდა[41] ცხედარსა ზედა ყოვლით[v]ურთ მრთელი და უვნებელი.

---

[1] მეყსეულად GL. [2] ვსთქუთ DG. [3] სამეფოთ BDF, სამეფოდ G. [4] ეფთჳმი E. ევთიმი H. [5] იოანე G. [6] ასწავლა BCDEH. [7] განსწავლა DH. [8] სწავლებითა FL. [9] მის] მას BCDEFHL. [10] გულისჴმის BCDEFHL [11] იოანეს G. [12]—მამასა მისსა იოვანეს D. [13] მისისსა BC. [14] მიიახლა D. [15] იოანე G. [16] ვითარმედ + კნინღა H. [17] ცხოვრებისა GL. [18] ვგონებდი DE, ვჰგონებდ C, ვგონებდ H. [19] მეყსა]მე ყ˘სა H. [20] სულთა + მისთა H. [21] აღმოსლვასა + და H. [22] არცაღა თუ D, არცა GH. [23] მშობლისასა H. [24] დავარდი CDEFGL. [25] ხატსა — BCDEFGHL. [26] დედოფლისსა B, დედოფლისა CDEFGHL. [27] ჯურვალებითა G. [28] ვევედრებოდი D. [29] შეჴწე იყოს FL] შემეწიოს GH. [30] ჰყოს G. [31] მღუდელსა GH, მღვდელსა L. [32] უფლისასა] ჭ˘ესსა H. [33] ვყავ L. [34] აღვსწრაფდი L. [35] -ძი—H. [36] სენაკისაჲ + მის H. [37] მეყსეულად G. [38] სუნი GH. [39] სუნელებისა CD,სუნნელებისა GH. [40] ეფთვეჱ D, ეფთჳმი E, ევთიმი H. [41] იჯდა H.

და ვითარ-იგი[1] განჰკრთა[2] გონებაჲ ჩემი და[3] ვჰკითხევდ[4] მას, ვითარმედ: „რაჲ არს ესე, შვილო?“, მომიგო და მრქუა მე, ვითარმედ: „აწღა წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქუა ქართულითა ენითა: „რაჲ არს, რაჲ გელმის, ეფთჳმე?[5]“ ხოლო მე ვარქუ, ვითარმედ: „მოკუდები[6], დედოფალო“. და ვითარცა ესე ვთქუ[7], მომეახლა და მიპყრა ჴელსა[8] და მრქუა: „არარაჲ არს ვნებაჲ შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად[9] ჴსნილად უბნობდი“. და აჰა ესერა, ვითარცა მხედავ, ყოვლადვე არღარაჲ მელმის“. და იტყოდა ნეტარი იოვანე[10], ვითარმედ[11]: „მუნ ჟამადმდე ძნიად[12] უბნობნ ქართულად და ფრიად მწუხარე ვიყავ ამის პირისათჳს, ხოლო მიერითგან დაუყენებელად[13], ვითარცა წყაროჲ აღმოდინ უწმიდეს[14] ყოველთა ქართველთასა. ხოლო მე, რაჲ ვიხილე ესე, დავვარდი წინაშე წმიდისა ღმრთის-მშობელისა და მადლი შევწირე[15] სასოჲსა მის ჩუენისა[16] და ვჰმადლობდი[17] და ვადიდებდი ღმერთსა, ამენ[18]“.

ეტყჳნ მამაჲ[19] იოვანე[20], ვითარმედ:[21] „შვილო ჩემო, ქართლისა ჭეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს [28] წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან[22], და ეხედავ,[23] რომელ ღმერთსა მოუმადლებია[24] შენდა. აწ იღუაწე, რაჲთა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“. და იგი, ვითარცა იყო ყოველსავე[25] ზედა მორჩილი, მოსწრაფედ შეუდგა ბრძანებასა მისსა და იწყო თარგმნად[26] და ყოველნივე[27] განაკჳრვნა[28], რამეთუ ეგევითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა[29], არღარა გამოჩინებულ[30] არს ენასა ჩუენსა და ვჰგონებ[31], თუ არცაღა[32] გამოჩინებად არს.

და მრავალნი წიგნნი[33] წარსცნის[34] წინაშე დავით კურაპალატისა[35], რომელნი-იგი იხილნა რაჲ, ვითარცა იყო მორწმუნე, სიხარულითა აღივსო[36] და ადიდებდა ღმერთსა და იტყოდა, ვითარმედ: „მადლი ღმერთსა, რომელმან ჩუენთა ამათ ჟამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა“. და ზედაჲს-ზედა[37] მოუწერნ, რაჲთა თარგმნიდეს და წარსცემდეს[38]. და იგი სანატრელი შეუსუენებელად თარგმნიან

---

[1] ვითარ-იგი] ვითარ H. [2] განკრთა DEH. [3] და — H. [4] ვკითხევდ EHL] [5] ეფთჳმი E, ეეთიმი H. [6] მოვკუდები D. [7] ვსთ[ქ]უ G. [8] ხელსა G. [9] ქართულად] წარვედ BCDEFGHL, + და H. [10] იოანე G. [11] ვითარმედ] ვიდრე CEFGHL. [12] ძნიად] ძნელად H. [13] დაუყენებელად — EH. [14] უწმინდეს C. [15] შევსწირე BDEF GHL. [16] ჩუენისა] ჩემისა FGH. [17] ვმადლობდი BDEFGHL. [18] ამენ — CEFGHL. [19] მამაო B. [20] იოანე L. [21] ვითარმედ — FGL. [22] აკლიან BCDEFGHL. [23] ვჰხედავ C. [24] მოუმადლებიან G. [25] ყოველსავე] ს᷄ყსავე C. [26] თარგმანებად EHL. [27] ყ᷄ოვე D. [28] განაკჳრნა CEL. [29] ~ მათ პირველთასა გარეშე EH. [30] გამოჩენილ EG. [31] ვგონებ DEFHL. [32] არცა BCDEFGHL. [33] წიგნი G. [34] წარცნის D. [35] კურატპალატისა G. [36] ~ აღივსო სიხარულითა EH. [37] ზედასა-ზედა DH, ზედა-ზედა E. [38] წარცემდეს D.

და რაჲთურთით[1] არა სცემდა[2] განსუენებასა თავსა თჳსსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა წიგნთა[3] საღმრთოთასა[4] შურებოდა, რომლისა მიერ დაატკბო ენაჲ ჩუენი[5] და ეკლესიაჲ[6]. რამეთუ თარგმნნა[7] წიგნნი[8] საღმრთონი[9], [v] რომელთა აღრიცხუვაჲ[10] კნინღა-და[11] შეუძლებელ არს,რომელთაგანნი[12] რაოდენნიმე[13] მოვიჴსენნეთ[14], რაჲთა მათ მიერ სხუათათჳსცა ეუწყოს ქრისტეს მორწმუნეთა. რამეთუ არა თუ ულუმბათა[15] და მთაწმიდას[16] ოდენ თარგმნნა[17], რაჲთამცა აღვრიცხუენით[18] თითოეულად[19], არამედ სამეუფოსცა[20] და გზასა და სხუათა ესევითართა ადგილთა.

თარგმნა[21] უკუე[21a] ვითარცა ვთქუთ[22]: თარგმანებაჲ იოვანეს[23] თავისა[24] სახარებისაჲ.

სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისნი[25].

მისივე თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ.

წიგნი წმიდისა კლემაქსისი[26].

წიგნი წმიდისა მაკარისი[27]

მაქსიმეს სწავლანი.

წიგნი წმიდისა ისაკისი, რომელსა შინა არიან სხუათაცა[28] მამათა გამორჩეულნი სწავლანი.

წიგნი წმიდისა დორეთესი.

წამებაჲ და სასწაულნი[29] წმიდისა მთავარმოწამისა დიმიტრისნი.

ცხორებაჲ[30] და წამებაჲ წმიდისა სტეფანე ახლისაჲ.

ცხორებაჲ[31] და წამებაჲ წმიდისა კლემენტოს[32] ჰრომთა[33] პაპისაჲ[34].

წამებაჲ[35] წმიდისა კლიმი ანკჳრელისაჲ.

ცხორებაჲ[36] წმიდისა და[37] დიდისა ბასილი[38] კესარიელისაჲ.

წამებაჲ წმიდისა აკეფსიმაჲსი.

---

[1] რაჲთურთ G. [2] ჰსცემდა G. [3] წიგნსა CEFGHL. [4] საღმრთოსა CDEG HL. [5] დაატკბობდა ენასა ჩუენსა H. [6] ეკლესიასა H. [7] თარგმნა H. [8] წიგნი EG. [9] სამღთონი D. [10] აღირცხუვაჲ A, აღრიცხვა CEL, აღრიცხუა BDFGH. [11] -და— EH. [12] რომელთაგანი FL. [13] რაოდენნი E. [14] მოვიჴსენეთ DFL, მოვიხსენნეთ G. [15] ულუნბათა D, ულუმბოთა FGL. [16] მთაწმინდას C, მთაწმიდასა G. [17] თარგმნა C. [18] ავღირიცხუნით B, აღვირაცხენით D, აღვჰრიცხუნით C, აღვირცხუნით F, აღვრიცხუნით GL, აღჳრიცხუნით H. [19] თჳთეულად C]—EH. [20] სამეუფოსაცა BCDEFGHL. [21] თარგმნნა FGL. [21a] უკუე A. [22] ვსთქუთ HG. [23] იოანეს GL. [24] თავის CDEH. [25] ბასილისანი BE. [26] კლემაქსისა BCEFGHL, კლემექსისა D. [27] მაკარისა CH. [28] სხუანიცა BCDEFGHL. [29] სასწაული EH] სწავლანი L. [30] ცხოვრება GL. [31] ცხოვრება GL. [32] კლემეტოს H. [33] რომთა DH. [34] ~ ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა კლემენტოს ჰრომთა პაპისაჲ, ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა სტეფანე ახლისაჲ H. [35] და წამებაჲ BCDFGL. [36] ცხოვრება GL. [37] და— BCDEFG¬L. [38] ~ ბასილი დიდისა FGL.

ცხორებაჲ[1] წმიდისა გრიგოლ[2] ღმრთის-მეტ[29]ყუელისაჲ და თქუმულნი მისნი[3].

ცხორებაჲ[4] წმიდისა ბაგრატისი.

წამებაჲ წმიდათა მინა-ერმოგინეთი[5].

წმიდისა გრიგოლ[6] ნოსელისა[7] თქუმულნი:[8] შესხმაჲ[9] ძმისა თჳსისა დიდისა[10] ბასილისი და ქალწულებისათჳს, და წმიდისა „მამაო ჩუენოჲსა“ თარგმანი, და წმიდათა მარხვათათჳს, და წმიდისა მოსე[11] წინაჲსწარმეტყუელისა ცხორებისა თარგმანი, სახედ დაყუდებისა, რომელი ძმასა ვისმე ეთხოა[12].

იოვანე[13] მახარებელისა[14] ხილვაჲ და ხილვისა[15] თარგმანი ანდრეა[16] კრიტელისაჲ[17].

თქუმული[18] წმიდისა[19] იოვანე[20] დამასკელისაჲ ორისა ბუნებისათჳს ქრისტესისა.

სხუაჲ წმიდისა ღმრთის-მშობლისა[21] შობისათჳს.

ცხორებაჲ[22] დიდისა ათანასესი.

წამებაჲ წმიდათა[23] სამთა ყრმათა: ალფიოს[24], ფილადელფოს და კჳრინესი.

ცხორებაჲ[25] წმიდისა ონოფრი მძოვრისაჲ[26].

ცხორებაჲ[27] წმიდისა მარიამ მეგჳპტელისაჲ.

სწავლანი წმიდისა ზოსიმესნი.

სწავლანი წმიდისა მამისა ეფრემისნი სარწმუნოებისათჳს.

სჳნაქსარი საწელიწდოჲ[28], უმცროჲსი[29].

მიმოსლვანი და ქადაგებანი წმიდისა იოვანე[30] მახარებელისანი[31].

თარგმანებაჲ გალატელ[v]თა და თესალონიკელთა და[32] ჰრომაელთა[33] ეპისტოლისაჲ[34].

დასდებელნი[35] მარხვათანი სრულიად, და მრავალთა წმიდათა გალობები[36].

---

[1] ცხორება GL. [2] გრიგოლი BCDEFH, გრიგორი G. [3] ~ ცხორებაჲ წმიდისა გრიგოლ ღმრთის-მეტყუელისაჲ და თქმულნი მისნი, ცხორებაჲ წმიდისა და დიდისა ბასილი კესარიელისაჲ, წამებაჲ წმიდისა აკეფსიმაჲსი BCDEFGHL. [4] ცხოვრება GL. [5] -ერმოგენითი H. [6] გრიგოლი H. [7] ნოსელის G. [8] თქმული BCDFGL. [9] შესხმანი BCDEFGHL. [10] დიდისა — H. [11] მოსეს BCDFGL. [12] ეთხოვა BDEH. [13] იოანე GL. [14] მახარებლის BCDEFG, მახარებელის HL. [15] ხილვის BCDEFHL. [16] ანდრია BCDEFGHL. [17] კრიტელისაჲ] კესარიელისაჲ A. [18] თქმული CGL. [19] წმინდისა C. [20] იოანე G. [21] ღუთის-მშობლისა G, ღმრთის-მშობელის L. [22] ცხოვრება GL. [23] წმიდათა — H. [24] ალფიონ BDEFH, ალფონ CGL. [25] ცხოვრება GL. [26] მძოვარისაჲ BCDEFGHL. [27] ცხოვრება GL. [28] საწელიწადო FL. [29] უმცროსი BCDEFGHL. [30] იოანე G. [31] მახარებლისანი G. ~ მახარებელისა იოვანესი EH. [32] და — L. [33] რომაელთა DEH. [34] ებისტოლისა BDEF. [35] დასდებელი D. [36] გალობაები BDEFGHL.

წამებაჲ წმიდისა მოწამისა[1] პროკოპისი[2].
თარგმანებაჲ წმიდისა მათეს[3] თავისა[4] სახარებისაჲ.
მიმოსლვანი და ქადაგებანი წმიდისა ანდრეა[5] მოციქულისანი[6].
სქემის კურთხევაჲ ბერძული და მონაზუნის[7] კურთხევაჲ.
რჩულის კანონი წმიდისა იოვანე მმარხველისაჲ[8] და მეექუსისა კრებისაჲ.
ძეგლის-წერაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ.
ლოცვანი წმიდისა მარტჳლიისანი[9].
წამებაჲ წმიდისა ფებრონიაჲსი.
წამებაჲ წმიდისა ანთიმოჲსი[10] და წმიდისა[11] ვლასისი და ორთა ბევრთაჲ.
წამებაჲ წმიდისა თეოდორე სტრატელატისაჲ[12] და თეოდორე პჰრგელისაჲ[13] და წმიდათა ევსტრატეთი[14]; და წმიდისა ევსტათისი და შვილთა მისთაჲ.
სწავლანი წმიდისა კასიანესნი.
წიგნი დიალოღონი.
წმიდათა მთავარანგელოსთა[15] სასწაულნი.
ცხორებაჲ[16] წმიდისა ნიკოლაოზისი[17].
წიგნი ღმრთის-მეტყუელისა გრიგოლისი[18].
მაქსიმესი[19] რვათა [30] გულის-სიტყუათათჳს.
ბასილის თქუმული კაენის შჳდთა შურის-გებათათჳს.
შუაღამისანი[20] ბერძულნი.
ლოცვანი ბერძულნი მამისანი და კანონნი[21].
ცხორებაჲ[22] წმიდისა დიდისა ანტონისი.
ესე ყოველნი და ამათსა ფრიად უმრავლესნი წიგნნი[23] თარგმანნა[24] ღმერთ-შემოსილმან მამამან ჩუენმან და ესრეთ აღაორძინა მისდა რწმუნებული იგი ტალანტი. და უმრავლესნი ზემოთქუმულთა[25] ამათ წიგნთაგანნი[26] თარგმნნა, ვიდრე-ღა მამაჲ მისი იოვანე[27] ცოცხალ იყო[28] და ყოველი ზრუნვაჲ და საურავი მონასტრისაჲ მას ეტჳრთა. რამეთუ, ვითარცა ზემო ვთქუთ, ნეტარმან იოვანე[29] მრა-

[1] მოწამის BD. [2] პროკოპოსი A, პროკოპისა H. [3] მატთეს L. [4] თავის BC. DEH. [5] ანდრია BCDEFGHL. [6] მოციქულისა EH. [7] მონაზონის CEG. [8] მმარხველისაჲ] მახარებელისა EH. [9] მარტჳლისანი D. [10] წამებაჲ წმიდისა ანთიმოჲსი— H. [11] წმიდისა — BCDEFGHL. [12] სტრატილატისაჲ BCDEFGHL. [13] პერგელისა BCDEFGL. და თეოდორე პჰრგელისაჲ — H. [14] ევსტრათეთი CF, ევსტრათიეთი GL, ევსტათიეთი E. და წმიდათა ევსტრატეთი —H. [15] მთავარ-ანგელოზთა BCD EFHL. [16] ცხოვრება GL. [17] ნიკოზისა CEFH. [18] გრიგოლისა BDEH, გრიგორისა G. [19] მაქსიმეს CEFGHL. [20] შუაღამისნი DG. [21] კანონი EH. [22] ცხოვრება GL. [23] წიგნი E. [24] თარგმნნა CEFL, თარგმნა GH. [25] თქმულთა DGHL [26] წიგნი H. [27] იოანე G. [28] ეყო G. [29] იოანე G.

ვალნი წელნი დაყენა[1] სნეულებასა[2] შინა და იგი ჰმსახურებდა[3] უძლურებასა მისსა დღე[4] და ღამე[5]. და კუალად წინამძღურობასა[6] შინა დაყო ათოთხმეტი[7] წელი და სამასისა სულისა ზრუნვაჲ და დიდისა ლავრისა განგებაჲ და მთაწმიდელთა[8] უფროჲსნი საურავნი მის ნეტარისა[9] მიერ იურვებოდეს[10] და თჳსსა კანონსა დიდსა და მძიმესა [v] ძლიერად აღასრულებდა. და ამის ყოვლისა თანა ქებითსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დააცადებდა, არცა სცემდა[11] განსუენებასა[12] თავსა თჳსსა, არამედ ყოვლადვე იჭირვინ და ღამეთა ათევნ, რამეთუ უფროჲსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან, ვითარცა ვთქუთ, ფრიადისა უცალოებისაგან და საურავთა.

XIV. ვიდრე-ღა მამაჲ[13] იოვანე[14] ცოცხალ იყო[15], მო-ვინმე-ვიდა მონაზონი ჰრომისა[16] ქუეყანისაჲ, კაცი განთქუმული[17] სათნოებითა, რომლისა სათნოებათა წამებდა[18] ქუეყანაჲ ჰრომისა[19] და საბერძნეთისაჲ, ძმაჲ ვენეციტოს დუკისაჲ, წარჩინებული ნათესავით. ესე მოვიდა ეჶუსთა მოწაფეთა თჳსთა[20] თანა მთასა ამას წმიდასა ლოცვად. და ვითარ იხილეს მამათა ჩუენთა მადლითა შემკობილი სახჱ მისი, ვითარცა თჳსი და მეცნიერი ესრეთ მოიკითხეს და სიხარულით შეიწყნარეს და ევედრებოდეს აქა ყოფასა და ეტყოდეს, ვითარმედ: „ჩუენცა უცხონი ვართ და შენცა უცხო ხარ“. და ძლით დაარწმუნეს, რამეთუ ენება, რაჲთამცა ერთგან იყვნეს[21] მონასტერსა შინა. ხოლო იგი, ვინაჲთგან საჩინოჲ [31] კაცი იყო და სახელოანი[22], ვითარცა ცნეს[23] ჰრომთა[24], რომელნი იყვნეს[25] სამეფოს[26] და სხუათა ქალაქთა, მრავალი ერი შემოკრბა, რაჲთამცა[27] მონაზონ იქმნნეს[28] მისგან. მერმე მამათაცა[29] ჩუენთა გააზრახეს[30] წმიდასა მას ბერსა, ვითარმედ: „წმიდაო მაჲაო, ვინაჲთგან ესოდენთა[31] სულთა აცხოვნებ,[32] უმჯობეს არს, რაჲთა[33] მოჰპარსნე და მიზეზ ცხორებისა[34] ექმნა[35] სულსა მათსა და ღმერთსა მიუპყრნე. უწყით, რამეთუ სხუაჲცა ერი მოსლვად არს, რაჲთა[36] სახჱ[37] მონოზონებისაჲ[38] ჴელთა შენთაგან[39] მიიღონ. ჩუენ გიყიდოთ ადგილი და ყოვლითაე საკმრითა[40] შეგეწინეთ“[41]. ხოლო დაღაცათუ უძნდა წმიდასა მას

[1] დაუნა BCDEFGHL. [2] სნეულებათა D. [3] მსახურებდა DFHL. [4] დღჱ A. [5] ღამჱ A. [6] წინამძღრობასა CDH, წინამოძღურობასა L. [7] ათხუთმეტი FGL. [8] მთაწმინდელთა C. [9] მის ნეტარისა] მონასტრისა BCDEFGHL. [10] იურვოდეს CEFGHL. [11] ჰსცემდა G. [12] გასუჱნებასა G. [13] მამაჲ + იყო F. [14] იოანე G. [15] ეყო G. [16] რომისა H, ჰრომის G. [17] განთქმული BCFGHL. [18] ჰწამებდა G. [19] რომისა EH. [20] თჳსთა] მისთა EH. [21] იყუნეს BCGH. [22] სახელოვანი CDEH. [23] ჰსცნეს G. [24] რომთა H. [25] იყუნეს BCGHL. [26] სამეუფოს H. [27] რაჲთა BCDEFGHL. [28] იქმნეს EFH. [29] მამათა CEFH. [30] გააძრახეს C, განაზრახეს H. [31] ესეოდენთა BCDE. [32] აცხონებ G. [33] რაჲთა—BD. [34] ცხოვრებისა GL. [35] ექმნე EH. [36] რაჲთა] რამეთუ D. [37] სახე BCDEFGHL, [38] მონაზონებისა BCDEFGHL. [39] ჴელთაგან შენთა BCDEFGHL. [40] საკმარითა DL. [41] შეგეწიენით FGL, შეგეწივნეთ H.

კაცსა შფოთი და ზრუნვაჲ[1], არა ინება ურჩებაჲ ბრძანებისა მათისაჲ. ვინაჲცა აღაშენა მონასტერი შუენიერი და ძმანი მრავალნი შეკრიბნა და თანადგომითა მამათა ჩუენთაჲთა სრულ-ყო ყოველივე საქმე შენებისაჲ[2]. და ზედაჲს-ზედა[3] მოვალნ იგი ხილვად მათდა, და დაყვნის[4] დღენი მრავალნი, და კუალად მიიქცის თჳსსავე[5] მონასტერსა. და იგი ხოლო მონასტერი არს ჰრომთაჲ[6] დღეს მთაწმიდას[7] და კეთილად და წესი[v]ერად ცხოვნდებიან[8] კანონსა და განგებასა ზედა წმიდისა ბენეტიკტესსა[9], რომლისა ცხორებაჲ[10] წერილ არს დიალოღონსა შინა.

პირველ[11] მოჴსენებულსა[12] მას ღირსსა მღდელსა[13] გაბრიელს ქართველსა და ამას წმიდასა ბერსა დიდსა[14] ლეონს[15] ჰრომსა[16] ფრიადი სიყუარული აქუნდა სულიერი, და ოდესცა მოვიდის ხილვად მამათა, მახლობელად სენაკსა გაბრიელისსა[17] აქუნდა სენაკი, და მუნ დაყვნის[18] დღენი იგი. და თჳსისა ენისაგან კიდე არცა მან[19] იცოდა[20], არცა მან. და ვითარცა შებნელდის, გამოვიდიან თჳსთა სენაკთაგან[21], და ლოცვა-ყვიან[22], და დასხდიან და[23] ვიდრე ცისკრისა[24] რეკადმდე[25] უბნობდიან სიტყუათა საღმრთოთა. და ვიდრე წარსლვადმდე[26] ამას[27] ესრეთ ჰყოფდიან[28] ყოველთა მწუხრთა. და იტყოდეს მამანი ჩუენნი, ვითარმედ:[29] „გარემოჲს მათსა იყვნეს[30] სულიერნი ძმანი და ფიცით დაგუარწმუნეს, ვითარმედ: „ოდესცა მოვიდის დიდი ლეონ[31], მარადის ესრეთ ჰყოფენ[32] იგი და გაბრიელ მღდელი“[33], და წამებდეს, ვითარმედ: „მათისა[34] სიწმიდისაგან[35] ყოველივე შესაძლებელ იყო[36] და სარწმუნო, [32] რამეთუ დიდ იყვნეს[37] იგინი წინაშე ღმრთისა და სრულ.“

XV. მათ დღეთა შინა იყო ვინმე კათალიკოზი თესალონიკეს, საღმრთოჲ და სულიერი, მეგობარი მამათა ჩუენთაჲ, და აქუნდა ჩუეულებაჲ მამასა ეფთჳმეს[38] და მრავალგზის მივალნ მისა[39] და ოდესმე[40] მან მიიყვანის[41] იძულებით. ხოლო იყო თესალონიკეს ჰუ-

---

[1] ძრუნვა D, ზრონვა H. [2] შენობისა H. [3] ზედასა-ზედა BD, ზედას-ზედა CEFHL, ზედას-ზედან G. [4] დაყუნის BCDEFGHL. [5] თჳსავე D. [6] რომთა H. [7] მთაწმინდას C. [8] ცხონდებიან BCDEGH. [9] ბენედიკტესსა BCEHL, ბენედიკტესა D. [10] ცხოვრება BGL. [11] პირველად BCDEFGHL. [12] მოხსენებულსა G. [13] მღვდელსა L, მღუდელსა G. [14] დიდსა — H. [15] ლეონს] ვენევენტოსს H. [16] რომსა H. [17] გაბრიელისა BD. [18] დაყუნის ABCDEFGHL. [19] ამან H. [20] იცოდა + და H. [21] სენაკთგან L. [22] -ჰყვიან CG. [23] და— BCDEFL. [24] ცისკრის BCDEFHL. [25] რეკამდე BCDFL] ლოცუადმდე G. [26] წარსლვამდე D. [27] ამის B. [28] ყოფდიან D. [29] ვითარმედ] ვინაცა CEFGL, ვინცა H. [30] იყუნეს BCGL. [31] ლეონ] ვენევენტოს H. [32] ყოფენ D, ჰყოფენ C. [33] მღუდელი G.1. [34] მათი BD. [35] სიწმინდისაგან C. [36] იყო] არს BCDEFGHL. [37] იყუნეს BCGHL. [38] ეფთჳმის CEFL, ევთიმის H. [39] მისსა BCDG. [40] ოდეს G. [41] მოიყვანის BCDEFL.

რიაჲ ვინმე შჯულის-მეცნიერი, და უნდა კათალიკოზსა, რაჲთამცა მოაქცია იგი ქრისტეანედ[1], და ზედაჲს-ზედა[2] ეუბნებიან. და იყო რაჲ მის თანა მამაჲ ეფთჳმე[3], ევედრა[4] კათალიკოზი, რაჲთა ეზრახოს ჰურიასა მას. და ვითარცა მოუწოდეს, იწყეს ზრახვად შჯულისა[5]. და ვითარცა შეიწრდა და უღონო იქმნა ჰურიაჲ იგი წინაშე ნეტარისა[6] მამისა ეფთჳმესა,[7] იწყო გმობად ქრისტეანეთა[8] უბიწოსა სარწმუნოებასა[9]. და ვითარცა ესმა მამასა ეფთჳმეს,[10] შეწუხნა, და შეჰრისხნა[11] და ჰრქუა მას: „დაიყავნ პირი შენი, ბილწო ჰურიაო“[12]. და მასვე ჟამსა უტყუე იქმნა[13], და გარე-მიექცა პირი მისი. იყვნეს[14] მუნ მდგომარე[15] სხუანიცა ჰურიანი. [v] და შეუვრდეს ფერჴთა[16] მამისა ეფთჳმესთა[17], რაჲთა შეუნდოს. და მან მიუგო, ვითარმედ: „რომელი-იგი გმო, მისგან შეინდოს და სარწმუნოებად მოვიდეს[18], და მე შემინდობია“[19]. და მერმე ევედრა კათალიკოზი, რაჲთა შეუნდოს და ლოცვა-ყოს[20]. და ვითარცა ლოცვა-ყო[21] და ჯუარი დასწერა, მასჲე ჟამსა მოიქცა პირი მისი და სიტყუად იწყო. და მეუსეულად შეუვრდა ფერჴთა[22] მისთა და ქრისტეანე იქმნა და დიდად მორწმუნედ კაცად გამოჩნდა.

სხუაჲცა[23] ვინმე ჰურიაჲ შჯულის[24]-მეცნიერი და სწავლული ფრიად და[25] განთქუმული[26] ცილობასა ზედა, ზუაობითა[27] ჰურიებრიეთა[28] მოუჴდა[29] მამასა ეფთჳმეს[30] და ენება სიტყუად. ხოლო ნეტარსა მას უძნდა საქმე ესე, არამედ ბრძანებითა იოვანესითა იძულა ზრახვად მისა[31]. და ვითარცა იწყო ცილობად და კითხვად, აღუჴსნიდა[32] მას[33] და განუმარტებდა ყოველსავე უაღრეს ცნობისა. და მზაკუვარმან[34] მან, ვითარცა იხილა ძლეულებაჲ თჳსი, იწყო თქუმად[35] სიტყუათა გმობისათა. შე[33]უძნდა ესე სანატრელსა მას და ჰრქუა, ვითარმედ: „უკუეთუმცა[36] სიტყუასა წერილთასა იკითხევდ, განგიმარტეთმცა[37] და, უკუეთუმცა[38] ჩჳენ გუკითხევდ, მიგიგეთმცა[39], ვინაჲთგან კულა გმობასა მაღლისა მიმართ იტყჳ, დაიყავნ[40] პირი

---

[1] ქრისტიანედ G. [2] ზედასა-ზედა RD, ზედას-ზედა CEFHL, ზედაჲს-ზედან G. [3] ეფთჳმი CEFGL, ევთიმი H. [4] ევედრებოდა CEFGHL. [5] სჯულისა DEFHGL. [6] ნეტარისა — G. [7] ევთიმისა H. [8] ქრისტიანეთა G] ჩუენისა H. [9] სარწმუნოებისა FH. [10] ეფთჳმის CEFGL, ევთიმის H. [11] შერისხნა FGL. [12] ჰურაიე G. [13] ექმნა G. [14] იყუნეს BCGH. [15] ძდგომარენი BCDEFGHL. [16] ფერხთა G. [17] ევთიმისთა H. [18] მოვიდის D. [19] შემინდევია H. [20] ჰყოს G. [21] ლოცვა ყო] ილოცა G. -ჰყო D. [22] ფერხთა G. [23] სხუაჲ BCDEFH, სხუა GL. [24] სჯულის CFGHL. [25] და — BCDEFGL. [26] განთქმული DGL. [27] ჰზუაობითა B. [28] ჰურიაებრივითა BDFGL, ჰურიაებრითა E, ჰურიებრითა H. [29] მოუხდა G. [30] ეფთჳმის E, ევთიმის H. [31] მისდა BCDEFGHL. [32] აუჴსნიდა FL, აუხსნიდა G. [33] მას—D. [34] მზაკუარმან BCDFGHL. [35] თქმად CDEGL. [36] უკეთუმცა EL, უკ‹ეთ›უმცა D. უკეთუმცა G. [37] განგიმარტემცა EGH. [38] უკეთუ H, უკეთუმცა GL. [39] მოგიგეთმცა C. [40] დაიყავ BD.

შენი მგმობარი!“ და ვითარცა ესმა, მეყსეულად[1] უტყუ იქმნა[2], და ხვალისა დღე სულნი წარჰკვდეს[3].

XVI. იქმნა[4] ოდესმე გუალვაჲ ფრიადი და[5] მაისი და[5] ივნისი და[5] ივლისი და აგვსტოსი[6] უწყმრად გარდავლო, და დიდად მისჭირ- და ქუეყანასა, ვიდრე-ღა ფურცელი[7] ხეთა და ვენაჭთაჲ[8] გაჴმა[9] და სცჳდა[10], და დიდსა ურვასა შინა იყვნეს[11] კაცნი. არს მცირე მონასტერი მონასტრისა ჩუენისაჲ მთასა ზედა, სადა-იგი შენ არს ეკლესიაჲ წმიდისა ელია წინაჲსწარმეტყუელისაჲ. და ვითარ მოიწია დღესასწაული წმიდისა ელიაჲსი, პირველ დღისა ერთისა უბრძანა მამამან იოვანე[12] შვილსა თჳსსა ეფთჳმეს,[13] ვითარმედ: „წარიყვანენ ძმანი, და წარვედით[14] ეკლესიასა[15] წმიდისა ელიაჲსსა და ღამე ათიეთ და ჟამის-წირვაჲ აღასრულეთ“[16]. და ოდეს [v] ამას უბრძანებდა[17], მრავალნი ძმანი შეკრებულ იყვნეს[18] წინაშე მამისა იოვანესსა[19] და რეცა განცხრომის[20] სახედ უბრძანა, ვითა:[21] „ყრმანო[22], საწჳრები უკუანა[23] წაიღეთ[24], რამეთუ ვესავ ღმერთსა, რომელ არა შევიქცეთ[25] ამაოდ“. წარვიდეს და ღამე ათიეს. და ვითარ მოიწია ჟამის-წირვისა ჟამი[26], შეიმოსა წმიდაჲ მამაჲ ჩუენი[27] ეფთჳმე[28]. და ვითარ იწყეს ლოცვად, პირველ[29] სახარებისა[30] წარკითხვისა გამოჩნდა მცირე ღრუბელი ერისონსა[31] ზედა, და მასვე ჟამსა აღივსო ცაჲ ღრუბლითა და ვიდრე ჟამისა ზიარებადმდე შეიქმნა წჳმაჲ საშინელი, და დაათრო ყოველი ქუეყანაჲ. და ვითარცა იხილეს ესე, ღმერთსა ჴელაპყრობით[32] ჰმადლობდეს; და ვითარცა ჟამის-წირვაჲ აღასრულეს[33] და საზრდელი მიიღეს, წარმოვიდეს შინა. და რომელთა ძმათა აქუნდა საწჳრები, მოლხინებით შთამოვიდეს მონასტრად, ხოლო რომელთა არა აქუნდა, — შრომით და ჭირით. და ესრეთ ორნივე ჰმადლობდეს[34] ღმერთსა და ნეტარსა მამასა იოვანეს[35].

XVII. [34] ოდესმე ინება წმიდამან მამამან ჩუენმან ეფთჳმე[36] აღსლვაჲ[37] მთასა ათონისასა ფერის-ცვალებად და, ვითარცა არს წესი მთაწმიდელთაჲ[38], ერი ფრიადი შეკრბების თხემსა ზედა მთისასა[39]

---

[1] მეყუსეულად G. [2] აქმნა E. [3] წარჰკდეს BCDEFHL, წარხდეს G. [4] ექმნა G. [5] და — D. [6] აგვსტო G. [7] ფურცელნი D] ჴორცელი FL. [8] ვენახთა G. [9] განჴმა BCDEFH, განხმა G, განიჴმა L. [10] ცჳდეს EH. [11] იყუნეს BCGH. [12] იოანე G. [13] ეფთჳმის E, ევთიმის H. [14] წარვედ BCDEFGHL. [15] ეკლესიად BCDEFGH, ეკკლესიად L. [16] და ჟამის-წირვაჲ აღასრულეთ — BCDEFGHL. [17] უბძანებდა H. [18] იყუნეს CGH. [19] იოვანესა DH, იოანესსა G. [20] გ̾ნცხროს H. [21] ვითარმედ H. [22] ყრმაო G. [23] უკანა BDEFGHL. [24] წარიღეთ CEGH. [25] შეიქცეთ H. [26] ჟამი— H. [27] ჩ̾ი B. [28] ეფთჳმი E, ევთიმი H. [29] პირველად C. [30] სახარების EHG. [31] ერისონს BCDEFGHL. [32] -აღპყრობით BG, -განპყრობით H. [33] აასრულეს D. [34] მადლობდეს DG. [35] იოანეს GHL. [36] ეფთჳმი E, ევთიმი H. [37] აღსლვად EH. [38] მთაწმინდელთა C. [39] მთისსა B.

ამას დღესასწაულსა და[1] ღამესა ათევენ. და ვითარ ღამე[2] განათიეს[3], და მოიწია ჟამი ჟამის-წირვისაჲ[4] და შეიმოსა წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳმე[5] და სხუანი მღდელნი[6] მის თანა, და ვითარცა სიწმიდე შეიყვანეს და „წმიდა არსი“ აღიღეს, იხილეს[7] მამაჲ ჩუენი ეფთჳმე[8] ვითარცა ცეცხლი მგზებარე[9]. და ზარმან შეიპყრნა[10] ყოველნი. და მასვე ჟამსა ისმა ჴმაჲ ვითარცა ყივილი ერისა მრავლისაჲ, და შეიძრა მთაჲ იგი ძრვითა[11] დიდითა, და ყოველნივე პირსა ზედა დაეცნეს. და ვითარცა აღადგინნა[12] იგინი მამამან ეფთჳმე[13], შიშისაგან ვითარცა მკუდარნი იყვნეს[14]. და ვითარ იხილნა ესრეთ შეძრწუნებულნი, ჰრქუა მათ: „ნუ გეშინინ, ძმანო, რამეთუ მოხედვაჲ საღმრთოჲ[15] იქმნა, და ქრისტემან თჳსი დღესასწაული ადიდა“. ხოლო მათ ყოველთა ნუგეშინის-ეცა[16] და მისცეს[17] დიდებაჲ ღმერთსა. 5ა

XVIII. [v] საყდართა შორის საკათალიკოზოთა საჩინო არს და წარჩინებულ საყდარი წმიდისა ეპიფანე კჳპრელისაჲ[18]. და ჟამთა ბასილი მეფისათა ოდესმე აღესრულა მთავარეპისკოპოსი[19], რომელი იყო მუნ. და ფრიად აიძულა მეფემან ნეტარსა ეფთჳმეს[20], რაჲთა მიითუალოს განგებაჲ მისი. ხოლო მან ყოლადვე არა თავს-იდვა, რამეთუ ყოვლითა მოსწრაფებითა ეღტოდა დიდებასა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა შეიტკბობდა.

XIX. და ვითარცა იყო ნეტარი მამაჲ ჩუენი ეფთჳმე[21] საესე ზეგარდამოჲდთა მადლითა, ეგრეთვე საღმრთონი[22] წესნი და განგებანი დაესხნეს მონასტერსა თჳსსა: პირველად წესნი ეკლესიისანი[23] და განგებანი ყოვლისა წელიწდისანი, ვითარცა[24] წერილ არს დიდსა სჳნაქსარსა სრულებით[25] და დაუკლებელად[26].

1. და მარადის ევედრებინ[27] ძმათა, რაჲთა მოსწრაფე იყვნენ[28] მისლვად ეკლესიად და წესიერად დგომად და მჴურვალედ[29] ლოცვად. და თჳთ მის ნეტარისა საყოფელი სიმაღლესა იყო, [35] გოდოლსა ზედა მაღალსა, და ვერვინ ვერ[30] მიუსწრის[31] ცისკრისა ლოცვასა, და თჳნიერ კუერთხისა და კედელსა[32] მიყრდნობისა დგან იგი ეკლესიას[33] ყოვლითა მოსწრაფებითა და კრძალულებითა. და ოდეს

---

[1] და — BCDEFGHL. [2] ღამე BCDEFGHL. [3] განათივეს G, გაათიეს C. [4] ჟამის-წირვისაჲ] წირვისა H. [5] ეფთჳმი E, ევთიმი H. [6] მღდელნი GL. [7] იხილვა H. [8] ეფთჳმი E, ევთიმი H. [9] მგზებარე BCDEFGHL. [10] შეიპყრა G. [11] ძვრითა D. [12] აღადგინა E. [13] ეფთჳმი CE, ევთიმი H. [14] იყუნეს BCGH. [15] საღთო L. [16] ნუგეშინი-სცა EH. [17] მისცა EH. [18] კიპრელისა G. [19] -ებისკოპოზი F, -ებისკოპოზი EL. [20] ეფთჳმის E, ევთიმის H. [21] ეფთჳმი CDE, ევთიმი H. [22] საღთონი L. [23] და განგებანი... ეკლესიისანი—FGL. [24] და ვითარცა L. [25] სრულებით] საძიებელით G. [26] უკლებელად CDFHL. [27] ევედრებიან F. [28] იყუნენ BCGH. [29] მხურვალედ G, მჴორვალედ H. [30] ვერ — CDEFGHL. [31] მოუსწრის H. [32] კედლს BCDEFGHL. [33] ეკლესიასა BCDEFGHL.

მცირე რაჲმე საქმე[1] არნ, მოწაფესა თჳსსა საიდუმლოდ უბრძანის, და იგი წარვიდის. და გინა თუ იკონომოსისადა ებრძანის[2], გინა თუ პარიკონომოსისადა[3], მოზიდნის[4] ნელიად და შტოსა[5] გაიყვანის[6] და მუნ უთხრის ბრძანებაჲ მამისაჲ. და ოდეს რაჲმე დიდი იყვის, თჳთ გავიდის[7] შტოსა[8], და დაიუბნის[9]. ეკლესიასა კულა შინა ყოლადვე უბნობასა ვერვინ იკადრებდა.

2. და[10] დაღაცათუ ძმანი კედელსა თანა დგიან, გარნა კედელსა არავინ მიეყრდნობინ[11], რამეთუ იგინიცა მას ნეტარსა ჰბაძვიდეს მსგავსად ძალისა.[12] ჰაბუკთადა გაეწესა[13] საშოვალ[14] ეკლესიასა[15] დგომაჲ და ორკეცად[16] და სამკეცად[16a] დგიან[17] ჴელმოჭდობით და მოწიწებით. და სკამები საშოვალ[18] დადგიან და ოდეს ჯერ-არნ[19] [v] ეგრეთვე ორკეცად[20] და სამკეცად[20a] დასხდიან. და დეკანოზი ოდეს აწუევნ ანუ მნათჱ[21] გინა წიგნის კითხვასა, გინა წარდგომასა, გინა თუ რომელსაცა[22] სამსახურებელსა ეკლესიისასა, გუერდით მივიდის და თაყუანის-სცის[23], და უთხრის[24], რომელ მას ოდენ ესმინ, და მან თაყუანის-სცის[25], და წარემართის თჳსსა მსახურებასა.

3. ორნი ეპიტირიტისნი[26], რომელ არიან დამხედვარნი, დაედგინნეს, კაცნი საღმრთონი და ღჳრთის-მოშიშნი[27], ერთი უხუცესი და ერთი უმრწემესი[28] მისა[29] ქუეშე[29a], რომელსა წარავლინებნ სენაკებსა ძმათასა და მოიყვანებნ[30] შინა დაშთომილთა. უკუეთუ ვინმე არა მოვიდის დაწესებულთა ზედა ცისკრისასა[31], განკანონის[32] ჯეროვნად, ვითარცა განეწესა მამასა. და[33] რომელნი ძლიერად შურებოდიან[34] დღე[35] ყოველ, და არა მოეცალებინ ძილი, ღრისი იგი შრომაჲ მათი ლოცვადვე დაუთუალის[36]. რომელნი[37] კულა ანუ მოცალებით იყვნიან[38] ანუ სუბუქთა სამსახურებელთა, გინა თუ ხუცესნი გინა თუ დიაკონნი გინა თუ მჳა[36]მობელნი[39], უკუეთუ[40] ჰაბუკნი იყვნიან[41], ასი მუჴლი[42] მოადრეკიის[43] საკურთხეველსა წინა, უკუე-

---

[1] საქმე — BCDEFGHL. [2] უბრძანის D. [3] პატრიკონომოსისა BCDEHL, პატრიკომონოსისა FG. [4] მოიზიდნის D. [5] სტოასა H. [6] განიყუანის BDGH, განიყვანის CEFL. [7] განვიდის CFGHL. [8] შტოდ BCDEFGL, სტოად H. [9] იუბნის BCDEFGHL. [10] და—BCDEFGHL. [11] მიეყრდობინ A, მიეყრდნობიან D, მეეყრდობიან FL, მიეყრდნობისნ G. [12] რძალისა D. [13] განეწესა CEFGHL. [14] საშუალ BCD EFGHL. [15] ეკლესიისა BCDEFGHL. [16] ორკეც G. [16a] სამკეც G. [17] ~ დგიან და სამკეცად EH. [18] საშუალ BCDEFGHL. [19] არიან BDH. [20] ორკეც G. [20a] სამკეც G. [21] მნათე BCDEFGH] მანვე L. [22] რომელსა CEFGL, რომელსამე H. [23] თაყუანისცის CDEFGH, თაყვან-სცის L. [24] და უთხრის — H. [25] თაყუანისცის BCDEF GHL. [26] ეპიტრიტისნი H. [27] ~ კაცნი საღმრთონი და ღმრთის-მოშიშნი (-მსახურნი E) დაედგინნეს CEFGHL. [28] უმრწამესი C. [29] მის BCDEFGHL. [29a] ქუეშე A. [30] მოიყუანებენ BD. [31] ცისკრისათა H. [32] განიკანონის BCDEFGHL. [33] და — BCDEFGHL. [34] შურებოდინ H [35] დღე A. [36] დაუთვალის DG. [37] რომელი H. [38] იყუნენ BCH, იყვნენ DFL. [39] მჳამობელნი C. [40] უკეთუ HGL. [41] იყუნიან BCD GHL. [42] მუხლი G. [43] მოადრეკინის CFGH, მოიდრეკინის L.

თუ[1] კულა[2] ბერნი და უძლურნი იყვნიან[3], უღჳნობაჲ და უსა[ჭ]მელობაჲ განუწესის მას დღესა შინა.

4. ლოცვასა ყოლადვე ეკლესიისა კართა[4] თანა დგანნ[5] უხუცესი ეპიტირიტისი და გამავალთა[6] ძმათა ჰკითხავნ მიზეზსა განსლვისასა[7], უკუეთუ[8] რაჲმე დიად[9] საჭიროჲ საქმე არა აქუნ, ვერვინ იკადრის განსვლაჲ. ხოლო უკუეთუ[10] რაჲმე საჭიროჲ იყვის, უთხრის ეპიტირიტისსა[11], და კუალად მოსწრაფედ შეიქცის. უკუეთუ კულა დაეყოვნის, დიდად აბრალის და დაუმოწმის, ვითარმედ: „ამას ნუღარა[12] იქმ!“ და უკუეთუ კულა ქმნის-ღა, სატრაპეზოს არა[13] შეუშჳს, არამედ ჴმელისა[14] პურისა ჭამაჲ განუწესის მას დღესა, ანუ ასი მუჭლი მოადრეკიის[15].

5. მშრომელთა და მაშურალთადა[16] განეწესა[17] მამასა, და შემდგომად დაწესებულთა წარვიდიან, და გამოისუენიან[18] ვიდრე მეორედ რეკადმდე, და მერმე კუალად ეკლესიადვე[19] მოვიდიან. უკუეთუ[20] კულა დაჴსნდიან[21] [ν], ეპიტირიტისთა[22] მოიყვანიან[23].

6. უკუეთუ ვიეთნიმე[24] შეილალნიან ძმანი, მოუჴმის[25] მამამან[26] და ნახნის, და ბრძანებასა მისსა არა ურჩ ექმნებოდეს, მშჯდობაჲ[27] ქმნიან. უკუეთუ კულა გულფიცხელნი იპოვნიან და მასვე ზედა დაადგრიან, განეწესა, რომელ ვიდრე დაგებადმდე ტრაპეზსა ვერ შევიდენ[28] და[29] პურსა ხოლო და წყალსა იჴმარებდენ[30], ხოლო უკუეთუ წინამძღუარი არა არნ, იკონოჩოსმან განკანონნის[31].

7. ოდესცა ეკლესიას[32] შევიდოდიან[33] — პირველად მამაჲ ეფთჳმე[34] და მერმე ძმანი ყოველნი — ვიდრე მუჭლთა ზედა არა მოდრკიან, და თაყუანის-სციან[35] წმიდასა ღმრთის-მშობელსა, რომელ არს ბჭეთა ზედა, არა შევიდიან. და ოდესცა მამასა წინა წაუვლიდიან[36] ძმანი — გინა ეკლესიას[37] გინა სადაცა — ვიდრე არა მოდრკიან, და თაყუანის-სციან[38] მდაბლად[39], არა წარჰვლიდიან[40]. და ეგრეთვე ნე-

---

დაცკვეს[1] წინაშე მისსა რეცა მომჰირნედ[2], და ჰრქუეს[3] მას: „შეგუეწიენ[4], წმიდაო მეუფეო[5], და გკჳსნენ დიდისა ჰირისაგან, და[6] განგუათავისუფლენ[7] კაცთაგან ამაოთა და უცხოთესლთა, რამეთუ არს მონასტერსა შინა ჩუენსა ვითარ სამეოცი[8] კაცი, რომელნი[9] ქართველად სახელ-იდებენ[10] თავთა თჳსთა და არა უწყით[11], თუ რასა ზრახვენ[12], ანუ რაჲ არს სარწმუნოებაჲ მათი. და ესრეთ დორიასად[13] ზოგი მონასტრისაჲ დაუპყრიეს“. და ესმა რაჲ ესე პატრეაქსა[14], დაუკჳრდა[15] და ჰრქუა მათ: „და ვითარ ეგების ესე[16], რომელმცა[17] ქართველნი არა[18] მართლმადიდებელნი[19] იყვნეს“, რამეთუ[20] წუთ უმეცარ იყო ნათესავსა ჩუენსა[21]. ხოლო იგინი დაუმტკიცებდეს და რეცა უკეთურებისა საფარველად ჰრქუეს[22] მას, [32] ვითარმედ: „არა უწყით[23], თუ ქართველნი[24] არიან ანუ სომეხნი და ვერცა ხუცესი მათი ჟამსა წირავს[25] მონასტერსა შინა ჩუენსა“.

ხოლო ესე მართალი თქუეს, რამეთუ ვიდრე აქამომდე მრავლით ჟამითგან ქართველი ხუცესი სჳმეონ-წმიდას[26] ჟამსა ვერ წირვიდა ამის მიზეზისათჳს, რამეთუ რომელსამე ჟამსა სოფლური ვინმე ხუცესი ახლად ჩამოსრული წმიდისა სჳმეონის[27] სუეტსა[28] ზედა გასრულ[29] იყო ჟამის-წირვად ქალამნითა და საბეჭურითა თჳნიერ[30] სამღდელოჲსა[31] შესამოსლისა[32], ვითარცა იყო პირველად წესი ჩუენი, და ამისთჳს არა უტეობდეს[33] ქართველსა ხუცესსა ჟამის-წირვად, არამედ განეწესა[34], რაჲთა მათ თანა[35] ეზიარებოდინ[36]. და ნუ ვინ ჰგონებს[37], თუმცა სხუაჲ რაჲმე მიზეზი ყოფილიყო. და კაცთა მათ ამაოთა პატრეაქსა[38] ესე გააგონეს, ხოლო იგი განცკრდა[39] ამას ყოველსა ზედა და ჰრქუა მათ: „არა[40] ვინ[41] არსა[42] ნათესავსა მათსა[43] შორის[44] ბერძულისა ენისა მეცნიერი და[45] წერილთა[46]

---

[1] დასცკვეს C, დაცკვს EK. [2] მომჳირედ I. [3] ჰქუა I. [4] შეგეწიენ K] შეგჳწყალენ G. [5] მეფეო EK. [6] და — B. [7] განვათავისუფლენ I. [8] სამოცი C. [9] რომელნი—BCDEFGL. [10] სახელს დებენ BCDEFL, სახელ ჰსდებენ G, სახელ ედებიან I. [11] უწყიან BCDFGL. [12] ჰზრახუნ G. [13] დიორასად I, დარიასად K. [14] პატრიაქსა BCDEFGL, პატრიახსა G. [15] დაუკჳრდა — E. [16] ესე] ეგე G. [17] რომელთამცა AK, რ̃ამცა I. [18] არა] აქა I. [19] მართმადიდებელნი I. [20] რ̃] ხოლო L. [21] ნათესაებსა ჩუენისა BCDEFGL. [22] ჰრქუა BI. [23] უწყით — E. [24] ქართველი BFL. [25] სწირავს CEGI. [26] სიმეონ-წ̃ს G, სიმონ-წ̃ას I, სჳმონ-წ̃ას K. [27] სჳმეონის B, სიმეონის G. [28] სუეტსა] საყდარსა I. [29] განსრულ K. [30] თჳნიერ A. [31] სამღუდელო I. სამღვდელო K. [32] შესამოსლითა K. [33] უტევებდეს BCFGL. უტევებდა D. [34] განუწესა I. [35] თანაჲე CDFGL. [36] ეზიარებოდიან BCDFGL, ეზიარებოდენ E. [37] გონებენ K. [38] პატრიაქსა BCDEFL, პატრიაჭთა I, — G. [39] განცჳფრდა BCDEFGIKL. [40] არა] არს AK, არსა I. [41] ვინმე I. [42] არს E,—I. [43] მათ I. [44] ~ შორის მათსა FGL. [45] და + სწაელულთა და K. [46] წერილთა—I.

სწავლული[19]“ ხოლო მათ უნდა თუ არა, აღიარეს, ვითარმედ: „ჰე[2], არს[3] ერთი ვინმე მონაზონი ღრამატიკოსი[4] და[5] ბერძულთა წიგნთა ქართულად[6] თარგმნის“.

მაშინ პატრიაქმან მსწრაფლ ბრძანა მოყვანებაჲ[7] ბერისაჲ[8]. ხოლო ვითარცა შევიდა ბერი წინაშე მისსა[9], მოიკითხა[10] პატივით[11] და უბრძანა დაჯდომაჲ და იწყო უბნობად ბერისა ღმრთივ-სულიერთა წიგნთაგან[12]. და რასა-იგი ჰკითხვიდა[13], ყოველსავე ღმრთივ-შუენიერად მიუგებდა. მაშინ გულისჴმა-ყო[14] პატრიაქმან, ვითარმედ მადლი ღმრთისაჲ დამკჳდრებულ არს მის თანა და პრქუა ესრეთ ბერსა: „პატიოსანო მამაო, კურთხეულ არს ღმერთი, რომელ ვიხილე სიწმიდე შენი. და აჰა ესერა, გხე[v]დავ[15] მოწყალებითა ღმრთისაჲთა[16], დაღაცათუ ნათესავით[17] ქართველი ხარ[18], სხჳთა კულა[19] ყოვლითა სწავლულებითა სრულიად[20] ბერძენი[21] ხარ. ხოლო მითხარ ნათესავისა შენისათჳს[22], არს რაჲ ნაკლულევანებაჲ მართლისა[23] სარწმუნოებისაჲ მათ თანა გინა ურთიერთარს[24] განყოფილებაჲ მათ შორის და ჩუენ შორის“?

ხოლო ნეტარმან მან გამოისახა სასწაული პატიოსნისა ჯუარისაჲ[25] პირსა თჳსსა და იწყო წარმოთქუმად მართლისა სარწმუნოებისა[26] ესრეთ, რომელ[27] განაკჳრვნა[28] მსმენელნი[29], რამეთუ სული წმიდაჲ იტყოდა პირით მისით. მაშინ პატრიაქმან ბრძანა: „კურთხეულ არს ღმერთი! ვიეთნიმე ნაკლულევანებასა[30] სწამებდეს[31] ქართველთა, და[32] აჰა ესერა მრავლითა სახითა უზეშთაეს[33] იპოვნეს ჩუენსა და უფროჲს ხოლო ქალწულებითა, რომელი[34]-იგი მაღლად უპყრიეს მათ“. და[35] ყოველნივე ეწამებოდეს, რამეთუ იყვნეს მეტროპოლიტნი[36] და ებისკოპოსნი და წარჩინებულნი ანტიოქიისანი[37]. ყოველთავე ადიდეს ღმერთი და წმიდასა ამას[38] ქებაჲ შეასხეს და ნეტარებაჲ.

---

[1] სწაელილი B, ჰსწავლული G. [2] ჰე — I. [3] არის BCDEFGL. [4] ღრმამტიკოსი, B DFL, ღრმამ~ტიკოსი C, ღრამმტიკოსი E, ღრმატიკოსი GI. [5] და — BCDEFGL. [6] ქართლად K. [7] მოყვანებაჲ + სისი I. [8] ბერისI. [9] მისა I. [10] მოიკითხეს BCDEFGL. [11] პატივითა BCDEFGL. [12] წიგნთაგან] წიგნთა შ~ა I. [13] კითხვიდა IK + და I. [14] ჰყო BG. [15] ჴედავ I. [16] ღ~ჲთა] უფლისათა I, — BC. [17] ნათესავი CDEFGL. [18] — ხარ ქართველი CDEFGL. [19] კულა — CDEFGL. [20] ს~დ — I. [21] ბრძენი K. [22] შენისათჳს + ხოლო მითხარ ნათესავისა შენისათჳს D. [23] მართლისა — DEFGL] მონათლჳსა B, მონათვლისა C. [24] ურთიერთას BCDFL, ურთერთას E. [25] ~ ჯუარისა პატიოსნისა FGL [26] სარწმუნოებისა + მათ თანა K. [27] რომელ + რ~ლ K [28] განაკჳრნა I. [29] სმენელნი I. [30] ნაკლულევნებასა B. [31] ჰსწამებდეს G. [32] და —BC DEFGL. [33] უზესთაეს I. [34] რ~ი] რამეთუ C. [35] და — BCDEFGL. [36] მიტრაპოლიტნი BCDEFL, მიტროპოლიტნი GIK. [37] ანტიოქისანი ABK. [38] მას BCD EFGL.

ხოლო პატრიაქმან ცუდის[1]-მზრახთა[2] მათ და ამაოთა კაცთა სჯმეონ-წმიდელთა[3] ფრიად შეჰრისხნა[4] და კანონსა ქუეშე საეკლესიოსა შეყარნა და სხუასაცა[5] მრავალსა[6] ძჯრსა უთქუმიდა. ხოლო ნეტარმან მან[7] უხჯიშნა[8] პატრიაქისაგან და განუტევნეს. და რომელსაცა რეცა სავნებელად ჩუენდა ჰგონებდეს[9], ესე ჩუენდა სარგებელად იქმნა[10]. და სარწმუნოებაჲ ჩუენი ღმრთივ-ბრწყინვალედ [33] იქადაგა. და[11] მიერითგან დაეწესა, რაჲთა ქართველნი სჯმეონ-წმიდასა[12] ჟამსა წირვიდენ[13]. რამეთუ ყოველნი მეცნიერ ხართ, ვიდრე ამის ნეტარისამდე ჟამსა, ვერ[14] წირვიდეს.

XVIII. და[15] ესე რაჲ ესრეთ ღმრთივ-ბრწყინვალედ აღასრულა და განაგო; და კუალად სხუაჲ საქმე წინა უყო პატრიაქმან ფრიად დიდი და მაღალი, რამეთუ კაცთა ვიეთმე მრავალღონეთა და მანქანათა[16] მოაჩსენეს და აუწყეს პატრეაქსა[17], ვითარმედ: „ვითარ ესე, მეუფეო[18], რომელ ეკლესიანი და მღდელთ-მოძღუარნი[19] ქართლისანი არა რომლისა პატრიაქისა[20] ჴელმწიფებასა[21] ქუეშე არიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან და თჳთ დაისუმენ[22] კათალიკოსთა[23] და ებისკოპოსთა. და არა სამართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა. და ჯერ-არს, რაჲთა[24] ქალაქსა ამას[25] ღმრთისასა[26] და საყდარსა[27] მოციქულთა თავისასა დაემორჩილნენ და ამისსა[28] ჴელმწიფებასა[29] ქუეშე იყვნენ. რამეთუ ნათესავი არს უმეცარი და სამწყსოჲ მცირე; და ჩუენდა მახლობელად არიან და ჯერ-არს, რაჲთა ჴელმწიფებასა[30] ქუეშე ანტიოქელი[31] პატრეაქისასა[32] იმწყსებოდინ[33] და აქა იკურთხეოდის[34] კათალიკოზი მათი და ვიყვნეთ ჩუენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს".

ესე ყოველი განიზრახეს[35] და დაამტკიცეს რეცა უმეცრებისა ჩუენისათჳს. ხოლო წინააღმდგომი შეემთხჳა[36], რამეთუ იწყო პატ-

---

[1] ცოდის K. [2] მზრახვალთა CDF, მზრახველთა EGL. [3] სიმეონ-წ˘დელთა G, სჳმონ-წმინდელთა I, სჳიმონ-წმიდელთა K. [4] შერისხნა BEGIK. [5] სხუასა E. [6] მრავალსა] მისავალსა K. [7] ამან BCDFGL. [8] უხოიშნა BCDEFGL, უხვეიშნა I. [9] გონებდეს K. [10] ქმნა L. [11] და — BCDEFGL. [12] სიმეონ-წმიდას G, სჳიმონ-წმინდას K. [13] სწირვიდენ E, სწირვიდეს K. [14] ვერ] ვერვინ BCDEFGL. [15] და + ესრეთ ესრეთ და K. [16] მანქანებათა I. [17] პატრიაქსა BCDEFGIL. [18] მეფეო K. [19] მღდელ-მოძღუარნი C. [20] პატრიარქისა G, პატრეაქისა K. [21] ჴელმწიფებისა I, ჴელმწიფობასა L. [22] დაისმენ BCDEFGL. [23] კათალიკოზთა BCDFIL, კ˘ზთა E, კათოლიკოსთა G. [24] რაჲთა — I. [25] მას I. [26] ღმრთისა FJL. [27] საყდართა CDEFGL. [28] ამის CDEFGL, მისსა I. [29] ჴელმწიფებისა E, ჴელმწიფობასა L. [30] ჴელმწიფობასა L. [31] ანტიოქელისა B. ანტიოქიისა CDE, ანტიოქიისასა FL, ანტიოქიის G, ანტიოქელ I. [32] პატრიაქისასა BCDEFGL, საპატრიაქოს I. [33] იმწყსებოდიან E, იმწყსებოდენ G. [34] იკურთხეოდეს B. [35] განიზრახეს] თქუეს I. [36] შეემთხჳა G.

რიაქმან[1] სიტყუად ბერისა, ვითარცა[2] ესერა აღგჳწერია[3], და ეტყოდა რომელსამე[4] [v] ლიქნით და რომელსამე მართლად[5], ვითარმედ: „შენ[6], ჲ ნეტარო მამაო, დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა[7] და მეცნიერებითა[8] ჩუენივე[9] სწორი ხარ. ჯერ-არს, რომელ[10] ეკლესიანი და მღდელთ-მოძღუარნი თქუენნი ჴელსა[11] ქუეშე სამოციქულოჲსა ამის საყდრისასა იმწყსებოდინ[12], და ჰმართებსცა[13] ესრეთ მიზეზითა[14] მახლობელობისაჲთა. და[15] ესე შენგან შესაძლებელ არს, რამეთუ უწყი, ვითარმედ გისმენს[16] მეფე თქუენი, უკუეთუ მიუწერო და აუწყო უმჯობესი. ხოლო უკუეთუ არა ისმინოს, მიუწერო ოთხთავე პატრიაქთა საყდრის-მოდგამთა ჩუენთა და ვაუწყო თჳთრჩულობაჲ[17] და ქედფიცხ[ე]ლობაჲ[18] ნათესავისა თქუენისაჲ[19], და ვითარმედ[20] თჳნიერ სამოციქულოჲსა კანონისა თჳთ იმწყსებიან და მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა; და ესრეთ მრავალსა ღუაწლსა შეგთხინე[21], ვიდრე არა თჳთ მეფე თქუენი წინაშე ჩუენსა[22] მოვიდეს და ჴელმწიფებასა[23] ჩუენსა დაემორჩილოს“. და ესევითარნი[24] რაჲ სიტყუანი წარმოთქუნა პატრიაქმან[25] ბერისა მიმართ.

ხოლო ნეტარმან ამან[26] დაწყნარებით და ნელიად პრქუა პატრიაქსა[27], ვითარმედ: „ჲ წმიდაო მეუფეო[28], რაჲსათჳს-მე ესრეთ ადვილად ჴელ-ჰყავ[29] დიდისა ამისა და[30] მაღლისა საქმისა[31] მოგონებად და აღსრულებად, და ვინ-მე[32] არიან უგუნურნი იგი[33] გამზრახნი შენნი, ანუ რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხიე[ს][34] ნათესავი ქართველთაჲ, წრფელი და უმანკოჲ? აჰა ესერა ვარ მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა ჩემთაჲ[35]. მე მოგცე მათ ყოველთა[36] წილ პასუხი. მოღებად ეც წიგნი მიმოსლვაჲ ანდრეა[37] მოციქულისაჲ და მუნით გეუწყოს საძიებელი თქუენი“.

ხოლო პატრიაქმან უბრძანა თეოფი[ჱ]ლეს, ნათესავით ქართველსა, რომელი-იგი უკუანაჲსკნელ ტარსუს მეტროპოლიტ[38] იქმ-

---

[1] პატრიაქმანი I. [2] ვითარცა] ვ"დ K. [3] აღგჳწერა FKL. [4] რომელსამე — I. [5] მართლიად I. [6] შენ — I. [7] სწავლულებით G. [8] მეცნიერებით G. [9] ჩუენსავე I. [10] რ"ლ]რ"ა IK. [11] ჴელსა] ჴელმწიფებასა I. [12] იმწყსებოდენ G, იმწყსებოდინ I. [13] მართებს·ცა CE GK. [14] ძიზეზით BIDFGL. [15] და — BCDEFGL. [16] გასმენს FL. [17] რჯულობაჲ B. [18] ქედფიცხელობაჲ BCDEFGIL. [19] ~ თქუენისა ნათესავისა BCDEFGL. [20] ვითარ E. [21] შეგამთხვინე L. [22] ჩუენსა] ჩენსა BCDEFGIL. [23] ჴელმწიფობასა L. [24] ესევითარნი] ესე I. [25] პატრიაქმან — CDEFGL. [26] ამან — I. [27] პატრიაქს I. [28] მეფეო K. [29] -ყავ K] -ყოფ C. [30] და — BDE. [31] საქმისა — BCDEFGL. [32] და ვინმე] ვინ BCDEFL, ვინა G. [33] იგი—BCDEFGL. [34] შეგირაცხეს E, შეგირაცხიე K. [35] ჩემთაჲ] და G. — BCDEFL. [36] ~ ყოველთა მათ E. [37] ანდრია. BCDEFGL] ადრე I. [38] მიტრაპოლიტ BCE, მიტროპოლიტ DFGIL.

ნა, მოღებაჲ[1] წიგნისაჲ მის. და ვითარ[2] მოიღეს, პირველ წარკი-
თხვისა ჰრქუა ბერმან პატრიაქსა: „წმიდაო მეუფეო[3], შენ იტყჳ,
ვითარმედ თავისა მის მოციქულთაჲსა პეტრეს[4] საყდარსა[5] ვზიო.
ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და[6] ძმისა თჳსისა მწოდებელისა
ნაწილნი ვართ და სამწყსონი და[7] მის მიერ მოქცეულნი და განათ-
ლებულნი. და ერთი წმიდათა ათორმეტთა[8] მოციქულთაგანი, სი-
მონს[9] ვიტყჳ კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხა-
ზეთს[10], რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულ-
თა განათლებულნი ვართ და[11] ვინაჲთგან ერთი ღმერთი გჳცნობიეს,
არღარა უარ-გჳყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ[12] მიდრე-
კილ არს ნათესაჲი ჩუენი. და ყოველთა უარის[13]-მყოფელთა და
მწვალებელთა შევაჩუენებთ და ესწყევთ[14]. ამას საფუძველსა[15] ზედა
მართლმადიდებლობისასა[16] და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდა-
თა მათ[17] მოციქულთასა მტკიცე ვართ; აწ[18] უკუეთუ[19] ჯერ-არს,
დაგემორჩილნეთ[20]“. და რეცა განცხრომით ჰრქუა პატრიაქსა: „წმი-
დაო მეუფეო[21], შუენის[22] ესრეთ, რაჲთა წოდებული იგი მწოდებელ-
სა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ-არს, რაჲთა დაემორჩილოს
მწოდებელსა თჳსსა და ძმასა ანდრეას[23], და რაჲთა თქუენ ჩუენ[24] დაგუე-
მორჩილნეთ“. და ესეცა შესძინა[25], ვითარმედ: „წმიდაო მეუფეო[26],
რომელნი-ეგე[27] ჩუენ უმეცრად[28] და სუბუქად გუხედავთ და თავნი
თქუენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიან. იყო ჟამი, რომელ ყოველსა სა-
ბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაჲ[29] არაჲ იპოებოდა და
იოვანე[30] გუთელ[31] [v] ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოს-
სად, ვითარცა სწერია დიდსა სჳნაქსარსა“. ესე ყოველი რაჲ[32] წარ-
მოთქუა[33] ნეტარმან ამან[34], განკჳრდა პატრიაქი ეპისკოპოსთა თჳსთა
თანა სიმახჳლესა გონებისა მისისასა[35]. და[36] რამეთუ ვითარცა მდი-
ნარე დაუწყუეველად[37] ესრეთ დიოდეს[38] სიტყუანი წმიდათა წერილ-
თანი პირით მისით; განიღიმა[39] პატრიაქმან და ჰრქუა მღდელთ-

---

[1] მოღებად E. [2] ვითარ] ვ~ E. [3] მეფეო K. [4] პეტრეს — E. [5] საყდრისა D. [6] და — I. [7] და — BCDEFGL. [8] ათორმეტთა — E. [9] სეიმონს I. [10] აფხაზეთსა I. [11] და — BCDEFGL. [12] მიმართ] მიერ BCDEFGL. [13] უვარის C. [14] დაესწყევთ C. [15] საფუძველსა] საფარველს L. [16] მართლმადიებლობისასა K. [17] მათ — CFGL. [18] აწ I. [19] უკუე G. [20] დაგემორჩილენით FGL. [21] მეფეო K. [22] ჰშუენის G. [23] ანდრიას BCDEFGIL. [24] ~ ჩუენ თქუენ E. [25] შეჰსძინა G. [26] მეფეო K. [27] ეგე] ესე CDEFGL. [28] უმეცრად] უმეტესად B. [29] მართლმადიდებლობაჲ -ი იგი I. [30] იოანე GIL. [31] გუთელ—I; და იოვანე გუთელ—K (ადგილია გაშვებული). [32] რაჲრ~ი E. [33] წარმოსთქუა K. [34] ნეტარმან ამან—G. [35] მისისასა] თჳსისასა K. [36] და — BCDEF GL. [37] დაუტყუ0ტელად G. დაუწყვეტელადK. [38] სდიოდეს I. [39] განიღიმნა BEFGIL.

მოძღუართა მათ და ერსა: „ხედავთა[1] ბერსა ამას, ვითარ მარტო ესოდენსა[2] სიმრავლესა გუერევის. ვეკრძალნეთ[3], ნუუკუე წინააღმდგომი[4] შეგუემთხჳოს და არა ხოლო თუ სიტყჳთ, არამედ[5] საქმით გუამხილოს ძლეულებაჲ ჩუენი და[6] დაგჳმრწემნეს[7] და[8] დაგჳმრემლნეს“[9].

მიერ დღითგან ესრეთ შეიყუარა პატრიაქმან[10] და ყოველთა ანტიოქელთა, ვითარცა მამაჲ და მოძღუარი სულიერი, და თჳთ პატრიაქმან გულის-სიტყუათა თჳსთა მისა იწყო[11] კითხვად. და რამეთუ პირველ მისა ყოფილი[12] ნეტარი პეტრე[13] პატრიაქი მასვე წმიდასა ბერსა ჰკითხვიდა[14], ვითარცა ზემო ვთქუთ[15]. და ესრეთ მრავლითა პატივითა და ნიჭითა[16] ეპყრა წმიდაჲ იგი ბერი, ვიდრე იყო იგი ქუეყანასა ა ნ ტ ი ო ქ ი ი ს ა ს ა[17]. და ოდეს აქუნნ[18] რაჲმე[19] საჭიროჲ გულის-სიტყუაჲ, მსწრაფლ[20] წარმოსცემნ საჴედარსა[21] და მოიყვანებენ და დიდად სარგებელ იყოფინ[22] ხილვასა[23] მისსა. აქამომდე არს პატრიაქისა მიმართ სიტყჳს-გებისა[24] და სიყუარულისა მისისა მისა[25] მიმართ[26] წარმოთქუმაჲ[27].

XIX. ხოლო ვითარცა ცნა[28] ღმრთის-მსახურმან მეფემან ბაგრატ, ვითარმედ სრულ იქმნა თარგმანებაჲ წიგნთა საღმრთოთაჲ და მოირწყუნეს[29] ეკლესიანი შავისა[30] მთისანი წიგნთა [35] მისთა[31] მდინარითა სულთა განმანათლებელითა, რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს[32], და უფროჲს ყოველთაჲსა[33] დიდად იღუაწა სულითა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტ[34] ყოფილმან და თჳსისა მონასტრისა[35] ბ ა რ ლ ა ა მ[36]-წ მ ი დ ი ს ა თ ჳ ს დააწერინა და წმიდასა ამას ბერსა დიდად პატივ[37] უპყრა და ნუგეშინის-სცა[38] და[39] თჳსისა[40] მონასტრისაგან გაკუეთილი[41] შეუქმნა[42] და სიმტკიცე თჳსითა ჴელითა დაუწერა, და შუენიერი ქებაჲ და მადლობაჲ დაწერა[43] მას

---

[1] ჰხედავთა G, ხედაეთაა K. [2] ესეოდენსა BCDE. [3] ეკრძალნეთ G, კრძალნეთ I. [4] წინააღდგომი I. [5] არამედ] და I. [6] და—I. [7] დაგურწმენეს I. [8] დაგჳრწემნეს და — BCDEFGL. [9] დაგჳმრეელნეს BCDE, დაგჳმრაელნეს FGL, და დაგჳმრეჭლნეს — I. [10] პატრიაჩმან G. [11] იწყო] ეიყო L. [12] მისა ყოფილ] მესაყოფილე K. [13] პეტრე] ორე BCDEFGL. [14] კითხვიდა K. [15] ვთქუ BCDFGL. ვსთქუთ I. [16] ნიჭითა] ღირებითა I. [17] ანტჰის^სსა A, ანტიოჰისასა EK. [18] აქუნდა BCDEI. [19] ~ რაჲმე აქუნდა FGL. [20] მწრაფლ B. [21] საჴედარსა] სახედ I. [22] იყოფნ BCDEFGIL] იყო იგი I. [23] ხილულსა K, ხილვად I. [24] სიტყჳს-გებაჲ E. [25] მისა —BCDEFGIL. [26] მიმართ] მიერ I. [27] წარმოთქმა CEGI. [28] სცნა I. [29] მოირწყუნეს E, მოირწყულნეს I. [30] შავის BCDEFGL. [31] მისთა] მიერ E. [32] გარდიწერნეს BDE. [33] ყოველთაჲს: + რ^ I. [34] ლიპარტ I, ლიისარიტ K. [35] მონასტრისა + წ^ჲ ბარალამ აფხაზეთს BCDEFI, წმიდის^ ბარალამ აფხაზეთს G. [36] ბარალამ-BCDEFGL ბარლამ-I, ბარლაამ-K. [37] პატივი BCDEFGIL. [38] ნუგეშინი-სცა CDEI, ნუგეშინის-სცა G. [39] და — BCDEFGL. [40] თჳსისა + მის BCDEFGL. [41] განკუთილი I. [42] შეუქნა AK. [43] დასწერა I.

შინა ღუაწლთა[1] და შრომათა მისთათჳს. ესრეთ რაჲ ყოველნი ეკლესიანი განშუენდეს[2] სამკაულითა წმიდათა[3] წიგნთა მისთაჲთა, ხოლო ეკლესიანი აღმოსავლეთისანი წუთ ნაკლულევან იყვნეს.

იწყო ღმრთის-მსახურმან მეფემან ბაგრატ და ძემან მისმან გიორგი დედოფალთა[4], კათალიკოზთა[5] და ყოველთავე მღდელთ-მოძღუართა და მთავართა ვედრებად და წუევად, რაჲთა[6] აღმოსავლეთს[7] განვიდეს[8] და იხილონ წმიდაჲ იგი და იკურთხნენ[9] და განათლდენ მის მიერ, და კუალად[10], რაჲთა ნამუშაკევი იგი[11] მისი[12] ღმრთივ-მონიჭებული[13] იხილონ და აღივსნენ სიხარულითა. და ესრეთ მრავალგზის მოუწერენ[14] ღმრთის-მოყუარე მეფე ბაგრატ და დედაჲ მისი მარიამ დედოფალი[15], ვითარმედ: „წმიდაო მამაო, მანდა[16] შავსა მთასა მცირედნი არიან მონასტერნი ჩუენნი, რამეთუ ქუეყანაჲ არს უცხოჲ. ხოლო ჩემი[17] სამეფოჲ[18] ვრცელ არს და დიდ ფრიად[19] და მაღალ, და ეკლესიანი და[20] სამღდელთ-მოძღურონი[21] და მონასტერნი ფრიად მრავალ და[22] დიდებულ. აწ არწმუნოს ღმერთმან სიწმიდესა თქუენსა, რაჲთა ჰბრძანო[23] და მოშურე[24] და[25] ჩუენ ვიკურთხნეთ თქუენ მიერ და გავნათლდეთ[26]; და კუალად [v] ეკლესიანი ჩუენნი აღივსნენ[27] მდინარეთა მაგათგან[28] სულთა განმაცხოველებელთა წიგნთა თქუენთა ღმრთივ-სულიერთა[29]“.

ხოლო ნეტარმან[30] ამან[31] ყოლადვე არა თავს იდვა, რამეთუ ყოვლითა მოსწრაფებითა ეცლტოდა დიდებასა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა შეიტკბობდა.. და კუალად ზემოჴსენებულისაცა მიზეზისაგან ეშინოდა, ნუუკუე მღდელთ-მოძღურად დაადგინონ, ვიდრე არა კუალადცა თჳსითა ჴელითა სიმტკიცე მოუწერა ღმრთის-მსახურმან მეფემან[32], ვითარმედ: „არაჲ[33] უნებელი[34] დაგეპატიჟოსო“[35]. და ვითარმედ: „წმიდაო მამაო[36], არა[37] თუ ოდენ წიგნთათჳს ვარ, რაჲთა განათლდენ ეკლესიანი ჩუენნი, არამედ რაჲთა თჳთ მე განვნათლდე[38] ხილვითა თქუენითა და სული ჩემი ჴელთა

---

[1] ღუაწლითა L. [2] განაშუენდეს L. [3] წიგნთა — E. [4] დედოფალთა + და CD EFGL. [5] კათალიკოზმან CDFL, კათალიკოსმან G. [6] რა — I. [7] აღმოსავლეთ K. [8] გავიდეს B. [9] იკურთხოთ I. [10] კუალად — BCDEFGIL. [11] იგი—I. [12] მის I. [13] ღმრთივ-მონიჭებული] მიერ აღმოცენებული I. [14] მიუწერენ BCDEFGL, მოუწერ I. [15] ~ დედოფალი მ̃რმ E. [16] მანდა — I. [17] ჩემი] ჩუენი G. [18] სამეუფო BCDEFL. [19] ფ̃დ — I. ~ ფ̃დ დიდ E. [20] და — BCDEFGL. [21] სამღდელთ-მოძღრონი BCD, სამღუდელოთ-მოძღვარ I. [22] და — G. [23] ბრძანო EGIK. [24] მოშურე] მოგუარე I, მოშვრეთ K. [25] და] რა I. [26] განვნათლდეთ BCDEFGL. [27] აღივსენ I. [28] მათგან BCDEFGL. [29] სულიერთაჲთა CDEFGL. [30] ნეტართა B. [31] ამან—I. [32] მეფემან — I. [33] არაჲ] არარაჲ CDFGL. [34] უვნებელი. BI?GL] უგებელი I. [35] დაეპატიჟოს B] შეემთხჳოს CDEFGL, დაგეუპატიურო. L.ღ.ᵒ მამაო—BCDEFGL. [37] ~ არა, წმიდაო მამაო I. [38] გავნათლდე I.

თქუენთა[1] შევჰვედრო[2] და ძე ჩემი და ყოველნი თჳსნი ჩემნი სიწმიდისა თქუენისა მიერ იმწყსებოდინ[3] და განისწავლებოდინ[4], და რაჲთა ღმერთსა ნიჭად მიუპყრნე[5] სულნი ჩუენნი".

ხოლო იხილა რაჲ საღმრთომან ამან მოხუცებულმან სარწმუნოებაჲ იგი და[6] სიყუარული ღმრთის-მსახურისა მეფისაჲ მისსა[7] მიმართ და მრავალგზის მოწერაჲ[8] და იძულებაჲ წარსლვისა მისისათჳს და ეძიებდა ცნობად ნებასა ღმრთისასა, რომლითამცა[9] გულსავსე იქმნა. მაშინ წმიდათა მოციქულთა მიერ[10] ქმნული[11] იგი საქმე ჴელ-ყო[12], და რამეთუ[13] ეგრეთცა[14] იყო ჩუეულებაჲ მისი, რაჟამს საქმისა რაჲსათჳსმე უნებენ გულსავსე[15] ყოფის, თუ არს-მეა ნებაჲ ღმრთისაჲ, წილნი[16] დაწერნის[17] და[18] საკურთხეველსა ქუეშე დასხნის. და მღდელმან[19] ზედა[20] ჟამი წირის[21] და, რაჲცა აღმოჰქუდის,[22] იგიცა დაამტკიცის.

და ეგრეთვე[23] ყო[24] აწცა, რომლითა გულსავსე იქმნა. და ესრეთ მიუწერა დამორჩილებაჲ[25] მეფესა. ხოლო მას ვითარცა ესმა, განიხარა ფრიად და წარმოავლინა საკუთარი თჳსი [ՅՇ] იოვანე[26]. და[27] საჴედარნი[28] და განძი, რაოდენი კმა ეყოფოდა მას და მოწაფეთა მისთა[29], წარმოსცა[30]. და დაწერნა[31] წიგნი[32] პატრიაქისა[33] თანა და დუკისა[34] ანტიოქიისაჲსა[35] წარგზავნისა[36] ჩუენისათჳს. და ესრეთ[37] მოიწინეს[38] მწოდებელნი ჩუენნი.

XX. აქამომდე არს სიტყუაჲ ჩუენი ზემოჴსენებულთა მათ[39] ძმათა[40] მიმართ, რომელთა გუაიძულეს შობითგანვე აღწერაჲ ცხორებისა მისისაჲ. ჯ ნეტარო[41], რამეთუ[42] თქუენ აქამომდე[43] ყოველსავე[44] თჳთ მეცნიერ ხართ და ვითარმცა[45] არა მეცნიერ იყავ, რომელი-იგი იოტ ოდენსაცა[46] გულის-სიტყუასა არა დაჰფარვიდა[47] თქუენგან. ხოლო ამიერითგან წარსლვისა ჩუენისათჳს აღმოსავლეთად და ვიდრე სამეფოდ[48] მოსლვადმდე და ამიერ[49] სოფლით მიცვა-

---

[1] თქუენთა] შენთა I. [2] შევედრო BCDE, შჰვედრო FIL, შევედრო GK. [3] იმწყსებოდენ BCDEFGL. [4] განისწაელებოდენ G. [5] მიუპყრნა I. [6] და+ღ̃ისა B. [7] მისისა B, მისა CDEFGIKL. [8] მიწერა BCDEFGL, მისწერა I. [9] რომლითაცა G, რომლიმთაცა I. [10] მიერ — I. [11] ქმნილი CDEFGL. [12] ჰყო G. [13] რ̃ — BCDEFGL. [14] ეგრეცა BCDFL. [15] გულს-სავსე E. [16] წილნი] წიგნი CDEFGL. [17] დაწერის E. [18] და — BCDEFGL. [19] ღდელმან I. [20] ზედა — I. [21] წირეის I. [22] აღმოჴდის BC DEFL, აღმოხდის GIK. [23] ეგრეთცა E. [24] ჰყო GI. [25] დამორჩილებაჲ — BCDEF GL. [26] იოანე GIK. [27] და — BCDEFGL. [28] საჴედარი BCDFL, სახედარი GI,—E. [29] მისთა] თჳსთა C. [30] წარმოჰსცა G. [31] დაწერა EGI. [32] წიგნი CEI. [33] პატრიაქსა ABK. [34] დუკსა ABCDEFGIKL. [35] ანტიოქიისასა ABCDEFGIL, ანტიოქისასა K. [36] წარმოგზავნისა BCDEFGL. [37] ესრეთ] ესე რ̃ა BCEG, ესე რაჲ D, ესე რა FL. [38] მოიწივნეს I. [39] მათ — BCDEFGL. [40] ძმათ G. [41] ნეტარნო I. [42] რ̃ — I. [43] აქამდე BCDEFG. [44] ყოელისაე G. [45] ვითარცა I. [46] იოტ ოდენსაცა] ითხოვდესცა I. [47] დაუფარვიდა I, დაფარვიდა K. [48] სამეუფოდ BCDEFL. [49] მიერ BCDEFGL.

ლებად ყოველივე ვაუწყო სიწმიდესა თქუენსა, რომელმან ეგე ფრიად მაიძულე და მიბრძანე შეუკადრებელთა შეკადრებად, და ესე წარმოვთქუ[1] ფრიად[2] მოკლედ და[3] სულმცირედ[4], რამეთუ ესოდენ[5] შორს ვარ სიწმიდისა მისისაგან[6], ვითარცა ცაჲ ქუეყანისაგან და ვითარცა აჩრდილი მსგავსებისაგან კაცისა. და კუალად მაიძულებს აღწერად ბრძანებაჲ თქუენი, თუ ვითარ წარვედით ზე და თუ ვითარ იქმნა ნეტარი იგი მიცვალებაჲ მისი.

ხოლო მე ვითარცა მოგზაურსა უდებსა, რომელი განზოგებასა გზისასა არა მიწევნულ[7] არნ[8] და დაიპსნის, ეგრეთვე მცონის, რამეთუ წუთ ძირსა[9] თანა მთისასა[10] ვიქცევი და თავსა არა აღსრულ ვარ. არამედ ქრისტე ჰეშმარიტი ღმერთი[11] იყავნ ჩემ თანა და წმიდაჲ მადლი თქუენი, რაჲთა უცთომელად[12] წარვემართო გზასა სიტყჳსა ჩემისასა; რამეთუ ვითარცა წარმოვემართებოდეთ საკჳრველისა მაგის მთისაგან, ვილოცეთ [v] სამარხოსა[13] წმიდისა სჳმეონისსა[14] და მართაჲსსა[15] და მადლი მათი და ლოცვაჲ თქუენი საგზლად მოვიღეთ.

გამოვედით ანტიოქიით და მოვიწიენით[16] ვიდრე[17] დიდად მდინარედ ევფრატად[18] და მუნ გუეუწყა, ვითარმედ მიშუებისათჳს ცოდვათა ჩუენთაჲსა თურქთა დაუპყრიეს ყოველი შუამდინარე და ისაური[19] და საბერძნეთი. ხოლო ჩუენ გუესმა რაჲ ესე, შევიქეცით მიერ და სევასტიით კერძო მივიდოდეთ; გუეგონა, ვითარმედ მათ კერძოთა[20] მშჯდობაჲ არს. ხოლო უწინარეს ჩუენსა მისრულ იყვნეს თურქნი და აღო[21] ქალაქი იგი და დაეწუა[22]. და ჩუენ არაჲ უწყოდეთ და მივიდოდეთ და კნინღა-და მცირედ ჴელთა მათთა შთავვარდებოდეთ[23], უკუეთუმცა[24] წყალობასა ღმრთისასა არა აღეპყრა ჴელი, რამეთუ ჴმაჲ[25] გუესმა ყოველთა, ვითარმედ: „სადა წარხუალთ“. და უწყის უფალმან, კაცი არა გჳხილავს[26], გარნა თუ ჴმაჲ ანგელოზისაჲ[27] იყო.

ესრეთ შევიქეცით და მთათა მივჰმართეთ[28] და[29] დიდითა შრომითა და ღუე და ღამე სლვითა კესარიად მოვედით. და მუნით

---

[1] წარმოვთქუა G, წარმოთქუ I. [2] ფრდ—E [3] და—EG. [4] სულმცირედ] სულმოკლედ E, ხელმცირედ G. [5] ესოდენ BCDEFIL. [6] სიწმიდისაგან მისისა E. [7] მიწევნილ GL. [8] არნ B. [9] ძირთა E. [10] მთისასა] მათისასა I. [11] ~ ღი ჰშტი BCD EFL; ღი — I. [12] უცთომელ BDEFGL. [13] სამარხოსა + მისგან FGL. [14] სჳნისა BDEFL, სიმეონისა G, სიმონისისა I. [15] მართასა CDEFGL. [16] მივიწიენით G. [17] ვე — G. [18] ეფრატად I. [19] ისაური] ასური CDEFGL. [20] კერძოთ B, კერძო CDEF GL. [21] აღეღო CI; და აღო] დაეღო K. [22] დაეწვა EI. [23] შთაჲვარდებოდეთ BCE GIL. [24] უკჳეთუ BCDEFG, უკეთუ L. — K. [25] ჴმა FL. [26] გჳხილავს G. [27] ანგელოსისა G. [28] მივმართეთ BCDEFGKL, მიჰმართეთ I. [29] და — BCDEFGL.

წარმოვედით და ზღუასა მოჰმართეთ[1], რამეთუ ჴმელით[2] არღარა ეგებოდა, და ნებითა ღმრთისაჲთა ევხაიტს[3] მოვიწიენით სამარტჳლოსა წმიდისა თეოდორესსა[4]. ხოლო მღდელთ-მოძღუარმან მის ადგილისამან კეთილად შეგჳწყნარნა[5] და გჳსტუმრნა და დიდი სიყუარული გუაჩუენა, რამეთუ კაცი[6] იყო წმიდაჲ და ღმერთ-შემოსილი. და დიდად ნუგეშინის-იცა[7] მისლვითა ჩუენითა განსაცდელთა მათთჳს, და მრავალი წარმოთქუეს ურთიერთა[37]რს[8] სულთა ცხორებისათჳს[9]. და ესრეთ გამოვედით[10] მიერ და მოვიწიენით სამისონს[11] ქალაქსა ზღჳს-კიდისასა. და მუნ განვყიდენით[12] საჴედარნი ჩუენნი და ესრეთ ნავითა წარვემართენით კერძოთა აფხაზეთისათა და[13] კეთილითა და ჰამოჲთა ნიავითა[14] მივიწიენით ფოთს და მიერ საჴედრითა ქუთათისს[15] ჟამსა სთულისასა[16].

ხოლო აცნობეს მსწრაფლ მეფესა, რამეთუ ზემოთა ჭუეყანათა იყო. და ვითარცა ეუწყა, განიხარა სიხარულითა დიდითა და მეყსეულად[17] წარმოგზავნა მწიგნობარი თჳსი და უბრძანა დიდითა პატივითა წარყვანებაჲ ბერისაჲ. და ვითარცა მოიწია ჩუენდა, წარმოგჳყვანნეს[18] მიერ და თანა გზა-გუყვა[19] მღდელთ-მოძღუარიცა ქუთათისაჲ[20] სახელით ილარიონ, რომელი უკუანაჲსკნელ მოწაფე იქმნა ბერისა[21]. და[22] წარმო-რაჲ-ვედით[23], მოვიწიენით ქუეყანად ქართლისა[24], სადა-იგი იყო მეფე მთავართა თჳსთა თანა. და ვითარცა მოვეახლენით სამჴმისა[25] საჳალ ოდენ, გამოგზავნნა[26] მეფემან მგებვრად[27] ჩუენდა მღდელთ-მოძღუარნი და დიდებულნი თჳსნი. ხოლო თჳთ ღმრთის-მსახური მეფე კართა თანა კარვისათა[28] წინა[29] მოეგება[30] და მოწლედ მოიკითხა და იკურთხა მისგან, და ჴელპყრობით შეიყუანა კარვად და ინაჳით დასუა მახლობელად თჳსა[31] და თქუა[32] განმხიარულებულმან სიხარულითა დიდითა: „კურთხეულ არს ღმერთი, აჰა დღეს ცხორებაჲ არს[33] ყოვლისა სამეუფოჲსა[34] ჩემისაჲ, რამეთუ ვიხილე ახალი ოქროპირი". და ესრეთ მის თანა ყოველნი დიდებულნი მისნი იხარებდეს[35] და ჰმადლობდეს[36] ღმერთსა და

---

[1] მოვმართეთ BCDEFGKL. [2] ჴმელითა BCDEFGL. [3] ევხაიდს I. [4] თეოდორესსა GK, თეოდორესა I. [5] შეგჳწყნარა E. [6] ~ კაცი რ᷄ FGL. [7] ნუგეშინისცა I. [8] ურთიერთას BCDEFGL. [9] ცხოვრებისათჳს BKL. [10] მოვედით BC DEFGL. [11] სამისონდ E. [12] განვჰყიდენით G. [13] და — BCDEFGL. [14] ნავითა BCDEFGIL. [15] ქუთათის BCDEFGIL, ქუთათს K. [16] სთლობისასა G. [17] მეყუსეულად BGL. [18] წარმოგჳყვახეს CE, წარმოგჳყუანეს I. [19] გუუვა FL, გუუუა G. [20] ქუთათისისა BCDFL, ქუთათისი I. [21] ~ ბერისა მოწაფე იქმნა K. [22] და + წარმოვემართენით და K. [23] წარმოვედით BCDEFGL. წარმო-რაჲ-ვედით + და CDEFGL. [24] ქართლისად G. [25] სამჴამისა CEGIKL. [26] გამოგზავნა CDE FGIL. [27] მგებრად FGL] მოსაგებელად I. [28] კარვესათა] კარვისა თანა I. [29] წინა — I. [30] მოეგებოდა I. [31] თჳსსა I. [32] ჰქუა E. [33] ~ არს ცხოვრებაჲ EI. [34] სამეფოსა BCEFGL. [35] იხარებდეს — L. [36] მადლობდეს IK.

იტყოდეს: „კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან მოგვცლინა ესეოთარი კაცი მაცხოვრად სულთა ჩუენთა“. და იყო სიხარული დიდი ყოველსა[1] მას[2] სამეუფოსა[3] მისსა[4].

XXI. [v] ხოლო მას ჟამსა იქმნა დიდი განმარჯუებაჲ მეფისაჲ, ოდეს-იგი შეწევნითა ღმრთისაჲთა წინააღმდგომნი თჳსისა მეფობისანი აბათაჲს[5] ძენი შეიპყრნა[6], რომელთათჳს ყოველთა უწყით ჭეშმარიტებით, ვითარმედ შეპყრობაჲ მეფისაჲ ეგულებოდა[7]. ესე კაცნი[8] ძლიერნი და ახოანნი[9] სიმდიდრესა ზედა მკლავისა თჳსისასა[10] მოჭადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა[11] აღზუავებულნი, ხუთნი ერთობით, ვითარცა უძლურნი რაჲმე და ყრმანი ჩჩჳლნი, ეგრეთ შეიპყრნა[12], რამეთუ[13] წუთ თუე[14] ერთი არა გამოსრულ იყო შემდგომად მისლვისა[15] ჩუენისა, ესე ვითარცა ჭელად იხუნა. წარავლინა მწოდებელი ბერისა თანა[16], და ვითარცა შევიდა ბერი და მიულოცა განმარჯუებაჲ[17] იგი[18], ჰრქუა მას მეფემან, ვითარცა იყო მორწმუნე და ღმრთის-მსახური: „ჳ წმიდაო მამაო, არაჲ[19] ვინაჲ[20] არს[21] განმარჯუებაჲ[22] ესე ჩუენი თჳნიერ ლოცვისა და მადლისა შენისა, რამეთუ მრავალგზის ჭელ-მეყო და ვერ ოდეს[23] გამემარჯუა[24]. ხოლო აწ უწყი ჭეშმარიტებით, რომელ სასწაული არს ესე[25] მოსლვისა შენისაჲ და ამიერითგან წარემართოს[26] მეფობაჲ ჩუენი[27] ლოცვითა შენითა“. და აუწყა ყოველივე განზრახვაჲ მათი და ბოროტისა[28] შემზადებაჲ, რომელსა-იგი მისთჳს იგონებდეს[29].

ამისა[30] შემდგომად განაგნა რაჲ საქმენი[31] მის ჟამისანი ღმრთის-მსახურმან მეფემან და[32] რამეთუ მოწევნულცა[33] იყო ჟამი ზამთრისაჲ, და ჩუეულებისაებრ თჳსისა წარვიდა აფხაზეთად და აწჳა[34] ბერსაცა[35] წარსლვად, რაჲთა მუნ დაიზამთროს და განისუენოს, და ვითარმედ[36] არს ქუეყანაჲ იგი ბარი და ტფილი. და ვითარცა წამოვემართენით[37] და მივიწიენით ჴყონდიდს, მეფე სრულიად[38] აფხაზეთს შთასლვად[39] წარემართა, ხოლო ჩუენ[40] ეპისკო-

---

[1] ყოველთა I. [2] მას] მის I. [3] სამეფოსა [BCEFGKL] სამ^ფსა A. [4] სამეუფოსა მისსა] სამეუფოსათა I. [5] აბაზაჲს C, აბაზიჲს D. აბაზიაის FG, აბააზას L. [6] ~ შეიპყრნა აბაზაჲს ძენი E. [7] ეგულებოდა G. [8] კაცი B. [9] ახოვანნი BCDE FGIL. [10] თჳსისსა B, თჳსისა DE, თჳსისანი K. [11] ერისასა] ერისა თჳსისასა I. [12] შეიპყრა I. [13] რ^ქ I. [14] თთუე I. [15] მოსლვისა BCDEFGL. [16] თანა] მიმართ E. [17] გამარჯუებ^ჲ CEGL. [18] იგი + და BCDEFGL. [19] არა I. [20] ვინაჲ — I. [21] ვინ არს BCDEFL. [22] გამარჯუებაჲ CD. [23] ვერ ოდეს — I. [24] გაიმემარჯუა BC DEFGIL. [25] ესე — BCDEFGKL. [26] წარემართოს L. [27] ჩუენი] ჩ^ი G. [28] ბოროტის CDEFGL. [29] გონებდეს KL. [30] ამისსა D. [31] საქმე I. [32] და — BCDEFGL. [33] მოწევნულ E, მოწევნულიცა I. [34] აწჳა CDFGL. [35] ბერსა BCDEFGL. [36] ვ^დ] ვ^ა BCI. [37] წარმოვემართენით BCDEFGIKL. [39] ს^ლ —I. [39] შთასლვად — G. [40] ჩუეხ — BCDEFGL.

ჯოსმან ჭყონდიდელმან არა განგჳტევნა, რამეთუ მოწაფე [38] იყო ბერისაჲ. და ზამთარი იგი მუნ დავყავით[1] და შემდგომად ზამთრისა აღმო-რაჲ-ვიდა ღმრთის-მსახური მეფე კუალად[2] ქ ა რ თ ლ ა დ ვ ე[3], მოუწოდა ბერსა წინაშე მისსა და[4] მისცნა[5] ადგილნი[6] შუენიერნი, ლავრანი დიდებულნი განსასუენებელად და საყოფელად[7] მისა[8], პირ- ველად ნ ე ძ ჳ ქ ა რ თ ლ ს[9] შინა და შემდგომად მცირედისა შ ა ტ ბ ე რ დ ი, დიდებული ლავრაჲ კ ლ ა რ ჯ ე თ ს[10] შინა.

ხოლო შესაძლებელ თუმცა იყო ყოლადვე[11], არა ჰნებავნ[12] მეფესა, რაჲთა[13] ერთსაცამცა[14] ღესა[15] კიდე იყო მისგან. და[16] ვერ განძღებოდა სმენითა თაფლისა უტკბილესთა მათ[17] სიტყუათა მისთაჲთა და ესრეთ ეტყჳნ: „წმიდაო მამაო, ამისთჳს მოვაშურეთ[18] სიწმიდე თქუენი, რაჲთა ნაკლულევანებაჲ და ცთომაჲ უწესოჲ[19] აღმოჰფხურა[20] სრულიად სულთაგან ჩუენთა. დაფარული დაფარულად[21] გუამხილე[22], ხოლო ცხადი თუალუხუავად[23] განგჳმარტე; რამეთუ რაჲცა მიბრძანოს მამობამან შენმან, ესრეთ შევიწყნარო, ვითარცა პირისაგან წმიდათა მოციქულთაჲსა“. და მოიყვანა ძე თჳსი გიორგი უფლის-წული და ჴელი მისი ჴელსა შთაუდვა და ჰრქუა: „აჰა მოგცემ სულსა ამის ყრმისასა და წინაშე ღმრთისა[24] გთხოვ“. ხოლო მან აკურთხა და ულოცა და ჰრქუა[25], ვითარმედ: „ღმერთმან[26] ორითავე[27] ცხორებითა ადიდენ ვითარცა დიდი[28] კოსტანტინე[29] შიშსა შინა თჳსსა[30] და[31] დაუმორჩილენ[32] ყოველნი მტერნი მისნი“. და ვითარცა შუენოდა[33] სწავლანი ღმრთივ-სულიერნი და მცნებანი საღმრთონი აღუწერნა და მისცნა[34], რაჲთა სამარადისოდ იკითხვიდეს და იწურთიდეს და რაჲთა უწესოთა კაცთა უჯეროჲ რაჲმე და დრკუჲ[35] არა ასწაონ[36]. ხოლო მან სიხარულით შეიწყნარნა[37] და [v] დღე და ღამე იწურთინ[38] და ესრეთ შეუდგა, ვითარცა შვილი საყუარელი მამასა სახიერსა და ვითარცა მოწაფე ერთგული მოძღუარსა თჳსსა.

---

[1] დავჰყავით G, დავყაეით L. [2] კუალად — BCDEFGL. [3] ქართლადმდე C. [4] და — BCDEFGL. [5] მისცა BCDEFGL. [6] აღგილი D. [7] საყოფლად ABEFIK. [8] მისად BCDEFL, მისსა I. [9] ქართლსა BCDEFGIL. [10] კლარჯეთსა I. [11] ყ ო ლ ა დ ვ ე I, ყოვლადვე L. [12] ნებავნ EGK. [13] რ ა] რ ლ BCDEFGL. [14] ერთსამცა BCDEFL, ერთისაცა G, ერთსაცა I. [15] ღისა G. [16] და—E. [17] მათ—E. [18] მოვაშრვეთ A. [19] უწესოჲ — I. [20] აღმოფხურა BEFGIKL. [21] ფარულად E. [22] გუამხ ი ლ ო BCDEFGL. [23] უხაედ C + გვამხილე და K. [24] ღ ი ს ა] ქ ა E. [25] რქვა K. [26] ღ ო ნ] CDEFL. [27] ორითა E [28] ∼ დიდი ვ ა FGL. [29] კოსტატინე I. [30] თჳსსა] ღ ი ს ა ს ა I. [31] და — BCDFGL. [32] დაემორჩილნენ I. [33] ჰშუშნოდა G. [34] მისცა I. [35] დრუკუ I. [36] ასწაეონ G. [37] შეიწყნარა BCDEFGL. [38] იწურთიდა I.

ხოლო მიერითგან იწყეს აღსაარებად[1] და სინანულად თჳთ მეფემან, კათალიკოზმან, მღდელთა[2], დიაკონთა, მონაზონთა და[3] მოწესეთა, დიდებულთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა. ესრეთ მჳურვალითა[4] სარწმუნოებითა მოისწრაფდეს, ვიდრემდის[5] საზრდელსაცა ძლით[6] მივიღებდით. და ესრეთ განანათლა ყოველი აღმოსავლეთი კაცმან ამან[7] განათლებულმან ღმრთისა მიერ და ყოველნივე ცხადნი და დაფარულნი უწესოებანი განჰმართნა[8], რამეთუ პირველად ყოვლისა აღლესა მახჳლი მხილებისაჲ მეფეთა მიმართ მრავალთა უწესოებათათჳს უშიშად და თუალუხუავად[9], სიბრძნით და გონიერად[10], რაჲთა[11] არა ჰყიდდეს[12] საეპისკოპოსოთა კაცთა მიმართ უწესოთა და უსწავლელთა და ყოვლითურთ სოფლისა შემსჭუალულთა[13] და უწესოებათა და მიმოსლვათა შინა აღზრდილთა, არამედ გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა და წმიდათა[14] მონაზონებასა[15] შინა აღზრდილთა და ღმრთივ-სულიერთა მოძღუართა მიერ წამებულთა, და რაჲთა ლოცვითა და[16] მადლითა[17] მათითა მშჯდობით[18] წარემართოს მეფობაჲ მისი და რაჲთა არა მღდელთა უწესოებითა და ცოდვითა ერის-კაცნიცა დაისაჯნენ[19].

კუალად ეტყოდა მშჯავრთათჳს[20] და სამართალთა სამეუფოთა[21] და[22] რაჲთა უშჯიდეს[23] ობოლსა[24] და ქურივსა[25] სიტყჳსაებრ დავითისა: მდაბა[ბ]ლი და გლახაკი განამართლოს, და რაჲთა არა მისდრეკდეს[26] სასწორსა სიმართლისასა დიდისა მიმართ, გინა მცირისა[27], და რაჲთა[28] უმეტეს ყოვლისა[29] წყალობაჲ შეიტკბოს, რამეთუ წყალობაჲ და სამართალი უყუარს უფალსა; და რაჲთა[30] ყოველი არაწმიდებაჲ და უწესოებაჲ მოისპოს თჳთ მისგან პირველად და მერმე ერისა[31] მისისაგან[32].

მერმე იწყო მღდელთ-მოძღუართა მიმართ, რაჲთა თუალთ-ღებით[33] ჴელთ-დასხმასა[34] არა ჰყოფდენ[35] და უღირსთა მღდელთა არა აკურთხევდენ[36], და რაჲთა ამცნებდენ მათ მიერ კურთხეულთა მღდელთა უღირსთა არა ზიარებად, და რაჲთა არა შეჰკრებდენ[37]

---

[1] აღსარებად BI. [2] მღდელთა + და CDEFGL. [3] და—BCDEFGL. [4] მჳურვალითა] მრაელითა I. [5] ვიდრემდის] ვ᷑დ BCDEFGL, — I. [6] ძლივ G, ძილით K. [7] ამან + განანათლა K. [8] განმართნა BEGK. [9] თუალუხავად C, თუალუხუად I. [10] გონიერად + რ᷑ლ K. [11] რ᷑ა] რ᷑ლ BCDEFGL. [12] ყიდდეს K. [13] შემსჭვალეულთა D. შემსჭვალ᷑ვითა E. [14] წმიდათა + და BCDEFGL. [15] მონაზონებათა CDEFGL. [16] და—I. [17] მადლითა] მათითა I. [18] მშჯდობით — G. [19] დაისაჯნეს G. [20] მსჯავრთათჳს BCD EFGIL. [21] სამეფოთა BGL. [22] და — BCDEFGL. [23] უსჯიდეს BCDEFGIL. [24] ობოლთა BCDEFGL. [25] ქურიეთა BCDEFGL. [26] მიდრკეს I, მიდრეკდეს L. [27] მცირესა I. [28] რ᷑ა] რა L. [29] ყოვლისა—G. [30] რაჲთა] რ᷑ BCDEFGL. [31] ერისაგან G. [32] მისისაგან—G. [33] თუალდებით BCDEFGIKL. [34] ჴელდასხმასა EFGL. [35] ჰყოფდეს I, ყოფდენ K. [36] აკურთხებდენ L. [37] შეკრებდენ IK.

ოქროსა და ვეცხლსა, არამედ უმეტეს[1] ყოვლისა სწყალობდენ[2] გლახაკთა და ღარიბთა; და რაჲთა არა უწესოჲ რაჲმე გინა[3] სხუათა დამაბრკოლებელი საქმე იხილვებოდის[4] მათ[5] შორის, არამედ მცნებასა მას მოციქულისასა შეუდგენ, ვითარცა მიუწერს ტიმოთეს.

კუალად იწყო მღდელთა მიმართ და დიაკონთა სწავლად მორჩილებასა ეპისკოპოსისა თჳსისასა და არა ვისა თუალთ-ღებით[6] მიცემად განმაცხოველებელსა მას ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა[7] და ყოფად ეგრეთ, ვითარცა წამებს[8] კანონი[9] მოციქულთა და[10] მამათაჲ.

ეგრეთვე მონაზონთა და მოწესეთა და ყოველსა ერსა შემსგავსებულითა სწავლითა[11] განანათლებდა, უსწავლელთა სწავლიდა[12], ხოლო სწავლულთა სწავლათა მათ[13] აღუჴსენებდა[14], მდიდართა ასწაებდა ჴელღრბად გლახაკთა, ხოლო გლახაკთა მოთმინებასა ასწაებდა. [v] ქველის-საქმითა[15] წარჰმგზავნიდა[16], დაცემულთა აღჰმართებდა[17], ხოლო დაცემადთა[18] განამტკიცებდა; მოწყლულთა[19] ისრითა ჴრლავთა მტერთაჲთა განჰკურნებდა[20], ხოლო მოწყლვადთა მათ მოწჴლვისაგან უვნებელად დაიცვიდა[21]; დანთქმულთა ღელვათა შინა ენებათასა აღმოიყვანებდა, ხოლო დანთქმადთა[22] დანთქმად[23] არა უტევებდა, არაჱდ ვითარცა ჴელოვანი მენავეთ-მოძღუარი ზღჳსაგან ამის სოფლისა დაუთქმელად[24] განარინებდა.

XXII. რომლისათჳსცა არა უჯერო არს, რაჲთა მოსაჴსენებელად[25] ზემო აღწერილთა ამათ სათნოებათა მისთა მცირედი უწყებაჲ წარმოგითხრა[26] ამის პირისათჳს[27], თუ ვითარი მადლი აჴუნდა[28] სულთა კურნებისაჲ, და უმეტეს ყოვლისა თუ ვითარი შუამდგომელი იყო ღმრთისა მიმართ[29] მრჩობლ სიმრთელით[30] დაცვისათჳს[31], რომელი შეეეედრის[32] და თავი თჳსი წმიდასა[33] მას ორითაე ცხორებითა მისცის.

---

[1] უმეტესად B. [2] ჰსწყალობდენ G. [3] გინა] და BCDEFGL. [4] იხილუებოდეს G. [5] მათს B. [6] თუალღებით BCDEFGIL. [7] ქრისტესა K. [8] წამებს] ბრძანებს BCDFL. ბრძჱს E, ჰბრძანებს G. [9] კანონნი L. [10] და — E. [11] სწაელითა] წესითა E. [12] ჰსწავლითა G. [13] სწავლასა მას G. ~ მათ სწავლათა E. [14] აღუჴსნობდა B, აღუჴსნიდა E, აუჴსენებდა G, აღუჴსნიდა I. [15] საქმით I. [16] წარგზაჲცდა ECDEFGIL, წარჴგზავნიდა K. [17] აღმართებდა BCDEGIK. [18] დაცემთა D. [19] მოწყლჴლთა] და მოწყლულთა I. [20] განკურნებდა BK. [21] მოწყლებისაგან ჴვჭრელად დაიცვიდა—I. [22] დანთქმლთა BCDFGL. [23] დათქმად I. [24] დანთქრლ B, დაჴნთქმელად CDEFGIKL. [25] მოჴსნრლდ B. [26] წარმოგითხრა] წარმოგიღო E. [27] პირისათჳს] ღირსისა G. [28] აჴუნდა + და I. [29] მიმართ + და BCDEFGL. მიმართ—K. [30] სიმრთელითა I, სიმრთელისათჳს K. [31] დაცვისათჳს] ცდვისაჴ E. [32] შეევედრის E, შეევედრინ IK. [33] წრად I.

რამეთუ[1] ჟამსა მას[2], ოდეს[3]-იგი[4] ჩუენ ჰყონდიდს ვიყუენით, ვითარცა ზემო ვაჴსენეთ,იყო ვინმე ძმაჲ ერთი საეპისკოპოსოსა მას შინა სტუმრად მოსრული მთავარეპისკოპოსისა თანა წესითა მთავარდიაკონი, ხოლო სახითა მონაზონი, რომელი-იგი უკუანაჲსკნელ ჴელთაგან წმიდისათა აღიკუეცა, რამეთუ წუთ არა აღკუეცილ[5] იყო. ხოლო იყო იგი ჰაბუკი ჰასაკითა და არა უჩინოთა და მდაბალთა შვილი, და წუთ არა აქუნდა მეცნიერებაჲ ბერისა თანა[6], არამედ თჳთ იტყოდა, ვითარმედ: სარწმუნოებაჲ და სასოებაჲ ეგე ვითარი[7] მაქუნდაო, რომელ ვითარცა ქრისტესა[8] ვხედევდი. ამას ძმასა ზოგადი იგი [40] მტერი ნათესაჲისა ჩუენისაჲ ეკუეთა სიჰაბუკისა გულის-თქუმათა მიერ, რამეთუ თჳსსა[9] მოძღუარსა არა ეახლა[10], რომელსა[11] თანა გულის-სიტყუაჲ თჳსი დაედვა. და პოა[12] რაჲ[13] იგი თჳნიერ მოძღურისა, მაშინ ბრძოლა-სცა[14]. ხოლო ვინაჲთგან[15] უცხოჲს-უცხო[16] სარწმუნოებაჲ აქუნდა კაცსა მას თანა ღმრთისასა, არა უტეევებდა დანთქმად სარწმუნოებაჲ იგი[17] მისი[18]. ესე მოვიდა[19] ჩემ უღირსისა თანა და მრქუა ესრეთ, ვითარმედ: „ჯერ-არს[20], მამაო, რაჲთა უკუეთუ[21] ვინმე მოძღუარსა თჳსსა[22] არა ეახლოს და ბრძოლაჲ მტერისაჲ[23] შჳრდეს[24], რაჲთა სხუასა მოძღუარსა გამოუცხადოს და ლოცვასა დაეევდროს“?[25] რამეთუ ესევითართა წესთა წუთ უმეცარ იყო. ხოლო მე ვარქუ მას, ვითარმედ: „დიდად[26] სათნო არს ეგე, პატიოსანო ძმაო, წინაშე ღმრთისა“. და მომიგო მე ესრეთ, ვითარმედ: „ყავ[27] სიყუარული და მიჩუენე მე[28] ბერი და მოაჳსენე ჭირი ესე[29] ჩემი“. ხოლო მას ჟამსა ბერი საეპისკოპოსოს[30] აღსრულ იყო. და ვითარცა მოვიდა[31], მოვაჳსენე ძმისა მის გულის-სიტყუაჲ. და ხვალისაგან მიბრძანა მოწოდებაჲ მისი. და მო-რაჲ-ვიდა, შევიყვანე პირველად სენაკად ჩემდა და ვამცენ, რაჲთა უშიშად[32] და კადნიერად გამოუცხადოს ყოველივე[33] ბერსა[34]. ხოლო ვითარცა შევიყვანე წინაშე ბერისა და მე გამოვედ, გამოუცხადნა[35] მას ბრძოლანი თჳსნი. ჰრქუა მას ბერმან[36], ვითარცა თჳთ ყოველსავე[37] უკუანაჲსკნელ მითხრობდა, ვითარმედ:[38] „შვილო,

---

[1] რ—I. [2] ~ მას ჟამსა I. [3] ოდენ I. [4] იგი — CDEFGL. [5] აღკუმთილ E. [6] თანა] ბიმართ E. [7] ეგევითარი] ესევითარი E. [8] ქ̃ს BCDEFGL. ქრისტჱ̃სა I. [9] თჳსსა] თ̃ს B, თს̃ა C. [10] იახლა BCDFGL. [11] რომელთა E. [12] პოვა BCDEFL. ჰპოვა G. [13] პოა რაჲ] ყო არა I. [14] -ჰსცა G. ბრძოლა საცა FIL. [15] ვინადგან K. [16] უცხოსა-უცჴო CDEFGL. [17] სარწმუნოებაჲ იგი] სარწმუნოებისა I. [18] მისი—I. [19] მოვიდა -ჲ- და I. [20] ჯერ-არსა GK. [21] უკუეთუ —I. [22] თჳსსა] ღ̃სსა E. [23] მტრისა G. [24] სჳრდეს BCDEFGIL. [25] ეევდროს BCDEFGL. [26] დიდად—E. [27] ჰყავ CG. [28] მე—I. [29] ესე — I. [30] საეპისკო̃პ̃ს A, საეფისკოპოსოს B, საეპისკოპოზოს CDEI, საეფისკოპოზოს FG, საეფსკოპოს L. [31] მოვიდა — EK. [32] უშიშრად G. [33] ყ̃ოველ თავი თჳსი FGL. [34] ~ ბერსა ყ̃ოველ E. [35] გამოუცხადა CDEFGI. [36] ბერმან] ბერ I. [37] ყლ̃საველ—G. [38] ვ̃დ—CDEFGL. ვ̃დ] ვ̃ა K.

ღჳნოსა განეყენე[1], რაჲთა განსთავისუფლდე[2]“. ჰრქუა[3] ძმამან მან[4]: „მამაო, ქუეყანაჲ[5] ესე ხორშაკი არს და უმეტესად იგი ადგილი, სადა მე ვიყოფები[6], ნუუკუე სნეულებისაგან დავეცე“. ჰრქუა მას ბერმან [v] ჭელმწიფებით და[7] განცხადებულად, ვითარმედ: „შვილო[8], მე ვიყო[9] შორის ღმრთისა და შენსა შუამდგომელი, ვითარმედ: უკუეთუ შენ მცნებაჲ[10] ჩემი დაიმარხო, არღარაჲ[11] შეგემთხჳოს სულიერი გინა ჴორციელი სნეულებაჲ[12]“.

ხოლო იგი ეჳედრებოდა, რაჲთა სრულიად დაიმოწაფოს, არამედ არა ინება ბერმან, ვიდრემდის პირველისა მის მოძღურისაგან არა იჴმნას, რამეთუ არა გუაქუს ეგევითარი ჩუეულებაჲო. ხოლო გამო-რაჲ-ვიდა[13] ძმაჲ იგი, ესე ყოველი[14] მაუწყა. და იხილეებოდა[15] ვითარცა ბრძმედისაგან გამოსრული ყოვლითურთ მხიარული და თავისუფალი. მიერითგან[16] ესრეთ განეყენა ღჳნოსა, რომელ თჳნიერ ზიარებისა წმიდათა საიდუმლოთაჲსა ჟამ რავდენმე[17] გემოსა არა იხილვიდეს[18]. და ვითარცა უკუანაჲსკნელ გჳთხრობდა სარგებელისათჳს ჩუენისა, ვითარმედ: ვინაჲთგან[19] შენ ბერსა თანა შემიყვანეო[20], მიერითგან[21] ესრეთ განვთავისუფლდი[22] მრავალ ჟამ, რომელ კუალიცა ვერ[23] ვპოვე[24] ჩემ შორის პირველთა მათ ბრძოლათაჲ[25]. სიმრთელისათჳს კულა რადღა საჭმარ არს თქუმად, ვითარ[26] ქუეყანასა მას შინა ხორშაკსა ყოველთა ღჳნო-სუმულთაჲსა[27] უმრთელეს იპოვა[28].

ესე ამისთჳს წარმოვთქუთ[29], რაჲთა გეუწყოს, თუ ვითარი შუამდგომელი[30] იყო შორის ღმრთისა და კაცთა, და თუ[31] ვითარისა სიმრთელისა მიმცემელი[32] იყო სულისა და ჴორცთაჲ, და თუ ვითარსა[33] სარწმუნოებასა მისცემდა მისა[34] შევედრებულთა. ხოლო მდიდართა კულა საფასეთა[35] განბნევისათჳს[36], და თუ ვითარ[37] უმეტეს ყოვლისა გლახაკთა წყალობასა ამცნებდა, ძალმან სიტყჳსამან გამოაცხადოს[38], რაჲთა გუეუწყოს მოწყალებაჲ იგი სულისა მისისაჲ.

---

[1] განეყენ B. [2] განთავისუფლდე BCDEFGJKL. [3] ჰრქუა + მას I. [4] მან—E. [5] ქჳეყანა + ქჳეყანა K. [6] ვიყოფი I. [7] და—BCDEFGL. [8] შვილო — J. [9] ვყო I. [10] მცანება G. [11] არღა BCDEFGL. [12] სნეულებაჲ] ენება G. [13] მო-რ-ვიდა BDE, მო-რაჲ-ვიდა CFGL. [14] ყოველი—BCDEFGL. [15] იხილვებოდა] იხუმბოდა B. [16] მიერიდგანK. [17] რაოდენმე BCDEFGL. [18] იხილვიდის BCDEFGL. [19] ვინაჲთგან—I. [20] შემომიყვანეო I. [21] მიერიდგან K. [22] განთავისუფლდი G;~განეთავისუფლდი ესრეთ FGL. [23] ვერა BCDEFG. [24] ვიპოვე B, ჳპოვე G, ჳპოო K. [25] მბრძოლთა BD, მბრძ-ოლთა C, მბრძოლათა FL. [26] ვითარმედ G. [27] სმულთა BCDEFGL, სმულთასა IK. [28] ვიპოვე CDEFG, ჳპოვე L. [29] წარმოვსთქუთ B. [30] შუაძდგომელ BDFL, შუამდგომდგომელი K. [31] თუ — FGL. [32] ~ იყო მიმცემელი E; მიმცემელ K. [33] ვითარ I. [34] მისსა B, მისდა CDEFGL. [35] საფასესა FGL. [36] განბნებისათჳს E, განბანჳისათჳს L. [37] ვითარი K. [38] გამოუცხადოს I, გამოიცადოს K.

[41] რამეთუ იყო ვინმე ეპისკოპოსი, მდიდარი ფრიად და წარჩინებული, რომელსა-იგი მარჯულ ჰბრძოდა[1] ეშმაკი, რაჲთა სიმდიდრითა საფასეთა თჳსთაჲთა ეკლესიანი შეამკვნეს და განაშუენნეს[2], და რაჲთა მონასტერთა[3] შინა აღაპი დაიდვას. და ამით[4] მიზეზითა სცვიდა[5] სიმდიდრესა თჳსსა, ხოლო გლახაკთა ყოლადვე არა მიხედვიდა[6]. ესე დაემოწაფა წმიდასა ამას[7] ბერსა და განუცხადა თჳსი[8] გულის-სიტყუაჲ. ხოლო ბერმან ჰრქუა მას, ვითარმედ: „ჵ მეუფეო[9], ეგე ბრძოლაჲ ბოროტისა მტერისაჲ[10] არს[11], რაჲთამცა ეკლესიათა და აღაპთა მიზეზითა გლახაკთა უწყალოებასა შინა მოგკლა, რამეთუ არა თუ ამას გუეტყჳს[12] ღმერთი, ვითარმედ ეკლესიანი არა შეამკვენითო, არამედ რამეთუ[13] მშიოდა და არა[14] მეცით მე ჭამადი*“. ვითარცა იტყჳს იოვანე[15] ოქროპირი, ესრეთ სწავლათა თჳსთა მიერ მოწყალებად გლახაკთა მოიყვანა[16] და ფრიად განყოფად იწყო უღონოთა და დავრდომილთა, ვიდრე არა[17] სახილველად[18] საკჳრველ იყო, რომელნი[19] პირველ იცნობდეს[20].

ესევითარითა სწავლითა განანათლა ქუეყანაჲ ჩუენი და ესრეთ აცხოვნნა[21] სულნი ურიცხუნი და ძღუნად მიუპყრნა სიძესა მას სულთასა.

XXIII. ხოლო უწყი, ვითარმედ ეძიებ და გსურის მოთხრობად[22], ჵ წმიდაო, თუ ვითარ იქმნა შეკრებაჲ[23] ობოლთაჲ ამათ და თუ ვითარ ესოდენი[24] სიმრავლე ერთობად[25] მოიყვანა, საქმე ესე ფრიად მაღალი და საკჳრველი საქმე დამოკიდებული შჯულისა[26] და წინაწარმეტყუელთაჲ, და ვთქუა[27], თუ[28] უზეშთაესიცა[29] შჯულისაჲ საქმე ახლისა[30] [v] მადლისა შემამკობელი და გჳრგჳნი, რომელი-იგი მოსე იხილა და თანა-წარჰჳდა[31], ხოლო აჰრონ[32] ვითარცა შეუძლებელსა განეშორა, არამედ უფსკრულმან მან[33] წყალობისამან ბეჭთა თჳსთა იტჳრთა და ყოველთა სადგურსა მიიყვანა[34]. ესე საქმე კაც-

---

* მ ა თ ე 25,42.

[1] ∼ ჰბრძოდა მარჯულ FG. ∼ ჰბრძოდა მსაჯულ L, ბრძოდა EK. [2] განაშუნნეს D. [3] მონასტერსა E. [4] ამით] ამის I. [5] ჰსცვიდა G. [6] მიხედვიდა + +და BCDEFGL. [7] მას BCDEFGL. [8] თჳსი] მან თჳსი BCDFL, მას თჳსი EG. [9] მფ˘ო E, მეუეო K. [10] ∼ მტერისა ბოროტისა D. [11] არის D. [12] გეტყჳს BCDEFGIL. [13] რამეთუ — I. [14] არა — B. [15] იოანე GIKL. [16] მოიყვანაო C. [17] არა] არღარა BCDEFGL. [18] სახილველად + სახილველად K. სახილველად + კაცთა E. [19] რომელნი + იგი BCDEFGL. [20] იცნობების I. ∼ იცნობდეს პ˘ლ BCDEFGL. [21] აცხოვნა BE. [22] მითხრობად BCDEFGL. [23] შემოკრებაჲ BC DEFGL. [24] ესეოდენი BCDFL, ესეოდენნი F, ესეოდენისა I. [25] ერთბამად EIK. [26] სჯულისა CEFGL] მოციქულისა I. [27] ვსთქუათ I. [28] თუ—I. [29] უზეშთაეს BCD EFGL, უზესთაესიცა I. [30] ახლოსღა K. [31] წარჳდა CE, წარხდა GK, წაჰრხდა I. [32] ჰაარონ DFGKL. [33] მან—I. [34] მოიყვანა BCDEFGL.

მან ამან მობაძავმან ღმრთისა წყალობათამან სათნოდ ღმრთისა ჴელ-ყო[1] და აღასრულა, რომელ ვჰგონებ[2], თუ დასაბამითგან სოფლისაჲთ და ვიდრე აქამომდე ვერვის ჴელ-უყოფიეს და ვერცალა[3] ვინ ჴელ[4]-ჰყოფს[5] და შეჰკადრებს[6]. დაღაცათუ[7] ვინ სადა ჴელ-ყო[8] ესე ანუ ქალაქთა შინა გინა სოფელთა[9], მცირედთაგანმან[10] ვინმე წარ- 5
ჰმართა[11], კუალად ათნი ვინმე გინა თუ ათჴუთმეტნი[12], გინა[13] ოცნი შეიწყნარნა და ესეცა ჰასაკად[14] მოსრულნი, ვითარცა[15]-იგი[16] წამებს წიგნი მეფეთაჲ აბდიაჲსთჳს წინაწარმეტყუელისა, რომელმანიგი ერგასისნი წინაწარმეტყუელნი ლტოლვილნი და დამალულნი იეზაბელისგან[17] ქუაბსა ერთსა შინა[18] ჟამ რაოდენმე[19] გამოზარდნა[20]. 10
და ესე არა საკჳრველ არს, რამეთუ[21] ესე ერგასის თავი იყო აქაბ მეფისაჲ, ხოლო იგი[22] წინაწარმეტყუელნი იყუნეს ღმრთისანი[23], რომელთა მიერ მრჩობლსა სასყიდელსა[24] მოელოდა.

და კუალად წერილ არს ახალსაცა[25] შჯულსა შინა წმიდისა კლიმისთჳს და წმიდისა ზოტიკე[26] ხუცისათჳს და სამფსონ[27] უცხო- 15
თა[28] შემწყნარებელისა და წმიდისა ბაბილაჲსთჳს[29] ანტიოქელ პატრიაქისა, რამეთუ წმიდაჲ კლიმი ასწავლიდა ყრმათა, ხოლო სულიერი დედაჲ მისი ნეტარი სოფია[30] ზრდიდა[31], და თანამოღუაწე იყო ეგრეთვე ზოტიკე[32] ხუცისა[33] ცოლი[34] და შვილნი, [42] მონანი და მჴევალნი ჰყვეს[35] და თანა-შეეწეოდეს. ხოლო სამფსონ[36] ნამეტნავი- 20
საგან[37] სიმდიდრისა ქველის[38]-საქმესა იქმოდა. და კუალად წმიდაჲ ბაბილა დიდისა მის ქალაქისა საყდრის-მპყრობელ[39] იყო, რომელთაჲ არა არს საკჳრველ ესოდენსა[40] ფართოებასა[41] შინა უხუებით ქველის[38]-მოქმედებაჲ[42]. ხოლო ამან ნეტარმან[43] კაცმან საკჳრველმან და[44] კაცთა[45] ბუნებისა უზეშთაეს[46] შეუკადრებელთა შემკადრებელ- 25
მან, რომელი-იგი ყოვლითურთ მიემსგავსა ბუნებით სახიერსა მას

---

[1]-ჰყო G. [2] ვგონებ CEGiKL, ჰგონებ I. [3] ვერცა E. [4] ჴელ] ყოველთა B. [5]-ყოფს EK, -უყოფს I. [6] შეკადრებს K. [7] დაღაცა<ათს B. [8]-ჰყოს BCDFGL, -უყოს E. [9] სოფელთა] საყოფელთა L. [10] მცირეთაგანმან BCDEFIL. მცირეთგანმან G. [11] წარმართა BCDEFGIL, წარმართთა K. [12] ათჴუმეტნი ABK. ათჴუთმეტნი CI. [13] გინა + თუ C. [14] აჰსაკად B, ასაკად I. [15] ვ<ა]ხ<ორ> I. [16]-იგი — BCDEFGKL. [17] ეიზაბელისგან C, იეზაბელისაგან EFIL. [18] ~ შინა ერთსა BCDEFGL. [19] რაოდენმე BCDEFGIL. [20] გამოზარდა EI. [21] რ<ომელ> — BCDEFGL. [22] იგინი BCDEFGL. [23] ღ<მრ>ისანი] ღირსნი BCDEFGL. [24] სასყიდელსა] სრ<ულ>ჰყო C. [25] ახალსა I. [26] ზოტიკ BCDE, ტოტიკ FGL. [27] სამსონ L. [28] უცხოთ BCDEFGL. [29] შაბილასთჳს G. [30] ~ სოფია ნეტარი BCDEFGL, — I. [31] ჰზრდიდა B. [32] ზოტიკი B. [33] ხუცისა ABCDFGL,ხუცესა E. ხუცესსა IK. [34] ცოლნი I. [35] ყვეს K. [36] საფსონ B. [37] ნამეტავისაგან A. [38] ქუ<ე>ლის-EG. [39] მპყრობელი BCDEFGIL. [40] ესეოდენსა BCDEFL. [41] ფრთოებასა E. [42]-მოქმედებდა C. [43] ~ ნეტარმან ამან C. [44] და — BCDEFGL. [45] კაცთა — E. [46] ~ უზეშთაეს ბუნებისა E.

და კაცთ-მოყუარესა, რამეთუ კადნიერ არს ვიდრე აქამომდეცა[1] სიტყუაჲ ჩუენი, რამეთუ არა თუ ათნი იტჯრთნა, გინა[2] ოცნი, ანუ[3] ორმეოცნი, არამედ ოთხმეოცი[4] სული[5], რომელთაგანთა წუთ[6] არცა მარჯუენე[7] უწყოდეს[8], არცა მარცხენე[9], არამედ მოქნე იყვნეს სძესა დედისასა საზრდელად მათდა პირველსა მას ჰასაკის[10]-ქცევასა შინა, ხოლო სხუანი მეორესა მას[11] ჰასაკსა შინა შესრულნი სიჩჩოებისაგან მცირედ ოდენ დაკლებულნი და ყრმად სახელდებულნი[12], კუალად მწყობრნი; მესამენი მესამესა მას ჰასაკსა შინა სიჭაბუკისასა[13] მოზარდნი და თმათა მათ მამაკაცობისათა[14] მომლოდენი[15], ხოლო მეოთხენი განწყობილნი ხუცესთა და მოხუცებულთა და ბერთანი, რომელნი-იგი ნეფსით[16] თჳსით დაემოწაფნეს, ხოლო სხუანი კუალად შვილთა თჳსთა[17] თანა დადგეს[18]. ესე ყოველნი ერთ მწყობრად და ერთ რიცხუად შეკრებულნი და რვაათეულად[19] აღრიცხულნი და[20] ნავთსადგურსა წყალობისა მისისასა[21] შევედრებულნი, ვითარცა ცხოარნი[22] მწყემსსა კეთილსა[23], ეგრეთ შეუდგეს წმიდასა მას[24].

ხოლო მიზეზი შეკრებისა მათისაჲ ესე იყო, რამეთუ ჟამსა მას, ოდეს-იგი უშჯულოებათა[25] ჩუენთა სიმრავლემან [v] წყალობა-აურაცხელი და[26] სახიერი ღმერთი უწყალოებად და რისხვად აღძრეს და სალმობაჲ იგი განმამრუდებელი[27] სიყმილისაჲ[28] ღირსად და სამართლად ყოველსა[29] აღმოსავლეთსა ზედა[30] მოიწია სიტყჳსაებრ[31] მოსე[32] წინაწარმეტყუელისა, და[33] მრავალსახენი და უწესონი საქმენი კაცთა ბუნებასა ზედა შემოსრულნი[34] იხილებოდეს, და არაწმიდანი საქმელნი ქრისტეანეთათჳს საჭამადად[35] დაყენებულნი ნიჭად დიდად შიმშილსა[36] მიეძღუნებოდეს[37], და შვილნი სასურველნი და საყუარელნი[38] მშობელთანი[39] და[40] ლოცვით[41] მოთხოვილნი[42] ღმრთისაგან საწყინო[43] და საძულელ[44] მშობელთა იქმნებოდეს[45].

---

[1] აქამომდე BCDEFGL [2] გინა + თუ CDEFGL. [3] ანუ + თუ BCDEFGL. [4] ა-დ ოთხმეოცი — BCDEFGL. [5] სულნი BCDEFGL. [6] წუთ—G. [7] მარჯვე L. [8] უწყოდეს + და BCDEFGL. [9] მარცხენა E. [10] ჰასაკისა BDEFGL, ჰასაკსა C. [11] მას—E. [12] სახელდებულნი + და E. [13] სიჭაბუკისათა BCDEFGL. [14] მოზარდნი და თმათა მათ მამაკაცობისათა — BCDEFGL. [15] მომლედენი A, მომლოდნენი I. [16] ნებსით BCDEFGIKL. [17] თჳსთა — BCDEFGL. [18] დაადგრეს BCDEFGL. [19] რვაათეულად + აღრიცხულად DEFGL. [20] და — E [21] მისისა D. [22] ცხოვარნი BCDEFGIL. [23] მწყემსისა კეთილისა CDEFGL. [24] მას—E. [25] უსჯულოებათა BC DEFGIL. [26] და + ყოვლად E. [27] განმამრუდებელი] განმამრავლებელი E, განმარუდუნებელი I. [28] სიყმილისაჲ] სიმყრალისა BCDFGL. [29] ყოვლისა I. [30] ზედა—I. [31] სიტყჳსაებრ] კითხჳსაებრ L. [32] მოსე — BCDEFGL. [33] და — BCDEFGL. [34] გამოსრულნი CDEFGL. [35] საჭმლად BCDEFGL. [36] სიმშილსა G. [37] მიეძღუანებოდეს BCDEFGK, მიემძღვანებოდეს L. [38] ~ საყუარელნი და სასურველნი E. [39] მშობელნი FGL. [40] და — BCDEFGL. [41] ლოცვითა BCDEFGL. [42] მთხოველნი K. [43] საწყენი I, საწყინს K. [44] საძულველ EIL, საძლეველ G. [45] იქმნებოდის I.

ხოლო სხუასა[1] მას[2] თანა[3]-წარვჰჴდეთ[4], რომელი არა ჯერ-არს აღწერად, ხოლო ესე აღიწერა[5] მოსაჴსენებელად ქველის-მოქმედებასა[6] კაცისა მის ღმრთისასა[6], თუ ვითარსა ჟამსა ვითარ მიზეზ[8] ღმრთისა[9] წყალობისა ექმნა მრავალთა სულთა და მრჩობლთა მიერ საზრდელთა გამოზარდნა[10], ვითარცა პირველ იოსებ[11] მეგჳპტელნი, და ვითარცა მოსე ზღჳსაგან სიყმილისა დაუნთქმელად მისდა[12] შეეყრებულნი იგი სულნი განარინნა. და[13] ესე ნუ ვის უკჳრს[14], ოდეს მოიწიოს ზეგარდამო რისხვაჲ კაცთა ნათესავსა ზედა, არა ხოლო თუ გლახანი[15] შეიწრდებიან, არამედ მდიდარნიცა ნაკლულევან იქმნებიან, ვითარცა იტყჳს დავით, ვითარმედ: „ყოველთავე მიაქციეს ერთბამად და უჴმარ იქმნნესო“*[16], ამისთჳსცა[17] ყოველნივე იტანჯნეს[18].

[43] ხოლო, ვითარცა ზემო ვთქუთ[19], რომელნი ამას საზარელსა ბოროტსა მძლე ექმნნეს[20] და[21] კნინ ოდენ სიყმილისა სიკუდილსა დაუშთეს და ჟამსა მას განსაცდელისასა მცირედ თანა[22]-წარჰჴდეს[23], მას ოდენ ჟამსა მივიწიენით[24] ჩუენ აღმოსავლეთს, რამეთუ დაღაცათუ მცირედ[25] უმოლხინეს ქმნილ[26] იყო ჟამი იგი[27], გარნა წუთ[28] ნეშტი განსაცდელთა იწროებისაჲ[29] სრულიად არა თანა-წარსრულ იყო. და, თუცა[30] ვინ[31] დაშთომილ იყო, მრავლითა ჭირითა ცხონდებოდა[32] და შორის სიკუდილისა და ცხორებისა[33] მყოფ[34] იყო[35].

და ესე ყოველი რაჲ იხილა წმიდამან მამამან[36] გიორგი, სულთ-ითქუნა მწუხარებით და ცრემლით იტყოდა: ჱ მე, რაჲსათჳსმე[37] მოვიწიე[38] ამას ჭუეყანასა ხილვად ესევითართა ამათ ბოროტთა? ხოლო, პირველ ყოველთასა, ვპოვენით[39] ამის ნეტარისა თჳსნი მათ

---

* ფ ს ა ლ მ. 13,3.

და დღესა ერთსა წარმოვიდოდა იოვანე მუშაკთა თანა ეკლესიისათა. და აღუშფოთდა მთავარი იგი იოვანეს, და უხეთქნა ღაწუსა მისსა და განასხნა მუშაკნი ეკლესიისანი. ხოლო იოვანე[v] არაჲ მიუგო, არამედ შევიდა წმიდისა პეტრესა და აუწყა საქმე ესე. ხოლო წმიდამან პეტრე არა სწყევა მას, არამედ ესრეთ თქუა: „ჶ საკჳრველი, უკუეთუ კაცი იგი ამას ღამესა არა მოკუდეს“.

და ვითარ განთენა, მოსარჩლე იგი მათი მომკუდარ იყო. და უწყოდეს ყოველთა, რამეთუ სნებაჲ არა სჭირდა მთავარსა მას, გარნა ამისთჳს ეწია მას რისხვაჲ იგი, რომელ იოვანეს უხეთქნა.

ხოლო ვითარცა დაჰფლეს იგი, კუალად იწყეს შენებად ეკლესიისა წმიდათა მათ. და ღმრთისა შეწევნითა კეთილად განასრულეს. და ჰმსახურებდეს უწყინოდ ყოველთა ძმათა მომავალთა გლახაკთა და უცხოთა.

ხოლო ერთსა ჟამსა დაელია საზრდელი და არაჲ აქუნდა მათ ყოლად რაჲთურთით. და ჩუეულებისაებრ შემოკრბეს გლახაკნი. ხოლო წმიდათა მათ არაჲ ჰქონდა მათ (!) საზრდელი ჶორციელი, რაჲთამცა ისტუმრნეს გლახაკნი იგი. არამედ ღმრთისა მიმართ აჴუნდა მრავალი სასოებაჲ, და აღდგეს და ილოცეს ქრისტეს მიმართ და თქუეს: „უფალო, უფა-

B

ხოლო ერთსა ჟამსა დაელია მათ საზრდელი და არა აქუნდა ყოლად, არამედ სასოებაჲ ღმრთი სამიერი. დღესა უკუე[1] ერთსა შემოკრბეს გლახაკნი და უცხონი მრავლად. ხოლო წმიდათა მათ არა აქუნდა, არამედ აღდგეს[2], ილოცეს და თქუეს: „უფალო იესუ ქრისტე, შენ სთქუ და ბრძანე: «ნუ ჰზრუნავთ[3] ხვალისასა[4*]», არამედ აწ რაჲ[5] ვყოთ ანუ[6] რაჲთა

---

* მათე 6,34.

B რიდ.: [1] უკუე + უკუე D. [2] აღდგეს + და B. [3] ზრუნავთ DE. [4] ხვალისათჳს D. [5] რა L. [6] ახუ — D.

A

ლო, შენ სთქუ და ჰბრძანე, ვითარ-მედ: «ნუ ჰზრუნავთ ხვალისასა»*, არამედ აწ რაჲ ვყოთ, რაჲთუ არარაჲ გუაქუს, რაჲთამცა მონა-ნი შენნი ვისტუმრენით". და ვიდრე ილოცვიდეს-ღა წმიდანი იგი, იპოვნეს ყოველნი ჭურჭელნი, რამეთუ აღვსებულ იყუნეს: სახუარბლენი და საფჭლენი და საპურენი და საცერცუენი და საზეთენი და საღჯენი, ყოველნივე ძღიდრად გარდაეცემოდეს. და ვითარცა იხილეს საკჳრველებაჲ ესე, ადიდებდეს ღმერთსა და განუყოფდეს უშურველად ყოველთავე.

ამისა შემდგომად ჰრქუა მათ მამამან ზენონ არქიმანდრიტმან, ვითარმედ: „შეევედით მონასტრად და მოიჴსენებდით ძმათა მათ მარხვითა და ლოცვითა". ხოლო იგინი მორჩილ ექმნეს და შეევიდეს მონასტრად, რომელი მახლობელ იყო იერუსალიმსა[1], და იღუწიდეს უმეტეს ყოველთაჲსა. და ესრეთ იყუნეს, ვითარმცა (!) ახლად, და დღითი-დღე შედგებოდეს ყოველთა სათნოებათა.

ხოლო იგი ვიდრე იყუნეს მას მონასტერსა, აღესრულა წმიდაჲ და ნეტარი იოვანე საჩურისი და წარვიდა წინაშე უფლისა მხიარულითა პირითა. და დაჰმარხეს იგი დიდითა დიდებითა მონასტერსა

B

ვისტუმრნეთ მონანი ესე შენნი". და ვიდრე[1] ილოცვიდეს-ღა[2] წმიდანი იგი, აჰა იპოვნეს ყოველნი ჭურჭელნი აღსავსენი: სახუარბლენი, საპურენი, საფჭლენი[3], საცერცუენი[4], საზეთენი, საღჯენი, ყოველნივე მდიდრად გარდამოეცემოდეს[5]. და ვითარცა იხილეს საკჳრველი ესე, ადიდებდეს ღმერთსა მომცემელსა კეთილისას[ა] და განუყოფდეს ყოველთა უშურველად.

ხოლო ვიდრე იყუნეს-ღა[6] იგინი მონასტერსა ზენონ არქიმანდრიტისასა, ნეტარი იოვანე[7] საჩურისი სოფლით განვიდა[8] და წარვიდა წინაშე უფლისა[9] მხიარულითა პირითა. და დამარხეს იგი

---

* მ ა თ ე 6,34.

A რედ.: ნუსხაშია: [1] ი˘ერლიმსა.

B რედ. [1] ვიდრე] ვ˘ა C, ვე D. [2] ილოცდეს-ღა A. [3] საიფჭლენი BDEL. [4] საცერცვენი D, საცუერცვენი E. [5] გარდაეცემოდეს BD. [6] იყუნეს-ღა ABC. [7] იოანე L. [8] განჴდა A. [9] უფლისა] ღმრთისა D.

A

მას ქართველთასა, რომელი მათ წმიდათა აღაშენეს.

ხოლო ნეტარმან პეტრე დაყო მონასტერსა მას, სადა-იგი მიავლინა არქიმანდრიტმან, მრავალნი წელნი დიდსა და ფიცხელსა შინა მოღუაწებასა ეზომი იღუაწა, რომელ უზეშთაეს იქმნა ბუნებასა კაცთასა.

და დიდად განითქუა სახელი მისი ყოველსა მას ჭუეყანასა იერუსალიმისა[1], პალესტინისა და ეგჳპტისასა. და ყოველთა მიერ სანატრელ იქმნა ვითარცა ჰეშმარიტი მონაჲ ქრისტეს ღმრთისაჲ.

XIV. მას ჟამსა შინა მოკუდა ეპისკოპოსი ქალაქისა ‹მიუმისაჲ, და შეკრბეს და მოვიდეს ყოველნი მოქალაქენი მიუმისანი პატრიაქისა და ჰრქუეს, ვითარმედ: „წმიდაო მეუფეო, ქალაქისა ჩუენისა ეპისკოპოსი გარდაიცვალა და სხუაჲ ეპისკოპოსი არა გჳნებს, გარნა პეტრე ქართველი.“

მაშინ უბრძანა პატრიაქმან ძიებაჲ მისი. და წარვიდეს, და ძიება-ყვეს და პოვეს უდაბნოს, რამეთუ უდაბ[163]ნოჲს-მოყუარე იყო წმიდაჲ ესე. და მრავალჯერ წარვიდის მარტოჲ უდაბნოდ, რაჲთა მხოლოჲ მხოლოსა ზრახვიდეს. ხოლო ვითარცა პოეს წმიდაჲ იგი, მძლავრ შეიპყრეს და შეკრეს, და

B

დიდითა დიდებითა მონასტერსა მას ქართველთასა, რომელ მათ წმიდათა[1] აღეშენა[2]..

XIV. მასვე ჟამსა აღესრულა ეპისკოპოზი[3] ქალაქის[ა] მაოამისა, და შეკრბეს და მოვიდეს ყოველნივე მის ქალაქისანი წინაშე პატრიაქისა და ჰრქუეს, ვითარმედ[4]: „წმიდაო მეუფეო[5], ეპისკოპოზი[6] ჩუენი ქალაქისა გარდაიცვალა და სხუაჲ ეპისკოპოსი[7] არავინ გუნებავს, გარნა პეტრე ქართველი[8]“.

ხოლო მან უბრძანა მოძიებად[9] მისი. და წარვიდეს მეძიებელნი, და პოვეს იგი ადგილსა უდაბნოსა. და ვითარცა აუწყეს მიზეზი მისლვისა თჳსისა[ჲ], იჯმნა მათგან და ივლტოდა.

A რედ.: [1] ნუსხაშია: [1] იᲝ᷑ლიმისა

B რედ.: [1] წმიდათა + მაᲝათა C. [2] აღაშენეს BDEL, აღაშენა C. [3] ებისკოპოსი E, ებისკოპოზი L. [4] ვ᷑დ — BCEL. [5] მეჯᲝ A, მეფ᷑Ო DE. ნეფეო L. [6] ებისკოპოზი E, ეფისკოპოზი L, ეპისკოპოზი BCD. [7] ებისკოპოზი EL. [8] ქართუᲝლიL. [9] მოძიებაჲ D.

A

მიჰყვანდა შეკრული, რაჲთა არა ივლტოდის.

ხოლო წმიდამან, ვითარცა ცნა მიზეზი შეკრვისაჲ, და რამეთუ ეპისკოპოს ჰყოფენ, შეუძნდა ფრიად, და მწარედ ტიროდა და განტევებასა ევედრებოდა და ეტყოდა მათ, ვითარმედ: „დიდად ცოდვილი ვარ“.

ხოლო მათ არა ისმინეს მისი, არამედ წარიყვანეს. და ვითარცა მიიწინეს დაბასა ერთსა, დაუღამდა მათ, და დ[ა]ადგრეს სახლთა შინა ქორედთა, რაჲთა ვერ უძლოს წმიდამან სივლტოლად. მაშინ ჰრქუა მათ წმიდამან პეტრე: „განმჴსენით მე მწუხრსა ამას და განთიად შემკარით“. ხოლო მათ განჰჴსნეს. და ვითარცა დაიძინეს ყოველთა, აღდგა ყოველთაგან უცნაურად და ენება გარდაგდებაჲ თავისაჲ ხოლო სიმაღლისა მისგან, რაჲთა განერეს ანუ განიტეხოს ასოჲ რაჲმე, და ესრეთ დააკლდეს დიდებასა მას, რამეთუ დიდად სძულდა დიდებაჲ ამის სოფლისაჲ.

მაშინ გამოეცხადა მას უფალი პირისპირ მჴედრებითა ანგელოზთაჲთა და ჰრქუა მას: „პეტრე, არა უწყია, რაჲ-იგი უბრძანე მოციქულსა ჩემსა პეტრეს და ოდეს იგი დაბანასა მას ფერჴთასა ურჩ მექმნებოდა?“ ხოლო მან მიუგო ძრწოლით: „ჰე უფალო, უწყი“. და ჰრქუა მას უფალმან: „და აწ

B

ხოლო მათ იხილეს რაჲ, შეიპყრეს. და ესრეთ მოჰყუანდა[1]. მწუხრი უკუე სავანე-ჰყვეს[2] დაბასა რომელსამე, და დადგეს სახლსა შინა ქორედსა. მაშინ ჰრქუა მათ წმიდამან: „განმჴსენით მე მწუხრსა ამას“. ხოლო მათ განჴსნეს. და ვითარცა დაიძინეს ყოველთა, აღდგა და ენება გარდაგდებაჲ[3] თავისა[ჲ], რაჲთა განერეს ანუ მოიტეხოს ასოთა თჳსთაგანი და ესრეთ დააკლდეს დიდებასა მას.

და ვითარ გახიზრახვიდა[4] ამას, აჰა (241) კუალად გამოეცხადა მას უფალი პირის-პირ მჴედრებითა ანგელოზთა[ჲ]თა და ჰრქუა მას: „პეტრე, უწყია, რაჲ-იგი უბრძანე მოციქულსა ჩემსა პეტრეს, ურჩ მექმნებოდა რაჲ საიდუმლოსა მას ფერჴთა განბანისასა[5]? და აწ შენ გეტყჳ: «არა გიც ნაწილი სამკჳ-

B რედ.: [1] მოჰჴუნდა A. [2]-ჰყჳს A, ყჳს DEL. [3] გარდაგდებად BDEL. [4] განიზრახჳდა A, განიძრახვიდა B. [5] ფერჴთ-ბანისასა D.

A

შენცა გეტყჳ, არა გიც ნაწილი სამკჳდრებელსა ჩემსა, უკუეთუ არა ჰმწყსნე ცხოვარნი ჩემნი". და ნუგეშინი[ს]-სცა უფალმან და განაძლიერა. და ამისა შემდგომად ამაღლდა უფალი ზეცად. ხოლო წმიდაჲ პეტრე თაყუანის-სცემდა და ადიდებდა წმიდასა სახელსა მისსა.

და ვითარცა განთენა, აღდგეს კაცნი იგი და წარიყვანეს ნეტარი პეტრე პატრიაქისა წინაშე. და ეტყოდა წმიდაჲ პატრიაქსა, ვითარმედ: „წმიდაო მეუფეო, ფრიად ცოდვილი ვარ და არა ღირსიო", და იჩემებდა ცოდვათა მრავალთა სახელით, რომელთაგან ბიწიცა არა უწყოდა, და ფრიად უღირსად ხადოდა თავსა თჳსსა, რაჲთამცა განუტევეს. ხოლო მათ არაჲ ისმინეს, არამედ აღდგა პატრიაქი, და წარიყვანა წმიდაჲ პეტრე წმიდად ეკლესიად. და დაასხნა ჴელნი თჳსნი პატრიაქმან თავსა ზედა პეტრესსა და აკურთხა იგი მთავარეპისკოპოსად ნებითა ღმრთისაჲთა. და დაიმჭირა იგი მის თანა დღეთა მრავალთა. და ცნა და გულისჴმა-ყო პატრიაქმან, ვითარმედ დიდად სულიერი მონაჲ არს ღმრთისაჲ.

XV. ხოლო შემდგომად დღეთა რაოდენთამე მოუწოდა პატრიაქმან მთავართა ქალაქისა მიუმისათა და ასწავა მათ სწავლაჲ სა-

B

დრებელსა ჩემსა, უკუეთუ[1] არა დაჰმწყსნე ცხოვარნი ჩემნი". და ვითარ ესე ჰრქუა, განაძლიერა[2], ნუგეშინი-სცა და ამაღლდა ზეცად. ხოლო იგი თაყუანი-სცემდა და ადიდებდა სახელსა მისსა.

მაშინ მისცა თავი თჳსი ნებასა მათსა და წარვიდეს წინაშე პატრიაქისა[3]. ხოლო იჴმნიდა პატრიაქისაგანცა და მრავალფერთა ცოდვათა იჩემებდა, რაჲთა განერეს. ხოლო მან არა უსმინა[4], არამედ აღიყუანა[5] წმიდად ეკლესიად და აკურთხა იგი ეპისკოპოზად[6] ნებითა ღმრთისაჲთა. და შემდგომად მცირედისა ჟამისა წარავლინა საყდრად მისად.

XV. ხოლო ეუწყა რაჲ მკჳდრთა მაომისთა[7], მოეგებოდეს[8] სიხარულით, კერეონთა[9] და სულნელთა[10], საკუმეველთა[11] და ნელსაცხებელ-

---

B რედ.: [1] უკეთუ B. [2] განაძლიერა + და D. [3] პატრიაქისაგანცა BCDEL. [4] ისმინა BDEL. [5] აღიყვანა BDEL. [6] ებისკოპოზად EL. [7] მაოამისათა B, მაოამისთა DEL. [8] მოეგებოდეს AC. [9] კერონთა A. [10] სურნელთა BD. [11] საკმეველთა EL.

A

ღმრთოჲ და მერმე მიუთუალა მათ წმიდაჲ პეტრე და ჰრქუა: „კაცნო ღმრთის-მოყუარენო, ამას მწყემსსა კეთილსა მიგცემს თქუენ უფალი ღმერთი. აწ უკუე დაემორჩილენით ამას, ვითარცა ქრისტესა, და შეუდეგით ყოვლითა სულითა თქუენითა". ხოლო მათ მიითუალეს წმიდაჲ პეტრე სიხარულითა დიდითა და ჰმადლობდეს უფალსა ღმერთსა.

ხოლო პატრიაქმან წარავლინა წმიდაჲ პეტრე საყდარსა თჳსსა დიდითა პატივითა. და ვითარცა მიიწია წმიდაჲ პეტრე ქალაქად მიუმისა, გამოვიდეს ყოველნივე შემთხუევად მისა და მიგებებად დიდთაგან ვიდრე მცირედმდე კერეონებითა და სანთ[ν]ლებითა დიდძალითა და ქებითა, გალობითა და შესხმითა. და დიდითა დიდებითა და პატივითა შეიყვანეს ქალაქად და წმიდად ეკლესიად. ხოლო სასწაულნიცა მრავალნი იქმნნეს ღმრთისა მიერ ჴელითა წმიდისა პეტრესითა ქალაქსა მას შინა დღესა მას შესლვისა მისისასა. ამისთჳსცა ყოველნი იხარებდეს და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან ესევითარი მწყემსი მოსცა მათ.

ხოლო წმიდამან პეტრე არა შეწირა მსხუერპლი იგი უსისხლოჲ მრავალ ჟამ. მაშინ მოიწია მისა ჴმაჲ, რომელი ეტყოდა: „პეტრე, აღდეგ და შესძინე ტალანტსა

B

თა სიმრავლითა, და მრავლითა დიდებითა და პატივითა აღიყუანეს[1] ეკლესიად, ბრწყინვალე სანთელი სასანთლესა ზედა[2], და[3] დადგეს[4], რაჲთა ჰნათობდეს[5] ყოველსა.

ხოლო წმიდამან ჟამ რაოდენმე[6] არა შეწირა უსისხლო[ჲ] იგი მსხუერპლი. მაშინ მოიწია ჴმაჲ ზეგარდამო, რომელი ეტყოდა: „პეტრე, აღდეგ და შესწირევედ[7]

B რედ.: [1] აღიყუანეს BDEL. [2] ზედა—DEL. [3] და—BEL. [4] დაადგეს ACD. [5] ნათობდეს D. [6] რაჲოდენმე ACL. [7] შეწირევედ D.

A

შენსა და შესწირევდ მსხუერპლსა, რაჲთა არა მოიღო პატიჟი მონისაჲ მის, რომელმან-იგი დაჰფლა ტალანტი უფლისა თჳსისაჲ".

ხოლო პეტრეს ვითარცა ესმა ჴმაჲ უფლისაჲ, აღდგა შიშით და იწყო ჟამის-წირვად. და იყვნეს მრავალნი მღდელნი და მონაზონნი გარემოჲს საკურთხეველისა მის. და იხილეს ყოველთა, რამეთუ, რაჟამს განაწილა ჴორცი იგი ქრისტესი, აღივსო წმიდაჲ საკურთხეველი სისხლითა.

ხოლო ნეტარი პეტრე შეძრწუნდა და უკუდგა წმიდისა ტრაპეზისაგან.

მაშინ მოიწია მისა ჴმაჲ ზეცით, რომელი ეტყოდა: „ეპისკოპოს, შესაწირავი განასრულე. ხოლო არა შენთჳს იქმნა საქმე ეგე, არამედ ჩემთჳს, რაჲთა უწყოდინ ყოველთა, რაოდენ დიდ არს და საშინელი შესაწირავი იგი სიწმიდისაჲ და შეწუნარებულ გულითა უმანკოთაგან, ხოლო დამსჯელ გულარძნილთა გონებითა".

და ვითარცა იხილეს ესე და ესმა ჴმაჲ ზეცით ყოველთა მოქალაქეთა, იხარებდეს ყოველნივე და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან ესევითარი მწყემსი მოსცა მათ. და მიერითგან ეპყრა ყოველთა, ვითარცა ანგელოზი ღმრთისაჲ.

XVI. მათ დღეთა შინა დაესრულა მეფობაჲ თევდოსი მცირისაჲ

B

მსხუერპლსა, რაჲთა არა მიიღო, პატიჟი ტალანტის-დამმალველისა[1] მის".

ხოლო წმიდასა[2] ვითარცა ესმა ჴმა[ჲ][3] უფლისაჲ, აღდგა შიშით და იწყო ჟამის-წირვად. და ვითარცა იწყო განაწილებად წმიდასა მას ჴორცსა უფლისასა, ეჰა ძლიერებათა შენთა, ქრისტე, რამეთუ იხილეს ყოველთა, რომელ წმიდაჲ იგი[4] ფეშხუმი სისხლითა აღივსო და შეძრწუნებულნი იქცეოდეს.

ხოლო წმიდაჲ იგი მცირედ უკუნდგა წმიდისა ტრაპეზისაგან.

და აჰა მოიწია ჴმაჲ ზეცით, ვითარმედ: „ეპისკოპოს[5], შესაწირავი განასრულე, რამეთუ არა შენთჳს იყო ესე, არამედ ერისა მაგისთჳს, რაჲთა ცნან, რაოდენ დიდ არს და საშინელ ძალი შესაწირავისა[6] მაგის წმიდისა და შეწუნარებულ გულითა წრფელითა[7], ხოლო დამსჯელ გონებითა გულარძნილთა[8].

ამიერითგან ვინ-მე გამოთქუნეს ღუაწლნი და შრომანი მისნი, თუ

B რედ.: [1] დამალველის L. [2] წმიდა L. [3] ჴმა ACL. [4] იგი—D. [5] ეპისკოპოზ BD, ებისკოპოზ EL. [6] შესაწირავისა BDEL. [7] წრფელთა ABC. [8] გულარძნილთა EL.

A

და დაიპყრა მეფობაჲ მარკიანე, და შეკრიბა კრებაჲ მეოთხე ქალკიდონს ეჭუსას ოცდაათთა მამათაჲ, და დაამტკიცეს ორი ბუნებაჲ ქრისტესი. სევერიანოსნი-იაკობნი — შეჩუენებულნი —არა შეიწუნარებდეს ქრისტეს ორთა ბუნებათა და არცა განჰორციელებასა მისსა წმიდისა ღმრთის-მშობელისაგან.

მაშინ ნეტარმან კჳრილე ალექსანდრიელმან და ყოველთავე მამათა შეაჩუენნეს იაკობნი და ყოველნი მწვალებელნი, რომელთა არა ჰრწამს ორი ბუნებაჲ ქრისტესი და კაცებაჲ მისი წმიდისა ღმრთის-მშობელისაგან.

ხოლო მეფემან მარკიანე წარმოავლინა კაცი სამეუფოჲ პალესტინედ, რაჲთა განასხნეს მწვალებელნი ქუეყანით მათით. ხოლო ვინაჲთგან უკეთურნი იგი მრავალ და ფრიად იყვნეს, ამისთჳსცა ძლიერად წინააღუდგეს. და იქმნა ბრძოლაჲ შორის მათსა და ფრია-

B

ვითარ იღუაწა პირმეტყუელთათჳს სამწყსოთა ქრისტესთა. მრავალნი წარმართნი მეკერპენი მოაქცინა და ღირს ყვნა[1] ემბაზსა ნათლის-(ν)ღებისასა; მწვალებელთა არწმუნა შეერთებაჲ ეკლესიისა[ჲ]; უწჯობასა ლოცვითა[2] გარდამოიყუანა[3] წჯმა[ჲ] ფრიადი; უშვილოთა მიჰმადლა[4] შვილიერებაჲ[5], სენი მრავალფერნი განკურნნა[6]; ვენაჯთა უნაყოფოებაჲ ნაყოფიერ ყო; მეთევზეთა[7] ნადირობისა განმარჯუებაჲ მიჰმადლა[8]. ხოლო მისცა ღმერთმან მადლი წინაწარმეტყუელებისა და სულსა წმიდათასა ხილვისა, რამეთუ იხილა სული მამისაჲ[9] ესაია[ჲ]სი და მამისა ზენონ სკიტელისა[ჲ][10] ჴორცთაგან რაჲ განსრულ იყვნეს[11] და აღვიდოდეს[12] ზეცად.

B რედ.: [1] ყუნა ABC. [2] ლოცჳთა A. [3] გარდამოიყუანა BDEL. [4] მიმადლა ABCEL. [5] შჳლიერებაჲ AL. [6] განკურნა D. [7] მეთევზურთა D. [8] მიმადლა ABC. [9] მამისა BDEL. [10] სკითელისა L. [11] იყუნეს ABCE. [12] აღჳდოდეს AC.

A B

დი სიმრავლე მოსწყდა მართლმადიდებელთაჲ ბილწთა მათ მწვალებელთაგან, არამედ უკუანაჲსკნელ იძლივნეს უკეთურნი იგი.

დღესა ერთსა, ვითარცა დადგა წმიდაჲ პეტრე ჟამის-წირვად, იხილა განცხადებულად, რამეთუ მოვიდეს წმიდანი ანგელოზნი და [164] აღიყვანებდეს სულთა მართლმადიდებელთასა ზეცად დიდითა დიდებითა წინაშე უფლისა, რომელნი-იგი მოისრნეს მწვალებელთა მიერ. და იხილნა სულნი მიცვალებულნი შთამავალნი ქუესკნელად ჯოჯოხეთად. და ესე ამისთჳს იხილა, რაჲთა ასწაოს სამწყსოთა თჳსთა მართალი სარწმუნოებაჲ, და განამტკიცნეს სულნი ორგულნი და მცირედ მორწმუნენი.

XVII. ხოლო ღმრთის-მოყუარემან და მართლმადიდებელმან მეფემან მარკიანე დაყო ექუსი წელი და დაუტევა ცხორებაჲ მეფობისა თანა. და პოვეს ჟამი მწვალებელთა, და კუალად აღეგზნეს და აღატყდეს, ვითარცა ცეცხლნი, და დაიპყრნეს რომელნიმე კერძონი ქუეყანისანი. და შეკრბეს და განიზრახეს, რაჲთა მოკლან წმიდაჲ პეტრე ქართველი მღდელთ-მოძღუარი.

და წარმოვიდეს, და თანა-ჰყვა მცირე ყრმაჲ, რაჲთა ზაკ[უ]ვით და უცნაურად მოკლან წმიდაჲ იგი. და ვითარცა მოვიდეს და ჰრეკდეს კარსა და ჰრქუეს: „წმიდაო ღმრთისაო, განგჳღე და განკურნე ყრმაჲ ესე და რამეთუ იგუემების მტერისაგან“, მაშინ მოიწია მისა ჴმაჲ, რომელი ეტყოდა: „პეტრე, ნუ განუღებ კარსა, რამეთუ მზაკ[უ]ვარნი არიან“. ხოლო ესმა უშჯულოთა მათცა ჴმაჲ ესე და მეყსეულად იქცტოდეს.

ხოლო ვითარცა გულისჴმა-ყო ნეტარმან ზაკ[უ]ვაჲ მათი და რამეთუ მოკლვის ენება, მრქუა მე: „შვილო ზაქარია, აღდეგ და წარვიდეთ უცხოსა ქუეყანასა, რამეთუ არა ჯერ-მიჩს, რაჲთამცა ჩუენითა სიკუდილითა ესენი წარწყმდეს“.

და ვითარცა წარვედით მიერ, შევედით სოფელსა რომელსამე. და იყო დღე წმიდაჲ კჳრიაკე. და ბრძანა წმიდამან პეტრე შემზადებაჲ საკურთხეველისაჲ და წირვაჲ ჟამისაჲ. ხოლო სახლი იგი, რომელსა შინა ეგულებოდა წირვაჲ, საკერპოჲ ყოფილ იყო და ზე სიმაღლესა შინა დგეს კერპნი.

A B

და ვარქუ მას: „წმიდაო მამაო, ნუუკუე არა ჯერ-
-იყოს აქა შინა წირვაჲ, რამეთუ კერპნი დგანან“.

ხოლო წმიდამან მრქუა: „შვილო ჩემო, ღმრთის ა
შევსწირავთ მსხუერპლსა და არა ეშმაკთა“. და ვითარ - 5
ცა იწყეს ჯამის-წირვად, გამოჰკრთა ცეცხლი საცეცხურ-
თაგან და დაწუნა კერპნი იგი, ხოლო სახლსა არა ავნო.
და ესე რაჲ ვიხილეთ, მივეცით დიდებაჲ ღმერთსა.

კუალად მივედით ქალაქსა ერთსა და ვიყვენით
მუნ დღე რაოდენიმე. 10

და იყო ვინმე კაცი ქრისტეანე და ესუა ასული.
და დასნეულდა ქალი იგი სენითა ფიცხელითა. მაშინ
წარვიდა კაცი იგი, მამაჲ ქალისაჲ, რაჲთა მოიყვანოს
გრძნეული და განკურნოს ქალი იგი. ხოლო დედაჲ ქა-
ლისაჲ მოვიდა და შეუ[ე]რდა ფერჴთა წმიდისათა ცრემ- 15
ლით და ეტყოდა: „შემიწყალე მე, მონაო ქრისტეს
ღმრთისაო, და განკურნე ასული ჩემი და იჴსენ გრძნე-
ბისაგან, რამეთუ მამასა მისსა ჰნებავს მოყვანებაჲ გრძნეუ-
ლისაჲ“.

ხოლო წმიდასა შეეწყალა დედაკაცი იგი და ჰრქუა 20
მას: „ნუ სტირ, დედაკაცო. ქრისტემან განკურნოს ასუ-
ლი შენი, ხოლო არა ეჰგონებ, თუმცა ხვალემდინ ცო-
ცხალ იყო გრძნეული იგი. და [v] აღდგა და წარვიდა
წმიდაჲ იგი ქალისა მის და სცხო მას ეულოგიაჲ სახელსა
ზედა წმიდისა სამებისასა. და უპყრა ჴელსა მისსა და აღა- 25
დგინა იგი ყოვლითურთ მრთელი და უვნებელი და ადი-
დებდეს ყოველნივე ღმერთსა.

ხოლო გრძნეული იგი იპოა განთიად მკუდარი სიტყჳ-
საებრ წმიდისა. და განითქუა სახელი წმიდისაჲ მის ქა-
ლაქსა მას და გარემოჲს სანახებთა მისთა. 30

მთავარი ვინმე იყო მასვე ქალაქსა შინა და ხადა
წმიდასა პეტრეს და მისთანათა სამხრობად. ხოლო წმი-
დასა მას არა უნდა მისლვის, არამედ კუალად არა ინე-
ბა შეწუხებაჲ მთავრისაჲ მის, არამედ წარვიდა. ვითარ-
ცა დასხდეს სამხრობად, მთავარი იგი აგინებდა და ჰრის- 35
ხვიდა სახლეულთა თჳსთა, რამეთუ იყო გულფიცხელ.

მაშინ მოიწია მისა ჴმაჲ ზეცით წმიდისა, რომელი
ეტყოდა: „პეტრე, არა აღმოგიკითხავსა წერილი იგი,
ვითარმედ ყოველისა ცუდისა სიტყჳსათჳს სიტყუაჲ მის-

A B

ცენ კაცთა მას დღესა? და აწ სახელი ჩემი შენ ძლით იგმობვის სახლსა მაგას შინა და შენ მანდა ხარაა?“

ხოლო წმიდამან პეტრე მიზეზ-ყო მიზეზი რაჲმე, აღდგა მეყსეულად, და გამოვედით მიერ და წარვედით.

და დღესა მეორესა განვიდა მონასტერთა მათ, რომელნი იყვნეს გარეშე ქალაქისა მის, რაჲთა ჟამი წიროს.

და მოვიდეს დიდ-დიდნი და შერაცხილნი მის ქალაქისანი წინაშე წმიდისა. და იწყეს უბნობად სიტყუათა ცუდთა, ვითარცა არს წესი ერისკაცთაჲ. ხოლო ნეტარმან პეტრე არარაჲ მიუგო მათ, და შეევედით ერთსა მონასტერთაგანსა და აღვიდა წმიდად საკურთხეველად, რაჲთა ჟამი წიროს.

მაშინ წარმოუდგა მას ანგელოზი უფლისაჲ და ეგულებოდა გარდამოგდებაჲ მისი საკურთხევლით.

ხოლო წმიდამან პეტრე ჰრქუა მას ცრემლით: „რაჲ ვყავ, უფალო, ანუ რომლისა ბრალისათჳს შემამთხუევ ამას?“

მიუგო ანგელოზმან მან უფლისამან და ჰრქუა მას: „პეტრე! დღესა, რომელსა გეგულებოდის მსხუერპლისა შეწირვაჲ, ნუ მიუპყრობ სასმენელთა შენთა ურგებთა სიტყუათა და ნუცა შეაგინებ გონებასა შენსა და განჰხრწნი და გარე განჰვარდები კეთილისა გულს-მოდგინებისა შენისაგან, რამეთუ გონებაჲ წმიდაჲ უზეშთაეს არს და უფროჲს ყოველთა მსხუერპლთა და შესაწირავთა წინაშე უფლისა. ხოლო ესე შენდობილ იყავნ შენდა და ამიერითგან. ეკრძალე, რაჟამს გეგულებოდის ჟამის-წირვაჲ“.

ხოლო წმიდაჲ პეტრე შეუვრდა ანგელოზსა მას და ითხოვა შენდობაჲ და ადიდებდა უფალსა ღმერთსა.

XVIII. შემდგომად დღეთა რაოდენთამე წარვედით მიერ და ვიდოდეთ გზასა ჩუენსა. ხოლო ვიდრეცა ვიდოდა წმიდაჲ იგი, მრავალთა სასწაულთა აღასრულებდა და მრავალთა ერთა მოაქცევდა ღმრთისა სწავლითა თჳსითა. და მრავალთა უძლურთა და სნეულთა განჰკურნებდა ძალითა ქრისტეს ღმრთისაჲთა. და ვითარცა გარდაჴდეს დღენი არა მცირენი, დაჯდა მეფედ დიდი ლეონ. და ყო დიდი მშჯდობაჲ ეკლესიათა ზედა ღმრთისათა სანატრელმან მან მეფემან. მაშინ მიიქცა წმიდაჲ პეტრე თჳსსა საყდარსა და სამწყსოსა და ჰმწყსიდა

A B

მათ ქრისტეს ღმრთი[სა] მიერ[1]. და გარეშე ქალაქსა აღაშენა მონასტერი და ეკლესიაჲ შუენიერი, და შეკრიბნა ძმანი [165] მრავალნი და განუწესა მათ წესი და კანონი სულიერი და საღმრთოჲ.

და იმარხვიდა წმიდაჲ პეტრე ფრიად და მიმდემად. ამისთჳსცა ფრიადისა მარხვისაგან განირყუნა სტომაქი მისი. მაშინ ჰრქუეს ვიეთმე, რაჲთა წარვიდეს ცხელთა წყალთა და განიკურნოს. ხოლო ნეტარი იგი წარემართა. და ვითარცა ცნეს მოქალაქეთა წარსლვაჲ მისი, შეუდგეს მას ერნი არამცირედნი და იყვნეს მრავალნი კერპთ-მსახურნიცა. მაშინ უკუე ნეტარმან პეტრე აღაღო პირი თჳსი და იწყო სწავლად ერისა მის. და შემდგომად სწავლისა ნათელ-სცა კერპთ-მსახურთა მათ სულსა ორასსა. და ყოველნივე იხარებდეს და ადიდებდეს ღმერთსა.

შემდგომად ამისა კუალად იწყო ნეტარმან და წმიდამან პეტრე სიტყუად მათდა და ჰრქუა: „ჳამსა მას, რომელსა მოვიწიენით ქუეყანასა ამას პალესტინისასა, ვინებეთ წარსლვის მთასა მას, რომელსა მიიცვალა მოსე წინაწარმეტყუელი. და ვითარცა მივედით, ვიხილეთ მთასა მას ბერი ვინმე წმიდაჲ შეყენებული სენაკსა შინა, რომელსა აქუნდა ორმეოცი წელი გამოუვალად სენაკით. და ვითარცა გჳხილნა წმიდამან ბერმან, განიხარა ფრიად და მრქუა მე: „კეთილად მოხუედ, ძეო ქართველთა მეფისაო“. ხოლო მე ვითხოვე შენდობაჲ და ვარქუ, ვითარმედ: „არა ეგრეთ არს“. ხოლო მან წმიდამან მომიგო და მრქუა: „ნუ უარ-ჰყოფ, რომელი ჩუენ წინაშე ცხად არს ქრისტეს მიერ“.

მაშინ გამომიცხადა მე ყოველი გზაჲ ჩემი და მრქუა, ვითარმედ: „ეპისკოპოს იქმნე ქალაქსა დიდსა და ერსა ზედა მრავალსა“.

და აწ ოდენ წმიდაჲ იგი ბერი უფლისა მიიცვალა. რამეთუ ნათელ-ვსცემდი რაჲ ერსა ამას, ვიხილე სული წმიდაჲ ღმრთისა[ჲ] გარდამომავალი ემბაზსა ზედა წმიდასა, და აღავსნა ნათლითა და ბრწყინვალებითა მიუთხრობელითა, და აჰა კუალად ვიხილე ბერისა მის წმიდისა სული, რამეთუ აჰყვანდა ანგელოზთა ღმრთისათა დიდებითა დიდითა. და ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა წარვი-

A რედ.: [1] ნუსხაშია: ღ˘თი.

A B

დეთ და ამბორს-უყოთ წმიდათა ნაწილთა მისთა. ხოლო თქუენ, შვილნო ჩემნო, წარვედით საყოფელად თქუენდა დაცულნი ძალითა ღმრთისაჲთა".

და ესრეთ განუტევა ერი იგი ლოცვით და კურთხევით. ხოლო ჩუენ წარვედით წმიდისა მის ბერისა და, ვითარცა მივიწიენით, ამბორს-უყავთ წმიდათა მათ ნაწილთა და ვილოცეთ და გამოვედით მიერ.

და ვითარ-იგი ვიდოდეთ, მივემთხჳნით სხუასა ბერსა წმიდასა*. და ვითარცა იხილა ბერმან ნეტარი და წმიდაჲ პეტრე, აღივსო სიხარულითა დიდითა. და ილოცეს და მოიკითხნეს ურთიერთარს. და ვითარცა მრავალი სიტყუაჲ სარგებელი სულისაჲ წარმოთქუეს, უკ[უ]ანაჲსკნელ ჰრქუა ბერმან წმიდასა პეტრეს, ვითარმედ: „პირველ მოსლვისა ჩემისა ადგილსა ამას ვიხილე ქუაბი ერთი და შევედ შინა. და ვითარცა შევედ, ვიხილე გარდაცვალებული ბერი ვინმე შუენიერი, და პირი მისი ნათობდა ვითარცა მზე. და ვიხილე რაჲ იგი, ამბორს-უყავ პირსა მისსა წმიდასა შიშით და სიხარულით. და დავისწავლე ადგილი იგი, და წარვედ და მიუთხარ კაცთა ღმრთის-მოყუარეთა. და ვითარცა მოვედით, არღარა ვიხილეთ წმიდაჲ იგი. ხოლო სასწაული რაჲმე ჩნდა-ღა. და აღვაშენეთ ეკლესიაჲ ადგილსა მას. ამისა შემდგომად ვევედრენით ღმერთსა, რაჲთა გამოგჳცხადოს, თუ ვინ იყო წმიდაჲ იგი ბერი. და მეუწყა ღმრთისა მიერ, ვითარმედ: „მოსე იყო ბერი იგი დიდი წინაწარმეტყუელ[ν]თა შორის".

და ვითარცა გჳთხრა თხრობაჲ ესე ბერმან მან, რომლისა მისრულ ვიყვენით, დაგუბანნა ფერჴნი და გჳსტუმრნა სამ დღე და მერმე მოვიღეთ წმიდაჲ ლოცვაჲ მისი.

და წარმოვედით მიერ და მოვედით დაბასა ერთსა, რომელსა მრავლით ჟამითგან წჴმაჲ არ[ა] ყოფილ იყო. და მოვიდეს მდაბიურნი იგი და ევედრნეს წმიდასა პეტრეს ეპისკოპოსსა, რაჲთა ილოცოს უფლისა მიმართ და მოსცეს მათ წჴმაჲ.

ხოლო წმიდამან ილოცა და მეყსეულად მოვიდა წჴმაჲ ძლიერი. და ვითარ იხილეს სასწაული ესე მეკერ-

* ნუსხაშია: ს˘ხსა ბ˘რსა წ˘ა.

A B

პეთა, მოიქცეს და ნათელ-იღეს ერთა მრავალთა ჴელითა წმიდისა პეტრესითა და ყოველნივე ადიდებდეს ღმერთსა.

და წარმოვედით მიერ და მოვედით სოფელსა ერთსა. და გჳმასპი[ნ]ძლა კაცმან ვინმე უშვილომან. და ეეედრა წმიდასა პეტრეს, რაჲთა ლოცვა-ყოს მისთჳს, და მოსცეს მას უფალმან შვილი. და მოვიდეს სხუანიცა მრავალნი ამისვე თხოვისათჳს. ხოლო წმიდამან პეტრე ულოცა მათ და დასწერა ჯუარი, და ყოველნივე შვილიერ იქმნნეს და ადიდებდეს ღმერთსა. და ესრეთ, სადაცა-იგი ვიდოდეთ, ქალაქთა ანუ სოფელთა, ყოველთაგან სასწაულთა აღასრულებდა წმიდაჲ პეტრე ძალითა ღმრთისაჲთა.

კუალად მივედით სხუასა სოფელსა, რომელსა ერქუა პატმოკონ, და მუნ გარდავიჴადეთ წმიდაჲ მარტჳლიაჲ. და იყო ვინმე ჴელოსანი დედოფლისაჲ მას სოფელსა, სახელით ელია, დიდად გლახაკთ-მოწყალე და სტუმართ-მოყუარე. და იყო იგი ყრუ. და ვითარ ვსხედით' მის თანა, აღიღო მან საბეჭური ნეტარისა და წმიდისა პეტრესი და დაიდვა ყურთა თჳსთა ზედა, და მეყსეულად განეხუნეს მას სასმენელნი მისნი, და ადიდებდა ღმერთსა.

ამან ელია დაგჳ[მ]ჭ[ი]რნა ზაფხულ ყოველ, რამეთუ იყო ადგილი იგი გრილი და ჰაეროვან. და იყო მუნ ტბაჲ ერთი. და წარავლინის ელია ყრმაჲ თჳსი თევზობად ტბასა მას. და ყოველთა დღეთა შეიპყრის ერთი თევზი, ვითარცა ღმრთისა განგებითა, და მოართჳან ეპისკოპოსსა წმიდასა პეტრეს, ხოლო სხუაჲ ვერ შეიპყრიან.

იყო ვინმე მთავარი სნეული მახლობელად და ითხოვა თევზისა მისგან, რომელსა მოართუმიდეს ეპისკოპოზსა. ხოლო ელია წარავლინნა მეთევზურნი, და მას დღესა ოდენ შეიპყრნეს ორნი თევზნი. და წარსცა წმიდამან პეტრე ერთი თევზთა მათგანი მთავრისა და მიუმცნო მას ესრეთ, ვითარმედ: „ვესავ ქრისტესა, ღმერთსა ჩემსა, რომელ ამიერითგან განიკურნო". ხოლო მთავარმან მან ვითარცა ჭამა თევზისა მისგან, მეყსეულად განიკურნა და ადიდებდა ღმერთსა.

ამისა შემდგომად წარმოვედით მიერ და მივემთხჳენით სოფელსა რასმე, რომელსა ყოლადვე თესულებაჲ

A B

არა იყო, რამეთუ საზრდელი მათი ღუნითა მოირეწიან. და მას ჟამსა დაესხა ჭიაჲ ვენაჯთა მათთა, და აუწყეს ესე წმიდასა პეტრეს. ხოლო წმიდამან მისცა მათ ევლოგიაჲ, რაჲთა აპკურონ. და, ვითარცა აპკურეს, მეყსეულად[1] უჩინო იქმნნეს ჭიანი იგი და კაცნი იგი ადიდებდეს ღმერთსა.

მიერ წარმოვედით და მივედით მონასტერსა წმიდისა მამისა ესაიაჲასსა და დავყუენით მის თანა მრავალნი დღენი. ხოლო ნეტარნი იგი და წმიდანი მამანი უთხრობდეს საქმეთა მათთა ურთიერთას მადლითა წინაწარმეტყუელებისაჲთა[2]. და რამეთუ იყუნეს წმიდანი იგი ვითარცა [166] ორნი მნათობნი დიდნი სოფელსა შინა, და ორითგანვე დიდნი სასწაულნი იქმნებოდეს, და მრავალნი სულნი შეეძინებოდეს ღმერთსა სწავლითა მათითა.

ხოლო იყუნეს სენაკნი მათნი კიდეს-კიდე, ვითარ ოთხ მილიონ, და ესრეთ იღუწიდეს უფლისა მიმართ. და მამაჲ ესაია თჳსითა ჴელით-საქმრითა იზარდებოდა და ფრიადითა მარხვითა ძალი მისი მოკლებულ იყო. და კჳრიაკითი- კჳრიაკედ განაღის კარი სენაკისა თჳსისაჲ და მიუძღუანის წმიდასა პეტრეს ევლოგიად ორი სეფი[ს]კუერი. ხოლო წმიდამან პეტრე მიუძღუანის ნეტარსა მას და წმიდასა ესაიას ორი თევზი. და ოდესმე ერთად შეკრბიან წმიდანი იგი და იხარებდიან სულიერად ქრისტეს მიერ.

XIX. და ვითარცა დაასრულა დიდმან ლეონ მეფემან ჩჳდმეტი წელი მეფობისა თჳსისაჲ, უფლისა მიმართ მიიცვალა დიდად ღმრთის-მსახური და წმიდათა მოყუარე. ხოლო შემდგომად ნეტარისა მის მეფისა ლეონისა დადგა მეფედ ზენონ, იგიცა ღმრთის-მსახური და მორწმუნე. ამას მეფესა ზენონს ესმა წმიდათა ამათ მამათათჳს ესაიაჲსი და პეტრესი დიდ-დიდთა სასწაულთა მათთაჲ, რომელსა ჰყოფდეს, და წარმოავლინა საკუთარი თჳსი საჭურისი და მოუწოდა ორთავე. ხოლო ესმა რაჲ წმიდასა და ნეტარსა პეტრეს, შეწუხნა ფრიად და შევიდა სადიაკონედ და ტიროდა ფრიად, და ევედრა ღმერთსა, რაჲთა არა იქმნას წარსლვაჲ მისი მეფისა.

A რედ.: ნესსაშია: [1] მესყ̃სლდ. [2] წ̃წყლბისჲთა.

A B

და ივლტოდა ღამით ნეტარი პეტრე და წარვიდა ქუეყანასა უცხოსა. ხოლო საჭურისმან მან წიგნი მეფისაჲ მიართუა ნეტარსა ესაიას. და ვითარცა წარიკითხა ნეტარმან ესაია წიგნი იგი მეფისაჲ, შეწუხნა იგიცა ფრიად, და ითხოვა ღმრთისაგან სნეულებაჲ გუამისაჲ. და მეყსეულად განსივნა ყოველი გუამი მისი, ვიდრემდის ვერ ეძლო სენაკითცა გამოსლვაჲ გარე. და ვითარცა იხილა ესე საჭურისმან მან, უღონო იქმნა და წარვიდა სახედ თჳსა. და რაჟამს წარვიდა საჭურისი იგი, კუალად განმრთელდა მამაჲ ესაია. ამის ნეტარისა მამისა ესაიაჲს ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და დიდნი იგი მოღუაწებანი და სასწაულნი აღგჳწერიან სხუაგან მადლითა ღმრთისაჲთა, არამედ ჩუენ პირველსავე თხრობასა მოვიდეთ წმიდასა პეტრესსა.

და ვითარცა წარვიდა ნეტარი და წმიდაჲ პეტრე ქუეყანასა უცხოსა, მიემთხჳა მებოსტნესა ვისმე, კაცსა საჩიერსა და დიდად წრფელსა, რომლისა თანა სავანე-ყო. ერთსა უკუე ღამესა იხილა ჩუენებაჲ მებოსტნემან, რამეთუ ჰხედვიდა კაცსა ვისმე, რომელი ეტყოდა მას ესრეთ, ვითარმედ: „წარვედ ადგილსა იმას რომელსამე!“ და უჩუენებდა ჴელითაცა — „და რამეთუ არიან მუნ მარტჳლნი წმიდათანი, აღმოიხუენ და მოჰგუარენ იგი ქართველსა ეპისკოპოსსა პეტრეს“.

ხოლო განთიად აუწყა ჩუენებაჲ ესე მებოსტნემან მან ნეტარსა პეტრეს. და ჰრქუა წმიდამან პეტრე მებოსტნესა: „შვილო, წარვედ და უთხარ თქუენსა ეპისკოპოსსა და, რაჲცა მან ბრძანოს, ეგრეთცა ქმენ“.

მაშინ წარვიდა მებოსტნე იგი და აუწყა ეპისკოპოსსა მის ადგილისასა. და წარმოვიდა ეპისკოპოსი იგი და მოვიდა ნეტარისა პეტრესა, და შეკრიბეს [ν] ერი მრავალი და ყველს ლიტანიაჲ[ჲ] და დიდითა პატივითა აღმოიხუნეს ნაწილნი იგი წმიდათა მოწამეთანი.

და უბრძანა წმიდამან პეტრე მებოსტნესა მას, რაჲთა ილოცოს და ეუწყნენ სახელნიცა წმიდათა მათ მარტჳლთანი. და ილოცა კეთილმან მან მებოსტნემან. და ვითარ ილოცვიდა, იხილნა წინაშე მისსა სამნი კაცნი გჳრგჳნოსანნი და ბრწყინვალენი დიდად, და ეტყოდეს მას, ვითარმედ: „სახელები ჩუენი ცათა შინა აღწერილ

A B

არიან, ხოლო ქუეყანისა სახელნი ჩუენნი ესე არიან: პირველსა ლუკა, მეორესა ფუკა, და მესამესა რომანოზ გურჭკან. ხოლო ვიწამენით სპარსეთს აღსაარებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. და რამეთუ ცეცხლითა დაიწუნეს გუამნი ჩუენნი და სხუაჲ არა დაშთომილ არს, გარნა ესე, რომელსა ჰხედავთ“.

მაშინ აღაშენეს ეკლესიაჲ სახელსა ზედა მათთა და დაჰკრძალნეს მას შინა პატიოსანნი იგი ნაწილნი წმიდათა მათნი(!). და აკურთხეს ეკლესიაჲ ორთავე ეპისკოპოსთა ზოგად, და ვადიდებდით ყოველნივე ღმერთსა.

და ვიდრე-იგი ვიყვენით-ღა მუნ, მოვიდა ჩუენდა ეკლესიისა ჩუენისა ხუცესთა უხუცესი და ჰრქუა წმიდასა პეტრეს, ვითარმედ: „სხუაჲ წიგნი მოივლინა მეფისა ზენონისგან სიწმიდისა თქუენისა მომართ, რომელსა წერილ იყო ესრეთ: „ლოცვა ყავთ ჩემთჳს, წმიდანო მამანო, და ნუღარა მოშურებით აქა“. ხოლო წმიდამან პეტრე განიხარა, ვინაჲთგან არღარა აღუწოდა მას მეფემან.

მაშინ უკუე წარმოვედით მიერ და მოვიდოდეთ ქალაქად ჩუენდა. და ვითარცა მოვეახლენით ქალაქად, ცნეს მოქალაქეთა და გამოვიდეს ყოველნივე სანთლებითა და საკუმეველითა. და მოეგებნეს წმიდასა პეტრეს ეპისკოპოსსა და შეურდეს და თაყუანის-ს|ცეს. ხოლო წმიდამან პეტრე აკურთხნა და მოიკითხნა ყოველნი ამბორის-ყოფით. და ვითარცა ამბორს-უყვეს ყოველთა წმიდასა პირსა მისსა, წარვემართენით ქალაქად და შევედით წმიდად ეკლესიად და ვილოცეთ. და დიდად განიხარა ყოველმან ქალაქმან მოსლვისათჳს წმიდისა მწყემსისა მათისა. და შემოკრბა სიმრავლე დიდძალი, რაჲთა ისმინონ სწავლაჲ წმიდისაგან, რამეთუ ყოველნივე წყურიელ იყვნეს ხილვად და სწავლად მისგან.

ხოლო წმიდამან პეტრე და ჰეშმარიტმან მწყემსმან დასწერა ჯუარი ერსა მას და იწყო სწავლად და იტყოდა: „შვილნო ჩემნო და ძმანო და საყუარელნო ქრისტეს ღმრთისანო, ყოვლისა პირველად დაიცევით წმიდაჲ და მართალი სარწმუნოებაჲ წმიდისა სამებისაჲ და მოიგეთ სასოებაჲ, სიყუარული, სიმდაბლე, სულგრძელებაჲ, მოთმინებაჲ და სახიერებაჲ, შეიტკბეთ გლახაკთ-მოწყალებაჲ, სტუმართ-მოყუარებაჲ, და უცხოთა შეიწყნარებდით

A B

და განუსუენებდით. ყოველნივე შურებოდეთ შრომასა სულიერსა და საღმრთოსა, ყოველნივე ჰბაძევდით საღმრთოთა და წმიდათა კაცთა, ყოველთა კეთილნი საქმენი [167] და სათნოებანი წმიდანი მოიგენით; წინამძღუართა დაემორჩილენით, ვითარცა ღმრთისა ანგელოზთა, და სიტყუათა მათთა დაიმარხევდით, ვითარცა პირისაგან ღმრთისა გამოსრულთა".

ესე და სხუაჲ მრავალი ესევითარი სწავლაჲ წარმოუთხრა მათ წმიდამან პეტრე და ყოველნი მხიარულ იქმნნეს და ადიდებდეს ღმერთსა.

მერმე წარგზუვანნა მთავარმან ქალაქისამან სამხრობად. და ვითარცა დავსხედით, მოვიდა ვინმე და გუაუწყა ჩუენ საიდუმლოდ, ვითარმედ მამაჲ ესაია გარდაიცვალა.

ხოლო ჩუენ არა ვინებეთ თხრობად წმიდისა პეტრესა ჟამსა მას, არამედ მან თჳთ უწყოდა სულისა მიერ წმიდისა, რომელი მკჳდრ იყო ნეტარისა მის თანა. და ვითარცა აღვდეგით ტაბლით, გურჭუა ჩუენ პირველ თხრობისა ჩუენისა, ვითარმედ: „შვილნო ჩემნო, რად გიკჳრს სიკუდილი მამისა ესაიაჲსი, რამეთუ მოციქულნიცა და წინაწარმეტყუელნი და ყოველნივე მოკუდეს, და თჳთ თავადმან უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან მიიღო სასუმელი ესე".

და ვითარცა ესე გურჭუა, შევიდა სენაკად თჳსად და დავარდა წინაშე ხატსა მაცხოვრისასა და წმიდისა დედოფლისა ღმრთის-მშობ[ე]ლისასა. და ტიროდა ფრიად მჴურვალედ და იტყოდა: „ჱ ნეტარო და წმიდაო მამაო ესაია, შენ დღეს მოჰკუედ და შემდგომად მცირედისა მეცა მოსიკუდიდ ვარ, არამედ აწ ნუ დასცხრები მეოხებად ჩუენთჳს წინაშე წმიდისა სამებისა". და ესრეთ ეუედრებოდა ღმერთსა მყუვარ ჟამ ცრემლითა მჴურვალითა ნეტარი პეტრე.

და შემდგომად დღეთა რაოდენთამე მოვიდა მოწაფე მამისა ესაიაჲსი და გჳთხრა სიკუდილი მისი. ხოლო ჩუენ ვჰკითხევდით ჟამსა მას მიცვალებისა მისისასა; და გჳთხრობდა ჩუენ ესრეთ, ვითარმედ: „ოდეს იგი სნეულ იყო, მივედით კარსა სენაკისა მისისასა, და იგი ვიეთმე ეუბნებოდა. და ვითარ შევედით, არავინ ვპოეთ, გარნა იგი ხოლო მარტოჲ, და ვჰკითხეთ მას: „მამაო, ვინ გეუბნებოდა?"

A B

ხოლო მან ნეტარმან მოგჳგო და გურჭუა ჩუენ, ვითარმედ: „დიდი იოვანე წინამორბედი და ნათლის-მცემელი მოვიდა და მეტყოდა, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა მოვიდეთ და განვიყვანოთ სული შენი“.

ხოლო მე ვჰკითხე დიდსა იოვანეს, ვითარმედ: „რასა სჭამდი, იყოფებოდე რაჲ უდაბნოს?“

და მრქუა მე, ვითარმედ: „მწუანეთაგან და მცენარეთა და თივათაგან იყო საზრდელი ჩემი“.

და ვითარცა ესე გჳთხრა მამამან ესაია, განვკჳრდით და ვადიდებდით ღმერთსა.

და შემდგომად სამისა დღისა დაიძინა და წარვიდა უფლისა. და შემოკრბეს მამანი და იკურთხნეს მის მიერ და წმიდათა ნაწილთა მისთაგან.

და ესრეთ დაჰკრძალეს პატიოსანი და წმიდაჲ გუამი მისი. ხოლო მე, ვიდრეღა ცოცხალ იყო, ვჰკითხე მას, ვითარმედ: „წმიდაო მამაო, რაჲ ვყო მე შემდგომად შენსა“?

ხოლო ნეტარმან მრქუა: „შვილო ჩემო, შენ წარვედ წმიდისა პეტრე ქართველისა და ეპისკოპოსისა თანა და მის თანა იყოფებოდე, რამეთუ შემდგომად ჩუენსა ადგილი ესე მოოჴრებად არს“. და ეგრეთცა იქმნა.

ჟამსა ერთსა მო-ვინმე-ვიდა ჰურიაჲ თევზისა მონადირე. და იყო იგი წყლით-[ν]მანკიერ, და მუცელი მისი განსივებულ იყო სასტიკად. შეუვრდა ნეტარსა და წმიდასა პეტრეს და ევედრებოდა, რაჲთა განკურნოს.

ხოლო ჰრქუა მას: „წარვედ სახედ შენდა და უკუეთუ ამას ღამესა განიკურნო, ხვალე მოვედ და ნათელ-გცე, და უკუეთუ არა განიკურნო, ნუღარა მოხუალ“.

ხოლო ჰურიაჲ იგი ღამესა მას განიკურნა ლოცვითა წმიდისა მამისა პეტრესითა და განთიად მოვიდა და ნათელ-იღო ჴელითა წმიდისა ეპისკოპოსისა პეტრესითა და ადიდებდა ღმერთსა.

ნეტარსა და წმიდასა მღდელთ-მოძღუარსა პეტრეს, თავ ყოველთა, სათნოებათა, მოეგო ლოცვაჲ და წიგნის-კითხვაჲ, რამეთუ ყოლადვე და მარადის იკითხავნ წიგნთა საღმრთოთა და იტყჳნ წმიდაჲ იგი, ვითარმედ: „ვითარცა მტილი მზუარისაჲ ურწყავი განჴმების და უნაყოფო იქმნის, ეგრეთვე გონებაჲ მონაზონისაჲ უნაყოფო

A

არს თჳნიერ წიგნის კითხვისა და სმენისა სწავლათა სულიერთა".

XX. ხოლო აწ ჟამი არს უწყებად თქუენდა, ძმანო ჩემნო საყუარელნო, დაძინებისათჳს წმიდისა მღდელთ-მოძღურისა პეტრესა და აღსასრულისა და მისლვისათჳს წინაშე წმიდისა სამებისა. რამეთუ და არცა თჳთ უმეცარ იყო ნეტარი ოგი დღესა და ჟამსა მიცვალებისა მისისასა, არამედ ფრიადცა მეცნიერ.

ერთსა უკუე დღესა მოუწოდა ყოველთა და ასწავლა მათ სწავლაჲ საღმრთოჲ და სულიერი განგრძნობილად, და ესოდენ ლმობიერ იქმნეს ყოველნივე სწავლითა მის წმიდისაჲთა, ვიდრეცა მრავალი ცრემლი დასთხიეს ყოველთაცე. და შემდგომად სწავლისა გურჭუა ყოველთა განცხადებულად, ვითარმედ: „შვილნო და ძმანო ჩემნო, ჟამი ჩემი მოახლებულ არს და შემდგომად მცირედთა დღეთა განგეშორები თქუენგან და წარვალ გზასა, რომელი არა ოდეს წარმივლიეს.

„ხოლო თქუენ, საყუარელნო, იჴსენებდით სიყუარულსა ჩემსა და ნუ დამივიწყებთ მე".

და ვითარცა ესე თქუა წმიდამან, შეელმა ყოველთა და ფრიად იგლოვეს.

B

XVI. ერთსა უკუე დღესა შემოკრბა ერი მრავალი და ყოველთა ასწავლიდა სიტყუათა საღმრთოთა და სულიერთა განგრძობილად[1].

და შემდგომად სწავლისა ჰრქუა ყოველთა განცხადებულად, ვითარმედ: „შვილნო[2] და ძმანო ჩემნო, ჟამი ჩემი მოახლებულ არს და შემდგომად მცირედისა განგეშორები თქუენ.

„ხოლო თქუენ იჴსენებდით სიყუარულსა ჩემსა და ნუ დამივიწყებთ".

და ვითარცა ესე თქუა წმიდამან, შეელმა ყოველთა და ფრიად იგლოვეს[3].

B რედ.: [1] განგრძობილად—EL. [2] შჳლნო AD. [3] იგლოეს ACDE.

A

ხოლო წმიდამან მისცა მშჯდობაჲ ჯუარის-წერით და განუტევნა კურთხევით. ხოლო თავადი შევიდა სენაკსა მოღუაწებისა თჳსისა და დავარდა წინაშე ხატსა მაცხოვრისასა და ცრემლითა დიდითა და მჴურვალითა ეგედრებოდა მეუფესა მას ყოველთასა სამწყსოთა თჳსთათჳს და ყოვლისა სოფლისათჳს.

ძმაჲ ვინმე იყო ჩუენ თანა, სახელით ათანასე, კაცი წმიდაჲ, სახიერი, მშჯდი და მდაბალი, მოწაფე ყოფილ იყო წმიდისა მამისა ზენონისი სკიტელისაჲ. ხოლო რაჟამ[ს] მიიცვალებოდა მამაჲ ზენონ, ჰკითხა მას ამან ათანასე, ვითარმედ: „რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ დამიტევებ?“

ჰრქუა მას მამამან ზენონ: „შვილო ჩემო საყუარელო ათანასე, რაჟამს მე მოვკუდე, შენ წარვედ წმიდისა პეტრე ეპისკოპოსისა ქართველისა და იყოფებოდე მის თანა, რამეთუ რომელი შეუდგეს და ჰმორჩი[168]ლობდეს მას, იგი გზასა ჭეშმარიტსა ვალს“.

და ვითარცა დაიძინა მამამან ზენონ, მოვიდა ათანასე წმიდისა პეტრესსა და დაყო ორი წელი ჩუენ თანა.

ესე ძმაჲ კეთილი ათანასე ღამესა ერთსა ტიროდა მწარედ. და ესმა ნეტარსა პეტრეს ჴმაჲ ტირილისა მისისაჲ და განაღო კარი სენაკისა თჳსისაჲ და ჰკითხა მას და

B

ხოლო მან მისცა მშჯდობაჲ ჯუარის-წერით და განუტევნა კურთხევით. ხოლო თავადი შევიდა სენაკსა მოღუაწებისა მისისასა და დავარდა წინაშე ხატსა მაცხოვრისასა და ცრემლითა მჴურვალითა ევედრებოდა მეუფესა მას ყოველთასა სამწყსოთა თჳსთა და ყოვლისა სოფლისათჳს.

ძმაჲ ვინმე ათანასე მოწაფე ყოფილ იყო მამისა ზენონ სკიტელისა და იყოფოდა[1] ამის წმიდისა[2] თანა.

ესე ღამესა ერთსა ტიროდა მწარედ. და ესმა ნეტარსა პეტრეს ჴმაჲ მისი, განაღო სენაკი და ჰკითხვიდა[3] მიზეზსა გლოვისასა.

B რედ.: [1] იყოფებოდა D. [2] წმიდისა, A, ~ წმიდისა ამის D. [3] ჰკითხჳდა A.

A

ჰრქუა: „შვილო ათანასე, რაჲ არს, რამეთუ სტირ ესრეთ მწარედ?“.

ხოლო ათანასე ჰრქუა: „რაჲსა მკითხავ, წმიდაო მამაო, რომელსა არცა თქუენი სიწმიდე უმეცარ არს?“.

და წმიდაჲ პეტრე იტყოდა სიმდაბლით: „თქუ, შვილო, უმეცარ ვარ“.

მიუგო ათანასე და ჰრქუა: „პეტრე, წმიდაო, ფრიად მეცნიერ ხარ ყოველსავე, არამედ მეცა მორჩილებისათჳს ვთქუა, რაჲ-იგი ვიხილე ამას ღამესა. მოვიდა ჩემდა, უღირსისა ამის, მოძღუარი ჩემი წმიდაჲ მამაჲ ზენონ და მომიკითხა და მრქუა მე: ბრძანებაჲ გამოვიდა უფლისა მიერ, რაჲთა შემდგომად მცირედთა დღეთა მიიცვალოს[1] უფლისა წმიდაჲ პეტრე ეპისკოპოსი ქართველი. რამეთუ შეკრბეს ყოველნი წმიდანი წინაშე უფლისა და ეგედრებოდეს და ეტყოდეს: უფალო, ბრძანე, რაჲთა პეტრე ეპისკოპოსი ქართველი განვიდეს ჭორცთაგან და დაემკჳდროს ჩუენ თანა, რამეთუ ფრიად ტანჯნა ჭორცნი თჳსნი შენისა სიყუარულისათჳს და აწ მოუძლურებულ არს.

„ხოლო უფალმან ჰრქუა მას: ჯერ-არს ყოფაჲ მისი ქუეყანად, რაჲთა მრავალნი სულნი შეიძინნნეს.

B

ხოლო იგი მიუგებდა: „რაჲსა მკითხავ, მამაო, რომელსა არცა შენი სიწმიდე[1] უმეცარ არს“.

და წმიდაჲ მიუგებდა: „თქუ[2], შვილო, რამეთუ უმეცარ ვარ“.

მიუგო ათანასი: „ჰე, მამაო, ფრიადცა მეცნეიერ ხარ, არამედ მეცა მორჩილებისათჳს ვთქუა, რაჲ-იგი ვიხილე ამას ღამესა. მოვიდა მოძღუარი ჩემი ზენონ და მრქუა[3] მე, ვითარმედ: ყოველნი წმიდანი შეკრბეს წინაშე უფლისა[4] და ეგედრებოდეს, ვითარმედ: უფალო, ბრძანე, რაჲთა პეტრე ეპისკოპოსი[5] განვიდეს[6] ჭორცთაგან და დაემკჳდროს ჩუენ თანა, რამეთუ ფრიად ტანჯნა ჭორცნი თჳსნი შენისა სიყუარულისათჳს და აწ მოუძლურებულ არს.

ხოლო უფალმან ჰრქუა მათ: ჯერ-არს ყოფა[ჲ] მისი ქუეყანასა[7], რაჲთა მრავალნი სულნი შეიძინნეს[8].

A რედ.: [1] ნუსხაშია: მიცვალოს.

B რედ.: [1] ~ სიწმიდე შენი D. [2] თქჳ D. [3] მრქუა A. [4] უფლისა ღმრთისა BDEL. [5] ეპისკოპოზი BD, ებისკოპოსი E, ებისკოპოზი L. [6] განჯდეს A. [7] ქუეყანასა + ზედა D. [8] შეეძინნეს D.

A

„ხოლო წმიდანი იგი აიძულებდეს და ევედრებოდეს, რაჲთა წარიყვანოს მათ თანა.

„მერმე ბრძანა მეფემან და უფალმან ყოველთამან, რაჲთა შემდგომად ათისა დღისა შეკრბენ ყოველნი წმიდანი და მივიდენ ნეტარისა პეტრე ქართველისა ეპისკოპოსისა, და სული მისი მოიყვანოს წმიდამან პეტრე მოწამემან პატრიაქმან ალექსანდრიელმან“.

ესე ჩუენებაჲ უთხრა ძმამან ათანასე წმიდასა პეტრეს ტირილითა მწარითა და ეტყოდა წმიდასა: „ვიგლოვდეთ სიობლესა ჩუენსა, ჱ წმიდაო, რამეთუ დამიტეობ“.

ხოლო წმიდამან პეტრე ასწავა მოთმინებაჲ და ნუგეშინი[ს]-სცა სწავლითა საღმრთოჲთა.

ამისა შემდგომად არარაჲს[ა] გემოჲ იხილა წმიდამან, არამედ იღოცვიდა ჴელგანპყრობით ათთა მათ დღეთა, და რაჲ დღე მიგჳწოდის წინაშე მისსა და გუასწავლინ სწავლათა სულიერთა და ნუგეშინის-გუცემნ და განგუამტკიცებნ და განგჳწესებნ წესთა და კანონთა საეკლესიოთა.

და ვითარცა მოიწია დღე იგი მეათე, შევიდა წმიდად ეკლესიად და მოუწოდა ყოველსა მას ქალაქსა, სამწყსოსა თჳსსა, და ასწავა მათ ფრიად სარგებელი სულისაჲ.

B

„ხოლო წმიდანი იგი ევედრებოდეს, რაჲთა წარიყვანოს მათ თანა.

„მერმე ბრძანა უფალმან ყოველთამან, რაჲთა შემდგომად ათისა დღისა აღესრულოს“.

ესე ჩუენებაჲ უთხრა ძმამან ათანასი[1] წმიდასა პეტრეს ტირილი[242]თა მწარითა და იტყოდა: „ვიგლოვდეთ[2] სიობლესა ჩუენსა, ჱ წმიდაო მამაო, რამეთუ დამიტეობ“[3].

ხოლო წმიდამან ნუგეშინი-სცა და ასწავა მოთმინებაჲ.

და არარაჲსა[4] გემო[ჲ] იხილა[5] მათ დღეთა შინა, არამედ იღოცვიდა[6] ჴელგანპყრობით ღმრთისა მიმართ.

და ვითარცა მოიწია დღე იგი მეათე, განაღო სენაკი და აღვიდა[7] ეკლესიად და მოუწოდა ყოველსა მას ქალაქსა, სამწყსოსა თჳსსა, და ასწავა მათ ფრიად სარგებელი

B რედ.: [1] ათანასე BEL. [2] ვეგლოვდეთ D, ვეგლოვდით EL. [3] დამიტეობ + შე C. [4] -არარაჲს ABCEL.. [5] იხილა D. [6] იღოცჳდა A. [7] აღჳდა A.

A

ამისა შემდგომად აღასრულა წმიდაჲ ქამის-წირვაჲ და ეზიარა პირველად თჳთ თავადი, და მერმე აზიარნა მღდელნი და ყოველი ერი. და ვითარცა საღმრთოჲ მსახურებაჲ აღასრულა, დაუტევა მშჯდობაჲ ყოველთა და ჰრქუა: „საყუარელნო შვილნო ჩემნო, ამიერითგან არღარა მიხილოთ მე". ხოლო ერნი იგი გოდებდეს გოდებითა დიდითა [v] და მღდელნი და დიაკონნი ამბორს-უყოფდეს წმიდასა პირსა მისსა და ჴელთა. აგრეთვე და ერნიცა ყოველნივე შეეხებოდეს, ამბორ[ს]-უყოფდეს წმიდათა ფერჴთა და სამოსელსა მას, რომელი ემოსა, და ტიროდეს ყოველნივე მწარედ.

ხოლო წმიდამან ჰრქუა: „რაჲსა ჰზამთ და შეაშთობთ სულსა ჩემსა? წარვედით, შვილნო ჩემნო, სახედ თქუენდა და განისუენეთ და კუალად, რაჟამს ჯერ-იყოს, მოგიწოდო თქუენ".

ესრეთ ძლით დაარწმუნა მათ და წარვიდეს საყოფელად მათდა.

ხოლო ჩუენ გურჭუა: „განისუენეთ თქუენცა, შვილნო ჩემნო, და ნუ შემაწუხებთ". და ესრეთ წარმავლინნა ჩუენ სამხრობად.

თჳთ წარვიდა სენაკად თჳსა ძმისა ერთისა თანა და იღოცვიდა უფლისა მიმართ. და ვითარცა აღვდეგით ტაბლით, მიგჳწოდა ყოველთა წინაშე მისსა. და ვიდრე-

B

სულისა და განამტკიცნა. ამისსა[1] შემდგომად აღასრულა წმიდაჲ ქამის-წირვა და ეზიარა პირველ მღდელთ-მთავარი[2] და მერმე აზიარნა მღდელნი და ყოველნივე ერნი. და ვითარცა საღმრთოჲ აღასრულა მსახურებაჲ, მისცა ყოველთა მშჯდობა ჯმნისა და ჰრქუა[3]: „შვილნო[4], ამიერითგან არღარა მიხილავთ მე".

ხოლო ერნი იგი შეწუხნეს და ტირილით გოდებდეს.

მერმე ჰრქუა[5] წმიდამან: „რაჲსა ჰზამთ[6] და შეაშფოთებთ[7] სულსა ჩემსა?".

და ძლით დაარწმუნა ერსა მას წარსლვა[ჲ].

ხოლო თჳთ შევიდა სენაკად და იღოცვიდა[8] უფლისა მიმართ. და ვიდრე-იგი იღოცვიდა[9], გამოჰჴდა სული სულნელებისა[ჲ].

B რედ.: [1] ამისა BCD. [2]-მთავარი]-მოძღუარი D. [3]ჰრქუა—E· [4] შჳლნოA. [5] ჰრქუა E. [6] ზამთ C, ჰზამნთ EL. [7] შეაშთობთ ACDEL. [8] იღოცჳდა A. [9] იღოცჳდა A.

A

-იგი მივიდოდით, გუეცა სული სურნელებისაჲ საკჳრველი. და ვითარცა შევედით წინაშე წმიდისა მის, თაყუანის-ვეცით.

ხოლო ნეტარმან მან და წმიდამან ჯუარი დაგუწერა ყოველთა და გუაკურთხნა და განიმარტნა ფერჳნი მისნი წმიდანი. და გამოისახა პირსა მისსა სახე პატიოსნისა ჯუარისაჲ და თქუა: „ჴელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩემო“. და ესრეთ დაიძინა ძილი იგი მართალთაჲ თჳნიერ ყოველისა ჭირისა და სნებისა და ტკივილისა.

XXI. და მყის განითქუა მიცვალებაჲ წმიდისაჲ მის, და შემოკრბე[ბ]ოდეს ერნი ურიცხუნი, ქალაქნი და გარემო-სოფლებისანი, და მთავარნი და დიდებულნი და

B

ხოლო განიმარტნა ფერჳნი მისნი და გამოისახა პირსა სახე პატიოსნისა ჯუარისა და თქუა: „ჴელთა შენთა შევ[ჰ]ვედრებ სულსა ჩემსა, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩემო“. და ესრეთ დაიძინა ძილი იგი მართალთა თჳნიერ ყოველისა ჭირისა, სნებისა და უძლურებისა. და ვითარცა ესე თქუა, აჰა დასი ანგელოზთაჲ და სიმრავლე წმიდათა[ჲ][1]. ამათ მიიქუეს წმიდაჲ სული მისი[2] და მრავლითა პატივითა და გალობითა აჰყუანდა[3] ზეცად, რომელთა წინაუპირობდა[4] წმიდაჲ მღდელმოწამე პეტრე ალექსანდრიელი[5]. ესრეთ დიდებით წარიდგინეს[6] წინაშე ღმრთისა და ესმა, ვითარმედ: «კეთილ მონაო, სახიერო და სარწმუნოო, მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო, შეევედ სიხარულსა უფლისა შენისასა»*, რამეთუ მრავლითა შრომითა და მოღუაწებითა განკაფულნი ნაწილნი მისნი აღიხუნეს წმიდად ეკლესიად“.

XVII. და ვითარ განისმა[7] აღსრულებაჲ წმიდისა[ჲ], მოვიდოდეს ყოველთაგან ქალაქთა და სოფელთა, და მოჰყვანდა[8] თითოფერითა სენითა შეპყრობილნი

* მათე 25,21.

B რედ.: [1] წმინდათა A. [2]~სული მისი წმიდაჲ EL. [3]აჰყვანდა D, აღყვანდა EL. [4] უპირობდა] უპყრობდა L. [5] ალექსანდრელი D. [6] წარადგინეს BCDEL. [7] განისმა] განითქუა BDEL. [8] მოჰყუანდა ABCE.

A

გლახაკნი მცირედნი და დიდნი ყოველნი მოვიდოდეს და ცრემლითა ამბორს-უყოფდეს წმიდათა ნაწილთა მისთა. ეგრეთვე ყოველთა ყოვლით კერძო ვიდრე მოჰყვანდეს უძლურნი და სენითა დიდითა შეპყრობილნი და ბრმანი და მკელობელნი და ღრეკილნი და განრღუეულნი და ყოველნი სენითა ფიცხელითა გუემულნი და ეშმაკეულნი, ყოველნივე ვითარცა შეეხებოდეს წმიდათა მათ ნაწილთა და სამოსელსა მისსა, მეყსა შინა ყოველნივე განიკურნებოდე[ს] და ადიდებდეს ღმერთსა. და იყო სიხარული დიდი და მწუხარებაჲ ცრემლითა განზავებული

B

შეემთხუეოდეს წმიდასა ტირილით მას გუამსა[1] დაკლებისათჳს და სიხარულით სენთა კურნებისათჳს. რამეთუ ეშმაკეულნი, ბრმანი და მკელობელნი, ყრუნი და უტყუნი, წყლით-მა(ν)ნკიერნი და ღრეკილნი, კეთროვანნი და განრღუეულნი[2] და რაჲცა ვინ სენითა შეპყრობილ იყუნეს[3], ყოველნივე განიკურნნეს[4] მადლითა ქრისტესითა.

ხოლო ჩუენ არა ვინებეთ აქა აღწერად თჳთეულად[5], რაჲთა არა სიმრავლე წერილთა შემოვიღოთ ანუ ურწმუნოდ[6] ვისმე აღუჩნდეთ, და უკუეთუ ვის ენებოს უჰეშმარიტესად ცნობაჲ, ცხორებაჲ[7] მისი იკითხენ და ესრეთ გულსავსე იქმენ.

სიხარული უკუე იყო სასწაულთათჳს და კურნებათა მათთჳს დიდთა, რომელნი იქმნებოდეს წმიდათა ნაწილთაგან პეტრესთა. ხოლო მწუხარებაჲ და გლოვაჲ ამისთჳს, რომელ დააკლდეს ესევითარსა მნათობსა. ხოლო სამ დღე ვერ შეუძლეთ დამარხვად ნეტარისა მის მომავალთაგან ერთა ურიცხუთა.

სამ დღე უკუე ვერ უძლეს დამარხვად[8] წმიდისა მის სიმრავლესა მისგან მომავალისა ერისა.

B რედ.: [1] ∼ მას გუამსა ტირილით BDEL. [2] განრღეულნი B. [3] იყუნეს BC იყუნნეს D. [4] განიკურნეს CD. [5] თჳთოეულად C, თითოეულად DEL. [6] ურწმუნო BDEL. [7] უკეთუ D, უკეთ EL. [8] ცხოვრება L. [9] დამარხუად AC.

A

შემდგომად სამისა დღისა ძლით შეუძლეთ უკუე და დავმარხეთ ეკლესიასა შინა თჳსსა სულნელებითა დიდითა და კერეონთა სიმრავლითა და დიდითა დიდებითა, ვითარცა შუენოდა წმიდასა მას. ხოლო სულნელებაჲ გუამისა მისისაგან ესევითარი გამოვიდოდა, რომელ სძლევდა და დაჰფარვიდა ყოველსა სულნელებასა ამის სოფლისასა, ვითარცა მზე ვარსკულავთა ნათლითა.

აღესრულა უკუე წმიდაჲ და ღმერთშემოსილი მამაჲ ჩუენი პეტრე ქართველი და ეპისკოპოსი ქალაქისა მიუმისაჲ, რომელ არს [160] პალესტინეს, თუესა დეკენბერსა ორსა, დღესა პარასკევსა, სამეოცდახუთისა წლისაჲ ჟამთა ზენონ მეფისა ბერძენთაჲსა.

XXII. ხოლო მე, გლახაკმან ზაქარია, მოწაფე მისი ქართლითგანვე, უკ[უ]ანა შეუდეგ წმიდასა მას ვიდრე მიცვალებადმდე მისა, ამისთჳსცა აღვწერე ცხორებაჲ მისი და სასწაულნი თუალითა ჩემითა ხილულნი და ყურითა სმენილნი, და რამეთუ თჳთ იგი ნეტარი და წმიდაჲ არს და გუფარვიდა ჩუენ, ვითარცა მამაჲ სახიერი შვილთათჳს სარგებელისათჳს ჩუე-

B

შემდგომად უკუე[1] სამისა დღისა ძლით უძლეს შთასუენებად[2] ლუსკუმასა და დამარხვად ეკლესიასა შინა მისსა.

აღესრულა უკუე წმიდაჲ და ღმერთშემოსილი მამაჲ ჩუენი პეტრე ქართველი და ეპისკოპოზი[3] მაიამისა[ჲ] თუესა დეკენბერსა[4] ბ, დღესა პარასკევსა[5], სამეოცდახუთისა წლისა[6], ჟამთა ზენონ ბერძენთა[7] მეფისა. ესრეთ ადიდებს[8] ღმერთი მოყუარეთა მისთა[9] და მადიდებელთა მისთა, რომლისა არს დიდებაჲ[10] უკუნითი უკუნისამდე, ამენ[11]*.

* B რედაქციაში ბოლოს ანდერძია: „წმიდაო პეტრე, მეოხ მეყავ ცოდვილს გრ~ს~ AC.

[1] უკუ—D. [2] შთასუენება BEL. [3] ებისკოპოზი EL. [4] დეკემბერსა D. [5] პარასკევსა] ~ D. [6] ~ წლისა ჲ~ D. [7] ბერძენთა — C. [8] ადიდეს ACDE. [9] მისთა]—D. [10] დიდებაჲ + აჳ C. [11] ამინ EL.

A B

ნისა. არამედ გუაუწყებდის ჩუენებათა და გამოცხადებათა ღმრთისა მიერ.

ხოლო სასწაულთათჳს თჳთ თუალნი ჩემნი იყვნეს მოწამე უტყუველ და უწყის ქრისტემან, რომელ მრავლისაგან მცირედნი აღმიწერიან და ვითარცა ზღუსაგან ვრცელისა და დიდად განფენილისა.ნაწუეთნი კნინ ოდენნი გამომიხუმან, რაჲთა არა სიმრავლისათჳს სასწაულთაჲსა ურწმუნოდ აღუჩნდეს ვისმე მტერისა მიერ მოშურნისა.

ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ ტყუვილი და ურწმუნოებაჲ საღმრთოთა შინა წერილთა და ცხორებასა შინა წმიდათასა, ვითარცა იგი პირველვე ვთქუ.

არამედ ჩუენ, ძმანო, ვჰბაძევდეთ ცხორებასა წმიდათა მამათა ჩუენთასა და მეოხ ვყოფდეთ მათ წინაშე სამებისა წმიდისა და უფროჲსად ნეტარსა ამას და წმიდასა მღდელთ-მოძღუარსა პეტრეს, სამკაულსა და სიქადულსა ქართველთასა და მეოხსა ყოვლისა სოფლისასა, და რაჲთა ამის წმიდისა მამისა პეტრეს მიერ განსწავლულნი ამისითვე მეოხებითა ამის თანა ღირს ვიქმნეთ სასუფეველსა ცათასა ქრისტეს იესუ[ჲს] მიერ უფლისა ჩუენისა, რომელსა შუენის დიდებაჲ და პატივი და თაყუანის-ცემაჲ თანა დაუსაბამოჲთ მამით და ყოლად ძლიერით და ცხოველს-მყოფელით სულით წმიდითურთ აწ და მარადის და საუკუნეთა მათ დაუსრულებელთა უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

* * *

ესე ცხორებაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისაჲ ამას კურთხეულსა და სანატრელსა ზაქარიას, მოწაფესა მის წმიდისა პეტრესსა, ასურებრითა ენითა აღეწერა, ვინაჲთგან ფრიად მეცნიერ ყოფილა მათსა ენასა და კუალად რამეთუ პალესტინეს ასურნი მრავალ არიან და დიდად და უფროჲსად ქალაქსა მიუმისასა, სადა-იგი წმიდაჲ პეტრე მღდელთ-მოძღურობდა.

ხოლო მე გლახაკმან მ ა კ ა რ ი ხ უ ც ე ს მ ა ნ მესხმან გარდამოვთარგმნე ქართულად ასურთა ენისაგან, რამეთუ მეცა მეცნიერ ვიყავ მათსა ენასა თქუენითა მადლითა, და ლოცვა ყავთ ჩემ ცოდვილისათჳს, წმიდანო ღმრთისანო, რომელთაცა აღმოიკითხოთ და ისმინოთ, ამენ.

1. წინასიტყვაობა . . . . . 5—6
2. ტექსტები . . . . . 9—263

ა. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ილარიონ ქართველისაჲ . . . . . 9—37
ბ. ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი . . . . . 38—100
გ. ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ . . . . . 101—207
დ. წამებაჲ არჩილ მეფისაჲ . . . . . 208—212
ე. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ პეტრე ქართველისაჲ . . . . . 213—263

ПАМЯТНИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ АГИОГРАФИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ც. შალამბერიძე
ტექრედაქტორი ნ. ებრალიძე
კორექტორი ლ. ამაშუკელი

გადაეცა წარმოებას 18.4.1966; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.8.1967;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 16,5; საღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 16,33; უე 01354; ტირაჟი 1500; შეკვეთა № 675
ფასი 1 მან. 36 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

საგამომცემლო ჯგუფი

დიმიტრი გურგენიძე
სოფიკო მენთეშაშვილი
ვლადიმერ პერანიძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
0193 თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. 1/3. ტელ.: 995 (32) 247 42 42
www.manuscript.ge info@manuscript.ac.ge
1/3 M. Alexidze str., Tbilisi 0193, Georgia. Tel.: +995 (32) 247 42 42
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS